www.kvirispalitra.ge

# კვირის პალიტრა

ყოველკვირეული გ

№7 (967) ◆ 11 — 17 თებერვალი, 2013 წ. ფასი 1 ლარი

# „მათ სურდათ, უფრო მძიმედ დაშავებულიყვნენ“



## ექსკლუზიური ინტერვიუ ირაკლი ღარიბაშვილთან

„მერაბიშვილის განცხადებები დღითი დღე არასერიოზული ხდება და არ მაქვს არავითარი სურვილი, პოლემიკაში შევიდე ასეთ უპრინციპო, მხდალ და მონობას შეგუებულ ადამიანთან“ გვ.5

„ვანო მერაბიშვილი კოდუასა და ახალაიასაც კი ვერ აკონტროლებდა“

„ვინც თაქთაქიშვილს, ნასარიძესა და რატიანს დაარტყა, ერთი და იგივე პირია“

### „ძირითადად, წილების თემას ადეიშვილი აკონტროლებდა“

„მიბიძგებდა, „თეგეტაში“ ჩემი 21%-იანი წილი დამეთმო“

ზაურ ცხადაძე: „მთელი ცხოვრება წელში გამართული დავდიოდი და ახლა შეურაცხყოფილი ვარ...“ გვ.10,14

### „ტუალეტის ქაღალდს რომ არ მოგცემენ, რაღაზეა ლაპარაკი!“

„ადვოკატმა მითხრა, დავით საყვარელიძეს შენი მანქანა მოეწონა და შენი ჰამერის „პიკაპი“ უნდა აჩუქოო“

ცნობილმა მკლავჭიდელმა ციხეში ერთ თვეში 55 კილო დაიკლო



### ირმა ნადირაშვილი: „მოვითხოვთ, დაიჭირონ ნანა კაკაბაძე“

გვ.7





### „ნანუკა ჟორჟოლიანს ვურჩევდი, ტაქტიანად მოქცეულიყო“

გვ.13

### კაცი პროვოკაცია?!



გვ.6

### მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...



ახალი ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა გვ.6


მაგთი MAGTI

ირაკლი ლომქანიძე: „მაგთიკომი“ იყო და რჩება უპირობო ლიდერად კავშირგაბმულობის სფეროში გვ.12 R



წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

„კვირის პალიტრის“ ამ ნომერთან ერთად!



წიგნი 50

რაბინდრანათ თაგორი

დღენი ჩემი სიჭაბუკისა

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით

მხოლოდ „პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური

ფასი 7 ლარი

იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან

ყოველ ორ კვირაში ახალი წიგნი



სერია №6

ამოჭერით

ლურჯი მონეტა




სერია ძალაშია 2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით


**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით**

## „უფალი ყველაფერს ხედავს"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქადაგებისას ბრძანა, რომ უფალი ყველაფერს ხედავს და ადამიანებმა სიკეთის კეთება უნდა იჩქარონ. „უნდა ვაკეთოთ სიკეთე და ისეთი საქმე, რომელიც საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერისთვის. ხშირია, როდესაც ადამიანს ერი ავიწყდება, ფიქრობს მხოლოდ საკუთარ სკამსა და თანამდებობაზე, საკუთარ კეთილდღეობას უფრო მაღლა აყენებს და ანაცვალებს მას ერის კეთილდღეობას. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიყოთ დაკვირვებული", — ბრძანა უწმინდესმა. პატრიარქმა უფალს შესთხოვა, მიანიჭოს ერს „განცდა ცოდვათა თვისთა და გული გონიერი", რათა შეძლოს გარჩევა, სად არის კეთილი და სად — ბოროტი. უწმინდესმა მრევლს აცნობა, რომ საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილებით, 2013 წელი თამარ მეფის წლად ცხადდება. პატრიარქმა ბრძანა, რომ 2013 წელი საიუბილეოა, რადგან მეცნიერები ფიქრობენ, რომ წელს თამარ მეფის გარდაცვალებიდან 800 წელი სრულდება (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## 100 დღე

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა, რომლის დროსაც მთავრობის მიერ 100 დღის განმავლობაში გაწეულ მუშაობაზე ისაუბრა. მან მთავრობის მიღწევებზეც, გაამახვილა ყურადღება და დასძინა, რომ თებერვალში გაზის ტარიფი 10%-ით შემცირდება. მისივე თქმით, იმედი იზრდება, რომ მოხერხდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც და რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების დამყარებაც. პრემიერი გამოეხმაურა მერაბიშვილის ბრალდებებსაც, რომლის მიხედვით, ქვეყანაში საბიუჯეტო კრიზისია. მისი თქმით, ბიუჯეტი სრულდება გადაჭარბებით, თუმცა გარკვეული პრობლემებია იმ კომპანიებში, რომლებსაც ძველი ხელისუფლება პირობებს კარნახობდა. მან კოალიციის სავარაუდო საპრეზიდენტო კანდიდატზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი საპრეზიდენტო ინსტიტუტის პირობებში პრეზიდენტობის ეტალონ კანდიდატად ვახტანგ ხმალაძე ესახება. ივანიშვილის აზრით, უახლოეს ათწლეულებში „ნაციონალური მოძრაობის" სახელიც კი ალერგიას გამოიწვევს, სააკაშვილი, მერაბიშვილი და უგულავა მათ მიმართ გაჩენილი კითხვების გამო პანიკაში არიან (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

რა უნდა ვიცოდეთ?
„ლურჯი მონეტები"-ს შესახებ

კუპონებს, „ლურჯი მონეტების" გამოსახულებით იპოვით „კვირის პალიტრის", „ყველა სიახლის" და „რეიტინგის" ყოველ ნომერში, იქვე დეტალურად შეიტყობთ:

- პროექტში მონაწილეობის წესებს;
- პროდუქციის ჩამონათვალს, რომელზეც „ლურჯი მონეტა" ლარის ნაცვლად გამოიყენება;
- „ლურჯი მონეტის" კურსს ლარის მიმართ და სხვა აუცილებელ ინფორმაციას.

„ლურჯი მონეტები" მოქმედებს მხოლოდ აქციაში მონაწილე პროდუქციაზე.

თვეში ერთხელ, განახლდება პროდუქციის ჩამონათვალი, რომელზეც მოქმედებს ლურჯი მონეტები!.

„ლურჯი მონეტების" ეს სერია მოქმედებს თებერვლის, მარტის და აპრილის პროდუქციაზე.

სერია №6 ძალაშია
2013 წლის 30 აპრილის ჩათვლით!

პროექტში მონაწილეობის პირობებს გაეცანით გვ. 43

## ცემა-ტყეპა ბიბლიოთეკასთან

8 თებერვალს პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით უნდა წარმდგარიყო, თუმცა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სააკაშვილის გამოსვლა გადაიდო. სამაგიეროდ, სააკაშვილმა გადაწყვიტა, მოსახლეობისთვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიემართა. ბიბლიოთეკასთან დილიდანვე შეიკრიბნენ პოლიტპატიმრები, მათი ოჯახის წევრები, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენებისას დაზარალებულები. ისინი პრეზიდენტის გამოსვლაზე 10-კაციანი ჯგუფის დაშვებას მოითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი აცხადებდნენ, რომ სააკაშვილს შენობაში არ შეუშვებდნენ. ამ თხოვნაზე უარი მიიღეს, რის შემდეგაც ბიბლიოთეკაში შესვლა სცადეს, რაც პოლიციამ აღკვეთა. სიტუაცია მაშინ დაიძაბა, როდესაც ბიბლიოთეკაში შესვლა „ნაციონალების" ლიდერებმა სცადეს, კერძოდ, ჯერ



სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი თენგიზ გუნავა გაემართა ხალხისკენ. აქციის მონაწილეებმა მას ბოთლები და ქაღალდები ესროლეს. შემდეგ კი იქ გიგი უგულავა, გიგა ბოკერია და სხვა „ნაციონალები" მივიდნენ. გიგი უგულავა გაიძახოდა: „ჰა, მოაწყვეთ შოუ ახლა". მას ბოთლები და კვერცხები ესროლეს, დეპუტატ ჩიორა თაქთაქიშვილს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სიტუაციის განმუხტვის მიზნით ადგილზე შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მივიდა. მისი განცხადებით, „ნაციონალებს" ბიბლიოთეკაში შესვლა ორი ალტერნატიული დერეფნით შეეძლოთ, თუმცა მათ ხალხის გავლით მოინდომეს იქ შეღწევა. ღარიბაშვილმა პროვოკაციაში გიგი უგულავას დასდო ბრალი. საბოლოოდ, ბიბლიოთეკაში პრეზიდენტის მისვლა ჩაიშალა და მან საზოგადოებას თავისი რეზიდენციიდან მიმართა. ინციდენტთან დაკავშირებით შსს-მ დააკავა მელორ ვაჩნაძე, მიშა მესხი, რომლებსაც სასამართლომ 100-100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. გელა მამალაძე თაქთაქიშვილისთვის და რამდენიმე ნაციონალისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაშია ბრალდებული (ვრცლად იხ. გვ. 5, 6, 7, სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## ივანიშვილი ძალადობას გმობს



პრემიერი ბიძინა ივანიშვილი გმობს იმ ძალადობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. იგი აცხადებს, რომ შს მინისტრი მისი დავალებით ახორციელებს ღონისძიებებს მოძალადეთა გამოსავლენად. პრემიერი პრეზიდენტის მიერ 8 თებერვალს გაკეთებულ განცხადებებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ სააკაშვილის გამოსვლაში საყურადღებო მომენტები შენიშნა. „პრეზიდენტმა ქართველ ხალხს ბოდიში მოუხადა იმ შეცდომებისთვის, რაც წლების განმავლობაში დაუშვეს მან და მისმა მთავრობამ. აღიარა ისიც, რომ გასულ საპარლამენტო არჩევნებში ხალხმა სამართლიანად ჩამოართვა მათ ძალაუფლება და ხალხის ნდობის დასაბრუნებლად, პირველ რიგში, საჭიროა წარსულის პრობლემების გაანალიზება და სწორი დასკვნების გაკეთება. ახლა საჭიროა სიტყვიდან საქმეზე გადასვლა, რათა გაჩნდეს ნდობა მისი ამ და სხვა სიტყვებისადმიც. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი მზადაა, მხარი დაუჭიროს იმ კონსტიტუციურ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც პარლამენტის მონაწილეობის გარეშე ახალი მთავრობის შექმნა შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, ველით ამ განცხადების დადასტურებას, რის შემდეგაც პარლამენტი უმოკლეს ხანში კენჭს უყრის ამ კანონპროექტს", — აღნიშნულია განცხადებაში. „ძალადობრივი დანაშაულის პატიების უფლება ჩემთვის არავის მოუცია. ყველა სხვა საკითხზე მზად ვარ გონივრული კომპრომისებისთვის", — დასძინა ივანიშვილმა.

## მიუღებელია აპელირება „ნაცების" პროვოკაციაზე

განათლების მინისტრის მოადგილე დავით ზურაბიშვილის განცხადებით, კატეგორიულად მიუღებელია გაუთავებელი აპელირება „ნაცების" პროვოკაციაზე.

„ვის და მე ნამდვილად არ მჭირდება იმის მტკიცება, თუ რა ცუდი ხელისუფლება იყო „ნაცმოძრაობა" და რა ცუდი საქმეები აკეთეს. ბოლო რვა წელიწადი მათთან ბრძოლის მეტი არაფერი მიკეთებია, მაგრამ კატეგორიულად მიუღებელია გაუთავებელი აპელირება „ნაცების" პროვოკაციაზე. იგივე „ნაცმოძრაობა" სხვას კი არაფერს ამბობდა, როცა აგვისტოს ომის გამო საკუთარ პასუხისმგებლობას არ ცნობდა. „აბა, ის კაი იყო, თქვენ რომ გვცემდით" — ტიპის არგუმენტზე ხომ აღარაფერს ვამბობ. ნორმალური ხელისუფლება იმით განსხვავდება დიქტატურისგან, რომ თუნდაც პროვოცირებული ძალადობა არ დაუშვას. თუ გვინდა, წარსულის მემკვიდრეობას გავემიჯნოთ, ასე უნდა მოვიქცეთ, თუ არადა წავალთ კიდევ ერთ წრეზე და აღარ მინდა! მთელი ცხოვრება გავიდა ამ წრებრუნვაში!", — წერს თავის ფეისბუკზე დავით ზურაბიშვილი.

## კოჰაბიტაცია უნდა გაგრძელდეს



საქართველოში აშშ-ის ელჩ რიჩარდ ნორლანდის განცხადებით: „მნიშვნელოვანია, მთავრობას ჰქონდეს საშუალება, მართოს ქვეყანა, რადგან საზოგადოება ელოდება შედეგს, ვითარების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, ოპოზიცია პასუხისმგებლობით მოეკიდოს მთავრობის კრიტიკას და მისი მხრიდან მთავრობის კრიტიკა არ გახდეს თვითმიზანი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მთავრობასა და ოპოზიციას ჰქონდეთ თანაცხოვრების საშუალება და კოჰაბიტაცია ეფექტურად გაგრძელდეს" (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

## ახალი ფრაქცია საკრებულოში



თბილისის საკრებულოში „ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის ყოფილმა წევრებმა ზაზა გაბუნიამ, ჯაბა სამუშიამ და კახა ბროკიშვილმა ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" შექმნეს. ახალი ფრაქცია „ქართული ოცნების" სხვა ფრაქციებთან ერთად, საკრებულოში ახალი უმრავლესობის შექმნას შეეცდება. არსებული ინფორმაციით, ახალი უმრავლესობის შექმნის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები იქნებიან ჯაბა სამუშია, გიორგი მუსხელიშვილი ან გულიკო ზუმბაძე.

## უმცირესობა დატოვეს

დეპუტატებმა მარიკა ვერულაშვილმა და გიორგი ფეიქრიშვილმა საპარლამენტო უმცირესობა დატოვეს. საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ ვერულაშვილმა უმცირესობა მუქარისა და შანტაჟის გამო დატოვა. „ასეთი მუქარები, ზეწოლა და შანტაჟი კვირების განმავლობაში პარლამენტის რამდენიმე წევრზე მიმდინარეობს", — აღნიშნა ბაქრაძემ.

## პრორუსულობა ვერ დაინახე

საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ჯერჯერობით ვერ დაინახა ისეთი ქმედება, რომელიც დაარწმუნებდა, რომ ხელისუფლებაში პრორუსული ძალა მოვიდა. იგი რუსეთთან დიალოგის აღდგენასაც მიესალმება, თუმცა მიიჩნევს, რომ ფორმატი უკეთესად მოფიქრებული უნდა ყოფილიყო. „პირდაპირი დიალოგი ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ისევ იმ რუსეთზე ვლაპარაკობთ, რომელმაც 15 ათასი კაცი მოკლა მარტო აფხაზეთის ომის დროს. თუკი რამე ვისწავლეთ რუსეთთან ურთიერთობისგან, პირველ რიგში ის, რომ არ შეიძლება ამ ქვეყანასთან საუბარი მკაცრად განსაზღვრული წესებისა და მედიაციის გარეშე. ყოველთვის უნდა იყოს დაუინტერესებელი მხარე, რომელიც იტყვის სიმართლეს, თუ ვინ რა თქვა", — აღნიშნა ვაშაძემ.

## მერაბიშვილი კანდიდატი იქნება

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის „ნაციონალური მოძრაობა" აპირებს პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატად ვანო მერაბიშვილი დაასახელოს. ამის შესახებ თავად მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ბედნიერი იქნება, თუ მასზე უკეთესი შეირჩევა. „პირადად ჩვენ, 1-ლი ოქტომბრის არჩევნებიდან, როცა ხალხის უმრავლესობამ ხმა არ მოგვცა, გაკვეთილი გამოვიტანეთ. რაღაც ისეთი ვერ გავაკეთეთ, რაც ხალხს უნდოდა. კარგი იქნება, თუ ეს მთავრობა ჩვენს შეცდომებზე ისწავლის", — აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა.

## მანქანები იცნეს

30-მდე პირი შსს-ს მათთვის გასულ წლებში ჩამორთმეული მანქანების დაბრუნებას სთხოვს. ადვოკატების — ირმა ჭკადუასა და ზურაბ ტაბიძის ინფორმაციით, მეპატრონეებმა მანქანები მაშინ იცნეს, როდესაც შსს-მ ისინი გასული წლის დეკემბერში აუქციონზე გაიტანა. ერთ-ერთი დაზარალებულის, გივი თოდაძის, განცხადებით, მისი კუთვნილი ორი ავტომობილი — „რეინჯროვერ სპორტი" და „კრაისლერ 300" საპროცესო გარიგების გაფორმების გარანტიის მიზნით სამინისტროსთვის საჩუქრად გადააცემინეს. მისი ინფორმაციით, „რეინჯროვერ სპორტით" კუდ-ის მაღალჩინოსნის, ლევან ქარდავას მეუღლე გადაადგილდებოდა, ხოლო „კრაისლერ 300" შსს-ს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს ემსახურებოდა.

## დონაძე დააკავეს



პროკურატურამ ბუტა რობაქიძის საქმეზე ბრალი საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს ზურაბ მიქაძეს, შსს-ს პრესსამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ გურამ დონაძეს, შსს-ს ყოფილ მაღალჩინოსნებს — დავით იაშვილს, ირაკლი ფირცხალავას, ალექსანდრე გვაზავას, ლევან გვაზავასა და ზაზა ბაქრაძეს წაუყენა. მათ ბრალი ედებათ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, ძალადობასა და დაზარალებულის შეურაცხყოფაში. პროკურატურის განცხადებაში ვრცლად არის აღწერილი, როგორ მოახდინეს ზემოხსენებულმა მაღალჩინოსნებმა რობაქიძის საქმის ფაბრიკაცია. გურამ დონაძე, რომელიც საზღვარგარეთ იყო, საქართველოში დაბრუნდა და ის საზღვარზევე დააკავეს.

გურამ დონაძის ადვოკატებმა 10 000-ლარიანი გირაოს შეფარდების შუამდგომლობა დააყენეს და იქვე დონაძის ჯანმრთელობაზე გაამახვილეს ყურადღება. მათი მტკიცებით, იგი B და C ჰეპატიტით არის დაავადებული, აქვს შაქრიანი დიაბეტი და გაკეთებული აქვს კუჭის ოპერაცია. მას შემდეგ, რაც დარბაზში რეპლიკა ისროლა სოსო რობაქიძემ, მოსამართლემ პროცესიდან გააძევა. მოგვიანებით სასამართლო დარბაზი ბუტას ბაბუამ და ბიძამ დატოვეს. ბრალდებულმა დონაძემ სცადა საჯაროდ სამძიმარი ეთქვა რობაქიძეებისთვის, რასაც დარბაზში შეძახილი მოჰყვა:

— შენ ვის უნდა მიუსამძიმრო, შე ნაგავო, სწორედ შენს თავში მოიხარშა ამ საქმის შეთითხნა, ხმას როგორ იღებ?

თბილისის საქალაქო სასამართლომ დონაძეს 25 ათასი ლარის, ალექსანდრე და ლევან გვაზავებს, ირაკლი ფირცხალავასა და დავით იაშვილს 15-15 ათასი ლარის ოდენობის გირაო შეუფარდა (სიუჟეტი იხ. www.palitratv.ge-ზე).

უცხოეთი

## მაკკეინმა აჰმადინეჟადი მაიმუნს შეადარა



ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი გამოეხმაურა ირანის პრეზიდენტ აჰმადინეჟადის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, იგი მზად არის, გახდეს პირველი ადამიანი, რომელსაც ირანელი მეცნიერები ორბიტაზე გაიყვანენ. „მაშ ასე, აჰმადინეჟადს სურს, პირველი ირანელი იყოს კოსმოსში. კი მაგრამ, იქ გასულ კვირას არ იყო?", — დაწერა მაკკეინმა სოციალურ ქსელში. თავის პოსტს სენატორმა ინფორმაცია დაურთო, რომლის მიხედვითაც, 28 იანვარს ირანელებმა კოსმოსში მაიმუნი გაუშვეს. მაკკეინის განცხადებამ ოფიციალური თეირანის აღშფოთება გამოიწვია.

# „არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა“

*კოჰაბიტაცია, როგორც ჩანს, ნაადრევად „გარდაიცვალა“, მაგრამ ამის აღიარება არც ჩვენ გვსურს და არც ჩვენს უცხოელ მეგობრებს. სახეზეა პოლიტიკური კრიზისის სერიოზული ნიშნები, საიდანაც ერთი ნაბიჯია სახელისუფლებო კრიზისამდე. საგანგაშო 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი კი არ არის, არამედ ის, რომ ხელისუფლებაში მყოფ არც ერთ ძალას დიდად არ მოუკლავს თავი ცემა-ტყეპის ასარიდებლად. შეიძლება დაუსრულებლად ვიდაოთ იმაზე, იყო თუ არა ბიბლიოთეკასთან საკმარისი რაოდენობის პოლიციელი ან ასრულებდნენ თუ არა „ნაციონალები“ გიგი უგულავას თამადობით პროვოკატორების როლს, როდესაც მაინცდამაინც გამწარებული ხალხის მასის გავლით მოინდომეს შენობაში შესვლა. მთავარი და საგანგაშო ის არის, რომ მხარეები მზად არიან, ასეთ გამწვავებებზე წავიდნენ. თუ ბიბლიოთეკის ეპიზოდი ტენდენციად იქცა, ყველაფერი უკან მოგვრჩება. ექსპერტი* ***სოსო ცისკარიშვილი*** *იმედს გამოთქვამს, რომ მოსახლეობაში მეტი თავშეკავება დაიმკვიდრებს, თუმცა აცხადებს, — „ნაციონალებმა“ რაც დასთესეს, იმას იმკიანო.*

## „საგანგაშოა, როცა ადამიანი, რომელიც თავს პრეზიდენტს უწოდებს, ტყუილს ქვეყნის პრესტიჟად მიიჩნევს“



— ის ყელყელაობა, რომლითაც „ნაც-მოძრაობის“ ლიდერები მიემართებოდნენ გადაჭედილ ქუჩებზე, თავისთავად გამომწვევი ქცევა იყო. ასეთი ქმედება აღიზიანებს იმ ნაწამებ ადამიანებს, რომლებიც იქ იყვნენ შეკრებილი. საერთოდ, არა მგონია, რომ რომელიმე მხარე უკმაყოფილო დარჩა მომხდარით, მაგრამ დაზარალდა იმიჯი იმ ქვეყნისა, სადაც თითქოსდა დემოკრატიულად მოხდა ხელისუფლების გადაცემა. მე ამ აზრს არ ვიზიარებ, რადგან არაერთი ფაქტი მაქვს იმის დასადასტურებლად, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ არჩევნების გასაყალბებლად ყველანაირი ძალისხმევა გამოიყენა. უბრალოდ, მათ მიერ შემუშავებულმა ვერაგულმა მოდელებმა შედეგი არ მოიტანა. სხვათა შორის, პრეზიდენტის გამოსვლიდან რამდენიმე დღით ადრე, ერთ-ერთ ინტერვიუში, კითხვაზე — რას ელოდები პრეზიდენტის გამოსვლისგან? — ვთქვი, რომ პრეზიდენტისგან არანაირ სიურპრიზს არ ველოდი. მხოლოდ ის მსურდა, პრეზიდენტის გამოსვლას არ ჩაევლო „იმ აკომპანემენტით“, რომლის კადრები შემოივლიდა მსოფლიო ტელევიზიებს. სამწუხაროდ, ამას ვერ ავცდით. სხვათა შორის, არც ეს იყო ძნელად პროგნოზირებადი. კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმახსოვრონ — რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

**თუ წლების განმავლობაში თესავ ზიზღს, მასვე მიიღებ. სწორედ ამ ზიზღის გამოხატულება იყო, რაც მოხდა 8 თებერვალს. თუმცა იმედია, ჩვენი მოსახლეობა ისწავლის ემოციების მოთოკვასა და თავშეკავებას.**

ნურც ის დაგვავიწყდება, რას ბრძანებდა მარტინ ლუთერ კინგი — არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა. მოკლედ, 8 თებერვლის პროტესტის საფუძველი გინდ ქართულად გაიაზრონ „ნაციონალებმა“, გინდ ამერიკულად, ორივე ფორმულა მოქმედებს ქართულ რეალობაში.

— **წესით, 8 თებერვალს პრეზიდენტი ანგარიშით პარლამენტში უნდა წარმდგარიყო, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობამ მისი გამოსვლა გადადო. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა სააკაშვილმა, რომ საზოგადოებისთვის ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიემართა.**

— არ გამოვრიცხავ, რომ ქუთაისის პარლამენტთან გადაღებული კადრები უფრო მძიმე საყურებელი ყოფილიყო, ვიდრე ის, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ვნახეთ. თუმცა

**არ ვარ დარწმუნებული, რომ რაიმე დივიდენდის მომტანია დღევანდელი უმრავლესობისთვის გადაწყვეტილება პრეზიდენტის გამოსვლის გადადების შესახებ. ეს, ცხადია, არაერთი ჩვენი საზღვარგარეთელი პარტნიორის უკმაყოფილების საბაბი გახდება და ამ გადადებულ გამოსვლას მიეწერება 8 თებერვლის აურზაური.**

ჩვენს უცხოელ მეგობრებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმ მილიონ ორასი ათას ადამიანზე, რომლებიც თავისი ხელმოწერებით ადასტურებენ რეალობას — საქართველოს დღეს ლეგიტიმური პრეზიდენტი აღარ ჰყავს და სააკაშვილის პრეზიდენტობის ვადა 20 იანვარს ამოიწურა. თუმცა, სწორედ ახლა, იმ დებატების შემდეგ, რაც მოვისმინეთ საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, უპრიანი იქნებოდა, სააკაშვილისგან გაეგოთ მისი დამოკიდებულება იმ დიქტატორული საკონსტიტუციო მუხლის მიმართ, რომელიც უფლებას აძლევს, პარლამენტის გვერდის ავლით, უბის წიგნაკში ჩამოწეროს გვარ-სახელები და მას საქართველოს მთავრობა უწოდოს. ჩვენ პრეზიდენტის რეზიდენციაში სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას მოვისმინეთ, რომ თურმე „ნაციონალები“ მზად არიან ამ მიმართულებით საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერისთვის, მაგრამ პარლამენტში გამოსვლისას ეს სააკაშვილის არც ერთ თანაგუნდელს არ დაუფიქსირებია. ასე რომ, სააკაშვილის ეს განცხადება მხოლოდ დიპლომატიური კორპუსისთვის არის განკუთვნილი.

— **პარლამენტში გამართული დებატები ახსენეთ, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებს მიეძღვნა. თუმცა ამ ცვლილებების გარშემო მსჯელობას მინიმალური დრო დაეთმო და ძირითადად, ვიხილეთ ის, რომ უმცირესობა მასზე ზეწოლასა და შანტაჟზე საუბრობდა, უმრავლესობა კი „ნაციონალებს“ მათი მმართველობისას ჩადენილ ცოდვებს უხსენებდა.**

— „ნაციონალებმა“ კარგად დახვეწეს აქტივისტებისთვის საშინაო დავალების მიცემის მეთოდი და დებატებისას, დღის ბოლოს, უკვე ღიმილის მომგვრელი იყო, რომ ყველა ერთსა და იმავე ტექსტს იმეორებდა. იგივე მოხდა 8 თებერვლის მოვლენებისას, — ყველამ ერთნაირი კომენტარი გააკეთა — სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, რომელიც გულგახეთქილია, რომ პოლიციამ ხალხი არ დაარბია და უშიშროების საბჭოს მდივანმა, რომელიც თავად იქცა ქვეყნისთვის საშიშროებად. დაიწყეს საუბარი ჯაბა იოსელიანსა და 90-იან წლებში დაბრუნებაზე. სხვათა შორის, იგივე ხდებოდა 2007 წლის 7 ნოემბერს. თავად ვარ მომსწრე, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისას როგორ განახორციელა ლევან რამიშვილმა ოცდაორი ზარი და „მიაწოდა“ „ნაციონალებს“ არგუმენტაცია, რატომ იყო საჭირო „იმედის“ შეჩერება. ამ დირექტივებს შემდეგ მაშინდელი პარტიის წევრები სხვადასხვა ტელეეთერში კაჭკაჭებივით იმეორებდნენ. ეს მოდელი დღესაც არსებობს და ნუ გაგვიკვირდება, ყველა ერთად თუ ილაპარაკებს ზეწოლაზე და თან ისე, რომ ზოგიერთმა მათგანმა, შესაძლოა, ამ ტერმინის მნიშვნელობაც არ იცოდეს.

— **8 თებერვალს პრეზიდენტმა მაინც მიმართა საზოგადოებას, ოღონდ უკვე თავისი რეზიდენციიდან. სააკაშვილის გამოსვლა, ალბათ, ორ ნაწილად უნდა გავყოთ. პარლამენტში გამოსვლისთვის განკუთვნილი ტექსტი, რომელიც პრეზიდენტმა რეზიდენციაში წაიკითხა, მეტ-ნაკლებად გაწონასწორებული იყო. სამაგიეროდ, კითხვა-პასუხის რეჟიმისას, სააკაშვილის ლექსიკაში დაბრუნდა აგრესიული ტერმინოლოგია. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის სიტყვა უფრო მეტ ლირიკას შეიცავდა, ვიდრე პოლიტიკურ მესიჯებს.**

— მართლაც, მე დავინახე ორი ვადაგასული პრეზიდენტი: ერთი, რომელიც ტექსტს კითხულობდა და მეორე, რომელიც ჟურნალისტებს პასუხობდა. ტექსტი აკადემიური გახლდათ და საზოგადოებაზე გათვლილი ტირადები ეფექტური იყო. აღსარების მსგავსი მომენტებიც დავინახეთ. მაგალითად, როდესაც ის სასამართლო სისტემაზე ზეწოლას შეეხო, განაცხადა, — გაჩნდა შანსი, რომ სასამართლო სისტემამ უფრო მეტი დამოუკიდებლობა მოიპოვოს. წარსულში არ ჰქონდა შანსი? აკი კუბლაშვილის სასამართლოს მოსახლეობის 82% ენდობოდა კუბლაშვილისვე ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით? ასევე აღმოჩენასავით გააკეთა პრეზიდენტმა — საარჩევნო კამპანია დასრულდა და ვიდრე ახალი დაწყებულა, პაექრობისა და ცილისწამებისგან თავი უნდა შევიკავოთო. უკაცრავად, მაგრამ მისი რომელი გამოსვლა გვარწმუნებს, რომ საარჩევნო კამპანია დასრულდა და როდის არ გაუკეთებია ცილისმწამებლური და დემაგოგიური განცხადებები ოპონენტების მიმართ? სააკაშვილმა ისევ გაიმეორა ძველი თეზისები — საქართველოში 200 პოლიტიკოსი არ გვყავს და 200 პოლიტპატიმარი საიდან გაჩნდაო. ასე მიამიტად წარმოჩენა არ ეკადრება ადამიანს, რომელიც 9 წელია, თავს პრეზიდენტს უწოდებს. ჩემგან სააკაშვილს არ ესწავლება, რომ არ არის აუცილებელი, პოლიტპატიმარი მაინცდამაინც პოლიტიკოსი იყოს. ადამიანი, რომელიც უკანონოდ დასჯისთვის გაიმეტეს, არის მსხვერპლი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკისა. ასე რომ, შეიძლება პოლიტპატიმ-

## „რჩება გარკვეული სკეფსისი მინისტრების როლის მიმართ“

რის სტატუსს ორი ათასი კაციც იმსახურებდა. სააკაშვილი ისევ დაბეჯითებით ლაპარაკობს ციხიდან გამოშვებული ჯაშუშების თემაზე. ამდენ ნერვიულობას, არ სჯობდა, გაეცა ბრძანება, რომ ზემოხსენებული პირების საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ მოეხსნას? იქნებ ამის შემდეგ ყველამ ერთად შევიჯავროთ ჯაშუშობისთვის გასამართლებული პირები. მივმართავ მთავარ პროკურორს და შინაგან საქმეთა მინისტრს, მათ მაინც მოაბან თავი ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებულთა საქმეების გასაჯაროებას.

— **სააკაშვილმა ის ოთხი პრინციპი დაასახელა, რომლის გარშემოც ერთმანეთთან დაპირისპირებული პოლიტიკური ძალები უნდა გაერთიანდნენ. პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა შეჩერებულ პროექტებზე (ლაზიკა), რუსეთთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, დასავლეთის კეთილგანწყობის დაკარგვის საშიშროებასა და იმაზე, რომ საქართველო შესაძლოა, ნავთქურებისა და კრიმინალების ბატონობის ეპოქაში დაბრუნდეს. სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხეზეც ისაუბრა. სხვათა შორის, ამაზე „ნაციონალები“ სულ უფრო ხშირად აკეთებენ აქცენტს.**

— სააკაშვილის ზემოხსენებული განცხადებები განკუთვნილი იყო პირველ რიგებში მსხდომი დიპლომატებისთვის. რასაკვირველია, ისინი ამავე ტერმინების გამოყენებით გაგზავნიან ანგარიშს თავიანთ საგარეო საქმეთა სამინისტროებში. სააკაშვილის საუბარი იმაზე, რომ მისი ჯგუფი ახალ ხელისუფლებასთან მშვიდობიან თანაცხოვრებას აპირებს, ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან ვიცით პრეზიდენტყოფილის თანაგუნდელ ვანო მერაბიშვილის განცხადება — ამ მთავრობას ოთხი წელი ვერ დაველოდებითო. რაც შეეხება ოთხ პრინციპს — ეს იგივეა, რაც ის, რომ ქეიფი სჯობს ავადმყოფობას. ამაში სააკაშვილს არავინ ეწინააღმდეგება, მაგრამ ისე წარმოაჩენს, თითქოს ვინმეს არ სურს, საქართველო იყოს სუვერენული სახელმწიფო, ჰქონდეს კონსტიტუციური დამოუკიდებლობა, იყოს ცივილიზებული ქვეყანა და სახელმწიფო, სადაც ყველას ექნება წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. ასეთი პრიმიტიული გზავნილებით ყოფილმა პრეზიდენტმა არც თავი უნდა გადაიტვირთოს და არც უცხოელი დიპლომატები დატვირთოს. სხვათა შორის, სააკაშვილმა განაცხადა — მოდი, ისე ვიცხოვროთ, რომ ჩვენს წარსულს ვიმსახურებდეთო. ღმერთმა დაგვიფაროს სააკაშვილის მიერ დამკვიდრებული წარსულის დამსახურებისგან. საქართველოს მოსახლეობისთვის საფრთხეს სწორედ ბოლო 8-9- წლიანი წარსული შეიცავს. კიდევ ერთი განცხადება გამოუვიდა აღსარებასავით — არჩევნებში ხალხმა დაგვსაჯაო. ერთი ისიც მიგვითითოს, საპარლამენტო უმცირესობის რომელი წევრი ჰგავს დასჯილს და არ ყელყელაობს, როგორც პირწავარდნილი რევანშისტი. ისიც თქვა, რომ „ნაციონალების“ ოპონენტები ევროინტეგრაციის შეჩერებას ემხრობიან. ამას გუშინ ჩამოსული ელჩიც არ დაიჯერებს. „ნაციონალებმა“ ვერ გაითავისეს, რომ რეალობა შეიცვალა და უცხოეთისთვის მხოლოდ თვითონ აღარ არიან ინფორმაციის ერთადერთი წყარო. სხვათა შორის, იმასაც გეტყვით, რაშიც შემიძლია სააკაშვილს დავეთანხმო. გაუნათდა გონება და განაცხადა — ცოცხების სროლა სიძულვილის სიმბოლოაო. ასევე თქვა, რომ გირგვლიანის საქმე მისი ხელისუფლებისთვის შავი ლაქაა. მან ასევე უარყო ცესკოს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის ახალი „სიბრძნე“, რომლის მიხედვითაც, თურმე საარჩევნო ბარიერი 1%-მდე უნდა შემცირდეს. სააკაშვილმა ეს დამაჯერებლად უარყო და ისაუბრა პარტიების გამსხვილებაზე. ძნელია, არ დაეთანხმო. თუმცა ჩემთვის აღმაშფოთებელია სააკაშვილის ღია მოწოდება ახალი ხელისუფლებისადმი — ისიც იმავე სიცრუის დოზით წარდგეს საზღვარგარეთის წინაშე, როგორც სააკაშვილი და მისი გუნდი იქცეოდა. კერძოდ, მის მიერ დაუსახელებელმა პირმა (ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს), საზღვარგარეთ თქვა, რომ მსოფლიო ბანკის მონაცემები, თითქოს საქართველო ბიზნესის კეთებით მეხუთე ადგილზეა, სიყალბეა. შესაბამისად, ინვესტორმა, რომელმაც ეს მოისმინა, საქართველოში ინვესტიციების განხორციელებას ჯვარი დაუსვა. პრეზიდენტყოფილმა თქვა, — ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული მონაცემები ტყუილიც რომ ყოფილიყო, უნდა გვემტკიცებინა, მართალიაო. ეს კაცმა როგორ უნდა იკადრო ამხელა აუდიტორიის წინაშე, — გამოდის, რომ ეს თვითილუსტრაციაა. კერძოდ, ისინი ავრცელებდნენ არა სიმართლეს, არამედ სიყალბეს. საგანგაშოა, როცა ადამიანი, რომელიც თავს პრეზიდენტს უწოდებს, ტყუილს ქვეყნის პრესტიჟად მიიჩნევს. უცხოელი დიპლომატებისთვის ალბათ ყველაფერი გასაგებია.

— **გასულ კვირას პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჟურნალისტებთან შეხვედრისას მთავრობის მიერ 100 დღის განმავლობაში გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშით წარდგა. პრემიერი აცხადებს, რომ სასიკეთო ძვრები უკვე გამოჩნდა და კონკრეტული ციფრებიც დაასახელა. პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს ყველაზე მეტად ირაკლი ალასანიასთან და კოალიციის სავარაუდო კანდიდატთან დაკავშირებული საკითხი აინტერესებდათ.**

— ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია ინფორმაციული იყო. ამავე დროს რჩება გარკვეული სკეფსისი მინისტრების როლის მიმართ. ცხადია, ყველას არ ვგულისხმობ. ზოგიერთი სამინისტრო პასიურია და კონკრეტულ სფეროებში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია პირადად პრემიერისგან მოვისმინეთ. ეს, ალბათ, უნდა გამოსწორდეს. რაც შეეხება ივანიშვილის განცხადებებს საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით — ჩემი აზრით, მკაფიოდ იკვეთება ორი მოდელი: საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკა იქნება თუ საპარლამენტო. საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტად ძნელად წარმომიდგენია ირაკლი ალასანია, საპრეზიდენტო რესპუბლიკისა კი — ვახტანგ ხმალაძე. ჩემი ახლობელია, მაგრამ ძნელად წარმომიდგენია ხმალაძე უმაღლეს მთავარსარდლად. გარდა ამისა, არ მჯერა, რომ ირაკლი ალასანიას სურდეს საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტობა და შეზღუდული უფლებების პირობებში იქნება მზად, 45 წლის ასაკში პოლიტიკურ პენსიაზე გავიდეს. მისმა საუბარმა მიმანიშნა, რომ ემხრობა საპარლამენტო მოდელს. არ გამოვრიცხავ, მხარს უჭერდეს პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევას. ეს აზრთა სხვადასხვაობას ნამდვილად გამოიწვევს. თუ პარლამენტის არჩეული იქნება პრეზიდენტი, მუდმივი კრიტიკის ატმოსფეროში მოუწევს მუშაობა. კერძოდ, ოპოზიცია მუდმივად იტყვის — საყოველთაო არჩევნები რომ გამართულიყო, პრეზიდენტი პარლამენტის მიერ დანიშნული კი არა, ჩვენი კანდიდატი იქნებოდაო. ასევე იტყვიან, რომ ადრე მილიონი კაცი ირჩევდა პრეზიდენტს, დღეს კი 100 კაცი ირჩევს. ამიტომაც, თუ უმრავლესობა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე ფიქრობს, სჯობს მიიღოს ზომები საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, რათა ეს მოდელი მოსახლეობის მიერ იყოს გაზიარებული და არა თავს მოხვეული.

*გიორგი კვიტაშვილი*

## „ნაციონალებმა“ ვერ გაითავისეს, რომ რეალობა შეიცვალა და უცხოეთისთვის მხოლოდ თვითონ აღარ არიან ინფორმაციის ერთადერთი წყარო

# სანამ ყაზბეგურა და ჩაქირაც დაგვიკარგავს...

## გამოფინეთ კავკასიური ნაგაზები!

*23 თებერვალს თბილისში კავკასიური ნაგაზების მეთოთხმეტე გამოფენა ტარდება. კავკასიური ნაგაზების კლუბში აცხადებენ, რეგისტრაციის დასრულებამდე ორი კვირაც აღარ დარჩა, გამოფენაზე გამოსვლის სურვილი კი ჯერ მხოლოდ 30-ოდე ძაღლის პატრონმა გამოთქვაო. იყო დრო, როდესაც კავკასიური ნაგაზი საქართველოში გადაშენების გზაზე იდგა. დღეისათვის ფიზიკური გაქრობის საფრთხე შესუსტდა, მაგრამ ქართველებში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა კულტურა, როგორ უნდა მოიქცნენ, როდესაც ჯიშიანი ძაღლები ჰყავთ. სამწუხაროდ, არა მხოლოდ ქართული და კავკასიური, უცხოური წარმოშობის ოთხფეხა მეგობრებიც ხშირად ოფიციალურად დაურეგისტრირებელია ვეტერინარულ დაწესებულებებსა და კლუბებში. ეს ნიშნავს, რომ ძაღლი, როგორც მისი ჯიშის წარმომადგენელი, არ არსებობს!*

*გამოფენისა და ნაგაზების მოვლის შესახებ „კვირის პალიტრა“ საქართველოს კინოლოგიის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელ* ***გია გიორგაძეს*** *ესაუბრა.*



**„გვყავდა შესანიშნავი ჯიში ჩაქირა, ქართულად — მყეფარა. ბრწყინვალე თვისების მქონე, კვერნაზე მონადირე. თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ისტორიულ საქართველოში კვლავ არის ეს ძაღლი და თურქებს სურთ, რომ თავისად დაირეგისტრირონ. სანამ გვძინავს, ალბათ ჩაქირასაც სამუდამოდ დავკარგავთ“**

— საქართველოში ნაგაზების ბოლო გამოფენა 1931 წელს ჩატარდა და მხოლოდ 69 წლის შემდეგ, 2000 წელს შევძელით მისი აღდგენა. წელს მეთოთხმეტე გამოფენას ვატარებთ. საგამოფენო დარბაზი დაგვითმო აგრარული უნივერსიტეტის რექტორმა ლაშა გოცირიძემ, — ეს საჩუქარია ნაგაზებისთვისო. მსაჯი მოვიწვიეთ ქალაქ ბელგრადიდან — პოლინა სიმიჩი 7 წლის წინ იყო აქ. გვინდა გვითხრას, გვაქვს წინსვლა თუ არა.

**— თქვენ რას ამჩნევთ, წინსვლა გაქვთ?**

— წინსვლა ძალიან ხმამაღალი ნათქვამი იქნება. ჩვენი სახსრები საკმარისი არ არის ამ ძაღლების გადარჩენა-განვითარების ეროვნული პროექტის განსავითარებლად. სამწუხაროდ, ერთ ძალიან კარგ პროექტს ჩაშლა ემუქრება. რამდენიმე წელია, მე და ჩემს მოადგილეს, კობა სუბელიანს, ცხვარში უსასყიდლოდ აგვყავს ძაღლები, ვამრავლებთ და თვალყურს ვადევნებთ მათ განვითარებას. აქამდე ენთუზიაზმით ვმოქმედებდით, არავინ მოინდომა გვერდში დადგომა. გვიჭირს ცხვარში ხშირად ასვლა, ძუ უნდა ჩამოიყვანო, უკან დააბრუნო, მერე ლეკვების დასაყრელად ისევ ჩამოიყვანო, ლეკვებს ყურები დააჭრა, აცრა. ყველაფერი ფულს მოითხოვს. ვიმედოვნებ, ახალი ხელისუფლება ჩვენი საქმიანობით დაინტერესდება, რადგან კავკასიური ნაგაზი, მეცხვარესთან ერთად, ერის ორგანული ნაწილია, მესაზღვრეა, რასაც მუდმივად ვახსენებ საზოგადოებას. თუკი საძოვრებზე ქართველი მეცხვარე და ძაღლი წლების განმავლობაში არ გამოჩნდებიან, სხვა მოვა მათ ადგილზე და ბევრ პრობლემას შეგვიქმნის.

**— მეცხვარული ძაღლის ზოგიერთი ქალაქელი პატრონი ამბობს, არ არის აუცილებელი, ძაღლი ცხვარში იყოსო.**

— დაკეტილ ვოლიერში კარგი ძაღლის ყოლა მავნებელია. ზოგიერთი წუწუნებს, რატომ უნდა ვაჭამო ამხელა ძაღლსო? ეს სიმდიდრეა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და ჩვენს ხელში არ უნდა გადაშენდეს. სახელმწიფოები თავს იწონებდნენ საკუთარი ცხენით, ძაღლით და ა.შ. თუ არ ჰყავდათ, გამოჰყავდათ ჯიშები. გვყავს და ვერ ვუვლით. საქართველოს ამ ეტაპზე ერთადერთი ჯიში ჰყავს, ყაზბეგურა, მაგრამ დაურეგისტრირებელია. სანამ ქვეყანაში არ იქნება კანონი ძაღლის შესახებ, ძაღლებთან დაკავშირებით პრობლემები ვერ მოგვარდება. უნდა აიკრძალოს ბევრი რამ და მათ შორის ქუჩაში ძაღლებით ვაჭრობა. სელექციის და გასხვისების საკითხი კლუბებში უნდა გვარდებოდეს. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ძაღლის მფლობელებს დაავალდებულებს, იყოლიონ მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული ძაღლი, მიუხედავად იმისა, ჯიშიანი იქნება თუ შერეული.

**— მფლობელთა ნაწილს თურმე ძაღლი გამოფენაზე იმიტომ არ მოჰყავს, რომ ფიქრობს, პრიზები იყიდება, მოგება ჩაწყობილიაო.**

— ერთმა ძაღლმა ორჯერ ზედიზედ მიიღო მთავარი პრიზი და საჩუქრად ტელევიზორები გადაეცა. მესამე წელს მოვიდა პატრონი და მეუბნება, — მაცივარი ჩასვით საპრიზო ფონდშიო. ეგონა, რომ აუცილებლად მოიგებდა მესამე წელსაც და რომ წააგო, აყვირდა, — კონკურსი გაყიდულიაო.

**— 23 თებერვალს რატომ დანიშნეთ გამოფენა, რამე სიმბოლოს უკავშირდება?**

— გვინდა რუსული არმიის დღე კავკასიური ნაგაზების გამოფენით გავაქარვოთ. რუსები ყველანაირად ეცადნენ საქართველოში ამ ძაღლების გადაშენებას. ცნობილმა რუსმა კინოლოგებმა 10 000 საუკეთესო ძუ და ხვადი გაიყვანეს, რითაც გენოფონდი ფაქტობრივად მოსპეს. გვყავდა შესანიშნავი ჯიში ჩაქირა, ქართულად — მყეფარა. ბრწყინვალე თვისების მქონე, კვერნაზე მონადირე. თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ისტორიულ საქართველოში კვლავ არის ეს ძაღლი და თურქებს სურთ, თავისად დაირეგისტრირონ. სანამ გვძინავს, ალბათ ჩაქირასაც სამუდამოდ დავკარგავთ. სამწუხაროდ, ასეთი საკითხები ფედერაციის დონეზე არ წყდება, თორემ დიდი ხნის წინ მივხედავდით ყაზბეგურასაც და ჩაქირასაც.

*ეკა ლომიძე*

**www.kvirispalitra.ge**

**თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში**



# „მათ სურდათ, უფრო მძიმედ დაშავებულიყვნენ თვითონაც და მეორე მხარის წარმომადგენლებიც“

*8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის წინ მომხდარი დაპირისპირების შემდეგ შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს კრიტიკის ნიაღვარი დაატეხეს. „ნაციონალებმა“ ხელისუფლებას ბრალად დასდეს პროვოკაციის მოწყობა, ორგანიზატორობა კი სწორედ შს მინისტრს დააბრალეს. ღარიბაშვილს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმაც შეახსენეს, რომ უფრო მეტი უნდა გაეკეთებინა „ნაციონალების“ პროვოკაციის თავიდან ასარიდებლად. ვანო მერაბიშვილმა კი მას შეშინებული და დაბნეულიც კი უწოდა. შინაგან საქმეთა მინისტრი „კვირის პალიტრას“ ექსკლუზიურად ესაუბრა:*



**ირაკლი ღარიბაშვილი:** მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ პრეზიდენტი სიტყვით უნდა გამოსულიყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში, შსს-ს ყველა დანაყოფი, რომელთაც შინაგანწესით ევალებათ მსგავსი ღონისძიებების ორგანიზება, მობილიზებულ იქნა უსაფრთხოების დასაცავად. მათ უნდა გაეკონტროლებინათ პრეზიდენტის, სტუმრებისა და იქ შეკრებილი ხალხის უსაფრთხოება.

— **ვინ იყო შეკრებილი დემონსტრაციაზე, მხოლოდ ყოფილი პატიმრები?**

— პოლიტპატიმრები, მათი ოჯახის წევრები, ნათესავები და გულშემატკივრები, „ნაციონალური მოძრაობისგან“ უფლებააყრილი, გაუბედურებული და ნაწამები ხალხი. წინა ხელისუფლების წარმომადგენლებმა კარგად იცოდნენ, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა გამწარებულ ხალხში მათ გამოჩენას. იცოდნენ და შეგნებულად წავიდნენ პროვოკაციაზე. ვიდეოფირში კარგად ჩანს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები, ვინ რაში იყო დამნაშავე. თავდაპირველად, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ თენგიზ გუნავას გამოჩენამ გააღიზიანა ხალხი. ყველაზე ნეგატიური მუხტი შემოიტანა დედაქალაქის მერმა გიგი უგულავამ. ძალიან სამწუხაროა, რომ მან მიზანმიმართულად გამოიწვია აგრესია ისედაც აღელვებულ, აგრესიულად განწყობილ მოქალაქეებში, რომლებიც, ვიმეორებ, არ იყვნენ ჩვეულებრივი მოქალაქეები. ისინი დააზარალა, სცემა და აწამა უგულავას თანაპარტიელების ხელისუფლებამ. ყველას კარგად გვახსოვს, რა მოხდა 26 მაისს, რა მდგომარეობაში ჩააგდეს რუსთაველის პროსპექტზე ნაცემი ხალხი. ცხადია, ამ ადამიანებს გაუჩნდებოდათ პროტესტი და აგრესია. სამწუხაროდ, უგულავამ არად ჩააგდო მათი ემოციები და მოგვევლინა, როგორც პროვოკაციული ჯგუფის ლიდერი, რომელსაც თან ახლდნენ ასევე პროვოკაციისთვის მზადმყოფი თანაგუნდელები. ჩვენ გავაკეთეთ გრაფიკული ვიდეორგოლი, სადაც გარკვევით ჩანს, რა უსაფრთხოების ზომები გვქონდა დაგეგმილი. სამწუხაროდ, სააკაშვილის გუნდმა არ გაითვალისწინა ეს, არ ისარგებლა უსაფრთხო გასასვლელებით.

— **უგულავამ განაცხადა, რომ არაფერი იცოდნენ ამ უსაფრთხო შესასვლელებზე.**

— შეუძლებელია, არ სცოდნოდათ. უსაფრთხოების ზომები პრეზიდენტის დაცვის სპეციალურ სამსახურთან შევათანხმეთ. მათ დეტალურად განიხილეს ალტერნატიული შესასვლელების თემა. საწინააღმდეგო არაფერი ჰქონიათ. ეს ყველაფერი ხდებოდა 8 თებერვალს, დილიდანვე, როდესაც დაიწყო გეგმით გათვალისწინებული ობიექტის მომზადება.

> **„ისინი დააზარალა, სცემა და აწამა უგულავას თანაპარტიელების ხელისუფლებამ“**

— **უსაფრთხოების ზომების შესახებ გიგა ბოკერიასაც ელაპარაკეთ ტელეფონით?!**

— დიახ. ჯერ მან დამირეკა და მითხრა, ბიბლიოთეკის წინ იკრიბება აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების ჯგუფი და დაცული იქნება თუ არა უსაფრთხოების ზომებიო? ვუპასუხე, რომ ყველაფერზე ვიზრუნეთ, ავუხსენი, რაც გვქონდა დაგეგმილი, ალტერნატიული შესასვლელების შესახებაც ვუთხარი. ორი შესასვლელ-გასასვლელი იმიტომ დავგეგმეთ, ერთის ბლოკირება თუ მოხდებოდა, პრეზიდენტი და სტუმრები მეორე გასასვლელის გამოყენებას შეძლებდნენ უპრობლემოდ. მან მადლობა გადამიხადა. ამის შემდეგ პრეზიდენტის მისვლა ორჯერ გადაიდო.

ვფიქრობ, რომ ეს იყო ძალიან კარგად დაგეგმილი, პროვოკაციულად გაწერილი დეტალური გეგმა, რომელიც მაღალპროფესიულად შეასრულა ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, მაგრამ ჩაეშალათ ჩანაფიქრი. მათ სურდათ, კიდევ უფრო მძიმე ფორმა მიეღო დაპირისპირებას, უფრო მძიმედ დაშავებულიყვნენ თვითონაც და მეორე მხარის წარმომადგენლებიც. სამარცხვინოა, რომ ამბობენ, პოლიცია არ მოქმედებდაო. ძალიან კარგად ჩანს ვიდეოფირზე, რას აკეთებს პოლიცია. მათთვის განსაზღვრულ ადგილზე იდგნენ სამართალდამცველები. გასასვლელები აბსოლუტურად სუფთა იყო, აბსოლუტურად ვაკონტროლებდით, ვიმეორებ, ჩვენ და სამთავრობო დაცვა. უგულავა კი როგორ იქცევა ამ დროს? აგრესიული ყიჟინით მოდის, „გინდათ შოუ? — ყვირის, — დადგით შოუ“ და სხვა სამარცხვინო შეძახილები ისმის მისგან. ის არ სარგებლობს წინასწარ განსაზღვრული ალტერნატიული, ჩვენ მიერ კონტროლირებადი გზით, არამედ ჯიქურ, „ნაციონალებთან“ ერთად მიდის დემონსტრანტების მორევში. კარგად ჩანს, როგორ აღიზიანებს უგულავა ისედაც უკიდურესად გატანჯულ მოქალაქეებს.

> **„ვინც თაქთაქიშვილს, ნასარიძესა და რატიანს დაარტყა, ერთი და იგივე პირია“**

— **ფირში ასევე ჩანან ლევან ბეჟაშვილი, კობა ხაბაზი, დავით დარჩიაშვილი, მამუკა ახვლედიანი, გიორგი ლევინაშვილი, დავით საყვარელიძე და ა.შ.**

— საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ მერთან ერთად „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაგეგმილი იყო ეს პროვოკაცია.

**ისინი არიან ადამიანები, ვინც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ მოქალაქეებს და პოლიციელებს.**

საგანგაშოა, როდესაც ასეთი ქაოსის შექმნას ცდილობს ის ძალა, რომელმაც 2011 წლის 26 მაისი და 2007 წლის 7 ნოემბერი მოაწყო. შენ მიერ რეპრესირებულთან რომ მიხვალ აგრესიულად, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ მოშუშებია შენგან მიყენებული იარები, რა რეაქცია ექნება?

— **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრების დაკითხვასაც აპირებთ?**

— ყველას დავკითხავთ, გამოძიება ორივე მხარის დანაშაულებით დაინტერესდება.

დაკავებულია, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს, ნასარიძესა და რატიანს დაარტყა. ერთი და იგივე პირია. ვგმობ ქალზე ძალადობას და არა აქვს აზრი თავის მართლებას, რომ თავს ვერ მოერია.

— **უკმაყოფილება გამოხატეს „ქართულმა ოცნებამ“ და სახალხო დამცველმაც, პოლიციის კორდონები არასაკმარისი იყოო.**

> **„ვანო მერაბიშვილი კოდუასა და ახალაიასაც კი ვერ აკონტროლებდა“**

— ბევრი რისკი გვქონდა გათვლილი, მაგრამ ვერ წარმოვიდგინეთ, რომ უგულავა და „ნაციონალები“ ასეთ პროვოკაციაზე წავიდოდნენ. ჩვენ იქ საკმარისზე მეტი პოლიციელი გვყავდა. უკვე დავაკავეთ ყველაზე აგრესიულად მოქმედი სამი პირი. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ დამნაშავეებს პოლიტიკური ნიშნით არ ვასხვავებთ. ვთქვით და ვასრულებთ, რომ პოლიცია იქნება აბსოლუტურად დეპოლიტიზებული. მანამდე კი პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი იყო. არ უხდებოდა კანონით დავალებული მოვალეობების შესრულება, არამედ ერთი კონკრეტული პირისა და პარტიის დაკვეთას ასრულებდა.

— **თქვენი წინამორბედი მერაბიშვილი ამბობს, რომ პოლიცია ახლა დემორალიზებულია, მინისტრი კი — დაბნეული და შეშინებული.**

— სასაცილოა, როდესაც ვანო მერაბიშვილი და მისი თანაგუნდელები საუბრობენ შიშზე, ნებას თუ მომცემდით, უკომენტაროდ დავტოვებდი მის უაზრო და სასაცილო გამონათქვამებს. მერაბიშვილის განცხადებები დღითი დღე არასერიოზული ხდება და არ მაქვს არავითარი სურვილი, პოლემიკაში შევიდე ასეთ უპრინციპო, მხდალ და მონობას შეგუებულ ადამიანთან. თუმცა მაინც ვწუხვარ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ ადამიანზე, რომელთაც არ გააჩნიათ შინაგანი თავისუფლება.

— **თუმცა, ბევრი ამბობდა, რომ ის კარგი მინისტრი, კარგი მენეჯერი იყო.**

— რაც გარედან ჩანდა, ფასადური იმიჯი იყო. რეალურად, შსს იყო ყალბი და ჩაკეტილი სტრუქტურა. ვანო „ხერხემალი“ იყოო? როგორ? როდესაც ორ უმნიშვნელოვანეს სამსახურს — სოდ-სა და კუდ-ს ვერ აკონტროლებდა. ვერ აკონტროლებდა კოდუასა და ახალაიას. ვითომ ოპერატიული მიზნებისთვის შექმნილი ჰქონდა ავადმყოფური, არაჯანსაღი კონკურენციის გარემო. ამან გამოიწვია პოლიციელების დემორალიზაცია. დაითრგუნა ბევრი ღირსეული ადამიანი. ვანო მერაბიშვილს ჰქონდა შანტაჟის პოლიტიკა და ამის შედეგი იყო ის, რომ სწორედ მისი მინისტრობის დროს დამკვიდრდა ე.წ. დამნაშავეთა დაკავების მანკიერი პრაქტიკა, რაც იარაღისა და ნარკოტიკების ჩადებით და უდანაშაულო მოქალაქეების დაპატიმრების სახით მკვიდრდებოდა. მის დროს ხდებოდა უამრავი ადამიანის, მათ შორის მერაბიშვილის თანაგუნდელების, პოლიტიკური ოპონენტებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი მაკომპრომეტირებელი ვიდეო და აუდიომასალების უკანონოდ მოპოვება უდანაშაულო ხალხის შემდგომი დაშანტაჟების მიზნით. ბიზნესის ტერორიც წინა ხელისუფლების ხელწერას მიეკუთვნება.




*— ჩვენ გავაკეთეთ გრაფიკული ვიდეორგოლი, სადაც გარკვევით ჩანს, რა უსაფრთხოების ზომები გვქონდა დაგეგმილი.*

1500 ამპულა ნარკოტიკი იხარჯებოდა ერთი თვის განმავლობაში შსს-ს სამედიცინო პუნქტიდან. რა საჭირო იყო ამდენი ნარკოტიკი შსს-ში? რაში შეიძლება გამოიყენო ნარკოტიკი, — მას მოიხმარ, რეალიზაციას აკეთებ, ან ვინმეს ჩაუდებ. დასკვნა საზოგადოებამ გააკეთოს. ვანოს ჰქონდა კარგად აწყობილი შანტაჟის პოლიტიკა.

— **გამორიცხავთ, რომ თქვენ არ გექნებათ ავტონომიები შსს-ს სტრუქტურებში?**

— გამოვრიცხავ. ისევე, როგორც გამოვრიცხავ კრიმინალური სიტუაციის გაუარესებას. წინა წლების სტატისტიკას შეადარონ. მხოლოდ ოქტომბერ-ნოემბერში იმატა კრიმინალმა. ახლა თითქმის გაუხსნელი საქმე არ გვრჩება. შედგენილი გვაქვს სამინისტროს სტრატეგიული განვითარების ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რაშიც უცხოელებიც გვეხმარებიან და ქაღალდზე კი არ დარჩება ეს გეგმები, ძალიან მალე რეალობად იქცევა. ქვეყანას ეყოლება შსს, რომელიც თითოეული მოქალაქის უფლებებს და უსაფრთხოებას დაიცავს და არ შეარჩევს მათ პოლიტიკური ნიშნებით. ამნისტიის შედეგად გათავისუფლდა 5000-ზე მეტი პატიმარი, მანამდე 2012 წლის მაისიდან პრეზიდენტმა 2000-ზე მეტი პატიმარი შეიწყალა. მათ შორის უმძიმეს დანაშაულებზე ბრალდებულებიც არიან, მაგრამ ჩვენ სრულად ვიღებთ პასუხისმგებლობას საზოგადოების უსაფრთხოებაზე. ათასობით გათავისუფლებული პატიმარი ჩვენთვის დიდ გამოწვევად არ ითვლება, რადგან პოლიციას შესწევს ძალა და უნარი, ნებისმიერ გამოწვევას სათანადოდ უპასუხოს.

— **აშშ-ის ელჩმა ნორლანდმა განაცხადა, რომ რაც მოხდა, ეს არ არის დემოკრატია.**

— ნამდვილად არ არის და სირცხვილია, როდესაც ასე არადემოკრატიულად და ძალადობრივად იქცევიან „ნაციონალური მოძრაობის“, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები.

აქვე კიდევ ერთხელ სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქვეყანაში არის აბსოლუტურად სტაბილური ვითარება და შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველთვის იქნება საკუთარი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების დამცველი!

*ეკა ლომიძე*

**ყოველივე ადამიანებს უნდა შევწიროთ, ოღონდ არა სხვა ადამიანი**

*სტანისლავ ეჟი ლეცი*



## მერაბ მეტრეველის კვირის ფიქრები...



### არა ძალადობას!

ვფიქრობ, ყველაფერი ადვილად გასაგებია: ადამიანებს აქვთ უფლება, გამოხატონ პროტესტი, მათ ასევე აქვთ უფლება, გამოხატონ ზიზღი ყოფილი ხელისუფლების მიმართ. მათ, ჩემი აზრით, აქვთ უფლება, ესროლონ ამ ადამიანებს კვერცხები და პომიდვრები, რადგან ვფიქრობ, რომ იმ საგნების სროლა, რაც ადამიანს არ აზიანებს, აზრის გამოხატვის თავისუფლებაა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უფლება, ეცემათ ადამიანები და იმედი მაქვს, ყველა, ვინც კანონი დაარღვია, დაისჯება, განსაკუთრებით ის ადამიანი, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს სახეში ხელი ჩაარტყა.

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს ჰქონდათ უფლება, თავისუფლად შესულიყვნენ ბიბლიოთეკაში და ამაში მათთვის ხელი არ უნდა შეეშალათ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ უფლება, მოქცეულიყვნენ პროვოკაციულად. ის, რაც გიგი უგულავამ გააკეთა, როდესაც ისედაც გაღიზიანებული ხალხი კიდევ უფრო გააღიზიანა თავისი გამომწვევი ქცევით, პროვოკატორობა იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იყო, დაეცვა მოქალაქეთა უსაფრთხოება და წესრიგი, რაც მან ვერ გააკეთა. ალტერნატიულ კორიდორებზე საუბარი სხვა თემაა. კი ბატონო, „ნაცები“ წავიდნენ პროვოკაციაზე, მაგრამ ეს რომ გამოუვიდათ, შსს-ს ბრალია. როდესაც უამრავი პოლიციელის თვალწინ ადამიანების ერთი ჯგუფი მეორე ჯგუფს თავ-პირს ამტვრევს, პოლიციას ტაშს ვერ დავუკრავთ. ამდენ ხალხს არ ველოდითო, ამბობს ირაკლი ღარიბაშვილი. ეს არ არის გამართლება. მით უარესი, თუ არ ელოდნენ. ღარიბაშვილი არ უნდა მორიდებოდა იქ სპეცრაზმის მიყვანას. ეს არ ნიშნავს, რომ სპეცრაზმს მიტინგი უნდა დაერბია, უბრალოდ, იგი პატრულზე უკეთ გააკეთებდა კორიდორს და აღკვეთდა ძალადობას. სპეცრაზმს მომიტინგეების გაღიზიანება რომ არ გამოეწვია, შეიძლებოდა თავად მინისტრი მისულიყო მათთან ერთად და უშუალოდ ეხელმძღვანელა ოპერაციისთვის.

დასასრულ, ვერ გავიგე, რა უნდოდა „ქართულ ოცნებას“, როდესაც პრეზიდენტს პარლამენტში მისვლის უფლება არ მისცა. ამით რა მოიგეს? ქვეყანაში ვითარება მხოლოდ გამწვავდა. თან, ჯერ თქვეს, მოვიდესო, მერე — აღარ მოვიდესო. არათანამიმდევრულობა პოლიტიკურ ძალას ყოველთვის უარყოფითად წარმოაჩენს. იმედი მაქვს, ძალადობის დაგმობაში მაინც იქნებიან თანამიმდევრულები და შსს-ს ყველაფრის ობიექტურად გამოძიებას და ყველა დამნაშავის დასჯას მოსთხოვენ.

### ახალი ხელისუფლების ყველაზე დიდი პრობლემა

ამ კვირაში გამართული პრესკონფერენციის შემდეგ კიდევ უფრო განმიმტკიცდა რწმენა, რომ ივანიშვილი რაც ნაკლებს ილაპარაკებს, მით უკეთესი იქნება მისთვისაც და ქვეყნისთვისაც. გეთანხმებით, შედარებაც არ შეიძლება — ადრე უფრო მეტ უცნაურ რაღაცას ამბობდა, მაგრამ ხანდახან მაინც გაეპარება ისეთი რამ, რასაც მერე მისი მომხრეები მისი გულწრფელობით ხსნიან. გულწრფელობა კარგია, ვიდრე ის საქმეს არ ვნებს. რატომ უნდა აჰყვეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტს ჭორაობაში და ისაუბროს იმაზე, ვინ ვის ცოლთან ერთად სად დაფრინავს და შემდეგ თქვას ასეთი ფრაზა: „ქართველები ზოგჯერ ცოლებს ღალატობენ“? მერე კი დაამატა, ირაკლი ალასანია არ მყავს მხედველობაშიო, მაგრამ რაღა დროს? ნათქვამ სიტყვას უკან ხომ ვერ დააბრუნებ? ვიცი, მისი მომხრეები მეტყვიან, კი მაგრამ, მანამდე ხომ თქვა გასაგებად, არავის პირად ცხოვრებაში არ ვერევიო. სწორედ ეს არის საქმე, ბატონებო, — კარგ რამეს რომ იტყვი, წერტილი უნდა დასვა, თორემ მერე ყველაფერს აფუჭებ, ისევე, როგორც ნეპოტიზმზე საუბრის დროს მოხდა: როდესაც ჟურნალისტმა ჰკითხა, ბევრი ინფორმაცია ვრცელდება იმის შესახებ, როგორ ნიშნავენ ან ანიშვნინებენ პრემიერის გუნდის წევრები ადამიანებს ნათესაობის და ნაცნობობის მიხედვითო, მეგონა, საკმაოდ მკაცრად უპასუხებდა, რომ ის აუცილებლად გამოიკვლევს ამ ფაქტებს და მკაცრ რეაგირებას მოახდენს, რომ ასეთ რამეებს მისი ხელისუფლება არ დაუშვებს. მან კი ისეთი განცხადება გააკეთა, თავისუფლად შემიძლია ამას ნეპოტიზმისთვის მწვანე შუქის ანთება ვუწოდო. შეიძლება, რაც მან ამ თემაზე თქვა, სიმართლეა, შეიძლება კონკურსის დროსაც ადამიანმა უპირატესობა ნათესავს ან ნაცნობს მიანიჭოს, შეიძლება მართალია, რომ ჩვენ ქართველები ვართ და საზოგადოება ორ დღეში ვერ გარდაიქმნება. შეიძლება ფრანგებიც ანიჭებენ უპირატესობას ნაცნობობით დანიშვნას (თუმცა სულ სხვაა ნათესაობით დანიშვნა), მაგრამ ამას პრემიერ-მინისტრი არ უნდა ამბობდეს — მისი ნათქვამი ხომ გზავნილია დაბალი რანგის მოხელეებისა თუ თანაგუნდელებისთვის და ის მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნდა იყოს. დღეს კი რა მივიღეთ:

**უკვე ლამის მთელი საქართველო ლაპარაკობს, რომ ახმეტაში ზვიადაურმა საკუთარი სანათესავო დაასაქმა. ჟურნალისტები წერენ, რომ აჭარაში სხვადასხვა თანამდებობაზე ნათესავები დანიშნა მურმან დუმბაძემ, მანანა კობახიძისა და მაია ფანჯიკიძის შვილებიც მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ, პრემიერი კი ქართულ ხასიათსა და ფრანგულ ტრადიციებზე მსჯელობს.**

ვიცი, აქაც მეტყვიან ივანიშვილის მხარდამჭერები: კი მაგრამ, მანამდე ხომ თქვა, რომ ის უპირატესობას კონკურსს ანიჭებსო. კი, თქვა, მაგრამ მერე რაც მოაყოლა, იმან ყველაფერი წყალში ჩაყარა. მას მოკლედ უნდა მოეჭრა, რომ ასეთ ფაქტებს არ დაუშვებს. სხვა ყველაფერი ჩემთვის მწვანე შუქის ანთებად აღიქმება, თორემ იმავე ლოგიკით ჩვენ შეიძლება კორუფციასთან ბრძოლასაც მივუდგეთ. ვერც კორუფციას დაამარცხებ ბოლომდე, საფრანგეთშიც არის კორუფცია, ამიტომ რა ვქნათ, უნდა გამოვიდეს პრემიერ-მინისტრი და თქვას: ქართველები ვართ, ქრთამის მიცემა ჩვენი მოგონილია, ამიტომ თავს ნუ მოვიტყუებთო?

აქ მხოლოდ განცხადებებზე არ ვსაუბრობთ, აქ არის კონკრეტული ფაქტებიც, ამიტომ ვფიქრობ, რომ ნეპოტიზმი უკვე იქცა ახალი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრობლემად.

# კაცი პროვოკაცია?!



*არცთუ დიდი ხნის წინ, როდესაც ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა დაიწყეს, მოსკოვმა საპასუხოდ ინტერფრონტები შექმნა. მათ ასეთი ტაქტიკა ჰქონდათ, — დამოუკიდებლობის მოთხოვნით მიმდინარე აქციებზე მიდიოდნენ და საბჭოთა სიმბოლიკებს აფრიალებდნენ. პროვოკატორები მიზანს ხშირად აღწევდნენ — ინტერფრონტელების პარალელური აქციები ხშირად ცემა-ტყეპით მთავრდებოდა, რის შემდეგაც პროვოკატორები აძლევდნენ გულის ამაჩუყებელ ინტერვიუებს იმის შესახებ, თუ როგორ თარეშობენ ბალტიისპირელი გავეშებული ნაციონალისტები.*

ეს შორეული ამბავი 8 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ განვითარებულმა მოვლენებმა გამახსენა. განსაკუთრებით ქალაქის მერისა და „ნაცაქტივისტების“ ქმედებამ, რომლებსაც მაინცდამაინც ხალხის მასის „გაჭრით“ სურდათ ბიბლიოთეკის შენობაში მოხვედრა. კარგი, ვთქვათ, არ იყო ალტერნატიული დერეფნები. ისიც გასაგებია, რომ აქციის მონაწილეებს თავი უნდა შეეკავებინათ, მაგრამ, ჩვენ შორის დარჩეს და, სულ ერთი თვის წინ ციხეებიდან გამოსული გამწარებული ხალხისთვის „ნაციონალთა“ ლიდერების დანახვისას (რომლებიც მათ ჯაშუშებსა და კრიმინალებს უწოდებენ), თავშეკავებისკენ მოწოდება იგივეა, ხარს რომ მოუწოდო, თავი შეიკავოს წითელი ნაჭრის დანახვაზე.



მელორ ვაჩნაძე და თენგიზ გუნავა

მოკლედ, 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან იყო ხარი და საჭირო იყო წითელი ნაჭერი. ოღონდ ამ ნაჭრის მოვალეობა ვინმეს ნებაყოფლობით (თუმცა, შესაძლოა, როლები უკვე განაწილებულიც იყო) უნდა შეესრულებინა. პირველი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი თენგიზ გუნავა. მან შეძლო შეკრებილების გარღვევა და მიაღწია ბიბლიოთეკამდე. თვითმხილველები ამბობენ, რომ გუნავას სამართალდამცავები მოუწოდებდნენ, ბიბლიოთეკაში შესულიყო, თუმცა ის დემონსტრაციულად დადგა შესასვლელთან, რასაც შეხლა-შემოხლის ახალი ტალღა მოჰყვა.

ამ დეტალზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ დაახლოებით ათ წუთში მივიდა აქციაზე „ნაციონალების“ ჯგუფი გიგი უგულავას მე(რ)თაურობით. ამ ათი წუთის განმავლობაში, ალბათ, შეუძლებელია, არ სცოდნოდათ, რა შედეგი მოჰყვა აქციაზე გუნავას სადაზვერვო მანევრებს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ვთქვათ, მართლაც არ იყო ალტერნატიული დერეფნები (არადა, თვითმხილველების თქმით, იყო). იმის განსაზღვრას რაღა უნდოდა, რა მოჰყვებოდა აქციაზე გიგისა და მისი რაზმის გამოჩენას. მაგალითად, ვანო მერაბიშვილმა ეტყობა განსაზღვრა და არც გამოჩენილა.

ისიც დავუშვათ, რომ უგულავასთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ბიბლიოთეკაში მოხვედრა. მაგალითად, ამ სტატიის ავტორი მის ადგილზე ასე მოიქცეოდა, — მიმდებარე ტერიტორიაზე მისვლისას დაელოდებოდა, სანამ სამართალდამცველები მისი უსაფრთხოების ზომებს მიიღებდნენ და შემდეგ ნელ-ნელა შეეცდებოდა ბიბლიოთეკაში შეღწევას.

მაგრამ ვიდეომასალაზე ვხედავთ, რომ უგულავა ხელების ქნევით, სწრაფი ნაბიჯებით, შეძახილებით: „აბა, ჰე, დადგით შოუ“, „აბა, წავიდა, მიდით“, „დავაი, დავაი, ჰე“, — პირდაპირ იმ ადგილას შევარდა, სადაც ხალხმრავლობა იყო. შედეგი ცნობილია. სხვათა შორის, ეს საინტერესოდ შეაფასა დავით უსუფაშვილმა: „პროვოკაციას აწყობდა გიგი უგულავა, გაილახა ჩიორა თაქთაქიშვილი“.

თავად გიგი უგულავა ასეთ განმარტებას აკეთებს: „ხელით მოწოდება ეკუთვნოდათ ჩვენს თანმხლებ დეპუტატებს, რათა ერთად გვევლო, იმისათვის, რომ ნაკლები ყოფილიყო ინდივიდუალურად მათზე თავდასხმის საფრთხე. რაც შეეხება სიტყვა „შოუს“, მე ის მას შემდეგ წარმოვთქვი, რაც იქვე მდგომ პოლიციელებს რამდენჯერმე მივმართე თხოვნით, დაემყარებინათ წესრიგი და ემოქმედათ კანონის შესაბამისად, რის პასუხადაც მხოლოდ მათი უმოქმედობა მივიღე. სწორედ ამას მოჰყვა ჩემი აღშფოთება, რაც შემდეგი ფრაზით გამოვხატე: „როგორც ჩანს, თქვენ შოუ გინდათ“.

შესაძლოა, მართალიც არის თბილისის მერი, მაგრამ ისეთი სწრაფი ტემპით მოძრაობდა, რომ პოლიცია კი არა, დაცვა ვერ ასწრებდა ნორმალურად რეაგირებას, წინ მიმავალი ოპერატორიც კი გადათელა შემთხვევით. თუმცა მთავარი სხვა რამ არის — როდესაც საჯარო მოხელე ხარ, მით უმეტეს, თბილისის მერი, გაღიზიანებული ხალხის თავყრილობას უნდა მოერიდო, რათა არც შენ გაეხვიო შარში და არც სამართალდამცველებს გაუჩინო თავსატეხი. ამას სტატუსი გავალდებულებს. უამრავი აქცია გამართულა მერიის წინ და უგულავა მომიტინგეებთან გამოსული რატომღაც არავის უნახავს.

ამიტომაც ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვიღაცას ქართულ და უცხოურ პრესაში სჭირდებოდა სათაურები: „თბილისის მერს სასტიკად გაუსწორდნენ“, „გავეშებული ბრბო ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავიდა“ და ა.შ.

ასეთ სათაურებს პოლიტიკაში, როგორც წესი, კაცი პროვოკატორი, ანუ კაცი პროვოკაცია უზრუნველყოფს ხოლმე. არ ვამტკიცებთ, რომ მაინცდამაინც ამ კატეგორიას მიეკუთვნება გიგი უგულავა, მაგრამ ამ ტერმინის მნიშვნელობა მან კარგად იცის ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც „კმარელებთან“ ერთად დაახლოებით ისე მოქმედებდა, როგორც 8 თებერვალს.

***გიორგი კვიტაშვილი***

# ირმა ნადირაშვილი: „მოვითხოვთ დაიჭირონ ნანა კაკაბაძე“

*„მოვითხოვთ, დაიჭირონ ნანა კაკაბაძე, როგორც ბიბლიოთეკასთან გამართული აქციის ორგანიზატორი. მადლობა მინდა გადავუხადო იმ ჟურნალისტებს, რომლებიც გადამეფარნენ და გამომიყვანეს იმ ცემა-ტყეპიდან. ეს იყო შს მინისტრისა და პრემიერის ორგანიზებული ღონისძიება იმ ე.წ. პოლიტპატიმრების დახმარებით, რომლებიც სპეციალურად გამოუშვეს ციხეებიდან ჩვენთან დასაპირისპირებლად. ძალიან სამწუხაროა, რომ პრემიერ-მინისტრმა პირველი ნაბიჯი გადადგა სამოქალაქო დაპირისპირებისკენ“, — აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი* ***ირმა ნადირაშვილი:***

— იმან, რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა, 1991-1992 წლები გამახსენა. მაშინაც ასე დაიწყო შიდადაპირისპირება და მაშინაც ყველაფერს ნანა კაკაბაძე, ჯაბა იოსელიანის მარჯვენა ხელი ორგანიზატორობდა.

კაკაბაძე იყო 1992 წლის ამნისტიის სულისჩამდგმელი, როდესაც უამრავი დამნაშავე გარეთ გამოუშვეს და შემდეგ მათ ბაზაზე შექმნეს „მხედრიონი“.

ნანა კაკაბაძე, რომელიც დე ფაქტო შს მინისტრია, დღესაც იმავეს აკეთებს. ჩვენი დარბევის მერე უფრო მხნედ გამოიყურებოდა, ვიდრე ფერდაკარგული ირაკლი ღარიბაშვილი. ღარიბაშვილმა უტიფრად იცრუა, როდესაც რაღაც დერეფნებზე ილაპარაკა.

— **თუმცა ჩვენ ტელევიზიით ვნახეთ, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში სათადარიგო შესასვლელით შევიდა გიორგი ბარამიძე.**

— ჩვენ კოლმეურნეობის მოედნიდან ვცადეთ ასვლა და ვერ მივაღწიეთ იმ შესასვლელამდე. ფურცელაძის ქუჩა, რომელსაც ახლა ახსენებენ, ჩაკეტილი ჰქონდათ და ამიტომაც ვერ შევედით. ზემოდან უამრავი ვიდეოფირია გადაღებული, სადაც კარგად ჩანს, რომ იქ არანაირი სათადარიგო დერეფნები არ ყოფილა.



პრეზიდენტი თანახმა იყო, უკანა კარიდან შესულიყო ბიბლიოთეკაში, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენს თანაგუნდელებს სცემეს, იქ მისვლას აზრი დაეკარგა. ჩვენ უსაფრთხოების გარანტია არ გვქონდა.

სათადარიგო შესასვლელიც მას შემდეგ შემოგვთავაზეს, რაც სისხლიანი გარჩევა მოგვიწყვეს. მას შემდეგ, რაც ჩიორა თაქთაქიშვილს სისხლი სდიოდა, სერგო რატიანს ათობით ადამიანი სცემდა და გიგა ნასარიძესაც გვარიანად მოხვდა, იქ პრეზიდენტი სიტყვით როგორღა გამოვიდოდა.

8 თებერვალს პრეზიდენტი ქუთაისში აპირებდა ჩასვლას, მაგრამ იქაც მიუსიეს ე.წ. პოლიტპატიმრები. საზოგადოებაში დაპირისპირება რომ არ მომხდარიყო, პრეზიდენტი ქუთაისში აღარ ჩავიდა. ამ ყველაფრის გამო პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრემიერ-მინისტრსა და საპარლამენტო უმრავლესობას. პრეზიდენტისთვის საშუალება რომ მიეცათ, პარლამენტის დარბაზში გამოსულიყო და თავისი კონსტიტუციური მოვალეობა შეესრულებინა, არაფერი მოხდებოდა. პარლამენტი ხომ იმისთვის არსებობს, რომ პროცესების დუღილი ქუჩაში არ გადავიდეს და დაპირისპირებამ არ მიიღოს ასეთი სახე. საპარლამენტო უმრავლესობას რომ არ ეშინოდეს ბიძინა ივანიშვილისთვის ელემენტარული წინააღმდეგობის გაწევა, ეს არ მოხდებოდა. სირცხვილის დერეფანს მოაწყობდნენ თუ არა, პრეზიდენტი მაინც მოვიდოდა პარლამენტში. ჩვენ გავივლიდით იმ დერეფანში და შევიდოდით პარლამენტში. ამიტომაც მომხდარზე პასუხისმგებლობას ვაკისრებ ბიძინა ივანიშვილს, შს მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელმაც ვერ შეძლო, თავის სიმაღლეზე მდგარიყო.

— **რატომ უნდა აძლევდეს ხელს პრემიერს ან შს მინისტრს ხელოვნურად შექმნან დაპირისპირება ქვეყანაში, როდესაც თვითონ არიან პასუხისმგებელი წესრიგზე?**

— მათ სამოქალაქო დაპირისპირება სურთ. ეს უნდოდათ არჩევნების დღესაც, მაგრამ პრეზიდენტის წყალობით მიზანს ვერ მიაღწიეს.

— **რა მიზნის მიღწევა სურს ხელისუფლებას სამოქალაქო დაპირისპირებით?**



— ამ კითხვას ბიძინა ივანიშვილმა უნდა უპასუხოს. პოლიციას რომ ჰქონოდა სურვილი, ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეხვედრა მშვიდობიანად გამართულიყო, რა უშლიდა ხელს ვითარების დარეგულირებაში? იქ იყო სულ 400 კაცი და პოლიცია ხომ გაცილებით მეტია ამ ქვეყანაში. ჩვენი დარბევის მერე რომ მოვიდა ღარიბაშვილი, მანამდე რატომ არ მიიღო ქმედითი ზომები? ხომ ხედავდა, რომ დილიდანვე დაძაბულობა იყო, — ბიბლიოთეკის კარის მინები ჩაამსხვრიეს აქციის მონაწილეებმა, მიიტანეს კვერცხები, ბოთლები და სხვადასხვა საგანი, რომ საპარლამენტო უმცირესობას გასწორებოდნენ. პოლიციას წესრიგი რომ დაეცვა, აღარ ვიტყოდი, ბიძინა ივანიშვილს არეულობა უნდა-მეთქი, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების, გეგმების, სურვილების ახსნა და გათვლა შეუძლებელია.

**„მას შემდეგ, რაც ჩიორა თაქთაქიშვილს სისხლი სდიოდა, სერგო რატიანს ათობით ადამიანი სცემდა და გიგა ნასარიძესაც გვარიანად მოხვდა, იქ პრეზიდენტი სიტყვით როგორღა გამოვიდოდა“**

— **ხელისუფლება და უფლებადამცველები აცხადებენ, რომ აქციის მონაწილეების პროვოცირება გიგი უგულავამ და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მოახდინეს გამაღიზიანებელი სიტყვებითა და ქმედებით.**

— ვისაც თვალში მოხვდა გიგი უგულავას ხელების მოძრაობა, იმას რატომ არ კითხულობს, გაატარებდნენ მას მშვიდად? ჩვენზე ადრე იქ სამეგრელოს გუბერნატორი გუნავა მივიდა. მას არ დაუძახია, მიდით, შოუ მოაწყვეთო, მაგრამ არ გაატარეს და მასაც ფიზიკურად გაუსწორდნენ. იმ ადამიანის ხელების მოძრაობით რატომ არ დაინტერესდნენ, ვინც ჩიორა თაქთაქიშვილს სისხლი ადინა? ის და კიდევ რამდენიმე პირი უკვე აიყვანეს, მაგრამ არ აუყვანიათ აქციის მთავარი ორგანიზატორი — ნანა კაკაბაძე! ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს დაკავებები სპექტაკლის (მსს-ს მიერ



ორგანიზებული დარბევის) გაგრძელებაა. დაველოდები და თუ დაკავებულებს ადმინისტრაციული ჯარიმით გამოუშვებენ, მელორ ვაჩნაძესა და იმას, ვინც ჩიორას სცემა, მაშინ მეტად განმიმტკიცდება აზრი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დადგმული. ბიძინა ივანიშვილს იმდენი ფული აქვს, საქართველოს ყველა მოქალაქის ცემისა და ამისთვის ჯარიმის გადახდას რომ ეყოფა.

ბიბლიოთეკის შემდეგ ინციდენტი გაგრძელდა პრეზიდენტის რეზიდენციასთან. იქაც მოხდა შეხლა-შემოხლა და ერთი კაცი ზურაბ ჯაფარიძეზე გაიძახოდა, დანა დაარტყითო. შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა“ ვინმეს არ მოსწონდეს, მაგრამ მოსწონთ, რომ ქვეყანაში ისევ მხედრიონიზაცია და სამოქალაქო ომი დაიწყოს?

— **მინდა გკითხოთ თქვენს დაზეც. რის გამო დაიბარეს დაკითხვაზე?**

— დაიბარეს საქმეზე, რომელიც სოციალური მუშაკების საკითხს უკავშირდება. ჩემთვის გასაკვირი ის იყო, რომ ნათია პარლამენტში ჩემი გამოსვლიდან მეორე დღესვე დაიბარეს დაკითხვაზე. ეს იყო სპეციალურად გაკეთებული და ასე უპასუხეს ხელისუფლების წინააღმდეგ ჩემს საპარლამენტო გამოსვლას.

— **თქვენი გამოსვლა ხელისუფლებაში არსებულ ნეპოტიზმს ეხებოდა, თუმცა საპასუხო გამოსვლა ჰქონდა ეკა ბესელიას, რომელმაც დაასახელა არაერთი მაგალითი იმისა, რომ ხელისუფლების არაერთი წარმომადგენლის ოჯახის წევრი ისევ განაგრძობს საჯარო სამსახურში მუშაობას.**

— როდესაც ჩემს გამოსვლას საპასუხო გამოსვლები მოჰყვა, მივხვდი, რომ ხელისუფლებისთვის მტკივნეულ თემას შევეხე. მაშინ ახსენეს ჩემი დაც, რომელიც ქვემო ქართლის სოციალურ სააგენტოში მუშაობს, მაგრამ ჩემმა დამ იქ მუშაობა დაიწყო 2005 წელს, როდესაც მე არათუ პრეზიდენტთან არ ვმუშაობდი, არამედ არ ვმუშაობდი არც „რუსთავი 2“-ში. ჩემს დას კონკურსის გავლის შემდგომ ყველაზე მაღალი ქულები ჰქონდა და ეს დოკუმენტაცია, იმედია, შენახული იქნება. არ ვამბობ, რომ ნეპოტიზმის ფაქტები არ იყო მაშინ, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა ქვეყანას. ეს არასდროს მომწონდა, მაგრამ „ქართული ოცნებისგან“, რომელიც წინასაარჩევნოდ ნეპოტიზმთან ბრძოლის დროშით გამოდიოდა, ამის საწინააღმდეგო შედეგი მივიღეთ. მე დავასახელე „ოცნების“ არაერთი წევრის გვარი, რომელთა ოჯახის წევრები მინისტრის მოადგილეებად დაინიშნენ. კვლავ ვაპირებ ნეპოტიზმის გამოაშკარავებას იმის მიუხედავად, ჩემი ოჯახის წევრებს დაიბარებენ თუ არა პროკურატურაში.

**„შეიძლება „ნაციონალური მოძრაობა“ ვინმეს არ მოსწონდეს, მაგრამ მოსწონთ, რომ ქვეყანაში ისევ მხედრიონიზაცია და სამოქალაქო ომი დაიწყოს?“**

*იზო რიკაძე*




## „ნაციონალური კარნავალი“ ბუკითა და ნაღარით

საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რამდენად შორს დგას საქართველოს საზოგადოების ერთი ნაწილი საჯაროობისგანაც და ბიბლიოთეკისგანაც. გუდიაშვილის ქუჩაზე მოწყობილი „ნაციონალური კარნავალი“ მიზნად ისახავდა მეოცნებეთა პროვოცირებას, რათა მომხდარიყო მათი ნათლობა მიტინგის დარბევის და თავისუფალი აზრის დევნის კუთხით. მოვლენათა ამ სცენარით განვითარების შემთხვევაში „ნაციონალები“ თავისთვის პოლიტიკური ტერორის მსხვერპლთა მანტიის მორგებას იმედოვნებდნენ, მეოცნებეთათვის კი დასავლეთის რისხვის მორიგი ტალღის აგორებას. სწორედ ამიტომ არ ისარგებლეს „ნაციონალებმა“ პატრულის მიერ სპეციალურად დაცული ორი კორიდორით, რომლებიც უშუალოდ საჯარო ბიბლიოთეკის ორ ალტერნატიულ შესასვლელთან მიდიოდა და პირდაპირ მათ მიერვე წლების განმავლობაში დატერორებული, ნაწამები და დასახიჩრებული ხალხის შუაგულში შეაჭრეს. რადგან „ნაციონალური“ ხელწერისგან ინოვაციებს არავინ ელოდა, საკითხი ისმის ასე: შეეძლო თუ არა ახალ ხელისუფლებას ამ პროვოკაციის პრევენცია? რა თქმა უნდა, შეეძლო: მაგალითად, შინაგან საქმეთა მინისტრი დილითვე საჯაროდ რომ გამოსულიყო და პრეზიდენტისთვის შეეთავაზებინა: შენ არაფრის შეგეშინდეს, მიხეილ, ბიჭო, მე თავად მოვალ ექვსის ნახევარზე შენს რეზიდენციაში და ხელჩაკიდებულს წამოგიყვან საჯარო ბიბლიოთეკამდე, გზაში „გალუსტუკის“ ჭამის სურვილი რომ არ მოგეძალოსო. ეს ნახევრად ხუმრობით, მაგრამ ასეთი განცხადების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ მოქმედი პრეზიდენტი ამ შეთავაზებას არ დასთანხმდებოდა, „ნაციონალური კარნავალიც“ აზრს დაკარგავდა და სააკაშვილიც სამუდამოდ გადაიქცეოდა იმ უსუსურ ბიჭად, რომელსაც ფსიქიკური და მორალური სიმშვიდის შესანარჩუნებლად ირაკლი ღარიბაშვილის პატრონაჟი მუდმივად დასჭირდებოდა. რამდენად სწყდება გული მას ამაზე, ძნელი სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ

ღარიბაშვილმა სააკაშვილის პირადი მეურვის საპატიო სტატუსი ხელიდან გაუშვა.

ესეც ნახევრად ხუმრობით, რეალურად კი ახალ ხელისუფლებას მართებს გააცნობიეროს ის, რომ „ნაციონალური ტომი“ მათი ბელადითურთ უკვე წარსულია, თავად კი სერიოზულად მართებთ დაფიქრდნენ საკუთარ იმიჯზე დასავლეთის თვალში.

## ახალი გეოპოლიტიკური ფარვატერი

მაშინ, როცა ჩვენ შეიძლება მოწმენი გავხდეთ რუსეთ-ამერიკის უპრეცედენტო თანამშრომლობისა სირიაში, მოკლე ხედვის მქონე ქართველი პოლიტიკოსები საქართველოს კვლავ ამ ორ სახელმწიფოს შორის დაპირისპირების პოლიგონად განიხილავენ. გავრცელებული ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მოისურვებს სირიაში გაეროს სამშვიდობოების ეგიდით თავისი ჯარების, უფრო ზუსტად, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ჯარების შეყვანას, ამერიკა მხარს დაუჭერს. როგორც ინფორმაციის წყარო იტყობინება, ამერიკის პოზიცია ეფუძნება იმას, რომ სირიაში რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს სისხლის ღვრა, ამიტომ ოღონდ კი ვინმემ შეიყვანოს იქ წესრიგის აღდგენის მიზნით ჯარები, ეს ისევ ამერიკას ნუ დააწვება ტვირთად და თუნდაც რუსული ჯარი იყოს ზემოხსენებული ეგიდით. მართლაც რომ ახალ გეოპოლიტიკურ ეპოქაში შევდივართ, რომელიც ამერიკული პოლიტიკური ელიტის პრაგმატიზმს ეფუძნება. ახლა უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ასეთი გეოპოლიტიკური პრაგმატიზმის შედეგია საქართველოში 1-ლი ოქტომბრის შედეგების აღიარება და მხარდაჭერა ამერიკისა და ზოგადად, დასავლეთის მხრიდან. და მინდა გითხრათ, რომ ასეთი მიდგომა საქართველოს აძლევს საშუალებას, მრავალმხრივ მომგებიანი საგარეო მიდგომები შეიმუშაოს და განახორციელოს.

ამ გადასახედიდან განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაგეგმილი ვიზიტი თურქეთში, რომელიც სულ უფრო ხშირად ამადლის თავს ევროპას და ახსენებს, რომ თურქეთისთვის ევროკავშირი სულაც არ არის პანაცეა, მაშინ როცა არსებობს არანაკლებ მიმზიდველი მიმართულებები, მაგალითად, შანხაის ორგანიზაციის სახით. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ანალიტიკოსი არ გამორიცხავს, რომ თუ თურქეთი ასცდება ევროპულ პერსპექტივას, საქართველოს მიმართ მისი დამოკიდებულება არა საერთო-ევროპული სტრატეგიის, არამედ უშუალოდ თურქეთის პოლიტიკური ხედვის ინტერესების გამოვლინება იქნება.

მსხვილი რეგიონული ცენტრების მადის ზრდა და მათ შორის გავლენის სფეროებისთვის მიმდინარე კონკურენცია საქართველოსთვის პრაგმატული პოლიტიკის წარმოების შანსს ერთიორად ზრდის.

# „26 მაისის აქციის მონაწილეების დარბევაში ციხის ოფიცრები მონაწილეობდნენ“

*განვაგრძობთ „კავკასიის“ ეთერში მომხდარი ინციდენტის გამო გასამართლებულების, ლევან ჩაჩუასა და რატი მაისურაძის მონათხრობის გამოქვეყნებას. შეგახსენებთ, რომ ისინი პარლამენტმა პოლიტპატიმრებად აღიარა და 2013 წლის 13 იანვარს გაათავისუფლეს.*

ლევან ჩაჩუა: — არსებობს იდეა, რომ პატიმრის წამების ამსახველი ეპიზოდები შეიკრიბოს და წიგნად გამოიცეს, თუმცა ამ ყველაფრის ენით გადმოცემა ძნელია. მე იმდენი ადამიანის გაუბედურებას შევესწარი, ყველაფრის გადმოცემა გამიჭირდება. ციხეში შესვლა დაახლოებით დანტე ალიგიერის აღწერილ ჯოჯოხეთში შესვლას ჰგავს, სადაც ზღურბლთან უნდა დატოვო ყველაფერი, ადამიანური სურვილები, გრძნობები ან იმედი. გლდანის ციხეში რომ მიგვიყვანეს, პირველი შოკი მაშინ განვიცადე — სარდაფიდან განწირული კივილი, ყმუილი და კვნესა ამოდიოდა. ამ ყველაფერმა ფსიქოლოგიურად მძიმედ იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი დაკავების იზოლატორშიც საშინელი სიბინძურე და სიბნელე იყო, ტუალეტიდან წყალი მოედინებოდა, რასაც დაკავებულები სასმელად და დასაბანად იყენებდნენ...

**— რას ამბობთ, ტუალეტის წყალს სვამდით?**

— მე გარედან შემომდიოდა საკვებიც და წყალიც, მაგრამ უპატრონოები იძულებული იყვნენ, ეს წყალი დაელიათ. სხვათა შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლა პროკურორთან ყოფნის დროსაც განვიცადე, როდესაც ჩემს ადვოკატს, ნათია სირაძეს პროკურორმა აგინა. ადვოკატი ისეთ მდგომარეობამდე მივიდა, რომ იტირა და იქით გამიხდა დასაწყნარებელი. ჩვენ, მართლმადიდებლობის დამცველი 8 კაცი, ისე წაგვიყვანეს გლდანის მე-8 ციხეში, თითქოს ტერორისტები ვიყავით, წინ და უკან ავტომობილები ჩაგვიყენეს, შეიარაღებული ხალხი მიგვაცილებდა.

**„იყო შემთხვევა, როცა პატიმარს გაუპატიურების შიშით პირში სამართებელი დაუმალავს. მან სასტიკი წამებისას ვენების გადასერვა სცადა. ოლეგ ფაცაციამ სამართებელი წაართვა და უთხრა, თუ ასეთი მაგარი ხარ, ყელი გამოიღადრეო და ისევ მიაწოდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მისი გადარჩენა ქირურგიული ჩარევით მოხერხდა**



სამედიცინო შემოწმება გავიარეთ თუ არა, ჩაგვიყვანეს ფუქსებში, სადაც კამერების კარებთან ძაღლებივით მიჯაჭვული, ჩამუხლული, თავზე რკინის მუზარადჩამოცმული ადამიანები ვნახე. მითხრეს, ჭკუით თუ არ იქნები, შენც ეს დღე გელისო. ეს ხალხი მუზარადების მოხდას ითხოვდა, რადგან გაუსაძლისი სიცხე იყო, ზოგიერთი ასეთ მდგომარეობაში 15-20 დღეც კი ჰყავდათ. შემიყვანეს კარანტინში — ერთ პატარა ოთახში, სადაც 35 კაცი გაჭირვებით იდგა, არადა, პატიმრებს ყოველდღე ამატებდნენ. ფაქტობრივად, კოჭებამდე წყალში ვიდექით. კარანტინს ყოველ პარასკევს შლიან. მე ერთი კვირის გატარება მომიხდა იქ, ზოგს ერთ თვესაც ამყოფებდნენ. მაგალითად, პილოტების საქმეზე დაჭერილმა რუსლან გალოგრემ რამდენჯერმე გაიარა კარანტინის დაშლა, მაგრამ მაინც არ გაიყვანეს. არ გვქონდა არც ტუალეტის ქაღალდი და არც საპონი. აუტანელ ჭუჭყში გვიხდებოდა ყოფნა. რამდენიმე პატიმარი ერთი ჯამიდან ბინძური თითებით შეექცეოდა საზიზღარ სალაფავს. მაშინ გავიფიქრე, შეიძლება ადამიანმა შიმშილი ერთი დღე მოითმინო, ორი, სამი, მაგრამ მეოცე დღეს მაინც ხომ შეჭამ-მეთქი? კარანტინის დაშლის დროს სათითაოდ იძახებდნენ პატიმრებს და სასტიკად სცემდნენ. ზოგს თანამშრომლობაზე ხელის მოწერას სთხოვდნენ. ერთს ჰკითხეს, რატომ ზიხარო, იმან, წამალი ჩამიდესო და სასტიკად გაუსწორდნენ. იმ უბედურმა გონება დაკარგა. ცივი წყალი გადაასხეს, მოასულიერეს და ისევ სცემეს. ასე რამდენიმეჯერ. ისინი, რომლებსაც ვერ ითანხმებდნენ თანამშრომლობაზე, მეორე სართულზე აჰყავდათ, იქ, სადაც უსაფრთხოების სამსახური იყო, და აიძულებდნენ, თანასაკნელების დასმენაზე ხელი მოეწერათ. უარის შემთხვევაში თითებზე პლასტმასის მილებს ურტყამდნენ, შემდეგ ისევ კარანტინში ჩაჰყავდათ. მე ვნახე 19 წლის ბიჭი, რომელიც თანამშრომლობაზე უარს აცხადებდა და ამისთვის სასტიკად ისჯებოდა. მამათმავლებში ჩაყვანითა და გაუპატიურებითაც ემუქრებოდნენ.

**„მთელი სისტემა იყო აწყობილი, რომელიც პატიმრის ე. წ. გაქათმებას ემსახურებოდა“**

**— პატიმრებს ვინ აუპატიურებდა?**

— მე-8 დაწესებულებაში ჰყავდათ ერთი პატიმარი, მეტსახელად „გოჭი“, რომელსაც ადმინისტრაცია პატიმრების გაუპატიურებას ავალებდა. ის პრივილეგირებული იყო, სამაგიეროდ, ბინძური საქმეებისთვის იყენებდნენ. ციხეში ე.წ. მაყურებლებიდან ისევე როგორც თანამშრომლებიდან ბევრი იყო არატრადიციული ორიენტაციის. სურდათ ფიზიკურად გამორჩეული და კარგი აღნაგობის ბიჭები თავისნაირი გაეხადათ. მთელი სისტემა იყო აწყობილი, რომელიც პატიმრის ე. წ. გაქათმებას ემსახურებოდა.

იყო შემთხვევა, როცა პატიმარს გაუპატიურების შიშით პირში სამართებელი დაუმალავს. სასტიკი წამებისას ვენების გადასერა სცადა. უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა ოლეგ ფაცაციამ სამართებელი წაართვა და უთხრა, თუ ასეთი მაგარი ხარ, ყელი გამოიღადრეო და ისევ მიაწოდა. პატიმარმა მართლაც გამოისვა ყელში სამართებელი. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მისი გადარჩენა ქირურგიული ჩარევით მოხერხდა.

საკანში რომ გადამიყვანეს, ოფიცერი ვახო გუგუციძე 32 საკანს აკონტროლებდა. ციხეს ე. წ. „კლუჩნიკიც“ ჰყავდა, რომელიც სადისტურად ექცეოდა პატიმრებს, მაგრამ გუგუციძე მაინც „შეუდარებელი“ იყო. თურმე თავის დროზე პოლიციელი მამა მოუკლეს და გაბოროტებული იყო. ხშირად ამბობდა, ყველა პატიმარში მამაჩემის მკვლელს ვხედავო. თუკი რომელიმე საკანში სამტრედიელი აღმოჩნდებოდა, სასტიკად უსწორდებოდა, რადგან მამამისი სამტრედიის სოფელ დიდ ჯიხაიშში მოუკლავთ. ერთხელ თანასაკნელს კბილი ასტკივდა და ექიმთან ჩაყვანა მოითხოვა. ამ ოფიცერმა ჩაიყვანა და ერთის ნაცვლად ოთხი ამოაძრეს გამაყუჩებლის გარეშე, თან „დაამშვიდა“, სადაც ოდნავ კარიესი გქონდა, ის კბილები ამოგთხარეს და ექიმი აღარ დაგჭირდებაო. ვახო გუგუციძე პატიმარს ბანაობისთვის მხოლოდ 4 წუთს აძლევდა, თანაც აუცილებლად ცივ წყალში, ზამთარშიც კი. წყლის დამარეგულირებელი ოფიცრის ოთახში იყო და უნდოდა, ცხელს მოუშვებდა, უნდოდა, ცივს. მახსოვს, მთელმა კორპუსმა უჩივლა ამ ოფიცერს, მაგრამ ის დღესაც დაუსჯელია(!).

26 მაისის აქციის წინადღე იყო, როდესაც „აბსლუგა“, ციხის მომსახურე პატიმრები ჩაიყვანეს სამრეცხაოში, არმატურა დააჭრევინეს და ზედ სკოჩები გადაახვევინეს. დაზუსტებით ვიცი, რომ 26 მაისის აქციის დარბევაში ციხის ოფიცრები მონაწილეობდნენ. ისინი სწორედ ამ არმატურებით უსწორდებოდნენ მომიტინგეებს.

*ეკა ასათიანი*


# ეს ყველა მამაკაცმა უნდა იცოდეს!

***პრეპარატ „ვიტაპროსტის“ გამოყენება ქრონიკული პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დროს. ერთი პრეპარატი — კომპლექსური მოქმედება.***

პროსტატიტი და პროსტატის ადენომა ყველასათვის ნაცნობი დაავადებებია, რაც არის განპირობებული მათი საყოველთაო გავრცელებით მამაკაცებში.

ქრონიკული პროსტატიტის დიაგნოსტირების და მკურნალობის პრობლემა, როგორც ბაქტერიულის, ასევე არაბაქტერიულის, დღემდე ბოლომდე არ არის გადაჭრილი. ამის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ ამ დაავადების გაჩენას და რეციდივირებას — ხშირ გამწვავებას გარდა ინფექციური ფაქტორებისა, მნიშვნელოვნად ხელს უწყობს მთელი რიგი დარღვევები: ნეიროვეგეტატიური, სისხლისმიმოქცევის, იმუნიტეტის, ჰორმონების, ქიმიური და ბიოქიმიური.

ქრონიკულ პროსტატიტს უკავია პირველი ადგილი მამაკაცის შარდსასქესო ორგანოთა დაავადებებს შორის. პრაქტიკულად ყოველ მეორე მამაკაცში მას თან სდევს ისეთი გართულებები, როგორიც არის: მოშარდვის აქტის დარღვევები (გახშირებული შარდვა მცირე ულუფებით, შარდის ნაკადის შემცირება, შარდის ბუშტის არასრულად დაცლის შეგრძნება), პოტენციის დაქვეითება (არასაკმარისი და არამდგრადი ერექცია, მეორადად განვითარებული ნაადრევი ეაკულაცია), ვეზიკულიტი (სათესლე ბუშტუკების ანთება), ეპიდიდიმიტი (სათესლე ჯირკვლების დანამატების ანთება), განაყოფიერების უნარის შემცირება სპერმის ხარისხის გაუარესების შედეგად (ვეზიკულიტის და ეპიდიდიმიტის გამო).

სტატისტიკურად ითვლება, რომ ქრონიკული პროსტატიტის არაბაქტერიული ფორმა გვხვდება 8-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ბაქტერიული. როგორც უკვე ვთქვით, არაბაქტერიული პროსტატიტი გაიგივებული არის მცირე მენჯის ქრონიკული ტკივილის სინდრომთან. ხოლო ტკივილების ლოკალიზაცია ქრონიკული პროსტატიტის დროს ძალზე მრავალფეროვანია: შორისი 46%, სათესლე პარკი, სათესლე ჯირკვლები 39%, წელი 14%.

პროსტატიტის მკურნალობის დროს, ისევე როგორც სხვა ქრონიკული დაავადების დროს, უნდა იქნას დაცული თანმიმდევრობის და კომპლექსური მიდგომის პრინციპები. პირველ რიგში აუცილებელია ცხოვრების წესის შეცვლა და მავნე ფაქტორების მოშორება, როგორიც არის: ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არარეგულარული სქესობრივი ცხოვრება, გადაცივება და ა.შ. ამგვარი ეტაპობრივი მიდგომა გვაძლევს საშუალებას ვაკონტროლოთ მკურნალობის ეფექტურობა ყოველ ეტაპზე, საჭირო ცვლილებების შეტანით და რაც მთავარია, ვებრძოლოთ დაავადებას იმავე პრინციპით, რა გზითაც ის ვითარდებოდა. მეტად მნიშვნელოვანია ქრონიკული პროსტატიტის კომპლექსური მკურნალობა და ერთდროულად იმ პრეპარატების გამოყენება, რაც ხელს უწყობს ინფექციური ფაქტორის მოსპობას, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას მცირე მენჯში და უშუალოდ წინამდებარე ჯირკვალში — პროსტატაში, პროსტატის სადინრების ადეკვატურ დაცლას, ჰორმონების დონის და იმუნიტეტის ნორმალიზებას.

ბოლო წლებში ქრონიკული პროსტატიტის კომპლექსურ მკურნალობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პრეპარატმა „ვიტაპროსტმა“. „ვიტაპროსტი“ წარმოადგენს ბიოლოგიურად აქტიური პეპტიდების კომპლექსს, რომელთა მიღება ხდება ხარის წინამდებარე ჯირკვლიდან. „ვიტაპროსტის“ ეფექტურობა ამ დაავადების დროს განაპირობა მისმა უნიკალურმა თვისებამ: ერთი პრეპარატი — კომპლექსური მოქმედება. კერძოდ „ვიტაპროსტის“ სამკურნალო მოქმედება არის დაფუძნებული წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილში ნივთიერებათა ცვლის და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებაზე, რაც განაპირობებს ქსოვილის შეშუპების და ლეიკოციტების რაოდენობის შემცირებას, ანთებითი პროცესის და ტკივილის სინდრომის მოხსნას. ვიტაპროსტის კლინიკური ეფექტურობა დამტკიცებულია მრავალი კვლევით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვიტაპროსტის გამოყენება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სპერმის ხარისხს, კერძოდ ზრდის სპერმატოზოიდების მოძრაობის უნარს. ქრონიკული პროსტატიტის დროს გამოიყენება „ვიტაპროსტის“ სანთლები 50 მგ დოზირებით. „ვიტაპროსტი“ წარმოდგენილია სანთლების სახით, რომელთა მოთავსება სწორ ნაწლავში განაპირობებს მის პირდაპირ მოქმედებას წინამდებარე ჯირკვალზე (ანატომიური სიახლოვის გამო). ამგვარი მოქმედების მექანიზმი, აღნიშნული პათოლოგიის მკურნალობისას შედარებით ეფექტურია, ვიდრე აბები, ამასთანავე ასეთი ფორმით პრეპარატის გამოყენება მინიმუმამდე ამცირებს გვერდითი მოვლენების ალბათობას.



„ვიტაპროსტის“ უნარმა, მოახდინოს წინამდებარე ჯირკვლის ქსოვილზე ამგვარი კომპლექსური მოქმედება, განაპირობა მისი უროლოგიური ასპარეზის გაფართოება და დამტკიცდა ამ პრეპარატის ეფექტურობა არანაკლებ გავრცელებული დაავადების დროს როგორიც არის წინამდებარე ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია ანუ პროსტატის ადენომა. პროსტატის ადენომა — ყველა მამაკაცისათვის ნაცნობი დაავადებაა, მაგრამ ყველამ არ იცის, რომ ეს დაავადება დროთა განმავლობაში, ნელ-ნელა პროგრესირებს. დაავადების ძირითადი და ყველაზე ხშირი გამოვლინება უკავშირდება მოშარდვის აქტის გაძნელებას, რიგ შემთხვევაში კი შარდის შეკავებას. რაც უფრო იზრდება ადენომა, მით უფრო მატულობს მისი ზეწოლა შარდსადენ მილზე და მით უფრო გაძნელებულია მოშარდვის აქტი. აქედან გამომდინარე პროსტატის ადენომის ტიპიურ ჩივილებს მიეკუთვნება გაძნელებული მოშარდვის აქტი, შარდის ნაკადის შემცირება, წყვეტილი შარდვა, შარდის ბუშტის არასრულად დაცლის შეგრძნება და შესაბამისად გახშირებული შარდვა. მაგრამ აღნიშნული ჩივილების არსებობა არ არის საკმარისი, რომ მამაკაცს სხვა დამატებითი კვლევების გარეშე დაუდგინდეს პროსტატის ადენომა. ყველა დაავადება, რომელიც ახდენს ზეწოლას შარდსადენ მილზე ან იწვევს მისი სანათურის შევიწროებას იწვევს გაძნელებულ მოშარდვის აქტს და ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ჩივილებს. სამწუხაროდ, საქართველოში მამაკაცები ხშირად მოგვმართავენ პროსტატის ადენომის გართულებული ფორმებით, როდესაც მედიკამენტოზური მკურნალობა დაგვიანებული არის და ერთადერთი გამოსავალი არის ოპერაციული მკურნალობა. აქედან გამომდინარე, აუცილებელი არის დროული მომართვა და პროფილაქტიკური გამოკვლევების ჩატარება, ვინაიდან პროსტატის ადენომის საწყის ეტაპზე დროულად დაწყებული მედიკამენტური მკურნალობა მნიშვნელოვნად ამცირებს გართულებების განვითარებას და ოპერაციული მკურნალობის ალბათობას. პროსტატის ადენომის კომპლექსურ მკურნალობაში დღეს უკვე აქტიურად გამოიყენება „ვიტაპროსტ ფორტეს“ 100 მგ სანთლები.

„ვიტაპროსტ ფორტეს“ ახასიათებს: 1. ანტიპროლიფერაციული მოქმედება — აფერხებს ადენომის ზრდას; 2. ამცირებს თანმხლებ ანთებით პროცესს — 97% აღინიშნება ადენომის თანხვედრა ქრონიკულ პროსტატიტთან; 3. ამცირებს შარდის ბუშტის ჰიპერაქტიურობას (რაც გამოიხატება გახშირებულ შარდვაში, მოშარდვაზე ბრძანებით დაუოკებელ სურვილში, შარდის შეუკავებლობაში).

აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში მცირდება პროსტატის ადენომის კლინიკური სიმპტომების ინტენსივობა, გარკვეულწილად მცირდება ადენომის მოცულობა, უმჯობესდება შარდის ნაკადი, მცირდება ნარჩენი შარდის რაოდენობა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კლინიკური კვლევების და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „ვიტაპროსტი“ ითვლება არჩევის პრეპარატად ქრონიკული პროსტატიტის და პროსტატის ადენომის კომპლექსურ მკურნალობაში. პრეპარატ „ვიტაპროსტის“ შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და კვალიფიციური დახმარების მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, უროლოგ **ალეკო ხელაიას.**

ტელ: 555 30 50 51

**www.tqveniurologi.ge**

R

# პოლიტიკური თამაშები ქართული არმიის ირგვლივ

მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა და ძალაუფლების გადაცემაც ასე თუ ისე მშვიდ გარემოში მიმდინარეობს, თავდაცვის სამინისტრო და მთლიანად შეიარაღებული ძალები მაინც რჩება პოლიტიკოსთა ქმედებების სამიზნედ.

პრემიერ-მინისტრის მიერ რამდენჯერმე თავდაცვის მინისტრის გაკრიტიკებამ (რაც შეიძლებოდა უფრო რბილი ფორმითაც მომხდარიყო) ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს საშუალება მისცა, თავდაცვის მინისტრი — არც მეტი, არც ნაკლები — ლაჩრად მოეხსენიებინა, ხოლო პრეზიდენტმა, რომელიც ამასთანავე, ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად ითვლება, განაცხადა, რომ სწყინს, როცა თავდაცვის მინისტრს მუდმივად თავზე აწუწავენ...

შეიძლება პოლიტიკოსები მიჩვეული არიან ერთმანეთის არაკორექტულად მოხსენიებას, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ თავდაცვის მინისტრის უკან სამ ათეულ ათასამდე სამხედრო მოსამსახურე დგას და ის, ვინც დღეს თავდაცვის მინისტრის პატივს ლახავს, ნებსით თუ უნებლიეთ, უდიდეს შეურაცხყოფას აყენებს მთლიანად საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.

მარტო ის რად ღირდა, რომ პრეზიდენტმა გაერთიანებული შტაბის უფროსის პოსტი საჯილდაო ქვად აქცია, ახლა კი, როგორც ჩანს, თავდაცვის მინისტრის ჯერი დგება.

პოლიტიკურ თამაშებს, ვისი წამოწყებულიც უნდა იყოს ის, საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს ქართულ არმიასთან, რადგან იგი განვლილ წლებში ისედაც დაზარალდა არაკვალიფიციური თუ უბრალოდ, დამნაშავე ზოგიერთი თავდაცვის მინისტრისა და მაღალჩინოსანი სამხედრო მოხელის ხელში, რომლებიც ამ თანამდებობებზე არა პროფესიონალიზმისა და გამოცდილების, არამედ პარტიული და გუნდური ერთგულების ნიშნით ინიშნებოდნენ.

# სტეფანაკერტის აეროპორტი —

## ბაქოსა და ერევნის მორიგი დაპირისპირების ფაქტორი



*აზერბაიჯანის საჰაერო თავდაცვის ძალებს თავისუფლად შეუძლიათ სტეფანაკერტის აეროპორტის „ჩაკეტვა“...*

1994 წლიდან გაყინული ყარაბაღის კონფლიქტი მსოფლიოს დროდადრო თავს ახსენებს. ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის გამწვავება უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი, თუკი ამუშავდება სტეფანაკერტის აეროპორტი.

იგი მდებარეობს თვითაღიარებული ყარაბაღის ტერიტორიაზე, რომელსაც ოფიციალური ბაქო ოკუპირებულ ტერიტორიად თვლის, ხოლო საერთაშორისო საზოგადოება მის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.

> **თვითაღიარებული ყარაბაღი სტეფანაკერტის აეროპორტის გახსნას გეგმავს, რაც ოფიციალურ ბაქოს საპასუხო ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს...**

გასული წლის ოქტომბერში დამთავრდა სტეფანაკერტის აეროპორტის რეკონსტრუქცია. მისი ასფალტირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე 2 178 მ-ია, რაც პატარა და საშუალო სიდიდის სამგზავრო თვითმფრინავების მიღების შესაძლებლობას იძლევა.

სტეფანაკერტის აეროპორტის ამოქმედება, ბუნებრივია, ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის სტრატეგიულ ინტერესებს, თუნდაც იმიტომაც, რომ ბაქოს მიერ ოკუპირებულად გამოცხადებული ყარაბაღის აეროპორტიდან მომავალში შეიძლება საერთაშორისო რეისებიც შესრულდეს.

ორი წლის წინ აზერბაიჯანის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ სტეფანაკერტის აეროპორტიდან ფრენების დაწყების შემთხვევაში აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალების გამანადგურებლებმა და საზენიტო-სარაკეტო სისტემებმა შეიძლება სამგზავრო თვითმფრინავებიც ჩამოყარონ.

ამ განცხადებებმა მაშინ უარყოფითი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია, სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა განაცხადა, რომ პირველი თვითმფრინავით თავად ჩაფრინდებოდა სტეფანაკერტის აეროპორტში, რაზეც აზერბაიჯანელმა დეპუტატებმა უპასუხეს, რომ დიდი სიამოვნებით ჩამოაგდებდნენ მის თვითმფრინავს.

მოგვიანებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი ქვეყანა არასოდეს გამოიყენებს ძალას სამოქალაქო თვითმფრინავების წინააღმდეგ.

ა/წ 18 იანვარს აზერბაიჯანის მთავრობამ დაამტკიცა ქვეყნის საჰაერო სივრცის გამოყენების წესები, რომელთა თანახმად, შეიქმნა საჰაერო სივრცის 25 კმ სიგანის სასაზღვრო ზოლი და ფრენების აკრძალული ზონები. თუკი საფრენი აპარატის ეკიპაჟი აზერბაიჯანის სამხედრო-საჰაერო ძალებს წინასწარ არ შეატყობინებს ამ აკრძალულ საჰაერო ზონებში ფრენის შესახებ და არ აიღებს სათანადო ნებართვას, მის წინააღმდეგ შეიძლება ძალა გამოიყენონ.

ოფიციალური ბაქოს მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადებული თვითაღიარებული ყარაბაღი და სტეფანაკერტის აეროპორტი ფრენების აკრძალულ ზონაში ხვდება. ძალზე საეჭვოა, რომ რომელიმე სომხური ავიაკომპანიის ეკიპაჟმა ერევან-სტეფანაკერტის რეისის შესრულებისთვის ნებართვა აზერბაიჯანელ გენერლებს სთხოვოს, მაგრამ გაბედავს კი ოფიციალური ბაქო, ძალისმიერი ხერხებით შეაჩეროს სტეფანაკერტის აეროპორტში დასაჯდომად მომზადებული ლაინერი, თუკი მის ბორტზე მგზავრები და მათ შორის — დასავლელი დიპლომატებიც იქნებიან?..

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# ირანული „უჩინმაჩინი“, რომელსაც ფრენა არ შეუძლია?!



*ირანული გამანადგურებლის პრეზენტაციამ სამხედრო ექსპერტებს ეჭვი გაუჩინა...*

თებერვლის დასაწყისში თეირანში თავად ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი დაესწრო ულტრათანამედროვე სამამულო წარმოების გამანადგურებელი თვითმფრინავის Qaher-313-ის საზეიმო პრეზენტაციას. დარბაზში გამოფენილი თანამედროვე დიზაინის საბრძოლო თვითმფრინავი, ერთი შეხედვით, არაფრით ჩამოუვარდებოდა მე-5 თაობის რეაქტიული გამანადგურებლების ცნობილ კოჰორტას — ამერიკულ F-22-სა და F-35-ს, რუსულ T-50-სა თუ ჩინურ J-20-ს.

ირანელმა სამხედროებმა პრეზენტაციაზე აქეს ახალი გამანადგურებელი და განაცხადეს, რომ ის „სტელსის“ ტექნოლოგიითაა დამზადებული, რაც ართულებს მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური სადგურების მიერ ჰაერში მის აღმოჩენას.

თუ ეს სიმართლეა, გამოდის, რომ ირანი დიდად აღარ ჩამორჩება თანამედროვე შეიარაღების მქონე ქვეყნებს.

თუმცა ახალი „უჩინმაჩინი“ გამანადგურებლების პრეზენტაციის შემდეგ ზოგიერთმა ცნობილმა საერთაშორისო სამხედრო ექსპერტმა გამოთქვა ეჭვი, საერთოდ შეუძლია თუ არა ფრენა ირანულ Qaher-313-ს და ხომ არ არის ეს თეირანის მორიგი დეზინფორმაცია.

ირანიდან ხშირად მოდის ინფორმაციები იმის შესახებ, რომ ამ ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა შექმნა და სერიულად აწარმოებს მსოფლიოში საუკეთესო ფრთოსან და საზენიტო რაკეტებს, უპილოტო თვითმფრინავებსა თუ ძნელად აღმოსაჩენ წყალქვეშა ნავებს, თუმცა ფართო მასებისთვის განკუთვნილ ამ ინფორმაციას ხშირად არ ეთანხმებიან სამხედრო საქმის საერთაშორისო სპეციალისტები, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ უახლესი ირანული „სტელსის“ გამანადგურებლების შემთხვევაშიც ასე იყოს საქმე. მისი დემონსტრირებისას ყველაზე მეტი კითხვა კაბინაში განთავსებულმა ხელსაწყოების დაფამ და მისმა უკანა, ღია მხარემ გააჩინა, რადგან ასეთი არათანამედროვე დიზაინის ხელსაწყოთა დაფა ძნელად თუ მიესადაგება მე-5 თაობის გამანადგურებელს.

ირანული „სტელსის“ ძალიან მცირე ზომები კიდევ ბევრ ეჭვს აღძრავს, რადგან მის პატარა ცხვირში თანამედროვე მძლავრი საბორტე რადიოლოკატორი ვერ მოთავსდება, ხოლო ვიწრო კაბინაში მჯდომი პილოტი ფანარს უბრალოდ, ვერ დახურავს.

ეს და სხვა მიზეზები საერთაშორისო სამხედრო ექსპერტებს აფიქრებინებს, რომ ირანის დემონსტრირებული „სტელსის“ გამანადგურებელი მხოლოდ მაკეტია, რომელსაც ფრენა არ შეუძლია.

ექსპერტები ექსპერტებად, მაგრამ რა საინტერესო სიტუაცია შეიქმნება, თუ ირანმა მაინც შეძლო Qaher-313-ის მთელი ესკადრილიების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა?!



# „ძირითადად, წილების თემას ადეიშვილი აკონტროლებდა“



*ცნობილი მკლავჭიდელი, „თეგეტა მოტორსის“ ერთ-ერთი მეწილე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი* **ზაურ ცხადაძე** *იმ პირთა რიცხვშია, რომლებმაც ციხის საშინელება საკუთარ თავზე იწვნიეს. გისოსებს მიღმა დიდხანს არ დარჩენილა, მაგრამ უმძიმესი დღეები გამოიარა, რაც მის ჯანმრთელობაზეც აისახა. ბატონ ზაურს დათქმულ დროს ინტერვიუს ჩასაწერად შინ ვესტუმრეთ, თუმცა იმ საღამოს სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაუყვანიათ. ამის შემდეგ იქ მოვინახულეთ, ხათრი ვერ გაგვიტეხა და ინტერვიუ მაინც შედგა.*

*შეგახსენებთ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თაღლითობასა და ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებდნენ. 2009 წლის 21 ოქტომბერს დააკავეს. მისთვის წაყენებული ბრალდება 7-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა.*



ზაურ ცხადაძე: „მთელი ცხოვრება წელში გამართული დავდიოდი და ახლა შეურაცხყოფილი ვარ...“

## ცნობილმა მკლავჭიდელმა ციხეში ერთ თვეში 55 კილო დაიკლო

**„ელექტროშოკითა და იარაღებით მედგნენ თავზე გაკოჭილ ადამიანს“**

ზაურ ცხადაძე: — ჩემი დაკავება სრულიად მოულოდნელი იყო. წინადღის ნაქეიფარი ვიყავი, მეუღლემ დამირეკა და მითხრა, ბავშვი სამსახურში რომ მიდიოდა, დავინახე, მანქანა როგორ აედევნაო. ჩემს შვილს დავურეკე, დამიდასტურა, ორი მანქანა მომყვებოდაო. ისეთ უბანში ვცხოვრობთ, უცხო მანქანას ყველა ამჩნევს. ჩემი დაჭერის შემდეგ გავიგეთ, რამდენიმე დღე რომ მდარაჯობდნენ. არადა, აგარაკზე ვიყავი, ჩემი ნახვა პრობლემა არ იყო. იმხელა მანქანით დავდიოდი, ყველას ხვდებოდა თვალში, ან დასამალი და გასაქცევი რა მქონდა? 2009 წლის 21 ოქტომბერს მეგობარს შევხვდი და ნახევარი საათი ქუჩაში ვსაუბრობდით, მერე ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე სასადილოდ შევედით, იქაც საათზე მეტხანს ვისხედით. მეგობარი წავიდა, მეც გამოვედი და იქვე ავტოგასამართ სადგურთან გავჩერდი, საწვავი რომ ჩამესხა. ამ დროს ყოველი მხრიდან თეთრი „ლენდ კრუიზერები“ ამომიდგა. ყველა მანქანის კარი ერთდროულად გაიღო და ჩემკენ წამოვიდნენ. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, უკან ვიხედებოდი, ვინმეს ხომ არ იჭერენ-მეთქი. მერე გავიფიქრე, ეტყობა, „მზის დარტყმას“ მიჩალიჩებენ-მეთქი. მანამდე იყო ამის მცდელობა და არ გამოუვიდათ... მიყვიროდნენ, დაწექიო. ვერ მივხვდი, სად უნდა დავწოლილიყავი, მანქანაში ვიჯექი... რომ არ დავემორჩილე, დამესივნენ... ერთადერთს ვფიქრობდი, არ წავექციე. მთელი ქუჩა გადაიკეტა, სპეცრაზმელებიც მოცვივდნენ, წინააღმდეგობისგან დავიღალე და ბოლოს წავიქეცი. დამესივნენ, ჩამტენეს მანქანაში და ხელბორკილი დამადეს. დაკავების მიზეზს ვითხოვდი, მაგრამ არაფერს მეუბნებოდნენ. ავტეხე გინება და ლანძღვა, ისე მიმიყვანეს ფინანსურ პოლიციაში, არ გავჩუმებულვარ. გეგონებოდათ, კილერი დაიჭირეს. მოაწყვეს კორიდორი და ისე შემიყვანეს. მთელი გზა ვიხვეწებოდი, ხელბორკილი შეეხსნათ, რადგან მიჭერდა და ხელები დამისივდა (ბატონ ზაურს ახლაც ეტყობა ნაიარევი მაჯებთან. — ავტ.). რომ შემიყვანეს, ფეხებზეც დამიპირეს ბორკილის დადება. ვყვიროდი, გამაგებინეთ, რა ხდება, რა დავაშავე-მეთქი. არაფერს მეუბნებოდნენ, ელექტროშოკითა და იარაღებით მედგნენ თავზე გაკოჭილ ადამიანს. პროკურორი ვახო იაშვილი მეუბნება, ზაურ, ჩვენ ბევრი საახლობლო გვყავსო... არ მაინტერესებს, მითხარით, რატომ მომექეცით ასე-მეთქი. ბოლოს მითხრა, ამ დღეებში ვაკეში მიწა ვისგანაც იყიდე, იმის წინა მეპატრონეს მიწა თაღლითურად აქვს მოპოვებულიო. მერე მე რა შუაში ვარ-მეთქი. ჩვენ ჩანაწერები გვაქვს, სადაც შენი საუბარია ჩაწერილიო. შემოიტანეს ტელევიზორი და მაჩვენეს ნოტარიუსთან ყოფნის ამსახველი ფირი. სიგარეტს ვეწევი და ვამბობ ასეთ ფრაზას: „ეს ყველაფერი შარია“. რატომ თქვი ეს სიტყვებიო. მიზეზი ავხსენი, ამ ხალხმა წინადღესაც მიმიყვანა ნოტარიუსთან, ამდენი ფულით მივედი, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ, ვისაც მიწა უნდა გადმოეფორმებინა, მეორე დღესაც მიმიყვანეს, საღამოს 6 საათი ხდებოდა და ის ქალი კიდევ არ ჩანდა, ნოტარიუსი კი მუშაობას ამთავრებდა, მე კი ამ ფულით წინ და უკან მიწევდა სიარული. ამიტომ ვთქვი-მეთქი. გვეგონა, სხვა რამეს გულისხმობდიო, — მითხრა იაშვილმა. სულელი ხომ არ ვიყავი, ყალბ საბუთში 120.000 დოლარი გადამეხადა. ამის შემდეგ დროებითი დაკავების იზოლატორში მომათავსეს. იქ სამი დღე გავატარე.



**„იქ მოხვედრილი ადამიანი ჭკუიდან შეიშლება“**

**„ტუალეტის ქაღალდს რომ არ მოგვცემენ, რაღაზეა ლაპარაკი!“**

**— ადვოკატთან ურთიერთობის საშუალება არ გქონდათ?**

— შემოვიდა ადვოკატი გიორგი ხარაბაძე და მითხრა, შენმა მეგობრებმა ამიყვანეს და უნდა დაგიცვაო. რა ვიცოდი, თურმე ადეიშვილის ადვოკატია და ასეთ საქმეებს აგვარებს. მეუბნება, ბიჭო, ხვდები, რატომ დაგიჭირეს? ახლა რაც გითხრეს, ის რომ ბლეფია, ხომ ხვდები? ეჭვი არ გეპარება იმაში, შენი პარტნიორი და მერაბიშვილი სანადიროდ ერთად დადიან და ამ დროს შენ გიჭირენო? „თეგეტას“ ხელმძღვანელი იგულისხმა. ვიცოდი, მერაბიშვილთან რომ მეგობრობდა, მაგრამ ჩემს დაჭერასთან რა ხელი აქვს-მეთქი, — ვკითხე. შენი პარტნიორი ხვალ იაპონიაში მიფრინავსო... მოკლედ, დაპირისპირებას ცდილობდა. არ მეპარება ეჭვი პარტნიორში-მეთქი. მერე მითხრა, ხომ იცი, „თეგეტაში“ შენი წილი ენდომებათ და დათმე, არ იცი, ესენი ვინ არიანო. მიბიძგებდა, ჩემი 21%-იანი წილი დამეთმო. კატეგორიული უარი ვუთხარი. ამ საქმის პროკურორი ალეკო მგელაძე იყო, მას აგვარებინებდნენ ყველა ბინძურ საქმეს. ის იყო ვაზაგაშვილის, გირგვლიანის საქმეების პროკურორიც.

**— როგორც ცნობილია, ციხეში უმძიმეს პირობებში იყავით და თქვენს მორალურად გატეხას ცდილობდნენ.**

— კარანტინში 19 დღე გავატარე. იქ მოხვედრილი ადამიანი ჭკუიდან შეიშლება. 36 კაცი ვიყავით 18 კვადრატულ საკანში, საპირფარეშოც იქ იყო. ჰაერს ვნატრობდით. თუ რკინის კარზე ოდნავ ღრიჭოს დატოვებდნენ, ბედნიერება იყო. ფეხზე ვიდექით. ჩაცუცქულს თუ ჩაგეძინებოდა, ყველაზე კარგი გამოსავალი იყო. წარმოიდგინეთ, რომ დამიჭირეს, 165 კილოგრამი ვიყავი და ერთ თვეში 110 კილოგრამი გავხდი. ერთადერთი იმას ვფიქრობდი, ამდენი ხალხი თუ უძლებს, მეც უნდა გავუძლო-მეთქი. ადამიანი თურმე ყველაფერს ეგუება. სულ ფეხზე ვიდექი, წელი მაწუხებს და შეტევა მომცა. ისე ცუდად ვიყავი, საწოლზე დამაწვინეს, მაგრამ მხოლოდ რკინის მავთულებია, ლეიბიც არ იდო, ამან უფრო დამიზიანა ზურგი და საშინელ მდგომარეობაში მქონდა. თანაც ჩემი პატიმრობა იმ პერიოდს დაემთხვა, გლდანში ნაგავსაყრელი რომ გააუქმეს, იქაურობას ცეცხლი წაუკიდეს და ნაგვისა და კვამლის საშინელი სუნი ჩვენს საკნებში აღწევდა... საჭმელს ვერ შეჭამდი, ეს გამორიცხულია. კარანტინის კართან რომ გაიარო, ისეთი სუნი შეგაწუხებს, რომ ველარ გაჩერდები. არადა, შიგნით მყოფები ამ სუნს ისე მივეჩვიეთ, ველარც ვგრძნობდით... კარანტინში დიდხანს მამყოფეს და მერე სხვა საკანში გადამიყვანეს. იქ ორნი ვიყავით, მაგრამ იქ მოხვედრილი, ისევ კარანტინში დაბრუნებას ვნატრობდი.

**« ამდენი ხნის ნაწამებს, დაუბანელს საშინელი სუნი ამდიოდა. ციხეში ბანაობა მხოლოდ კვირაში ერთხელ იყო. ძალაგამოლეული ვიყავი. ბიჭები მიწმენდნენ სხეულს სველი ტილოთი, ძლივს მომასულიერეს**

**« კარანტინში საშინელი სიცხე იყო, ოხშივარი აგვდიოდა, ოფლად ვიღვრებოდით. იმ საკანში კი მეორე უკიდურესობა დამხვდა, ისეთი სიცივე იყო, ცუდად გავხდი. წარმოიდგინეთ, ნესტიანი სარდაფი, საშინელი სიცივე, არც სკამი, არც საწოლი. რომ გადავყავდით, გამოცდილმა პატიმრებმა მითხრეს, საკანში არ გაჩერდე, სულ იმოძრავე, თუ ჩაგეძინა, გაიყინებიო**

*(გაგრძელება გვ.14)*




**11 თებერვლიდან – 18 თებერვლამდე**

# ირაკლი ლოზჟანიძე: „მაგთიკომი“ იყო და რჩება უპირობო ლიდერად კავშირგაბმულობის სფეროში

*საკომუნიკაციო ბაზარზე პორტირების შედეგები თავდაყირა დადგა. მაგთიკომის უპირატესობა ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთა. დღეისთვის არსებული მონაცემების მიხედვით, სულ მაგთიკომში ბილაინიდან და ჯეოსელიდან 115 087 აბონენტი დაპორტირდა და მხოლოდ 48 678 წავიდა სხვა ქსელში.*

თემის ირგვლივ გავესაუბრეთ მაგთიკომის მარკეტინგის დირექტორს, **ირაკლი ლოზჟანიძეს.**

— ***როგორ შეიცვალა დღეისთვის ბაზარზე არსებული მდგომარეობა?***

— პორტირებით მაგთიკომში გადმოსულ აბონენტთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. უკვე 115 087 ათასი ადამიანია პორტირებით მოსული. პორტირების შედეგად კომპანიაში შემოსული აბონენტების რაოდენობა ყოველდღიურად იზრდება — სამთავრობო სტრუქტურები ეტაპობრივად გადმოდიან ჩვენს ქსელზე. ცხადია, საბოლოო შედეგებამდე კიდევ ბევრი რამ შეიცვლება და როდესაც ეს პროცესი დასრულდება, მაგთიკომის უპირატესობა უკეთ გამოისახება.

— ***როგორ აისახება ეს შედეგები ბაზრის წილებზე?***

— ბაზრის წილები თებერვალშივე დაითვლება. მის შესახებ ინფორმაციას ცალკე გავავრცელებთ.

— ***რამდენად ზუსტად გამოხატავს პორტირების ახალი მაჩვენებელი მაგთიკომის უპირატესობას ქართულ ბაზარზე?***

— ზუსტადაც რომ რეალურად გამოხატავს. მაგთიკომმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა სახელმწიფო კონსოლიდირებულ ელექტრონულ, აბსოლუტურად გამჭვირვალე ტენდერში. დააკმაყოფილა ყველა პირობა და აჯობა კონკურენტ კომპანიას მინიმალური, ფაქტობრივად ნულოვანი ფასით. უფრო მეტიც, აჯობა ხარისხითაც, რადგან ჩვენი ტექნიკური ბაზა გვაძლევს შესაძლებლობას მაღალი ხარისხით უზრუნველვყოთ საჭირო მომსახურება. მაგთიკომი არის ერთადერთი კომპანია, რომელიც ჯგუფში არსებულ მომხმარებელს ქსელისგარე ზარებზე, „ჯეოსელის“ მიმართულებით, ზარის მხოლოდ 5-თეთრიანი წამოწყებით და 0-თეთრიანი ტარიფით მოემსახურება. ჩვენ გვაქვს საჭირო რესურსი, რომ შევინარჩუნოთ მაგთისეული ხარისხი. წლის დასაწყისში, მაგთიკომმა გაავრცელა ინფორმაცია ჩვენი ქსელით განხორციელებული ზარებისა და სმს-ების რეკორდული რაოდენობის შესახებ. ჩვენმა ქსელმა გადატვირთვების გარეშე გადაიტანა საახალწლო დატვირთვა... ჩვენ ყოველთვის სხვებზე აღმატებულად ვზრუნავდით ტექნიკური პარამეტრების მაღალ სტანდარტებზე და მიმაჩნია, რომ სრულიად დამსახურებულ ბუნებრივ შედეგს ვიმკით.

— ***კონსოლიდირებული ტენდერი მაგთიკომისთვის პირველი მასშტაბური პროექტია?***

— არა. ჩვენ სერიოზული პროექტების განხორციელების საკმაოდ კარგი პრაქტიკა გვაქვს. 2008 წელს მაგთიკომმა განახორციელა საქართველოს ერთიანი სამთავრობო ქსელის პროექტი, რაც ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის წინაპირობა იყო. ამ ქსელში ჩართულ ყველა სამთავრობო სტრუქტურას, 674-ზე მეტ ობიექტს, საშუალება მისცა დაენერგათ ისეთი პროდუქტები, რომლებიც ქვეყნის მოსახლეობას სახელმწიფო სტრუქტურებისგან მომსახურების მიღებას გაუადვილებდა, ამ უწყებების მუშაობის ეფექტურობას კი მკვეთრად გააუმჯობესებდა. მათ შორის მდგრად კავშირს მაგთიკომი უზრუნველყოფდა. 2011 წელს მსგავსი ქსელი შეიქმნა საჯარო სკოლებისა და რესურსცენტრებისთვის და შედეგად შესაძლებელი გახდა ელექტრონული საატესტატო გამოცდების ჩატარება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მაგთიკომი ერთადერთი იყო, ვინც ამ პროექტების განხორციელება შეძლო.

— ***მიიღებენ თუ არა სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლები და ოჯახის წევრები უკეთეს პირობებს, ვიდრე ჰქონდათ?***

— ცხადია. ასეთი დაბალი ფასი და ამხელა ერთიანი ჯგუფი არასდროს ყოფილა. ერთმანეთს შორის უფასო საუბარი სხვა ქსელთან სიახლეა. ეს მნიშვნელოვანი დანაზოგი იქნება სახელმწიფოსთვის და სახელმწიფო სტრუქტურების ოჯახების თანამშრომლებისთვისაც.

— ***რა დამატებითი ზომები გატარდა მომსახურების ხარისხის უზრუნველსაყოფად?***

— როგორც აღვნიშნე, ტექნიკურ პარამეტრებზე ყოველთვის ვზრუნავდით. აბონენტთა ამ ნაწილის მომსახურებისთვის კი შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მათ დაეხმარება. ეს ჯგუფი უშუალოდ მათთვის იმუშავებს.

— ***რამდენად გამძაფრდება კონკურენცია და ხომ არ დარჩება უყურადღებოდ ჩვეულებრივი მომხმარებელი?***

— ქართულ საკომუნიკაციო ბაზარზე კონკურენცია ყოველთვის მძაფრი და უკომპრომისო იყო და ის ჩვენ არასდროს გვაფრთხობდა. არ ვაპირებთ პოზიციების დათმობას. შეგახსენებთ, რომ მაგთიკომი მხოლოდ სატელეფონო მომსახურეობას არ სთავაზობს მომხმარებელს — კომპანია საკომუნიკაციო ბაზარზე ოთხი სახის მომსახურებას (მობილური და ფიქსირებული ტელეფონი, ინტერნეტი, ტელევიზია) ეწევა და ხუთი ბრენდითაა წარმოდგენილი. ემსახურება 2 მილიონ 700 ათასამდე აბონენტს. ჩვენ მუდმივად შევთავაზებთ მათ ახალ-ახალ აქციებს. მაგთიკომი იყო და რჩება უპირობო ლიდერად.

— ***მაგთიკომი რამდენიმე ბრენდის მფლობელია. რომელი ბრენდით მოემსახურება იგი სამთავრობო ეშელონებს?***

— ტენდერში გამარჯვებული ბრენდია „მაგთი“. სამთავრობო სტრუქტურები „მაგთიზე“ გადმოდიან და ეს შეცვლის პორტირების შიდა სურათსაც. სხვათა შორის, თუ ბრენდების მიხედვით ვიმსჯელებდით, აქამდე ყველაზე წარმატებული (საერთო ბაზარზე არსებულთაგან) „ბანი“ იყო. ჩვეულებრივ არაკორპორატიულ მომხმარებლებში „ბანი“ ლიდერობს, რაც, ცხადია, მისი სატარიფო გეგმებითაა განპირობებული.

— ***ტენდერი ერთწლიან პერიოდს მოიცავს?***

— არა. ტენდერი გამოცხადდა 3 თვით. შემდეგ მეორე ტენდერი ჩატარდება, ან მოხდება გადახედვა. ასეთი ტენდერი პირველად ჩატარდა. პირველად ხდება მსგავსი მომსახურების მიწოდება ასეთ მსხვილ კორპორატიულ დამკვეთზე. პირველადვე განხორციელდა ასეთი სატარიფო პოლიტიკა. ამიტომ აუცილებლად საჭიროა დაკვირვება. ზუსტად, ფაქტებით და არა თეორიულად უნდა განისაზღვროს, როგორ აისახება ეს ბაზარზე, რას გამოიწვევს ქსელის დატვირთვის კუთხით. შესაბამისად, ვთვლით, რომ სამთვიანი პერიოდი კომპანიისთვისაც ხელსაყრელია. ამ დროში რეალურად შევაფასებთ, ფინანსურად რამდენად მომგებიანი იქნება ეს ყველაფერი კომპანიისთვის. ბიზნესში ყველა ოპერაცია მომგებიანი უნდა იყოს.

R

## WEB-ამბები

კვირის რეიტინგული მასალები ქართული ინტერნეტსივრციდან

# რატომ დაშორდა შეყვარებულს ნუკი კოშკელიშვილი



*ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრება ის თემაა, რომლითაც საზოგადოების დიდი ნაწილი ყოველთვის ინტერესდება. რამდენიმე დღის წინ მსახიობ გიორგი ვარდოსანიძესა და ტელეწამყვან ნუკი კოშკელიშვილზე გავიგე, რომ ისინი შეყვარებულებს დაშორდნენ. ისიც თქვეს, — ნინა წკრიალაშვილი ნუკის ყოფილი შეყვარებულისგან ფეხმძიმედ არისო... იმის გასარკვევად, შეესაბამება თუ არა ყოველივე სიმართლეს, თავად გიორგისა და ნუკის დავუკავშირდი.*

— **ნუკი, შენთან შეკითხვა მაქვს, რომელიც შენს პირად ცხოვრებას ეხება...**

— რა გაინტერესებს?

— **გავიგე, ნუკი შეყვარებულს — ოთო მარგოშვილს დაშორდაო. მართალია?**

— კი, სიმართლეა! ამაზე არსად მილაპარაკია და შენ როგორ გაიგე?

— **ამას ვერ გეტყვი.**

— დაშორების გადაწყვეტილება ახლახან მივიღეთ, მაგრამ მეგობრებად ვრჩებით. არ გვიჩხუბია, ერთმანეთისთვის ცუდი არაფერი გვიკადრებია.

— **თქვენ ოჯახებითაც მეგობრობთ, არა?**

— დიახ. წლებია, ჩვენი ოჯახის წევრები ერთმანეთს იცნობენ.

— **დაშორების მიზეზი რა იყო?**

— ეტყობა, რაღაცებისთვის მზად არ ვიყავით. მასაც ჰქონდა პრობლემები... მოკლედ, ჩვენ ეს გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ.

— **თქვენი დაშორების მიზეზი ვინმე მესამე ხომ არ იყო?**

— არა.

— **სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოთოსგან ნინა წკრიალაშვილია ფეხმძიმედ.**

— ეს ტყუილია. მე და ნინა არ ვმეგობრობთ, მაგრამ ერთმანეთს ვიცნობთ. ის ძალიან კარგი ადამიანია. გული მწყდება, როცა ნინაზე ცუდ რაღაცებს ამბობენ. მერწმუნე, ესეც მორიგი ჭორია.

— **რამდენჯერმე ვცადე ნინასთან დაკავშირება, მაგრამ არ მიპასუხა. ოთო და ნინა ერთმანეთს არ იცნობენ?**

— არა.

— **იმ ადამიანთან დაშორებას, რომელიც გიყვარს, ყოველთვის ტკივილი ახლავს. გაგიჭირდა ამის გადატანა?**

— სიმართლე გითხრა, ახლაც არ ვარ სახარბიელო მდგომარეობაში. ეს მართლაც დიდი ტკივილია, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთისთვის ძვირფას ადამიანებად ვრჩებით.

— **პროფესიულ საქმიანობაში სიახლე ხომ არ გაქვს?**

— ამ მხრივ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. „შუა ქალაქში“ ვთამაშობ. სერიალის შემოქმედებით ჯგუფთან ურთიერთობა ძალიან მიხარია და თითოეული მათგანი მიყვარს. გადაღებების დროს კარგად ვერთობი; იმდენს ვიცინი, მგონი, 10 წლის სიცოცხლე მომემატა.

— **პროფესიულ საქმიანობასა და პირად ცხოვრებაშიც წარმატებას გისურვებ!**

— გმადლობ!

*დაახლოებით ერთი თვეა, რაც მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე შეყვარებულს — მსახიობ თამთა შალამბერიძეს დაშორდა. მათ ერთმანეთი „ოცნების ქალაქის“ გადაღებაზე გაიცნეს. „მოვიხიბლე უბრალოდ ნათქვამია, იმ საღამოს „გავჭედე“. იქ უამრავი მოდელი, ლამაზი გოგო ტრიალებდა, მაგრამ თამთა რომ დავინახე, გარშემო ყველა და ყველაფერი წაიშალა, გადავირიე“, — ამბობდა გიორგი ერთი წლის წინ მოცემულ ინტერვიუში. ამჯერად კი თამთასთან შეწყვეტილ ურთიერთობაზე გველაპარაკება.*

— **გიორგი, ბოლო პერიოდში ინტერვიუს ჩასაწერად რამდენჯერმე შეგხვდი. ყოველ ჯერზე თამთა გახლდა და არ მეგონა, ერთმანეთს ასე მალე თუ დაშორდებოდით.**

— ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. თამთას „ცეკვავენ ვარსკვლავების“ დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ დავშორდი.

— **სხვა გოგო შეგიყვარდა?**

— არა.

— **აბა, რატომ ამბობენ, — თამთას სალომე ჭაჭუას გამო დაშორდაო?**

— ეს სრული სისულელეა! ჩვენი დაშორების მიზეზი სალომე ნამდვილად არ არის.

— **აბა, რა ან ვინ არის?**

— უბრალოდ, რაღაცებზე ვერ შევთანხმდით.

— **შეყვარებულები დიდი ხნის მანძილზე იყავით და ერთმანეთი ახლა გაიცანით?**

— არ მინდა, ამ თემას ჩავუღრმავდე. დაშორების გადაწყვეტილება ორივემ ერთად მივიღეთ. მივხვდით, ჩვენთვის ასე აჯობებდა.

— **დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ადამიანური, ცივილიზებული, მეგობრული...

— **მახსოვს, მითხარი, — თამთას პროფესიული არჩევანი არ მომწონსო. მისი მსახიობობა არ გინდოდა. დაშორების მიზეზი ეს ხომ არ იყო?**

— არა. არც ამის გამო დავშორებულვართ...

— **სალომესთან მეგობრობას აგრძელებ?**

— რა თქმა უნდა, მასთან ვმეგობრობ. ოღონდ, განსხვავება ისაა, რომ პროექტში მონაწილეობისას ერთმანეთს ყოველდღე ვნახულობდით, ახლა კი — უფრო იშვიათად.

— **რატომ ალაპარაკდნენ შენი და სალომეს რომანზე?**



— მსგავსი ჭორი არაერთხელ გამიგონია, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. უბრალოდ, ასეთ რაღაცებზე მეცინება. 21 თებერვალს თეატრში „ანტიგონეს“ პრემიერა მაქვს და ახლა თავიდან ბოლომდე ჩემს საქმეზე ვარ გადართული. სულ რეპეტიციები მაქვს. კარგია, რომ დაკავებული ვარ. თამთასთან დაშორების გადაწყვეტილების მიღება რთული იყო, მაგრამ ორივესთვის ასე ჯობდა....

— **მოგებული მანქანა უკვე გაყიდე?**

— არა, ვყიდი და იქნებ დამეხმაროთ, კლიენტს ველოდები.

— **რაიმე კონკრეტული მიზნისთვის ყიდი?**

— რაღაც გეგმები მაქვს და ფული მჭირდება.

— **ბიზნესმენობას ხომ არ აპირებ?**

— ღმერთმა მაგის ნიჭი არ მომცა.

***თამუნა კვინიკაძე***

***ჟურნალი „გზა“ №6***

# „ნანუკა ჟორჟოლიანს ვურჩევდი, ტაქტიანად მოქცეულიყო“



« ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნანუკა ბალერინაა და მე ჩავანაცვლე... ხომ არ შეიძლება მხოლოდ შენ იყო ყველგან? რომ ყოფილიყო ან ქორეოგრაფი, ან მოცეკვავე კიდევ, ჰო, მაგრამ ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი მუსიკოსმა მარინა ბერიძემ რომ ჩაანაცვლა, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ...



მარინა ბერიძის სახელი საზოგადოებისთვის მკაცრ ჟიურისთან ასოცირდება. „მოფერებასა და ქებას თუ მთხოვენ, ასეთ ჟიურიში არასოდეს დავჯდებიო“, — ამბობს ჩვენთან ინტერვიუში და აცხადებს, რომ სამინისტროში ძირეული ცვლილებები არ მომხდარა, მის მიერ დაბლოკილი მომღერლების თემა კი გამოგონილი ჭორია.

— სამინისტროში საშტატო გადაადგილება და კადრების შეცვლა არ ყოფილა. რესტრუქტურიზაცია, ალბათ, იქნება, მაგრამ არა ისეთი, რომ თანამშრომლებს შეეხოს. ნამდვილად არ არის ხალხის გაშვებაზე ორიენტირებული კურსი. შემოსულია უამრავი პროექტი, მაგრამ უნდა შეიქმნას საბჭო, რომელიც გადაწყვეტს მათ ბედს. ჩვენ შეგვიძლია წარვადგინოთ პროექტები, ხოლო საბჭო პრიორიტეტებს გამოყოფს.

**— რას იტყვით პოლიტიკური ნიშნით სცენაზე გაყვანაზე? ხშირად თქვენი სახელი და გვარი სახელდებოდა იმ მომღერლების მიერ, ვინც მაშინ დაბლოკილად თვლიდა თავს.**

— კულტურის სამინისტრო ასეთ ღონისძიებებს არ ატარებდა. ზოგიერთს ეგონა, „ჯეოსტარი“ კულტურის სამინისტროს პროექტი იყო, ეს სისულელეა! ღონისძიებების ჩატარება მერიის კულტურის განყოფილებას ევალებოდა. აქედან გამომდინარე, არც არავინ არასდროს დაგვიბლოკავს. არც მაშინ და არც ახლა არავინ დაიბლოკება. თუ ღონისძიებას მე ვაკეთებ, ჩემი გემოვნების საქმეა, ვის ვამღერებ და ვის — არა. თუ რომანსის საღამოა, ვისაც კარგად ეხერხება რომანსი, ის გამოვა სცენაზე, თუ ჯაზის საღამოა, ვინც კარგი ჯაზმენია — ის. ყველა ყველგან ვერ იმღერებს!

„ყველა ყველგან ვერ იმღერებს!“

**— მაგრამ ზოგიერთი მომღერალი ამბობს, რომ სცენაზე გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ.**

— სიცრუეა. ტყუილია ისიც, რომ ამბობდნენ, ამ წლების განმავლობაში ქართული კულტურა დასამარდაო. თუ ითვლება, რომ „ჯეოსტარმა“ დაღუპა საქართველოს კულტურა, ეს უკვე აღარ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ვხედავთ, რომ ძალიან კარგი მომღერლები გვყავს. თუნდაც, ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი, რომლებიც „ევროვიზიაზე“ მიდიან და კიდევ რამდენის ჩამოთვლა შეიძლება.

რაც შეეხება დაბლოკვას, ქართული კულტურის დღეები რომ გაიმართა საფრანგეთში, ნატო მეტონიძე გვყავდა წაყვანილი და ისეთი დღეები ჩატარდა, ამაზე დიდხანს ლაპარაკობდნენ.

**— რას ფიქრობთ „რუსთავი 2“-ის ახალ პროექტზე „საქართველოს ვარსკვლავი“?**

— „ჯეოსტარმა“ თავისი სიტყვა თქვა და ყველაფერი წინ უნდა წავიდეს... უბრალოდ, ჩემს თავს ვერ ვხედავ ასეთი ჟიურის წევრად. ჟიური იმისთვის არ უნდა იჯდეს, რომ ქება-დიდება ალუვლინოს ყველა მომღერალს. ალბათ, ეს ხალხს მოსწონს. მე არ მომწონს და ვთვლი, რომ კარგს არაფერს მოიტანს. როდესაც ვერ მღერის, უნდა უთხრა კონკურსანტს, ვიდრე შეაქო, ძალიან კარგიაო და მერე რეზულტატი არ გქონდეს.

**— „ახალ ხმაზე“ რას იტყვით?**

— იმავეს. კარგი პროექტია, თუმცა ჩემთვის მუსიკალურად ცოტა ერთფეროვანი. არ შეიძლება სულ მაღალ ნოტებზე კეთდებოდეს აქცენტი. მხოლოდ მაღალი ბგერებით მომღერალი ვერ შედგება. ვისურვებდი, ჟიური უფრო კატეგორიული ყოფილიყო.

**— მინდა გკითხოთ კულტურის სამინისტროში რამდენიმე თვის წინ მომხდარ ინციდენტზე. რა მოხდა თქვენსა და თაკო ჩარკვიანს შორის?**

— არ ვიცი, თაკო ჩარკვიანი ძალიან განერვიულებული იყო. არ იყო საჭირო არც „ჯეოსტარის“ ხსენება და არც ჩემი ჩაცმულობის გაკრიტიკება, არავის საქმე არ არის, რა მაცვია. ცუდად გამოუვიდა. ყველამ იცის, რომ მე საქმის კეთება ვიცი. ვერავინ იტყვის, რომ ჩემი პროექტები ჩავარდა ან არაეროვნულია. ჩემი პრინციპია, საქმით დავამტკიცო, რისი გაკეთება შემიძლია, რასაც ვაკეთებდი მთელი სიცოცხლე ამ და წინა მთავრობაშიც.

**— როდესაც ნანუკა ჟორჟოლიანი „ცეკვავენ ვარსკვლავების“ ჟიურიში ჩაანაცვლეთ, იგი თითქოს განაწყენდა.**

— ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ნანუკა ბალერინაა და მე ჩავანაცვლე. მეც ჩამანაცვლა ნიკა მემანიშვილმა. რა უნდა ვქნა? ვიღაცა ვიღაცას ანაცვლებს, ხომ არ შეიძლება მხოლოდ შენ იყო ყველგან? რომ ყოფილიყო ან ქორეოგრაფი, ან მოცეკვავე კიდევ, ჰო, მაგრამ ჟურნალისტი ნანუკა ჟორჟოლიანი მუსიკოსმა მარინა ბერიძემ რომ ჩაანაცვლა, ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. მუსიკა უფრო ახლოს არის ცეკვასთან, ვიდრე ჟურნალისტიკა. აქედან გამომდინარე, ვურჩევდი სხვა დროს უფრო ტაქტიანად მოქცეულიყო. საერთოდ ქვეყანაში ტაქტის დეფიციტი გვაქვს.

**— თუ გაქვთ რომელიმე პროექტიდან შემოთავაზება, რომ კვლავ ჟიურიში გიხილოთ?**

— თუ ზეწოლა და კარნახი არ იქნება, მაშინ დავთანხმდები. თუ მეტყვიან, რომ უნდა ვიყო კეთილი და არაჩვეულებრივი, ნამდვილად უარს ვიტყვი.

*ქეთი საგინაშვილი*

# ვინი ჯონსი ბანკ „კონსტანტას“ პროდუქტის inbox-ის სახე გახდა

*„დიდი კუში“, „ევრო ტური“, „კარტი, ფული და ორი ლულა“, — ქართველი მაყურებელი ჰოლივუდის ცნობილ მსახიობს, ვინი ჯონს სწორედ ამ ფილმებიდან იცნობს. 15 წლის განმავლობაში პროფესიონალი ფეხბურთელი ახლა ამბობს, რომ ეს მისი წინა ცხოვრებაა. ახლა ამერიკაში ცხოვრობს და ახალ კინოროლებზე მუშაობს. სულ მალე კი მისი მონაწილეობით სარეკლამო რგოლები საქართველოშიც გამოჩნდება. ქართული საბანკო პროდუქტის რეკლამირების გარდა, ვინი ჯონს „ჯინსების თაობის“ ეკრანიზაციაშიც გადაიღებენ, სადაც ის გია ტაბიძის როლს შეასრულებს.*

**ქეთო გიორგობიანი,** *ბანკ „კონსტანტას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:* „ჰოლივუდის ცნობილი მსახიობი, ვინი ჯონსი თბილისში ხუთი დღის განმავლობაში იმყოფებოდა. ჩამოვიდა იმისთვის, რომ გამხდარიყო ბანკი „კონსტანტას“ პროდუქტის სახე. მისი აქ ყოფნის დროს გადავიღეთ რამდენიმე სარეკლამო რგოლი, რომელსაც მალე იხილავს საქართველოს მაყურებელი. გარდა ამისა, ვინი ჯონსი ესტუმრა თბილისის თეატრალურ უნივერსიტეტს, სადაც შეხვდა და გაესაუბრა სტუდენტებს. გარდა ამისა, მან მოინახულა თბილისის მიუსაფარ ბავშვთა სახლი და საჩუქრებიც მიუტანა ამ სახლის ბინადრებს“.

**გიორგი გოგუა,** *ბანკ „კონსტანტას“ მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:* „რატომ ვინი? ბევრი ასეთი კითხვა ისმოდა — სად ბანკი და სად ჰოლივუდის მსახიობი? „inbox“-ი არის ბანკი „კონსტანტას“ ახალი დაგროვებითი პროდუქტი, რომელიც ეხმარება მომხმარებელს იმ თანხების დაგროვებაში, რასაც რეალურად ყოველდღიურად ვკარგავთ. inbox-ი — ეს არის პროდუქტი რომელიც ეხმარება მომხმარებელს ნებისმიერი სურვილის ასრულებაში. ეს არის შენი მეგობარი, შენი ნებისმიერი სურვილისთვის. ვინი კი მისი ხასიათიდან, თვისებებიდან გამომდინარე ამ პროდუქტის ხასიათთან ახლოს არის — ამბიციურია, გამკეთებელი. პროდუქტის ფილოსოფიაც ეს არის, რომ გაძლევს საშუალებას ნებისმიერი შენი სურვილი აისრულო. გადადგი პირველი, მეორე,




მესამე ნაბიჯი და მიაღწევ. ვინიც ისეთი ტიპია, რასაც უნდა, იმას აკეთებს ყოველთვის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეს პირველი პრეცედენტია, როცა ქართული პროდუქტის პოპულარიზაციისთვის ჰოლივუდის ვარსკვლავი ჩამოვიყვანეთ. ესეც იმის დასტურია, რომ სურვილის მიღწევა შესაძლებელია, თუკი მისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებ. ჩვენ გვინდოდა, რომ რაღაც განსხვავებულად გაგვეკეთებინა და ვფიქრობ, გამოგვივიდა კიდეც.“

**ვინი ჯონსი,** *ჰოლივუდის მსახიობი:* „ბანკს უნდოდა დაგროვების სერვისი შეეთავაზებინა მომხმარებლისთვის და მე მთხოვეს მათ სარეკლამო კამპანიაში მიმეღო მონაწილეობა, რომელიც ამ გუნდთან ერთად გავაკეთე. ორი დღე ვიღებდით სარეკლამო რგოლს, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან სახალისო გამოვიდა. ახალგაზრდებში ეს შეცვლის დამოკიდებულებას ფულის დაზოგვისადმი და მისცემს საშუალებას აისრულონ თავიანთი ოცნებები.

ეს მართლაც ძალიან მაგარი პროდუქტია. ოთხი დღის განმავლობაში ძალიან რთულია შეაფასო ქვეყანა, მაგრამ ის, რაც მომეწონა, ეს არის თქვენი სტუმართმასპინძლობა, დახვედრა, კერძები“,

**ნიკოლოზ ხომასურიძე,** *ვინი ჯონსის წარმომადგენელი საქართველოში, „ნიკოლოზ ფილმსის“ წარმომადგენელი:* „ეს სარეკლამო კამპანია ძალიან საინტერესოდ დაიგეგმა. ეს უნდა ყოფილიყო პირველი პრეცედენტი, რომ ქართული პროდუქტის რეკლამა უცხოელ ვარსკვლავს გაეკეთებინა. ჩვენ და ვინი ჯონსს საერთო მეგობრები გვყავს, დავუკავშირდი მის მენეჯერს, გარკვეული პირობები შევათანხმეთ და მიხარია, რომ ამ ისტორიული პრეცედენტის მოწმე ვართ. ეს შემთხვევა ისტორიულია იმ თვალსაზრისით, რომ ქართული სარეკლამო ბაზრის განვითარება აბსოლუტურად ახალ ეტაპზე გადავიდა. ჩვენთვისაც უდიდესი განვითარება მოიტანა ამ გარემოებამ. ეს შემდეგში მოიტანს უდიდეს შედეგს, სხვა მსახიობებსაც მისცემს ბიძგს, რომ ჩამოვიდნენ, ხოლო კომპანიებს სტიმულს — მიიწვიონ ჰოლივუდის სხვა მსახიობები. inbox-ი ჩემთვის ზეპროდუქტია, რომელმაც შეძლო ოცნებების ასრულება. მე პირადად უკვე ავისრულე ოცნება inbox-თან ერთად“.

**ლომერ ახვლედიანი,** *ბანკ „კონსტანტას“ სარეკლამო რგოლების ოპერატორი:* „ყველა ის კლიპი, რომელიც ვინიმ გადაიღო, იმდენად სახასიათოა, რომ აუცილებლად დაამახსოვრდება მაყურებელს. მიუხედავად ჩემი დიდი გამოცდილებისა, მასთან მუშაობა იყო კიდევ ერთი საინტერესო მაგალითი პროფესიონალური ოსტატობისა“.

P.S. ბანკ „კონსტანტას“ დაგროვებითი ბარათის inbox-ის სარეკლამო კამპანიის დასაწყისი პროვოკაციული და ხმაურიანი იყო. თუმცა ბანკის წარმომადგენლები არანაკლებ ხმაურიან და გასართობ რეკლამას გვპირდებიან ვინი ჯონსის მონაწილეობით.

*ემა ტუხიაშვილი*

R

# „ადვოკატმა მითხრა, დავით საყვარელიძეს შენი მანქანა მოეწონა და შენი ჰამერის „პიკაპი“ უნდა აჩუქოო“



(დასაწყისი გვ.10)

**— რატომ?**

— კარანტინში საშინელი სიცხე იყო, ოხშივარი აგვდიოდა, ოფლად ვიღვრებოდით. იმ საკანში კი მეორე უკიდურესობა დამხვდა, ისეთი სიცივე იყო, ცუდად გავხდი. წარმოიდგინეთ, ნესტიანი სარდაფი, საშინელი სიცივე, არც სკამი, არც საწოლი. რომ გადავყავდით, გამოცდილმა პატიმრებმა მითხრეს, საკანში არ გაჩერდე, სულ იმოძრავე, თუ ჩაგეძინა, გაიყინებიო. ვმოძრაობდი, მაგრამ ასე რამდენი დღე უნდა გაძლო ადამიანმა. ცოტა ხნით ფეხსაცმელს ვიხდიდი და იმაზე ვჯდებოდი, მაგრამ მერე ფეხზე ველარ ვდგებოდი. 5 დღე ასე მაწამეს. ტუალეტის ქაღალდს რომ არ მოგცემენ, რაღაზეა ლაპარაკი. ყველაფერს ხომ ვერ იტყვი თავმოყვარე კაცი? იმის გადმოცემა შეუძლებელია, რაც გადავიტანეთ. ციხეში რომ ამიყვანეს, იქაურობა 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო მეგონა. ამდენი ხნის ნაწამებს, დაუბანელს საშინელი სუნი ამდიოდა. ციხეში ბანაობა მხოლოდ კვირაში ერთხელ იყო. ძალაგამოლეული ვიყავი. ბიჭები მიწმენდდნენ სხეულს სველი ტილოთი, ძლივს მომასულიერეს. კარანტინში 19 დღე ისე ვიყავი, არაფერი მიჭამია. ციხეშიც რამდენიმე დღე საჭმელს ვერ გავეკარე... მეუბნებოდნენ, 8-დან 12 წლამდე პატიმრობა გელისო და მიზეზიც კი არ ვიცოდი, ესეც მანერვიულებდა, მაგიჟებდა. ადვოკატი ყველა შეხვედრაზე მეუბნებოდა, წილი უნდა დათმო, გამოსავალი ეს არისო. ბოლოს მითხრა, ხომ იცი, ესენი რისი გამკეთებლები არიან, თუ არ დათმობ, იცოდე, 18 წლის ბიჭი გყავს და იმასაც გვერდზე მოგისვამენო. ერთხელ მითხრა, დავით საყვარელიძეს შენი მანქანა მოეწონა და შენი ჰამერის „პიკაპი“ უნდა აჩუქოო. თბილისში ისეთი მანქანა მარტო მე მყავდა. 80.000 დოლარი გადავიხადე და საყვარელიძისთვის რატომ უნდა მეჩუქებინა? ბოლოს ის მანქანა ხურდაში წამართვეს. 9 წელი წეწავდნენ ადამიანებს. თქვენ არ იცით, კიდევ რამდენი აქვთ წაღებული ჩვენგან.

> **კრედიტის თანხა უკვე 25 მილიონ დოლარამდეა ასული. აზრი არ ჰქონდა მათთან ჭიდილს. მერე დაიძმაკაცეს ჩემი პარტნიორი კოხოძე, დეპუტატი გახადეს და „ბულკივით“ ეჭირათ ხელში, როცა უნდოდათ, ჩაკბეჩდნენ**

**— რამდენი გადაუხადეთ?**

— დაჭერამდეც ბევრჯერ შეგვაწერეს ფული. რომ ხედავდნენ, ბიზნესი გქონდა, ფულს გთხოვდნენ. „ევროპაშიც“ მაქვს 15%-იანი წილი, ჩემი დაჭერიდან ერთ წელიწადში „ევროპას“ 10 მილიონი დაარიცხეს. ვითომ ჩვენი ახლობელი მინისტრები ჩაერივნენ... გვითხრეს, პატივი გეცით, 9 მილიონი დაგიკელით და ერთი მილიონი მოგვეცითო და გადავიხადეთ. ძირითადად, წილების თემას ადეიშვილი აკონტროლებდა. ჯერ კიდევ 2005 წელს „თეგეტაში“ კეზერაშვილის ფინანსური შემოვიდა და მაშინ 8 მილიონი აგვახიეს, გასაჩივრება დავაპირეთ და პრეზიდენტს მივწერეთ. არადა, თავიდან იმით დაიწყეს, მილიონი მოგვეცითო, ამაზე უარი ვთქვით და საბოლოოდ 8 მილიონი წაიღეს. თან იმას გვასწავლიდნენ, რომელი ბანკიდან აგვეღო კრედიტი. კრედიტის თანხა უკვე 25 მილიონ დოლარამდეა ასული. მოკლედ, აზრი არ ჰქონდა მათთან ჭიდილს. მერე დაიძმაკაცეს ჩემი პარტნიორი კოხოძე, დეპუტატი გახადეს და „ბულკივით“ ეჭირათ ხელში, როცა უნდოდათ, ჩაკბეჩდნენ.

**— როგორც მახსოვს, მაშინ ბრალი აღიარეთ...**

— ციხეში ისეთი ვითარება იყო, პროკურორ მგელაძეს პირდაპირ ვუთხარი, დაწერეთ, რაც გინდათ და ხელს მოგიწერთ-მეთქი. ადვოკატსაც მივახალე, შენ მაგათი კაცი ხარ-მეთქი. პირდაპირ მითხრა, მე ჩემს საქმეს უკვე მოვრჩი და ახლა სხვა ადვოკატი აიყვანეო. რომ არ მეღიარებინა, ამ დრომდე წამებაში უნდა ვყოფილიყავი. ოღონდ იქიდან გამოვსულიყავი და თანახმა ვიყავი, მეღიარებინა ყველაფერი. შეთხზეს ბრალიც და საპროცესო გარიგებით დაკავებიდან 3 თვეში გამოვედი. 250.000 ლარი გადამახდევინეს, ამის მერე მანქანის დაბრუნება მოვითხოვე. მეუბნებოდნენ, მანქანა ხომ გვაჩუქეო? მანქანა რომ დაებრუნებინათ, დამატებით 50.000 გადამახდევინეს. ჩეკები ახლაც მაქვს. ერთი თვე ვიარე იმ მანქანით და მერე 60.000 დოლარად გავყიდე.

საბოლოოდ, სასამართლომ პირობითი 5 წელი და მეექვსე გამოსაცდელი ვადა მომისაჯა. მთელი სიცოცხლე წელში გამართული დავდიოდი და ახლა შეურაცხყოფილი ვარ იმით, რაც თავს გადამხდა.

**— ფიზიკური ზემოქმედება თქვენზე ხდებოდა?**

— ფიზიკური არ მომხდარა, მაგრამ მესმოდა, როგორ უმოწყალოდ სცემდნენ პატიმრებს. საშინელი ბღავილის ხმა გამოდიოდა. რამდენჯერმე ცელოფანში გახვეული ცხედარი რომ მიჰქონდათ, ისიც დამინახავს. ჩემი საკნის ბიჭები ამბობდნენ, ნეტავ არ გაგიშვან, რაც შენ გადმოგიყვანეს ციხეში, ჩვენს საკანში არ შემოდიან და არ გვცემენ, მანამდე კი საშინელ დღეში ვიყავითო. ჩემზე ცრუინფორმაციას ავრცელებდნენ ციხეში. ცხადაძემ ვიღაცას ყბა მოუნგრია, ვიღაცას ხელი მოსტეხა, ვიღაცას სცემაო.

**— რეაბილიტაციას და წართმეული მიწის ნაკვეთის დაბრუნებას მოითხოვთ?**

— მოვითხოვ. ჩემი ნაყიდი მიწა დღეს ვიღაც ინდოელის სახელზეა გაფორმებული. ის ინდოელი საქართველოს მოქალაქეა. ეს რომ ვნახე, გულზე გავსკდი. მიმტკიცებდნენ, გამწვანების ზოლი იყო, არ უნდა გასხვისებულიყო, თავის დროზე არასწორად გააფორმესო. ახლა ინდოელს ეკუთვნის, მის უკან ის ხალხი დგას, ვინც ქვეყანაში წილების წართმევაზე მუშაობდა.

**— „თეგეტა“-ში 21%-იან წილს რა ბედი ეწია?**

— ბოლომდე ვიბრძოლე, ეს წილი ახლაც მე მაქვს.

***თეა ხურცილავა***

# საქართველო განათლების მე-3 საერთაშორისო გამოფენას მასპინძლობს

*ბრიტანეთი, თურქეთი, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ჩეხეთი, პოლონეთი, მალაიზია, რუსეთი, უნგრეთი, — ამ ქვეყნების უნივერსიტეტები, კოლეჯები და უმაღლესი სკოლები იქნებიან წარმოდგენილი 15-16 თებერვალს, გამოფენების ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას“ მე-11 პავილიონში, სადაც განათლების საერთაშორისო გამოფენის გაზაფხულის სეზონი გაიხსნება. გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. საგამოფენო სტენდებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან 100-მდე ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი. ღონისძიება შეეხება განათლების სხვადასხვა სფეროს, ეტაპსა და მიმართულებას, რომლის შესახებაც ქართველ (და არა მარტო) საზოგადოებას უამრავი შეკითხვა აქვს, თუმცა ამომწურავი პასუხის მიღება უჭირს. გამოფენის დღეებში დაგეგმილ სიახლეებსა და დეტალებზე პროექტის მენეჯერი* ***თეონა თავაძე*** *გვიამბობს.*



International Education Fair

— ჩვენი საგამოფენო ცენტრი ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა თემატიკის საერთაშორისო ინდუსტრიულ გამოფენებს. ზოგიერთი მათგანი უკვე 10-15 წელია ამ გამოფენაში მონაწილეობს. ყოველწლიურად ტარდება ჩვენი ცენტრის ტერიტორიაზე, მაგრამ ეს პროექტი შედარებით ახალია, რადგან მისი ორგანიზება 2 წლის წინ დავიწყეთ და წელს უკვე მესამედ გაიმართება საგამოფენო ცენტრის ტერიტორიაზე.

***— განათლების საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში მხოლოდ სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებები იქნება წარმოდგენილი?***

— არა მარტო, აქ წარმოდგენილი იქნება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები. გამოფენაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციები, რომელთა ძირითადი მიზანი საგანმანათლებლო სექტორის ხელშეწყობა და განვითარებაა.

ორი დღის განმავლობაში გაიმართება უნივერსიტეტების პრეზენტაციები და ღია კარის დღეები, სადაც დამთვალიერებელს საშუალება მიეცემა სასურველი ინფორმაცია პირდაპირ საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისგან მიიღოს და მიმდინარე პროგრამებსა და სწავლის პირობებს გაეცნოს.

***— რას გულისხმობს განათლების გამოფენა?***



— განათლების საერთაშორისო გამოფენა-ფორუმი ფართოდ მოიცავს განათლების სექტორს, ანუ ეს გახლავთ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური, სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების, ტრენინგცენტრების, საერთაშორისო ფონდებისა და პროგრამების გამოფენა.

წელს გამოფენაზე დაახლოებით 100-მდე ორგანიზაცია იქნება წარმოდგენილი. განსაკუთრებით საყურადღებოა რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობა, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებიან სტენდებზე: „სწავლა ლატვიაში“, „სწავლა ლიტვაში“ და „სწავლა პოლონეთში“, სტენდზე მისული დამთვალიერებელი მიიღებს ინფორმაციას ამ ქვეყნების საგანმანათლებლო სექტორის შესახებ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების შესახებ, ქართველი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურისა და სხვადასხვა უნივერსიტეტის პროგრამების, ფაკულტეტებისა და სპეციალობების შესახებ.

***— თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყველა ორგანიზაცია განსხვავებულ თემატიკას წარმოადგენს?***

— დიახ, სხვადასხვა უნივერსიტეტი სხვადასხვა სპეციალიზაციის შეიძლება იყოს, ანუ ზოგი არის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ზოგიც ჰუმანიტარული, ზოგს მხოლოდ საბაკალავრო საფეხური აქვს წარმოდგენილი, ზოგს სამაგისტრო და სადოქტოროც, ანუ გამოფენაზე მოსული დამთვალიერებელი, მიუხედავად მისი ინტერესისა და მიზნებისა, მიიღებს სასარგებლო ინფორმაციას უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისგან.

გარდა ამისა, ზოგიერთ უცხოურ უნივერსიტეტს აქვს მოკლევადიანი კურსებიც, სადაც პირობებიც სხვანაირია და საფასურიც. სწავლის ხანგრძლივობაც პროგრამის შინაარსზეა დამოკიდებული.

მონაწილე უნივერსიტეტების გარდა, ასევე მნიშვნელოვანია ფონდები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც რომელიმე კონკრეტულ უნივერსიტეტს კი არ წარმოადგენენ, არამედ აბიტურიენტს ან სტუდენტს ეხმარებიან საზღვარგარეთ მისთვის საინტერესო უნივერსიტეტის, ქვეყნის ან სასწავლებლის მოძიებაში. მსგავსი ორგანიზაციები და საგანმანათლებლო სააგენტოები ხშირად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია სწავლის მსურველსა და სასწავლებელს შორის. პროგრამის გარდა, ცხადია, მნიშვნელოვანია ცხოვრების პირობების სწორად შერჩევა, მგზავრობისა და გადახდის პირობების სწორად დაგეგმვა და ა.შ. სწორედ ეს არის ჩვენი გამოფენის დანიშნულება, — თავი მოუყაროს ყველა იმ ორგანიზაციასა და სასწავლებელს, რომლის შეთავაზებაც საინტერესო იქნება სტუდენტებისთვის, აბიტურიენტებისთვის და მათი მშობლებისთვის. გამოფენაზე დასწრება თავისუფალია და ორი დღის განმავლობაში, 12-დან 19 საათამდე, ნებისმიერ მსურველს შეუძლია გვეწვიოს. გამოფენის პარალელურად გაიმართება ბევრი წამახალისებელი და გასართობი ღონისძიებაც, გათამაშდება სხვადასხვა პრიზი და საჩუქრები, ჩატარდება უნივერსიტეტების გასართობი აქციები დამთვალიერებლებისთვის.

ასე რომ, გვეწვიეთ 15-16 თებერვალს განათლების გამოფენაზე, დასწრება თავისუფალია.

***ლალი პაპასკირი***

R

**„რა დააშავეს ბავშვებმა? მისცენ ისინი გასაზრდელად იმათ, ვისაც ბავშვი ენატრება"**

*რამდენიმე დღის წინ სიღნაღში ორი შვილის დედამ, 32 წლის ქალმა ფარულად იმშობიარა და ჩვილი საპირფარეშოში ჩააგდო...*

*რამდენიმე თვის წინ, თბილისში, იყალთოს ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის კართან დაგდებული ჩვილი ნახეს, ჭიპლარიც კი არ ჰქონდა გადაჭრილი. საბედნიეროდ, ახალშობილი გადარჩა...*



# ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ?

# ᲐᲜᲣ ᲩᲕᲘᲚᲗᲐ ᲙᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲝᲑᲘᲐᲐ?!

ორიოდე წლის წინ, „კვირის პალიტრასთან" ამ საკითხზე მსჯელობისას არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" რეგიონულმა კოორდინატორმა ელისო ამირეჯიბმა აღნიშნა, რომ მუშავდება პროექტი, რომელმაც ამ პრობლემის დაძლევას უნდა შეუწყოს ხელი: „თბილისში და ალბათ, საქართველოს სხვა ქალაქებშიც, სამშობიაროებთან სპეციალური ყუთები, ე.წ. „ბეიბი ბოქსები" დაიდგმება. ქალებს, რომლებსაც სურთ, მოიშორონ არასასურველი ბავშვი, შეეძლებათ, მშობიარობისთანავე ამ ყუთში მოათავსონ ჩვილი. ყუთებში უცხო სხეულის მოთავსებისთანავე ირთვება სიგნალიზაცია და მედპერსონალი პატარას მიაკითხავს. ასეთი ჩვილების დედები გათავისუფლდებიან სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, პატარები კი გაშვილების პროგრამაში ჩაერთვებიან. ეს იდეა საკანონმდებლო დონეზე უნდა დახვეწილიყო, თუმცა, სამწუხაროდ, იდეა იდეად დარჩა. ჩვენ ჯერ ისევ იმის კვლევაში ვართ, ვინ არის დედა, რომელიც შვილს ასე იმეტებს — სისხლის სამართლის დამნაშავეა თუ სამკურნალო. ვისი პრობლემაა ჩვილთა კვლა, ამის ჩამდენი ადამიანისა თუ საზოგადოების, რომელიც მსგავს პრობლემებს სხვადასხვაგვარად აღიქვამს?

სამედიცინო ფსიქოლოგიის სპეციალისტი **მაია შაშვიაშვილი** ეთანხმება მოსაზრებას, რომ ორსული ქალის ფსიქიკაზე განსაკუთრებულ გავლენას ახდენს სოციალური გარემო. ამიტომ ქალებისთვის, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ, ორსულობა დამატებითი სტრესია.

— ასეთ დროს ქალის ქცევას განსაზღვრავს როგორც პიროვნული თვისებები, ისევე გარემო, რომელშიც ცხოვრობს, საზოგადოება, რომლის წინაშე თავს ანგარიშვალდებულადაც კი თვლის. ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალებს, რომლებიც ახალდაბადებულ ჩვილებს სასიკვდილოდ იმეტებენ, აქვთ ფსიქიკური და ქცევითი აშლილობა.

**ვინ არის დედა, რომელიც შვილს ასე იმეტებს — სისხლის სამართლის დამნაშავე თუ სამკურნალო**

ისეთი ფაქტი, როგორიც სიღნაღში მოხდა, ძირითადად შემდეგი მიზეზებით არის გამოწვეული: შეიძლება ქალი არ იყოს გათხოვილი, ან ქმრისგან არ იყოს ორსულად, ამიტომაც ეშინია, რომ საზოგადოება მის ორსულობას სამარცხვინოდ ჩათვლის და ლაფს ესვრის. არ მინდა ასეთი ქალების გამართლება გამომივიდეს, მაგრამ ისინი ორსულობისას ამ სტრესში მყოფნი — იძულებული ხდებიან, ასეთი საქციელით იხსნან თავი.

მიმაჩნია, რომ საქმე გვაქვს ფსიქიკურ და მძიმე ფორმის აშლილობასთან, რომელიც, გამოწვეულია სოციალური ფობიის ფონზე მიღებული მძიმე სტრესით. ამას თან ახლავს პიროვნული კონფლიქტები, ფსიქოლოგიური პრობლემები. ქალს დახმარება სჭირდება, მიუხედავად იმისა, პიროვნული ფაქტორების გამო მოიქცა ასე თუ საზოგადოების დამოკიდებულებამ შეაშინა. სიღნაღელი ქალი დედაა, ორი შვილი ჰყავს. თუ საზოგადოება გარიყავს, კიდევ უფრო გავამძაფრებთ ასეთი ფაქტების გამომწვევ მიზეზებს, გავაღრმავებთ სოციალურ ფობიას, რომელიც ისედაც არსებობს ქართველ ქალებში. უნდა გვახსოვდეს, რომ კვლავ იარსებებენ ქალები არასასურველი ორსულობით და რაც უფრო მეტად დავუჭერთ მათ მხარს, მით უფრო შევამცირებთ ასეთ ტრაგიკულ ფაქტებს.

სწორედ ამიტომ არის საჭირო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, რისი სურვილიც თავად საზოგადოებაში გაჩნდება, თუკი არ დაგვავიწყდება, რომ თითოეული ადამიანის ცხოვრებისეული ქცევების განსაზღვრაში მეტ-ნაკლებად ყველანი ვიღებთ მონაწილეობას. ასეთი ქალების პრობლემა უნდა გახდეს საზოგადოების სატკივარი, რადგან შესაძლებელია, ასეთი რამ ნებისმიერ ჩვენგანს ან ჩვენს ახლობელს დაემართოს.

P.S. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ სამწუხაროდ, მამაკაცსაც აქვს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები და არავინ ეხმარება მათ დაძლევაში. კაცი თავს ფუნქციადაკარგულად მიიჩნევს — ვერც სამშობლო დაიცვა და ვერც ოჯახის ფინანსური უზრუნველყოფა შეძლო. შეშინებულია და გაურბის ყველაფერს, მათ შორის — მამის მოვალეობასაც.

ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲔᲑᲐ „ᲑᲔᲘᲑᲘ ᲑᲝᲥᲡᲘᲡ" ᲘᲓᲔᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ. ᲠᲐ ᲓᲐᲐᲨᲐᲕᲔᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲛᲐ?

მისცენ ისინი გასაზრდელად იმათ, ვისაც ბავშვი ენატრება.

*ეკა ლომიძე*

www.kvirispalitra.ge

**თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში**


# ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔ ᲐᲠ ᲛᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ!

თემა: კარგი მხედველობა - ჯანმრთელი თვალები

**კვლევების თანახმად, ადამიანი ინფორმაციის დაახლოებით 70%-ს თვალების მეშვეობით იღებს. თუმცა, კომპიუტერთან მუშაობის, ტელევიზორის ყურების, ცუდი განათების პირობებში კითხვის, ღამით ან კაშკაშა მზეზე ავტომობილის მართვის დროს თვალები იღლება. ამიტომ სულ უფრო ხშირად, ახალგაზრდებიც კი ჩივიან მხედველობის გაუარესების გამო.**



**არ მინდოდა სათვალის ტარება**

„ძალიან მიყვარს კითხვა. მაგრამ შევამჩნიე, რომ ხანგრძლივად კითხვისას თვალები მეღლება, მიწითლდება, მეცრემლება, ხოლო ასოები ბუნდოვანი ხდება. ვიფიქრე, რომ სათვალე მჭირდებოდა. მაგრამ სათვალის ტარების არავითარი სურვილი არ გამაჩნდა. აი, სწორედ მაშინ დავინტერესდი, თუ როგორ დავხმარებოდი საკუთარ თვალებს, - გვიამბობს ანელი. – გავიგე, რომ მხედველობის გაუარესების მიზეზი, შესაძლოა, თვალებისთვის აუცილებელი საკვები ნივთიერებების ნაკლებობა იყოს. ამიტომ არ დაველოდე მხედველობის კიდევ უფრო მეტად გაუარესებას და მოქმედება დავიწყე."

**აღმოვაჩინე „ბლუბერის" ტაბლეტები**

„აფთიაქში ვიყიდე შვედური ტაბლეტები „ბლუბერი", რომელსაც უკვე მეორე თვეა, ვიღებ და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. კითხვისას ჩემი თვალები გაცილებით ნაკლებად იღლება, აღარ მეცრემლება, აღარ მექავება და ასოებსაც მკვეთრად ვხედავ! ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან სათვალის გარეშე ვაგრძელებ ცხოვრებას! „ბლუბერის" ტაბლეტებს ვურჩევ ყველას, ვინც ბევრს კითხულობს, ავტომობილს მართავს ან დღის უმეტეს ნაწილს კომპიუტერთან ატარებს."

**კარგად ხედავ – და ცხოვრებაც გიხარია!**

თვალები ჩვენს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კითხვის, ავტომობილის მართვის, კომპიუტერთან მუშაობის, ან ტელევიზორის ყურების გარეშე ხომ ცხოვრება სრულიად წარმოუდგენელია. დადგენილია, რომ თვალის უნარი, მოახდინოს მკვეთრი და მკაფიო გამოსახულების ფოკუსირება, ქვეითდება თვალის ბროლის გამკვრივების გამო – ზოგჯერ თვალის კუნთების შესუსტების ან საკვები ნივთიერებების, მაგალითად, ლუტეინის ნაკლებობის შემთხვევაში. ბევრი ადამიანი ამას მხოლოდ მაშინ გრძნობს, როდესაც ცუდად განათებულ ადგილას უხდება კითხვა, ღამით უწევს ავტომობილის მართვა, ან ნემსის ყუნწში ძაფის გაყრა ჭირდება.

**ორიგინალური შვედური ტაბლეტები: „ბლუბერი"**

კვლევები აჩვენებს, რომ კარგი მხედველობის და ჯანმრთელი თვალების შესანარჩუნებლად, აუცილებელია კარგი კვება. ეს ყველა ასაკობრივ ჯგუფს ეხება. თუმცა, ადამიანების უმრავლესობა, საკვებ პროდუქტებთან ერთად კარგი თვალებისა და მხედველობის შენარჩუნებისათვის საჭირო ნივთიერებებს საკმარისი რაოდენობით ვერ იღებს.

ჩვენი ორგანიზმი არ გამოიმუშავებს ლუტეინს, რომელიც ასე საჭიროა კარგი მხედველობისთვის. „ბლუბერის" ტაბლეტებში აქტიური ნივთიერებების ისეთი რაოდენობები შედის, რომელიც შეესაბამება 1 კგ. ახალ მოცვს. ამასთან ერთად, „ბლუბერის" ტაბლეტებში შედის ყურძნის წიბწების ნატურალური ექსტრაქტი და სამკურნალო კორდისკბილა, რომელიც კარგ მხედველობას უზრუნველყოფს.

**მხედველობის ცვლილება**

თუ გსურთ დიდხანს დარჩეთ აქტიური და მაქსიმალურად ისიამოვნოთ ცხოვრებით, მაშინ აუცილებლად გჭირდებათ ჯანმრთელი თვალები და კარგი მხედველობა. რა თქმა უნდა, ასაკთან ერთად, ორგანიზმში სხვადასხვა სახის ცვლილებები ხდება, მათ შორის თვალის ასაკობრივი ცვლილებაც. ამიტომ, ნუ დაელოდებით მხედველობის გაუარესებას და იმას, თუ როდის დაგეწყებათ თვალებიდან ცრემლდენა. სამწუხაროდ, მხოლოდ მხედველობის გაუარესების შემდეგ ვაცნობიერებთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის კარგი მხედველობა და ჯანმრთელი თვალები. მხედველობის გაუარესების პირველ ნიშნებს მიეკუთვნება: თვალების სწრაფად დაღლა, ქავილი, ცრემლდენა. ამის შემდეგ მხედველობის გაუარესება შეიძლება შევნიშნოთ კითხვისას, როცა ასოები ბუნდოვნად ჩანს. ზოგჯერ, შორს მდებარე ობიექტების ან საგნების აღქმა იცვლება – ისინი ან რეალურ ზომებთან შედარებით უფრო დიდად, ან პირიქით, უფრო მცირე ზომისად გვეჩვენება. ხშირად ადამიანები ჩივიან, რომ კითხვისას, თითქოს, ასოები სტრიქონებს შორის „დახტის", ან მუქი ფერის ლაქებს ხედავენ – მხედველობა სულ უფრო და უფრო უარესდება.




**ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ, ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ?**

| | კი | არა |
|---|---|---|
| ხშირად გეცრემლებათ, გექავებათ თვალები? | ☐ | ☐ |
| სიბნელეში, ან შებინდებისას უფრო ცუდად ხედავთ? | ☐ | ☐ |
| ხანგრძლივად კითხვის დროს, ასოები ბუნდოვანი ხომ არ ხდება? | ☐ | ☐ |
| მკვეთრ სინათლეზე თუ რეაგირებს თქვენი თვალები? | ☐ | ☐ |
| შორს მდებარე საგნებისა და ობიექტების მკაფიოდ გარჩევა გიჭირთ? | ☐ | ☐ |

ᲗᲣᲙᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲓ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲗ ᲩᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲖᲔ ᲛᲔᲢᲡ, ᲔᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲑᲐᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ.

**ᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝ „ᲑᲚᲣᲑᲔᲠᲘᲡ" ᲢᲐᲑᲚᲔᲢᲔᲑᲘ?**

ბლუბერის ტაბლეტების შეძენა შეიძლება აფთიაქში. პრეპარატის შესახებ უფრო დაწვრილებითი ინფორმაციის მოსაძიებლად იხილეთ ინტერნეტ-საიტი:

www.newnordic.lv

ან დარეკეთ ტელეფონზე:

☎ 570 102 392

ქალაქის ნომრიდან ზარი უფასოა




ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ PSP №1 ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲔᲑᲨᲘ

შეფუთვაზე მოძებნეთ ვერცხლისფერი საფირმო ნიშანი. ეს იმის გარანტიაა, რომ პრეპარატი შეესაბამება ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებს, რომელსაც კომპანია „ნიუ ნორდიკი" გთავაზობთ.

„ნიუ ნორდიკი" ზრუნავს ადამიანებსა დაბუნებაზე.

R

# ჩემი გვერდი

## შეადგინე სიტყვები

ამოიცანი ნახატები, მათი სახელების პირველი ასოები ჩაწერე ცარიელ უჯრებში და შეკითხვებზე პასუხებს მიიღებ

დარტყმისგან ამობურცული ადგილი თავზე

ატმოსფერული მოვლენა

ქართული ანბანის მე-13 ასოს სახელი



## ვიქტორინა



**1**

რომელია თევზის სასუნთქი ორგანო?

ა) ლაყუჩები;
ბ) ფარფლები;
გ) ფილტვები;
დ) კუდი.

**2**

რომელია ლაბირინთების „ინჟინერი"?

ა) თხუნელა;
ბ) თაგვი;
გ) ციყვი;
დ) ვირთხა.

**3**

რა ჰქვია ჩანთოსან დათვს?

ა) კენგურუ;
ბ) კოალა;
გ) თეთრი დათვი;
დ) მურა დათვი.

## რებუსები



ამოხსენი რებუსები და გაიგებ, რისი სახელმძღვანელოებია მოცემული წიგნები

## იპოვე 5 განსხვავება



პასუხები იხილე: 37-ე გვ.



# ფოტოფაქტები „საუკუნის 50 საუკეთესო ფოტოდან“

## მოკალი, თუ გინდა, რომ შეგიყვარონ (?!)




*ჰინკლიმ სასამართლოზე განაცხადა: „რაც ჩავიდინე, „სიყვარულის ყველაზე დიდი გამოხატვაა მსოფლიო ისტორიაში“*



*თავდასხმა პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე 1981 წლის 30 მარტს*



*როდესაც რეიგანი პრეზიდენტის ლიმუზინში ჯდებოდა, ჯონ ჰინკლიმ 3 წამში მისკენ 5,6 მმ-კალიბრიანი 6 ტყვიის სროლა მოასწრო...*

ფსიქიკურად დაავადებულმა ჯონ ჰინკლიმ, როდესაც რეიგანი სიტყვით გამოსვლის შემდეგ პრეზიდენტის ლიმუზინში ჯდებოდა, 3 წამში მისკენ 5,6 მმ-კალიბრიანი 6 ტყვიის სროლა მოასწრო.

პირველი ტყვია თეთრი სახლის პრესმდივან ჯეიმს ბრეიდის მოხვდა თავში, მეორე — პოლიციელ ტომას დელაჰანტის ზურგში, მესამე — მოპირდაპირე სახლის ფანჯარას, მეოთხე — სპეცაგენტ ტიმოთი მაკარტის, მეხუთე — ლიმუზინის გალებული კარის შეჯავშნულ მინას, მეექვსე კი ავტომობილის კორპუსმა აისხლიტა, რეიგანს მკერდში მოხვდა, ნეკნზე აცურდა და ფილტვში გაიჩხირა. საბედნიეროდ, ყველა ცოცხალი გადარჩა.

რეიგანის დაჭრა მაშინვე არ შეუმჩნევიათ — როდესაც სპეცაგენტმა ჯერი პერიმ, რომელიც სროლისას უკვე მანქანაში მჯდარ პრეზიდენტს გადაეფარა, რეიგანის შემოწმება დაიწყო, პრეზიდენტს სისხლიანი ხველა აუტყდა. რეიგანმა იფიქრა, პერიმ შემთხვევით ნეკნი გამიტეხა და ძვალმა ფილტვი დააზიანაო. პრეზიდენტი დაუყოვნებლივ გადაიყვანეს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის კლინიკაში. რეიგანი თავისი ფეხით მივიდა რეანიმაციამდე, მაგრამ უცებ სუნთქვა შეეკრა და დაეცა. ოპერაციის წინ კი მაინც მოახერხა გახუმრებოდა ექიმს, — იმედია, თქვენ რესპუბლიკელი ხართო, რაზეც ექიმმა სერიოზულად მიუგო, — დღეს ჩვენ, ყველანი, რესპუბლიკელები ვართ, ბატონო პრეზიდენტოო.

...თავდამსხმელმა კი დაჭერისთანავე იკითხა, — გადაიტანდნენ თუ არა „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიას პრეზიდენტზე თავდასხმის გამო. ცერემონია მართლაც ერთი დღით გადაიტანეს... აღმოჩნდა, რომ რეიგანი სინამდვილეში კინაღამ ფსიქიკურად დაავადებულის უიღბლო სიყვარულს შეეწირა!

ჯონ ჰინკლის ჯერ კიდევ 70-იან წლებში ფილმ „ტაქსისტის“ ნახვის შემდეგ უიმედოდ შეუყვარდა ჯოდი ფოსტერი, რომელიც ფილმში 12 წლის მეძავის როლს თამაშობს. იგი ჯოდის რამდენიმე წელი უკან დასდევდა, სწერდა წერილებს, რამდენჯერმე ტელეფონით დალაპარაკებაც მოახერხა. ბოლოს კი ჩააბარა იელის უნივერსიტეტში, სადაც ფოსტერი სწავლობდა. მსახიობის მიერ თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ ხელნაკრავმა მიჯნურმა აიკვიატა, რომ თუ საქვეყნოდ ცნობილი გავხდები, ჯოდი უარს ველარ მეტყვისო. სახელის გასათქმელად ჰინკლიმ ჰეროსტატეს მოკლე გზა აირჩია და ამისთვის პრეზიდენტის მოკვლა გადაწყვიტა. პრეზიდენტი კი მაშინ ჯიმი კარტერი იყო! ამიტომ ჰინკლი ჯერ კარტერს დასდევდა მოსაკლავად, ჯოდის კი კვლავ წერილებს სწერდა. ცხადია, წერილები პოლიციაში აღმოჩნდა, მაგრამ ფსიქიკურად დაავადებულს ვერ მიაკვლიეს. ამასობაში კი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი გახდა...

ჰინკლი ექსპერტიზამ შეურაცხადად ჩათვალა, ის დღემდე ვაშინგტონის წმინდა ელისაბედის ჰოსპიტალში ცხოვრობს, ცხადია, არაფერს ნანობს. სასამართლოზე განაცხადა, რაც მე ჩავიდინე, „სიყვარულის ყველაზე დიდი გამოხატვაა მსოფლიო ისტორიაშიო“. თუმცა „უგულო“ ფოსტერი მას არც ამის შემდეგ გამოხმაურებია...

## 200 პაემანი გვირაბის ბოლოს



*პატიმარი ჰორაციო გრეისლი გამომწვევად უყურებს ჰაინრიხ ჰიმლერს ოსვენციმის ბანაკის შემოწმებისას, 1941 წელი*

20 წლის ინგლისელი ჯარისკაცი ჰორაციო ჯოზეფ გრეისლი, ხელობით პარიკმახერი, ფაშისტებს ტყვედ 1940 წლის მაისში საფრანგეთში ჩაუვარდა და ზემო სილეზიაში, ქალაქ ლამსდორფის სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოხვდა. ჰორაციოსა და 17 წლის თარჯიმან გოგონას, როზა რაუხბახს, რომელიც იქაური ქვის სამტეხლოების უფროსის ქალიშვილი იყო, დანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი.

როზა თავის ებრაულ წარმომავლობას მალავდა, რაც მათ ურთიერთობას უფრო საშიშს ხდიდა — გამოაშკარავების შემთხვევაში სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდათ. ამის მიუხედავად, ზედამხედველების ცხვირწინ შეყვარებულები ხშირად ახერხებდნენ შეხვედრას. რამდენიმე კვირაში ჰორაციო ოსვენციმში გადაიყვანეს, თუმცა ბანაკის პარიკმახერის საშუალებით შეყვარებულებმა მიმოწერა განაგრძეს. როცა როზას ოვენციმთან ახლომდებარე ბანაკებში თარჯიმნის მოვალეობის შესრულება უწევდა, ჰორაციო მასთან ღამღამობით გვირაბით იპარებოდა, გვირაბი კი მეგობრების დახმარებით გათხარა. დაბრუნებისას როზასგან მეგობრებისთვის მოსაკითხებიც მოჰქონდა.

ჰორაციო ოსვენციმიდან თავის სატრფოსთან 200-ჯერ მაინც გაიპარა!

გრეისლიმ 5 წელი გაატარა მესამე რაიხის ფაბრიკებსა თუ მაღაროებში. ჰორაციო 1945 წლის მაისში გაათავისუფლეს. იგი როზას თავდებად დაუდგა ამერიკელებთან, სადაც ქალიშვილი აგრძელებდა თარჯიმნობას. სამწუხაროდ, მალე როზა მშობიარობას გადაჰყვა, ბავშვიც დაიღუპა. ინგლისში დაბრუნებულმა ჰორაციომ კი პარიკმახერობა განაგრძო...

სიყვარულისთვის თავდადებული მიჯნური 2010 წელს გარდაიცვალა, ორი წლით ადრე კი, 90 წლისამ, მწერალ კენ სკოტთან ერთად გამოუშვა წიგნი „ჭიკჭიკებენ თუ არა ჩიტები ჯოჯოხეთში?“

**მოამზადა რამაზ გურგენიძემ**

6 თებერვლიდან ყოველი თვის პირველ ოთხშაბათს!




საუკეთესო საჩუქარი ბავშვებს „დედაისტორია პატარებისათვის“ (15 ტომად) — ჩვენი სამშობლოს მატიანე ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, ილუსტრირებული, ზღაპრად მოყოლილი, ქვის ხანიდან დღემდე...

წიგნთან ერთად ჟურნალი „ჩვენი სამშობლო“ თითოეული ნომერი საქართველოს თითო ლამაზ კუთხეს მიეძღვნება და პატარებს მის მდებარეობასა და ქალაქებს, მდინარეებსა და ტბებს, ტრადიციებსა და ადათ-წესებს, ისტორიასა და კულტურას გააცნობს (პირველი ნაწილი — აფხაზეთი).

2-37-06-88
მოიკითხეთ პრესის გავრცელების ადგილებში

წაუკითხეთ შვილებს და შეუნახეთ შვილიშვილებს...


მთავარი წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო სანამ
ცოცხალი ხარ!
25 თებერვლიდან 4 მარტამდე
„კვირის პალიტრასთან“
ერთად სპეციალურ
ფასად 14 ლარად
ბიბლია
პროექტი
გრძელდება...
ბიბლია
სულ 100 წიგნი თქვენს თაროზე!

# „50+ბიბლია+49“ — სიცოცხლის გაგრძელების ფორმულა

**მიიღეთ მონაწილეობა ხმის მიცემაში, რომელიც გაიმართება ვებგვერდზე – „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!“, შეავსეთ კუპონები, რომელსაც გაზეთში იპოვით და რიცხვი „49“ აწერია. ერთად დავეხმაროთ ამ წიგნებს სიცოცხლის გაგრძელებაში...**

2010 წლის შემოდგომაზე „პალიტრამედიამ“ ახალი პროექტი დაიწყო, რომლის იდეის ავტორიც ამ ჰოლდინგის კრეატიული დირექტორი მარიკა დარჩია გახლდათ. ამ პროექტს — „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!“ დღეს ყველა იცნობს... ეს წიგნები სად არ შემხვედრია, ვისთან არ მინახავს — ცნობილ მწერლებთან, მსახიობებთან, რეჟისორებთან, მომღერლებთან და მეცნიერებთან... მათ თაროზე თვალსაჩინო ადგილას აწყვია წიგნები, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ...

განსაკუთრებით ერთი შემთხვევა დამამახსოვრდა — ეს წიგნები ისეთ ხელმოკლე ოჯახში დამხვდა, გამიკვირდა კიდეც. მასპინძელი შპალერჩამოხეულ კედელზე მიმაგრებულ თაროსთან მივიდა და ღიმილით მითხრა: — ამას რომ ვუყურებ, იმედიანად ვარ, ვცოცხლობ და სანამ ცოცხალი ვარ, აზრიანად მინდა ვიცოცხლოო... მაგიდაზე მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“ გადაშლილი იდო. ამ წიგნების შემხედვარე მარტოც აღარ ვარო, — გამიღიმა.

**მხოლოდ 12 თებერვალს! საბურთალოს „გუდვილში“ მდებარე მაღაზია „ბიბლუსში“, მთელი დღის განმავლობაში პროექტის ფარგლებში გამოცემული ყველა ტომი აქციის ფასად – 7 ლარად გაიყიდება**

ათასობით ადამიანის რჩევით შედგენილი ეს სერია ერთგვარ „მოდად“ იქცა. მართლაც არ არსებობს წიგნის კითხვაზე უკეთესი მოდა. ჩვენი მიზანიც ხომ სწორედ ეს გახლდათ...

როცა ამ სერიის გამოცემა დაიგეგმა, გამოკითხვა დაიწყო, ვის რა წიგნი მიაჩნდა 50-ეულში შესვლის ღირსად. ცხადია, აზრთა სხვადასხვაობა იყო. მკითხველის გადაწყვეტილებითა და ხმათა უმრავლესობით, ქართული სინამდვილისთვის აუცილებლად წასაკითხი 50 წიგნის სია დაზუსტდა და გამოიცა კიდეც. შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა...

სამწუხაროდ, ერთ-ერთი წიგნი, რომელსაც მკითხველი აქტიურად ითხოვდა — „დათა თუთაშხია“, ვერ მოხვდა 50-ეულში. მიუხედავად „პალიტრა L“-ის მონდომებისა და თავად ბატონი ჭაბუას სურვილისა, მისი ვაჟების ინიციატივით, ეს შეთანხმება ჩაიშალა, მათ თავად გადაწყვიტეს ჭაბუა ამირეჯიბის ამ რომანის გამოცემა...

50-ტომეულის თითოეული ტომი უდიდესი წარმატებით გაიყიდა და დღესაც იყიდება. დღემდე არ ცხრება მკითხველის დაჟინებული მოთხოვნა — აუცილებლად დავამატოთ გამოცემულ 50 წიგნს ესა თუ ის ავტორი. მედიასახლმა გადაწყვიტა, გაეთვალისწინებინა ეს მოთხოვნა და 50 წიგნისთვის კიდევ 49 დაემატებინა... წიგნების ეს რაოდენობა და ამასთან ერთად წიგნთა წიგნი — ბიბლია, რომელიც ყოველგვარი დანომვრის გარეშე შევა სერიაში მთავარ წიგნად და საერთო ჯამში ასტომეულს შექმნის...

**„უნდა იკითხოთ წიგნები, რომ განსაჯოთ, სად არის კეთილი და სად – ბოროტი“**



*უწმინდესისა და უნეტარესის კურთხევით, ამ პროექტის ფარგლებში ბიბლიაც უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ როგორც ცალკე მდგარი, მთავარი წიგნი.*

დიდი კამათი მოჰყვა მსჯელობას — უნდა შედიოდეს თუ არა აუცილებლად წასაკითხ წიგნთა სიაში ბიბლია. პასუხის ძიებაში უამრავმა მკითხველმა მიიღო მონაწილეობა, საგამომცემლო სახლმა გადაწყვიტა რჩევა უწმინდესისა და უნეტარესისათვის, ილია II-ისთვის ეკითხა. მისი კურთხევით, ბიბლია უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ ნომრის გარეშე, როგორც ცალკე მდგარი, მთავარი წიგნი.

დაიწყო მსჯელობა იმაზეც, რომელი ავტორების წიგნები შევიდეს მომავალ 49 ტომში... ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ სერიამ, „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!“ ბევრი მიუბრუნა კითხვას, წიგნით დააინტერესა. ეს ერთგვარი აქცია გახდა, რომ მკითხველს თავიდან აღმოეჩინა ესა თუ ის ავტორი, გაეცნო სრულიად ახალთარგმნილი წიგნებიც და, რაც მთავარია, მიეგნო ისეთი ლიტერატურისათვის, რომელიც აუცილებლად უნდა წაიკითხო!

**« მედიასახლმა გადაწყვიტა, გაეთვალისწინებინა მკითხველის თხოვნა და 50 წიგნისთვის კიდევ 49 დაემატებინა... წიგნების ეს რაოდენობა და ამასთან ერთად წიგნთა წიგნი – ბიბლია, რომელიც ყოველგვარი დანომვრის გარეშე შევა სერიაში მთავარ წიგნად, საერთო ჯამში ასტომეულს შექმნის...**

წიგნი საუკეთესო თავშესაფარია, მეგობარია... ჩვენ ყველას გვჭირდება წიგნი, თუმცა ისეთი სოციალური მდგომარეობა გვაქვს, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელმისაწვდომობასაც. ეს სერია ამასაც ითვალისწინებს, განსაკუთრებით, აქციის დღეებში, ანუ გამოსვლიდან პირველი კვირის განმავლობაში.

მათთვის, ვინც ვერ მოასწრო წიგნის შეძენა აქციის დროს და შემდგომში შედარებით მომატებული ფასის გადახდა ვერ შეძლო წიგნის მაღაზიებში, 12 თებერვალს განსაკუთრებული აქცია მზადდება.

ამ დღეს საბურთალოს „გუდვილში“ მდებარე მაღაზია „ბიბლუსში“ გაიმართება პროექტის, „50 წიგნი, რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!“ ახალი სიცოცხლის — „50+1+49“, პრეზენტაცია და მთელი დღის განმავლობაში სერიის ყველა აქამდე გამოსული ტომი აქციის ფასად — 7 ლარად გაიყიდება.

ᲔᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲡᲣᲠᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲓᲐᲜᲐᲙᲚᲘᲡᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲗ.

**P.S.** „პალიტრამედია“ დიდ სიურპრიზს გიმზადებთ! სპეციალურად ამ 100 წიგნისთვის შეიქმნება წიგნის კარადის დიზაინი, რომლის შერჩევაშიც ასევე თქვენ, მკითხველი მიიღებთ მონაწილეობას და თუ რა მოხდება შემდეგ... მალე შეიტყობთ!

თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

*ლელა ჯიყაშვილი*




# მემახსოვრება, სანამ ცოცხალი ვარ

# „მერაბ, სად იყავი ტო!“

## ანუ კლინიკური სიკვდილიდან გამოსული რეჟისორის „პახარონნი“ მარში



*მერაბ კოკოჩაშვილს კინოში სულ სამი როლი აქვს შესრულებული, მათ შორის, 6 წლის ასაკში „გიორგი სააკაძეში“ პაატა ითამაშა. თავად არის დაახლოებით ორი ათეული ფილმის შემქმნელი, რომელიც მაყურებელზე დღესაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს. თუმცა, მისი მთავარი კინო ცხოვრება და დაუვიწყარი ეპიზოდების გახსენებაა.*

### „დიდი სოსოს ნაპერწკალი“

მეორე მსოფლიო ომი იყო, ძალიან გვიჭირდა და დიდ დროს ვატარებდით სოფელში, მათ შორის წინანდალში, ენისელში, სადაც გლეხებს იმ გაჭირვების ჟამსაც კი შეეძლოთ საკუთარ ბაღ-ვენახში მოწეულით ერჩინათ თავი. იქაური გლეხები ჩემს წინაპრებს კარგად იცნობდნენ და ემადლიერებოდნენ, ამიტომ მათი სიკეთე ჩვენც გვეწეოდა. ჩემს წინაპართაგან ერთ-ერთი, სოსო ჯორჯაძე ექიმი იყო და ყველას მკურნალი და დამხმარე გახლდათ. ერთ საბედისწერო დღეს კი მოკლეს — ფაეტონს, სადაც ის იჯდა, ცეცხლი გაუხსნეს, სოსო ადგილზე გარდაიცვალა. ამბობდნენ, რომ ვილაცაში შეეშალათ. სოსოს მკვლელობიდან 20-30 წელი იყო უკვე გასული, როცა წინანდალში გლეხის ოჯახში მიმიყვანეს სტუმრად. დიასახლისი უსინათლო იყო. ასე 6 წლის ვიქნებოდი, მაგრამ დღემდე მახსოვს მოხუცი და ამავე დროს ძალიან ლამაზი ქალი, რომელმაც ხელის ცეცებით სახის ყველა ნაკვთი დამითვალიერა. მერე კი თქვა: დიდი სოსოს ნაპერწკალიაო. აღმოჩნდა, რომ ექიმი სოსო ჯორჯაძე მას წლების განმავლობაში მკურნალობდა და მისი სიკეთე და მზრუნველობა უსინათლო ქალს სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა. ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ იმ სიტყვებმა მასწავლა, როგორია სიკეთის ფასი.

### მარჩენალი ლაფანყური

დაუვიწყარი მოგონებები მაქვს ლაფანყურთან დაკავშირებით და ამ გახმაურებული ამბების დროს თვალწინ სულ ჩემი ბავშვობა მიტრიალებდა. 1937 წელს მამა დააპატიმრეს და გადაასახლეს. დედა და დეიდა ოჯახში შემორჩენილ ნივთებს აგროვებდნენ და ლაფანყურში მიჰქონდათ პროდუქტზე გადასაცვლელად. ლაფანყურში გლეხები რძეს და კარაქს უშურველად გვიცვლიდნენ ათას წვრილმანზე. ეს სოფელი დღემდე ჩამრჩა, როგორც ჩვენი მარჩენალი.

დედა ვახსენე და აქვე ერთ ამბავსაც მოგიყვებით. ფაქტობრივად მარტო ვიზრდებოდი. დედა მუსიკოსი იყო და ორ ადგილას მუშაობდა. დილით ადრე გადიოდა სახლიდან და ღამე გვიან ბრუნდებოდა. დასაძინებლად მარტო ვწვებოდი. შუქი არ იყო, მეშინოდა... როცა დედა ბრუნდებოდა, ჩამოჯდებოდა ჩემს საწოლზე და მეფერებოდა. მისი ალერსი დღემდე არ მავიწყდება.



მეორე რიგში: მარჯვნივ მერაბ კოკოჩაშვილი და გიორგი შენგელაია; დგანან: მარცხნიდან მეორე გოგი ანდრონიკაშვილი, მესამე ელდარ შენგელაია. 1945წ.

### „ჩემი ბანტიანი მაყვალა“

**«ერთ დღესაც, ავედი სასრიალოზე, უნდა ჩამოვსრიალდე და ვხედავ, რომ ბანტიანი მაყვალა ქვემოთ დგას და მიყურებს. გადავწყვიტე თავი გამომეჩინა და კი არ ჩამოვსრიალდი, გადმოვხტი. დავეცი, ცხვირიდან სისხლი წამსკდა, აღმზრდელებმა მედპუნქტში გადამიყვანეს. მახსოვს, ყველა ბავშვი ამ მედპუნქტის წინ ტრიალებდა, მე კი ნამდვილი გმირი ვიყავი. მაგრამ მაყვალა მაინც ვერ მოვხიბლე. ამ ამბიდან 70 წელი გავიდა. ერთ დღესაც მივდივარ ქუჩაში და ქალბატონი მაჩერებს: მერაბ, ვერ მიცანიო. ვერა-მეთქი. მაყვალა ვარო, მითხრა. არადა, ბანტის გარეშე სულ სხვანაირი იყო...**

### იმქვეყნიური ნეტარება

ტაჯიკეთში ფილმს ვიღებდი ალპინისტებზე. ფილმს „მწვერვალი“ ჰქვია და ჩემი მეგობრების, ჯუმბერ მეძმარიაშვილისა და თეიმურაზ კუხიანიძის ხსოვნას ეძღვნება, რომლებიც ტიანშანზე დაიღუპნენ. გადაღებებმა ძალიან დამღალა, თან პამირიდან დუშანბეში რომ ჩამოვფრინდით, წნევის მკვეთრმა ცვლილებამაც იმოქმედა და ძალიან ცუდად გავხდი. კლინიკურ სიკვდილს ამას ვერ დავარქმევ, მაგრამ რაღაც მსგავსი ნამდვილად იყო. ამ დროს საოცარი შეგრძნება გეუფლება: გიცივდება თითები, გიმძიმდება კიდურები, შემდეგ კი უსაზღვრო ნეტარება იწყება და საოცარი სიმსუბუქის შეგრძნება გაქვს. სხვათა შორის ამ ნეტარების დათმობა ძალიან გიჭირს. ასეთ დროს დიდი შვებაა, თუ შენ გვერდით ახლობელი ადამიანია, შენი ხელი უჭირავს ან შუბლზე მომდგარ ოფლს გიმშრალებს. ჩემ გვერდით კი იმ დროს ჩემი მეუღლე, შვილები და მეგობრები იყვნენ. უცნაური არომატის შეგრძნებით მოვედი გონს. თურმე ნიშადურის სუნი იყო. პირველი, რაც დავინახე, ჩემი ოპერატორის ასისტენტის შეწუხებული სახე იყო, რომელიც სასთუმალთან მუხლებზე იდგა. რომ დაინახა გონს მოვედი, შეჰყვირა: „მერაბ, სად იყავი ტო!“. რა ვიცი, რაღაც ტრიალებდა და მუსიკაც მესმოდა-მეთქი — ვუპასუხე. „პახარონნი“? — კითხვითვე მიპასუხა. მიუხედავად იმისა, რომ ცუდად ვიყავი, გულიანად გამეცინა.

### მხსნელი სერგო

„დიდი მწვანე ველის“ გადაღებები დავამთავრე. იმ დროს ფილმი ისე ვერ გამოვიდოდა, თუ ცეკას პირველი მდივანი, ბიუროს წევრები არ ნახავდნენ. დახურული ჩვენება მოეწყო. მახსოვს, დასრულდა ფილმი, აინთო შუქი და სიჩუმეა დარბაზში. დუმილი კა-გე-ბეს თანამშრომელმა დაარღვია: სამუშაო დღის ორი საათი დავკარგეთო. კინოსტუდიის დირექტორს სახეზე ნაცრისფერი ედო, დოდო აბაშიძეს, რომელიც ფილმში მთავარ გმირს, სოსანას თამაშობს, ოფლი ღვარად სდიოდა და თეთრ პერანგზე ლაქებად აჩნდა. ალბათ მეც ამ დღეში ვიყავი. ცეკას წარმომადგენლებმა ფაქტობრივად მიწასთან გაასწორეს სურათი. ამ დროს კარი გაიღო და სერგო ზაქარიაძე შემოვიდა, რომელიც სწორედ იმ წელს ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა და უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა. ცოტა ხანს უსმინა პარტიულ ჩინოსნებს და შემდეგ სიტყვა მოითხოვა. ისე ილაპარაკა, რომ ახლა მან გაასწორა მიწასთან მათი შეფასებები. ამის შემდეგ მჟავანაძემ რუსულად თქვა: დაე, ხალხმა ნახოსო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფილმის ეკრანზე გაშვების უფლება მოგვცა, მაგრამ მხოლოდ საქართველოში. კინოსტუდიიდან ერთად წამოვედით, მე, სერგო და დოდო აბაშიძე. ისე ჩამოვიარეთ რუსთაველის გამზირი, ერთმანეთისთვის სიტყვა არ გვითქვამს. რუსთაველის თეატრის წინ გავჩერდით. სანამ შევიდოდა, სერგომ შემომხედა, გამიღიმა და ძმაკაცურად თმაზე მომქაჩა. მადლობაც კი ვერ ვუთხარი ისე, როგორც საჭირო იყო. ფილმი მხოლოდ ორი დღე გადიოდა ეკრანებზე. პირველივე ჩვენების შემდეგ გამოქვეყნდა გამანადგურებელი რეცენზია და ფილმი გააჩერეს. თუმცა, 1975 წელს ფილმის პრემიერა ჯერ ბერლინში მოეწყო, შემდეგ კი იტალიაში, „პეზაროს“ ფესტივალზე, 100 საუკეთესო და ნოვატორული ფილმების სიაში შეიყვანეს. ამას სერგო ვერ მოესწრო, არადა, ის რომ არა, ეს ყველაფერი არ იქნებოდა. ეს არის ის, რაც არასდროს დამავიწყდება.

### ბანტიანი მაყვალა

არასდროს დამავიწყდება პირველი სიყვარული, რომელიც საბავშვო ბაღში მეწვია. ყველა ბიჭს გვიყვარდა მაყვალა, რომელსაც დიდი ცისფერი ბანტი ეკეთა. ეზოში სასრიალო გვქონდა და იქიდან რიგრიგობით ვეშვებოდით. ერთ დღესაც, ავედი სასრიალოზე, უნდა ჩამოვსრიალდე და ვხედავ, რომ ბანტიანი მაყვალა ქვემოთ დგას და მიყურებს. გადავწყვიტე თავი გამომეჩინა და კი არ ჩამოვსრიალდი, ავდექი და გადმოვხტი. დავეცი, ცხვირიდან სისხლი წამსკდა, აღმზრდელებმა მედპუნქტში გადამიყვანეს. მახსოვს, ყველა ბავშვი ამ მედპუნქტის წინ ტრიალებდა, მე კი ნამდვილი გმირი ვიყავი. მაგრამ მაყვალა მაინც ვერ მოვხიბლე. ამ ამბიდან 70 წელი გავიდა. ერთ დღეს მივდივარ ქუჩაში და ქალბატონი მაჩერებს: მერაბ, ვერ მიცანიო. ვერა-მეთქი. მაყვალა ვარო. არადა, ბანტის გარეშე სულ სხვანაირი იყო.

### „ჩამშვები“ კალოშები

პირველ კლასში ვიყავი. მასწავლებელი გვყავდა, ნინო ალადაშვილი და მე და ჩემი კლასელი ბიჭი ცელქობისთვის კუთხეში დაგვაყენა. მაინც ვაგრძელებდით მაიმუნობას. მაშინ მასწავლებელმა ორი წერილი დაწერა, ერთი დედაჩემისთვის, ერთიც ჩემი კლასელი ლევანის ბებია-ბაბუისთვის გადასაცემად. იმ ჩემს კლასელს დედ-მამა დაპატიმრებული ჰყავდა და მითხრა, ბებიაჩემს წერილს ვერ მივუტან, ნერვიულობისგან მოკვდებაო. გადავწყვიტე, არც მე მეჩვენებინა წერილი დედაჩემისთვის. მეორე დღეს სკოლაში რომ მივდიოდი, წვიმა წამოვიდა. შელახული ფეხსაცმელი მეცვა, ძირები თითქმის არ ჰქონდა. ერთიანად გავილუმპე. ნინო მასწავლებელს არაფერი უკითხავს და მე და ჩემი კლასელიც ისე ვისხდით, ვითომც არაფერი დაგვიშავებია. გაკვეთილის ბოლოს კარზე კაკუნი გაისმა. კარი გაიღო და დედაჩემი არ დგას კალოშებით ხელში. რა დაგვემართა მე და ლევანს ვერ წარმოიდგენთ. ნინო მასწავლებელს არ გაჰკვირვებია დედაჩემის მოსვლა და შეაგება: ალბათ მერაბმა გადმოგცათ ჩემი წერილიო. სამაგიეროდ დედაჩემს გაუკვირდა: რა წერილი, რის წერილიო. ამ დროს ნინო მასწავლებელმა ისეთი რამ გააკეთა, რაც არასდროს დამავიწყდება: ხელჩანთა გახსნა და თითქოს რაღაცის ძებნა დაიწყო, შემდეგ კი დედას მოუბოდიშა, ალბათ შემეშალა რამეო და მერე მაქო და მადიდა.

შეუძლოდ ვიყავი და ნინო მასწავლებელს 80 წლის იუბილე პირადად ვერ მივულოცე. მაგრამ წერილი მივწერე, სადაც ეს დაუვიწყარი ამბავი შევახსენე.

*ემა ტუხაშვილი*



# ეკონომიკური პალიტრა

BUSINESS, ECONOMICS &...

№7 (262) 11-17 თებერვალი, 2013

„კვირის პალიტრის“ ყოველკვირეული ეკონომიკური დამატება


# მსუყე ნაჭერი ჩინოვნიკების საცდუნებლად



მთავრობები მიდიან და მოდიან, ჩაწყობილი ტენდერები რჩება?!

**ემა ტუხიაშვილი**

**ის, რაშიც ყოფილ მთავრობას ამჟამინდელი სდებდა ბრალს, ახლა უკვე ახალი ხელისუფლების თავის ტკივილად შეიძლება იქცეს. სახელმწიფო უწყებების მიერ გამოცხადებული ტენდერების თემა ისევ აქტუალურია, მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ერთი შეხედვით საჯარო, გამჭირვალე და ღიაა. „ეკოპალიტრა“ შეეცადა გაერკვია, სად მარხია ელექტრონული ტენდერების „ძაღლის თავი“.**

საკანონმდებლო ორგანოს ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე, უმცირესობის წევრმა ირმა ნადირაშვილმა პირდაპირ დასდო ბრალი მმართველი გუნდის წევრ მანანა კობახიძეს, რომ მისი ნათესავები ნავთობიმპორტიორი კომპანია „ლუკოილის“ უკან დგანან, რომ სწორედ ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა ცოტა ხნით ადრე მთავრობის მიერ გამოცხადებულ ტენდერში და თითქმის ყველა სახელმწიფო უწყებისთვის ნავთობპროდუქტების ექსკლუზიური მიმწოდებელი გახდა. მეორე მხრივ, საქართველოს პროკურატურაში უამრავი საქმეა შესული, ყოფილი ხელისუფლების დროს, პრივილეგირებული კომპანიების საბიუჯეტო თანხებით წახალისებაზე, რა თქმა უნდა, საჯაროდ გამოცხადებული ელექტრონული ან სხვა სახის ტენდერების საფარველქვეშ. ამის ერთ-ერთი მაგალითი ის სქემაა, რომელიც ცოტა ხნის წინ „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა გამოააშკარავა.

ამ სქემის თანახმად, „საქართველოს რკინიგზამ“ მომსახურების შესყიდვებზე ტენდერი გამოაცხადა. „ვაგონშემკეთებელმა კომპანიამ“, რომელიც მონაწილეობდა ტენდერში, წერილობით მიმართა რკინიგზის დირექტორთა საბჭოს და სთხოვა, ერთ ლოტად გაეერთიანებინა ერთმანეთისგან განსხვავებული სხვადასხვა შესყიდვა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, რკინიგზამ ტენდერის ერთ-ერთი მონაწილის თხოვნა გაითვალისწინა, რამაც საშუალება მისცა „ვაგონშემკეთებელ კომპანიას“, კონკურენტები ჩამოეშორებინა და ტენდერის მონაწილე ერთადერთი სუბიექტი გამხდარიყო, საბოლოოდ, სწორედ მან მიიღო რკინიგზისგან ავანსად 56 მილიონზე მეტი ლარი, კონტრაქტის ღირებულებამ კი ჯამში 112 მილიონი ლარი შეადგინა. შპს „ვაგონშემკეთებელ კომპანიას“ ნაკისრი ვალდებულებები დღემდე შეუსრულებელი აქვს. ან კი ვინ მოსთხოვდა შესრულებას, როცა ამ კომპანიის უკან ყოფილი მაღალჩინოსნები დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი მოიაზრებოდნენ. თუმცა ტენდერები შემოსვლიან ბიზნესად უფრო დაბალი სახელისუფლებო რგოლის ჩინოსნებმაც აქციეს.

**ნონა ფილაური** *(ადვოკატი)*: „ზოგადი სქემა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უწყებები ტენდერებს აცხადებდნენ, ასეთი იყო: ტენდერი საჯაროდ მხოლოდ მაშინ ცხადდებოდა, როცა გამარჯვებულის ვინაობა უკვე გადაწყვეტილი იყო. ეს კეთდებოდა მხოლოდ იმისთვის, რომ შემდეგ ეთქვათ: ტენდერი გამოცხადდა და მასში მონაწილეობის უფლება ყველას ჰქონდაო. კომპანიები, რომლებიც ტენდერში იმარჯვებდნენ, ან ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირებს ეკუთვნოდა, ან საგანგებოდ ამ ტენდერისთვის მათ მიერვე ფუძნდებოდა. მაგალითად, ქუთაისში გარე განათების სისტემის მოწყობაზე გამოცხადდა ტენდერი და მასში კომპანია „შაგუ+“-მა გაიმარჯვა, რომელიც მერიის მაღალჩინოსნებსა და სატენდერო კომისიის თავმჯდომარესთან დაახლოებულ პირს ეკუთვნოდა. მაგრამ როცა ეს ამბავი გამჟღავნდა, სატენდერო კომისიის რიგით წევრს შეახოცეს ხელი. ამით იმის დემონსტრირებაც მოაწყეს, რომ ვითომდა კორუფციას ებრძოდნენ, რეალურად კი თემა გადაფარეს და პროექტი ბოლომდე მიიყვანეს“.

24

### ფინანსთა მინისტრი პრეზიდენტს „არაფერს გაუპარავებს“

„არ ვაპირებთ, კორუფციულად მიღებული შემოსავალი ვინმეს „გავუპრავოთ“, — აცხადებს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ფინანსური ამნისტიის შესახებ პრეზიდენტის წარმოდგენილი კანონპროექტის შეფასებისას. მისი თქმით, ბიუჯეტიდან მოპარული ფული არავის უნდა შერჩეს. „სამწუხაროდ, ასეთი სუნი ტრიალებს კანონპროექტში, რომელიც ითვალისწინებს თუნდაც დეკლარაციების განადგურებას. უკვე სამი თვეა, სამინისტროს დავების განხილვის საბჭო თითოეულ საკითხს განიხილავს, მეწარმეებს, რომელთაც არასწორად აქვთ დარიცხული გადასახადი, შესაძლებლობა ეძლევათ საბჭოს მიმართონ, მაგრამ ბიუჯეტიდან მოპარული ფულის ვინმესთვის შერჩენასა და პატიებას არ ვაპირებთ“, — განმარტავს ნოდარ ხადური. ცნობისთვის: პრეზიდენტი პარლამენტს არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაციას სთავაზობს. ეს პროექტი დეკლარაციების განადგურებასაც ითვალისწინებს.





## „გაუმარჯოს, საქართველო“ თუ ეკონომიკური სარგებელი?!

**თემურ იოვაშვილი**

**რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების თემამ წინ წაიწია და სავარაუდო თარიღად გაზაფხული დასახელდა. არსებული ინფორმაციით, ბაზრის გახსნა ჯერ ქართული ღვინისთვის, შემდეგ მინერალური წყლებისთვის და მესამე ეტაპზე კი ქართული ხილ-ბოსტნეულისთვის უნდა მოხდეს. სოფლის მეურნეობის მინისტრი ადგილობრივი ღვინის კომპანიების 50-მდე წარმომადგენელს შეხვდა და როგორც ირკვევა, უმეტესობა რუსეთში ღვინის შეტანას გეგმავს. ამისთვის, პირველ რიგში, კომპანიამ ღვინის ეროვნულ სააგენტოში დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს, რაც პროდუქტის ხარისხიანობასა და ექსპორტის სურვილს დაადასტურებს. განხილვის შემდეგ ღვინის სააგენტო მონაცემებს რუსეთის მთავარ სანიტარ გენადი ონიშენკოს უწყებას მიაწვდის. თუ მოსკოვში ქართული პროდუქციის ხარისხის მიმართ პრეტენზია არ ექნებათ, წესით ქართულ ღვინოს ექსპორტი აღარ უნდა დაუშალონ.**

საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი ამბობს, რომ უკეთეს შემთხვევაში, დაახლოებით ორი თვის შემდეგ უკვე შეიძლება ქართულმა ღვინომ ლეგალურად გადაკვეთოს რუსეთის საბაჟო საზღვარი.

22

### წლეულს ეკონომიკა 6%-ით გაიზრდება

2013 წელს ქვეყნის ეკონომიკა გაიზრდება — ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მშპ-ის ზრდის ტემპი, სულ ცოტა, 6% იქნება, ხოლო 2014 წლისთვის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი უკვე ორნიშნა რიცხვით გამოისახება. მთავრობის ეკონომიკური გუნდი დარწმუნებულია, რომ წლეულს ეკონომიკა 6%-ზე მეტად გაიზრდება, ხოლო ბიუჯეტის კანონში ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებით, 6%-ით დაიგეგმა.

## კოდექსი: ბრძოლის თუ შრომის?!

**ხათუნა ჩიგოგიძე**

**შრომის მოქმედ კოდექსს კრიტიკა წლების განმავლობაში არ მოჰკლებია. პროფკავშირებისა თუ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები დღესაც ამტკიცებენ, რომ ის დასაქმებულთა ექსპლუატაციას უწყობდა ხელს, დამსაქმებლებს კი პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა. ახალი მთავრობის ინიციატივით კოდექსი იცვლება, პროექტი უკვე საყოველთაო განსჯის საგანია. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განმარტებით, არც ერთ დამსაქმებელს არ შეეძლება დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს. ცვლილებებთან დაკავშირებით შეკითხვები გაუჩნდათ დამსაქმებლებსაც.**

**ნათია თურნავა** *(საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე)*: — კარგია, რომ ახალი შრომის კოდექსი უნდა მივიღოთ, მაგრამ ბევრია დაუზუსტებელი მუხლი, რომლებსაც სასამართლოსკენ მივყავართ, რაც სწორად არ მიმაჩნია. კანონი იმდენად კონკრეტული უნდა იყოს, რამდენადაც შესაძლებელია. მაგალითად, დასაკონკრეტებელია მუხლი, რომელიც შეეხება ადამიანთა რაოდენობას, რომელთა სამსახურიდან გაშვება ერთდროულად შეიძლება.

23

### მანდარინის ექსპორტი 2.3-ჯერ გაიზარდა

მიმდინარე სეზონზე ექსპორტზე 30 ათას ტონამდე ქართული მანდარინი გავიდა, — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ განაცხადა. შარშან ექსპორტირებული იყო სულ 13 ათასი ტონა მანდარინი.

### შეღავათიანი აგროკრედიტები

მთავრობაში სრულდება შეღავათიანი აგროკრედიტების შემუშავება. სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძის განმარტებით, იქნება სამი სახის საკრედიტო პროდუქტი. უპროცენტო სასაქონლო კრედიტი მცირე ფერმერებისთვის 5 ათას ლარამდე, უზრუნველყოფის გარეშე; საშუალო და დიდი ფერმერების შეღავათიანი კრედიტით უზრუნველყოფა 5-დან 100 ათას ლარამდე, წლიური არაუმეტეს 7-8%-სა; სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტი არაუმეტეს 1 მილიონი ლარისა, საშუალოდ წლიური 3%. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი 2013 წლის მარტიდან ამოქმედდება.

### წლეულს საქართველო სსფ-გან ვალს არ აიღებს

2013 წელს საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან (სსფ) ახალ ვალს აღარ აიღებს. ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის განმარტებით, საქართველო სსფ-ის ფინანსურ მხარდაჭერას ამ ეტაპზე არ საჭიროებს, პირიქით, წლეულს ქვეყანა სავალუტო ფონდისგან უკვე აღებული კრედიტების ნაწილს დაფარავს.

# „გაუმარჯოს, საქართველო“ თუ ეკონომიკური სარგებელი?!

## ქართული ღვინო 2-3 თვეში შესაძლოა რუსეთში შევიდეს

*(21-ე გვერდიდან)*

სოფლის მეურნეობის მინისტრ დავით კირვალიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ ქართული ღვინო ხარისხის მიმართ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს და რომ გაყიდვა ყოველწლიურად მოიმატებს. მანამდე კი, ღვინის ეროვნული სააგენტოს გაცემული საბუთის გარეშე, საქართველოდან ერთი ბოთლი ღვინოც ვერ გავა. ქართული ღვინის კომპანიებში, რომლებსაც რუსეთის ბაზარზე ექსპორტი სურთ, იმედიანად არიან.

ცალკე საკითხია, ეკონომიკურად რას ნიშნავს დღეს რუსეთის ბაზრის გახსნა ქართული ნაწარმისთვის. 2006 წელს ყველა ქართულ პროდუქტს ემბარგო დაუწესდა და რუსული ბაზარი დღემდე დახურული რჩება. ამ ეკონომიკურ საკითხს, როგორც ცნობილია, პოლიტიკური სარჩული აქვს. გასულ კვირაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა: „საარჩევნო პროცესში აღვნიშნე, რომ აუცილებლად გავხსნით რუსულ ბაზარს. მქონდა მხედველობაში ის, რომ ყოფილი ხელისუფლება და დღევანდელი ოპოზიცია თვითონვე ზღუდავდა რუსული ბაზრის გახსნას“. საინტერესოა, რომ ღვინის კომპანიების წარმომადგენლებმა დელიკატურად აარიდეს თავი ამ საჩოთირო საკითხის კომენტირებას.

An Insight Into Russian Wine Market-ის კვლევის თანახმად, 2010 წლისთვის რუსეთში დალეული ღვინის 32% იყო იმპორტირებული, ანუ 230-240 მილიონი ლიტრი (მთლიანი მოხმარება — 800 მილიონი ლიტრი). იმპორტში კი თვალში საცემად არის გაზრდილი ღვინის მწარმოებელი ე.წ. მესამე ქვეყნების წილი. ზოგადად, იმპორტირებული ღვინის დაახლოებით სამი მეოთხედი დაბალფასიანია, საცალო ფასები, ქართულ ფულზე გადმოანგარიშებით, 7-დან 16 ლარამდე მერყეობს. საყურადღებოა რუსეთში მცხოვრები მომხმარებლის პრიორიტეტების შეცვლა. თუ ადრე (1985 წელს) საშუალო მომხმარებელი არაყზე მეტ ღვინოს სვამდა და დაახლოებით ამდენივე ლუდს, 2010 წელს მან ღვინო სამჯერ ნაკლები დალია, ხოლო ლუდი — ადრინდელზე თითქმის ოთხჯერ მეტი, არყის მოხმარება კი ოდნავ გაიზარდა. ასე რომ, რუსეთში ღვინის მოხმარება დიდწილად ჩაანაცვლა სხვა სასმელებმა. ექსპერტების შეფასებით, ქართულმა ღვინომ, უკეთეს შემთხვევაში შესაძლოა რუსეთის ღვინის ბაზრის 3-4% დაიკავოს (15 მლნ ბოთლამდე).

ქართულმა სამთავრობო დელეგაციამ მოსკოვში ონიშენკოს ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების სურვილი გააცნეს. ინტენსიური საუბრით ხარისხის ნორმების დაცვაზე გარკვეულწილად აღიარება ხდება, რომ რუსეთმა ქართული პროდუქცია მხოლოდ დაბალი ხარისხის გამო შეზღუდა და არა პოლიტიკური მიზეზებით. უახლოეს მომავალში საქართველოში რუსი ექსპერტების ჯგუფს ელოდებიან, რომელიც ღვინის ხარისხს ადგილზე შეამოწმებს. თუმცა საბოლოოდ საზომი, ცხადია, ეკონომიკური ხეირია. „ეკოპალიტრა“ გასული წლის ბოლოსაც წერდა ქართველი მეღვინეების მოსაზრებებზე რუსეთის ბაზრის შესაძლო გახსნის შესახებ. როგორც მაშინ „ტფილისის მარნის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ენოლოგმა გიორგი სამანიშვილმა განაცხადა, „2005 წელს, ანუ როცა რუსეთში ქართული ღვინის გაყიდვის პიკი იყო, საქართველოდან 30 მილიონი ლიტრი ღვინო გავიდა. დღეს ამდენი ღვინის გატანა ვერ მოხერხდება. მაქსიმუმ, 10 მილიონ ლიტრს შეიძლება მიაღწიოს წელიწადში. ეს კი ჯამში დაახლოებით 20-25 მილიონი დოლარის პროდუქციაა“.



„უახლოეს მომავალში საქართველოში რუსი ექსპერტების ჯგუფს ელოდებიან, რომელიც ღვინის ხარისხს ადგილზე შეამოწმებს“

2011 წლის დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოს მშპ 24,344 მილიარდი ლარი იყო. ამ ფონზე რუსეთის ბაზარზე ქართული ღვინის დაშვებაზე გარდატეხის იმედის დამყარება ალბათ არ ღირს. აქ ყველაზე საინტერესო შესაძლოა ის აღმოჩნდეს, რომ თუ ჩრდილოური ბაზარი ღვინისთვის გაიხსნა, მას დიდი ალბათობით მიჰყვება სხვა პროდუქციაც, მათ შორის, საკონსერვოც. მინერალურ წყლებთან ერთად, იმედია, რამდენიმე პროდუქციის გასაღების ნაზრდი ჯამში ხელშესახები იქნება.



# კოდექსი: ბრძოლის თუ შრომის?!

## ცვლილებების პროექტზე ძირითადი სადავო თემები იკვეთება

*(21-ე გვერდიდან)*

რას ნიშნავს ერთდროულად? — ერთი კვირის, თვის თუ წლის განმავლობაში? თუკი საწარმო რეორგანიზაციას საჭიროებს, ხელმძღვანელობას ხომ უნდა შეეძლოს კადრების განახლება? როცა მეწარმეს სურს პერსონალის გადახალისება, ბუნებრივია, უნდა გათავისუფლდეს ძველი, ნაკლებად ღირებული კადრებისგან. ამიტომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია განსაზღვრა, ერთჯერადი გაშვება რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს.

უნდა გაიზარდოს დამსაქმებლის უფლებები თანამშრომელთა შერჩევის დროსაც. რამდენადაც სამსახურიდან გაშვების პირობები მკაცრდება, იმდენად უნდა გაიზარდოს ჩვენი უფლებებიც კადრების შერჩევისას. რატომღაც მგონია, რომ ახალი კოდექსით დასაქმებულებს უფრო მეტი უფლებები ენიჭებათ და ჩვენ კი — უფრო ნაკლები. საქართველოში, მით უმეტეს, ჩვენს სფეროში, მაღალკვალიფიციური კადრების ნაკლებობაა. რასაკვირველია, გვეყოლება ძველი პერსონალიც, მაგრამ თუ არ განვაახლეთ, მთელი დარგი დაზარალდება. შესაძლოა, საზღვარგარეთიდანაც მოგვიხდეს, მაღალი რანგის სპეციალისტების მოზიდვა, რომლებიც სიახლეებს დანერგავენ, ამიტომ მეტი თავისუფლება უნდა მოგვეცეს ამ მიმართულებით. თუმცა ადგილობრივი კადრების გადამზადებაზე უარს სულაც არ ვამბობთ, ჩვენს კომპანიაში ეს წლების განმავლობაში მიმდინარეობდა და ახლაც გრძელდება. უნდა გვქონდეს ატესტაციის ჩატარების უფლებაც, მაგრამ კადრი, რომლის გადამზადებაც ვერ ხერხდება, უნდა გავათავისუფლოთ. ადამიანმა უნდა შექმნას ღირებული ბიზნესისთვის და თუ ამას ვერ ახერხებს, დამსაქმებელს შესაბამისი ზომების მიღება უნდა შეეძლოს.

**გოჩა ალექსანდრია** *(საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე):* — წლების განმავლობაში ვიმეორებდით, რომ შრომის კოდექსი ბევრი უსამართლობის წყარო იყო. პირველი სამუშაო დღის ხანგრძლივობაა. მოქმედი კოდექსის მიხედვით, ლიმიტირებული სამუშაო დრო არ არსებობს. ერთადერთი ლიმიტაცია არის 12-საათიანი დაცილება სამუშაო საათებს შორის. კოდექსში არის ჩანაწერი, რომ სამუშაო კვირა 41-საათიანია, მაგრამ თუ ეს შრომით ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული, სამუშაო საათების რაოდენობა იმდენია, რამდენსაც დამსაქმებელი მოისურვებს და დააწესებს. ხშირად არის სამუშაო დღე 10-12-საათიანი და ეს, სამწუხაროდ, კანონიერია. ახალი კოდექსის მიხედვით, თუ დამსაქმებელი დასაქმებულს 41 საათზე მეტხანს ამუშავებს, ეს იქნება ზეგანაკვეთური სამუშაო, რომელიც უნდა აუნაზღაუროს. დამსაქმებლების აზრით, არსებული ვითარება ბიზნესის უკეთესად წარმართვის საშუალებას აძლევდათ, ჩვენ კი ვამბობთ, რომ ეს იყო ექსპლუატაცია. საბედნიეროდ, ამას გვიდასტურებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც და დღევანდელი მთავრობაც.

მეორე გამოკვეთილი პრეტენზიაა შრომითი კონტრაქტის ვადაზე ადრე შეწყვეტა უმიზეზოდ. არიან დამსაქმებლები, რომლებიც ჯერ კიდევ იყენებენ არგუმენტს — დაბალი კვალიფიკაციის მუშახელი ხომ უნდა გავუშვაო... ვინ უშლით ხელს? ახალი კოდექსი მათ საშუალებას მისცემს დაბალი კვალიფიკაციის, უდისციპლინო და კომპანიისთვის ზიანის მომტანი მუშაკი ვადაზე ადრე გაუშვან ისე, რომ კომპენსაციაც არ მისცენ. სხვათა შორის, ამას დღევანდელი კანონმდებლობაც ითვალისწინებს. მაგრამ დამსაქმებლებს ხშირად სურთ შეინარჩუნონ შესაძლებლობა, ნებისმიერ დროს გაუშვან თანამშრომელი ახსნა-განმარტებისა და დასაბუთების გარეშე: დამსაქმებელი წერს, რომ ათავისუფლებს ადამიანს 27-ე (დ) მუხლის საფუძველზე და ერთი თვის კომპენსაციასაც აძლევს. ხმამაღლა კი ამტკიცებს, რომ დაბალი კვალიფიკაციის გამო გაათავისუფლა. ვინ დაუშალა საბუთებში ამის ჩაწერა? — იმან, რომ გათავისუფლებული თანამშრომელი სარჩელს შეიტანს, სასამართლო კი დაადგენს, რომ სულაც არ ყოფილა დაბალი კვალიფიკაციისა.

**„პატიოსან დამსაქმებლებს არც ადრე ჰქონიათ პრობლემები, რადგან ბოროტად არ იყენებდნენ თავიანთ უფლებებს"**



საკმაო კამათი მოჰყვა მასობრივი დათხოვნის წესებს. ვფიქრობ, ეს ნიუანსიც უნდა დაზუსტდეს. თუ საწარმოდან ერთდროულად 50-100 კაცის გაშვებაა საჭირო, ეს ხელშესახები სოციალური პრობლემა გახდება იმ რაიონის ან ქალაქისთვის, რადგან უმუშევართა და სოციალურად დაუცველთა რიგებს გაზრდის. ძალიან დიდი პრობლემაა მოკლევადიანი კონტრაქტებიც — დამსაქმებელს ერთთვიანი, ერთკვირიანი, ერთდღიანი კონტრაქტის გაფორმებაც კი შეუძლია, რაც მასობრივად ხდება და დაუშვებელია. კანონმდებლობით, საგამოცდო ვადა ექვსი თვეა, მაგრამ დამსაქმებლები ხშირად ამას არ ითვალისწინებენ. ახალი კოდექსით კი განისაზღვრება, როდის შეიძლება დაიდოს მოკლევადიანი კონტრაქტი და როდის — არა. ერთთვიანი ხელშეკრულება შეიძლება დაუდო ხელოსანს, რომელიც შენობაში რემონტს აკეთებს, ან ელექტრობა გაჰყავს, მაგრამ როგორ უნდა დაუდო ასეთი ხელშეკრულება ექიმს, ან პედაგოგს, რომელიც იმ ადგილას ერთ წელიწადს მაინც უნდა დარჩეს?

**— ზოგიერთი დამსაქმებლის აზრით, თუ სამსახურიდან გაშვების წესები მკაცრდება, მაშინ მიღების წესებიც უნდა გამკაცრდეს.**

— გაამკაცრონ, რა პრობლემაა? ფაქტია, ნორმალური ბიზნესი ზედმეტ თანამშრომელს ისედაც არასოდეს აიყვანს. პატიოსან დამსაქმებლებს არც ადრე ჰქონიათ პრობლემები, რადგან ბოროტად არ იყენებდნენ თავიანთ უფლებებს და არც ახლა ექნებათ. სავსებით ვეთანხმები აზრს, რომ შრომის კოდექსმა ეკონომიკის განვითარებას ხელი არ უნდა შეუშალოს. მან დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობა უნდა დააბალანსოს და სამართლიან ჩარჩოებში მოაქციოს, სხვაგვარად წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

მხოლოდ
1 მაისამდე!



გაცემის საკომისიო - 0%
განაღდების საკომისიო - 0%
საშეღავათო პერიოდი - 3 თვე

Part of the ProCredit Group
*22 22
220 22 22
www.facebook.com/ProCreditBankGeorgia
პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

# მსუყე ნაჭერი ჩინოვნიკების საცდუნებლად

## მთავრობები მიდიან და მოდიან, ჩაწყობილი ტენდერები რჩება?!

*(21-ე გვერდიდან)*

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ვითარება შეიცვალა, მაგრამ რამდენიმე „შავი ხვრელი“ სახელმწიფო ტენდერების მიმართულებით მაინც დარჩა. სახელმწიფო უწყებებში, საშუალო დონეებზე, როგორც წესი, ისევ ის ადამიანები მუშაობენ, რომლებმაც წინა ხელისუფლების პირობებში კარგად ისწავლეს, რა საიდან „გამოადნონ“. შესაბამისად, ისევ აქტუალურია სხვადასხვა მომსახურების ერთ ლოტად გაერთიანების პრინციპი, რაც ერთეულ კომპანიებს სხვებთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ისევე როგორც წინა ხელისუფლების დროს, შეზღუდულია სატენდერო ვადები და უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო ტენდერების გამოცხადება უქმეებს ემთხვევა. მაგალითად, ტენდერი ხუთშაბათს საღამოს ცხადდება, საიდანაც სამი სამუშაო დღის ათვლა იწყება და ორშაბათს უკვე დასრულებულად ითვლება. გამოდის, რომ მას, ვინც აღნიშნული ტენდერის შესახებ წინასწარ არ არის ინფორმირებული, მცირე შანსი აქვს, მისი მიმდინარეობის შესახებ შაბათ-კვირას გაიგოს.

„3-4 დღით ადრე ცხადდება ტენდერი და ასეთ მცირე ვადაში ვერ ასწრებ მომზადებას. გარდა ამისა, მოთხოვნილი პროდუქციის ან მომსახურების ასორტიმენტი იმდენად ვრცელი და მრავალფეროვანია მხოლოდ ერთი კომპანიისთვის, რომ წარმოუდგენელია ეს მოთხოვნა დააკმაყოფილო, თუ, რა თქმა უნდა, წინასწარ არ გაქვს ამის შესახებ ინფორმაცია და საგანგებოდ არ მოემზადები. მაგალითად, ერთ-ერთი სამინისტრო აცხადებს ტენდერს ავტომობილის საბურავებისა და ჭანჭიკების შესყიდვაზე. მე საბურავების იმპორტიორი ვარ და შემიძლია ეს პროდუქცია საუკეთესო ფასად მივაწოდო აღნიშნულ უწყებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება მას, ვინც საბურავებთან ერთად ჭანჭიკებსაც მიაწვდის, თუნდაც გაცილებით მაღალ ფასად, ვიდრე მე ვთავაზობდი. ტენდერით მოთხოვნილი ერთი დეტალი თუ მაინც გაკლია, კონკურსს ეთიშები. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოცა და მეწარმეც ზარალდება, სამაგიეროდ ერთეულები ხეირობენ. ერთ ლოტად ისეთი წარმოუდგენელი პროდუქტი და მომსახურებაა გაერთიანებული, რომ აბსურდამდე მივდივართ. ერთ-ერთ ბოლო ტენდერში, რომელშიც ვმონაწილეობდი, 500-მდე დასახელების პროდუქცია იყო გაერთიანებული ერთ ლოტად. ამ ბიზნესში წლებია ვარ და წარმოუდგენელია, ერთმა კომპანიამ სამ დღეში ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეძლოს. ამ ყველაფრის შემდეგ კი ბუნებრივია, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეულ კომპანიებთან მოლაპარაკების გზით, სატენდერო პირობებში ისეთი ჩანაწერი კეთდება, რომელიც მხოლოდ ერთეულებს ჩააყენებს პრივილეგირებულ პირობებში. ანუ, ფაქტობრივად ისევ ვიღაცას არგებენ სატენდერო პირობებს, იმის ნაცვლად, რომ რაც შეიძლება მეტ ბიზნესსუბიექტს მისცენ ტენდერში მონაწილეობის უფლება და ამით სახელმწიფო ბიუჯეტიც დაზოგონ. ამიტომ, ე.წ. ჩაწყობილი ტენდერების თემა, ხელისუფლების შეცლის მიუხედავად, მაინც აქტუალურია. გარდა ამისა, ხშირად გამოცხადებულ ტენდერში მხოლოდ ერთი პირი მონაწილეობს. გამოდის, ან სხვებს არ აქვთ ინფორმაცია, ან მოთხოვნებია მათთვის დაუძლეველი. ასე რომ, ჩვენთვის, რიგითი მეწარმეებისთვის არაფერი იცვლება“, — გვითხრა ერთ-ერთმა მეწარმემ, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო, კონფიდენციალობის დაცვა გვთხოვა.

**დავით კოხრეიძე** *(ბიზნესმენი)*: „მერიამ გამოაცხადა ტენდერი 2013 წლის განმავლობაში თბილისში საკონცერტო ღონისძიებების უზრუნველსაყოფად. ყველა პირობა დავაკმაყოფილე, ფასითაც გავიმარჯვე, 16 იანვარს კი მოეწყო სატენდერო კომისიის სხდომა, სადაც გადაწყდა, რომ ეს ტენდერი შეწყვეტილიყო და ახალი ტენდერი გამოცხადებულიყო. ისე გააუქმეს ტენდერი, არანაირი ახსნა-განმარტება არ გაუკეთებიათ. მას შემდეგ მერიამ ახალი ტენდერი გამოაცხადა, სადაც დამატებულია რამდენიმე მოთხოვნა გახმოვანების აპარატურაზე და მაისში, ერთ დღეს ერთდროულად ათ ადგილას მცირე გახმოვანების აპარატურით მომსახურება. ეს საკმაოდ საჩოთირო მოთხოვნაა და ნიშნავს, რომ კომპანიას ათი ხმის რეჟისორი უნდა ჰყავდეს. კანონმდებლობაც ისე აქვთ მორგებული, რომ საზოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლიათ შეწყვიტონ, გააუქმონ ტენდერი. ჩვენ რომ დაგვერღვია სატენდერო მოთხოვნები, მაშინ ჯარიმა უნდა გადაგვეხადა და შავ სიაში შეტანა არ აგვცდებოდა. ჩემი აზრით, ტენდერის შეწყვეტას ორი რეალური მიზეზი ჰქონდა. როცა ჩვენ გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები ავტვირთეთ, იქ ნახევარზე მეტი იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ შეკვეთების შესრულება და მეორე ის, რომ ჩვენი კონკურენტი ორგანიზაცია იყო მათი ფავორიტი. ის, რომ კომპანია „არტჯი“ მერიის ფავორიტი იყო, იმითაც დასტურდება, რომ ტენდერის სავარაუდო ღირებულება ზუსტად ემთხვევა „არტჯის“ მიერ წარდგენილ ხარჯთაღრიცხვას. ცოტა უცნაური რიცხვია — 189 070 ლარი. ეს მომსახურება იმდენი კომპონენტისგან შედგება, რომ შეუძლებელია ასე ზუსტად დაამთხვიო. გარდა ამისა, ტენდერში ცდილობ, ვაჭრობისას ბოლო სიტყვა შენი იყოს. როცა აწვდი მაქსიმალურ ფასს, გამოდის, არ ელოდები კონკურენტს და ესეც ეჭვს ბადებს, რატომ უნდა მიაწოდო მაქსიმალური ფასი.

თბილისის მერიის გამოცხადებული ტენდერების გარდა, შემიძლია სხვა უწყებების მიერ გამოცხადებული ტენდერებიც ჩამოგითვალოთ, სადაც ტენდენციურ მიდგომებია. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი 26 მაისის ღონისძიების მოწყობაზე, სადაც ასევე დაბალი ფასით გავიმარჯვე და მოხდა ასეთი რამ — 24 მაისს 17:10 საათზე ატვირთეს ახალი მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც მოითხოვეს, წარგვედგინა ახალი ხარჯთაღრიცხვა და ჩვენს პროგრამაში მონაწილე 15 ადამიანის შესახებ ინფორმაცია, დასკანერებული, პდფ-ის ფორმატში გადაყვანილი და საიტზე ატვირთული. ამისთვის კი გვქონდა 50 წუთი. ბუნებრივია, ეს ვერ მოვასწარი და დისკვალიფიკაცია მომცეს. ამის შემდეგ კონკურენტ ორგანიზაციას მოსთხოვეს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის წარდგენა და გამარჯვებაც მიულოცეს.

ქუთაისის მერიას აქვს გამოცხადებული ტენდერი 2013 წლის განმავლობაში ქუთაისში გამართული ღონისძიებების გახმოვანებაზე. 35 ათასიანი ტენდერია, მხოლოდ ერთმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. უცნაურია, არ არის მითითებული ღონისძიებების რაოდენობა. რომ დავრეკე და ვკითხე, მიპასუხეს არ ვიცით, შეიძლება 10 იყოს და შეიძლება 30-იო. ასეთი პირობების შემთხვევაში ვინ გარისკავდა მონაწილეობას, მაგრამ როგორც ჩანს, ვიღაცას უფრო კონკრეტული ინფორმაცია ჰქონდა“.

**ირაკლი ლექვინაძე** *(ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში)*: „წინა ხელისუფლების დროს, მრავალმილიონიან და მნიშვნელოვან ტენდერებში მონაწილეობდნენ მხოლოდ ის კომპანიები, რომლებსაც ჰქონდათ ერთგვარი პრივილეგია მაშინდელი მაღალჩინოსნების მხრიდან. ბოლო დროს, ბევრი ასეთი თემა გაიხსნა და უფრო ნათელი გახდა სქემები, რომლებითაც კომპანიები ამ ტენდერებში იმარჯვებდნენ. მათ შორის ზოგი საცხოვრებელი ბინის მისამართზე იყო რეგისტრირებული, ზოგიც ტენდერამდე ორი დღით ადრე დაფუძნებული, ზოგსაც ზურგს უკან არანაირი კაპიტალი არ ჰქონდა. ვფიქრობ, ახლა ვითარებაც შეიცვალა და მიდგომებიც, თუმცა ბევრი დეტალი ჯერაც დასახვეწია. რაც შეეხება მცირე ვადებს, ამას, სახელმწიფო უწყებების განმარტებით, ობიექტური მიზეზი აქვს. ბევრი სამინისტრო, ფაქტობრივად, იძულებული იყო, ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად და მოკლე ვადებში გაეკეთებინა. წლის ბოლოს დადებული კონტრაქტები ამოიწურა, 1-ელი იანვრიდან ახალი კონტრაქტები იყო გასაფორმებელი და მათ მოუწიათ ფორსმაჟორულ რეჟიმში მუშაობამ. მიუხედავად ამისა, წვდომა ტენდერებზე გაზრდილია. პირადად გავეცანი ერთ-ერთი სახელმწიფო უწყების მიერ გამოცხადებულ რამდენიმე ტენდერს, სადაც რამდენიმე კომპანიაა მიმწოდებელი სხვადასხვა პოზიციების მიხედვით და მათ შორის ბევრი მცირე კომპანია და ინდმეწარმეა, რაც მისასალმებელია. დანარჩენი უკვე სამუშაო პროცესია და ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა მოუსმინოს მეწარმეებს, რომ ეს პროცესი უფრო სრულყოფილი გახდეს. საბიუჯეტო სახსრების მითვისების ცდუნება ძალიან დიდია, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ ვინმემ მისი რიგებიდან ბოროტად გამოიყენოს სახელმწიფო თანხებზე წვდომა ისე, როგორც ეს ყოფილი ხელისუფლების პირობებში ხდებოდა. ამ პროცესს ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, უნდა იყოს გამჭვირვალე, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი, ტენდერის პირობები და ვადები აუცილებლად გასაზრდელია, რათა მეწარმე უკეთ მოემზადოს. თუ ახლაც გაჩნდება კითხვები ელექტრონული ტენდერების მიმართ, აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს შესაბამის უწყებებს რეაგირებისთვის“.



**სახელმწიფო უწყებებში, საშუალო დონეებზე, როგორც წესი, ისევ ის ადამიანები მუშაობენ, რომლებმაც წინა ხელისუფლების პირობებში კარგად ისწავლეს, რა საიდან „გამოადნონ“**

| | |
|---|---|
| საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9.02.2013-დან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი: | |
| USD 1 აშშ დოლარი | 1.6561 |
| EUR 1 ევრო | 2.2213 |
| GBP 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 2.6095 |
| RUB 100 რუსული რუბლი | 5.4915 |

### ქვირი ერთცენტიანი უქმდება

კანადის ფინანსთა სამინისტრო მიმოქცევიდან ერთცენტიან მონეტას იღებს, ბანკები მას აღარ მიიღებენ. ფასები კვლავ ცენტის სიზუსტით იქნება მითითებული, მაგრამ ანგარიშსწორებისას 0,05 ან 0,01 კანადურ დოლარამდე დამრგვალდება. მთავრობა ცენტზე უარის თქმას მისი დაბალი მსყიდველუნარიანობით ხსნის. ერთცენტიანი მონეტის წარმოება 1,6 ცენტი ჯდება და მასაზე უარის თქმით ყოველწლიურად $11,009 მილიონის დაზოგვას გეგმავენ. ყველაზე წვრილ მონეტებზე უარი ნათქვამი აქვთ ახალი ზელანდიას, ავსტრალიას, ნიდერლანდებს, ნორვეგიას, ფინეთსა და შვედეთს.




ეკოპალიტრას რეკომენდაცია!

სინერჯი ჯგუფის წიგნები

მეტი წარმატებისთვის




- მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის
- თანამედროვე ორგანიზაციების მართვა
- ლიდერობის ხელოვნება

მართვის ახალი გეომეტრია

გამომცემლობა პალიტრა L

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ფასი: 12 ლარი

სარედაქციო კოლეგია
მთ.რედაქტორი: გელა გურგენიძე

მისამართი:
თბილისი; იოსებიძის ქ. 49,
ტელ.: 238-84-44
ელფოსტა: eko@palitra.ge

სარეკლამო სამსახური:
ტელ.: 237-78-07

გაზეთში გამოყენებულია სააგენტო „ინტერპრესნიუსისა“ და ინტერნეტპორტალ Commersant.ge-ს მასალები

ყველა სიახლე
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
გამოდის ოთხშაბათობით siakhle@palitra.ge

# „ქვანიას საქმის გამო ფილმი დაბლოკეს“



ზაზა ურუშაძე

*კინორეჟისორი ზაზა ურუშაძე, ავტორი ფილმებისა — „სამი სახლი“, „ბოლო გასეირნება“, „დარჩი ჩემთან“ და ა.შ. მალე კიდევ ერთ ფილმს, „მანდარინებს“ წარუდგენს კინომოყვარულებს. მან რამდენიმე წლის წინ გადაიღო დეტექტიური სერიალის „ცხელი ძაღლის“ მე-4 სეზონის 12 სერია, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ საზოგადოებას მისი ნახვის საშუალება არ მისცა. რა გახდა ამის მიზეზი, ბატონი ზაზა ურუშაძის ინტერვიუდან შევიტყობთ.*

**„ცხელ ძაღლში“ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის არაოფიციალური ვერსიაა გამოყენებული“**



**— მალე დაიწყება სერიალ „ცხელი ძაღლის“ მეოთხე სეზონი. არადა, როგორც შევიტყვეთ, წინა ხელისუფლება ამ ფილმის 12-ვე სერიის განადგურებას შეეცადა. როგორ მოახერხეთ მისი გადარჩენა?**

— არ ვიცი, გულმა მიგრძნო თუ რა მოხდა, მაგრამ ამ სერიების ერთი ეგზემპლარი შინ წავიღე... „ცხელი ძაღლი“ მე-4 სეზონზე მუშაობა 2007 წელს დავასრულე. უკვე ეთერში უნდა გაგვეშვა, რომ იმავე წლის 7 ნოემბერს სპეცნაზი ტელეკომპანია „იმედში“ შემოვარდა და დაარბია. მას შემდეგ ხელისუფლება აკონტროლებდა ამ ტელევიზიას და ეს სერიალი ეთერში არ გაუშვეს.

**— რატომ?**

— ფილმი დეტექტიური ჟანრისაა. მას ფონად გასდევს საქართველოს პრემიერ-მინისტრ, ზურაბ ჟვანიას მკვლელობის არაოფიციალური ვერსია და სწორედ ამის გამო დაბლოკეს.

**— ბატონო ზაზა, ვისი დავალებით დაიბლოკა „ცხელი ძაღლის“ მე-4 სეზონის სერიები?**

— სისტემამ დაბლოკა. მე-4 სეზონში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ქალია. მის როლს მსახიობი ნინო ბურდული თამაშობს. ფილმში მასზეც ამბობენ, რომ გაზით გაიგუდა, რაც ასევე ძალიან ჰგავს ბატონი ზურაბის დაღუპვის ამბავს. სერიალში პრეზიდენტიც ფიგურირებს, თუმცა ეკრანზე არ ჩანს. არ გეგონოთ, რომ ვინმეს პოლიტიკური დაკვეთა შევასრულე. უბრალოდ, ეს ამბავი ქართველ საზოგადოებას აინტერესებს და ამიტომაც ვაქციე მეოთხე სეზონის მთავარ თემად.

**— ხელისუფლების მხრიდან ამას რა რეაქცია მოჰყვებოდა, ამაზე არ გიფიქრიათ?**

— რას წარმოვიდგენდი, 75-საათიან ფირს თუ წაშლიდნენ! კიდევ კარგი, შინ მქონდა ერთი ეგზემპლარი, თორემ ეს წვალება წყალში ჩაგვეყრებოდა... ახლა კი, როდესაც ტელეკომპანია „იმედი“ კანონიერ მფლობელს გადაეცა, „ცხელი ძაღლის“ მეოთხე სეზონი მათ დავუბრუნე და ძალიან მალე გაუშვებენ ეთერში. ასე რომ, ყოფილმა ხელისუფლებამ დიდი სამსახური გაგვიწია. ამით ხომ უდიდესი რეკლამა გაგვიკეთეს. გაეშვათ თავის დროზე, ეს ხომ ჩვეულებრივი მხატვრული ფილმი იყო.

სააკაშვილის ხელისუფლება კინოში, თეატრსა თუ ხელოვნების სხვა დარგში თავისუფალ სიტყვას ებრძოდა, რაზეც ხელი მიუწვდებოდათ, ადუმებდნენ, ტაბუს ადებდნენ. სამაგიეროდ, ცდილობდნენ, თვითონ შეექმნათ თავიანთი კინო. ფილმ „აგვისტოს ხუთ დღეს“ ათეულობით მილიონი დაახარჯეს და 5 დოლარი ძლივს ამოიღეს. პროპაგანდისთვის ფილმის გადაღება ლენინური, საბჭოური ამბავია. ხომ გახსოვთ, ლენინმა რაც თქვა: კინო იდეოლოგიააო. ნაციონალებისა და „აგვისტოს 5 დღის“ მაგალითზე ჩანს, რომ ფილმები ხელისუფლებამ კი არა, პროფესიონალებმა უნდა გადაიღონ.

**„ამით ხომ უდიდესი რეკლამა გაგვიკეთეს“**

**— თქვენ როგორ გადაიღებდით „აგვისტოს 5 დღეს“?**

— საერთოდ არ გადავიღებდი, რადგან სცენარი არ მომწონს.

**— ნაცმოძრაობის მმართველობის პერიოდში ასევე მოდური იყო ჰოლივუდელი ვარსკვლავების ჩამოყვანა, არა ფილმში სათამაშოდ, არამედ პრემიერაზე დასასწრებად...**

— შერონ სტოუნის „5 აგვისტოს“ პრემიერაზე ჩამოყვანაც ხომ მათ ფასადურ აზროვნებაზე მეტყველებს?! ჩამოიყვანეს შერონ სტოუნი, გადაიხადეს მილიონები... არ სჯობდა, ეს ფული კინოში ჩაედოთ? ან რა მოიტანა შერონ სტოუნის ჩამოსვლამ აფხაზეთი დაგვიბრუნა, თუ ფილმი გაიყიდა?

**— დღეს რა მდგომარეობაა ქართულ კინოში და რა არის პირველ რიგში გასაკეთებელი?**

— ქართული კინოცენტრის დირექტორმა თამარ ტატიშვილმა „ევრიმაჟიში“ გაწევრება მოახერხა, რაც დიდი მიღწევაა. თუმცა სახელმწიფო დაფინანსება — წელიწადში მხოლოდ 4 მილიონი ლარი, ქართული კინოსთვის ძალიან მწირია. ბოლოს და ბოლოს, ქართული კინო საუკუნეზე მეტი ხნისაა, ეს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობაა და ამიტომაც მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. ვიცი, რომ ახალ პრემიერ-მინისტრს უყვარს კინო, კულტურა და დარწმუნებული ვარ, ამ სფეროს მიხედავს. ვერა და ვერ მიიღო ქართულმა სახელმწიფომ კანონი სპონსორობის შესახებ. თუ კულტურას აფინანსებს სპონსორი, მას ხელისუფლების მხრიდან სერიოზული შეღავათები უნდა ჰქონდეს. ყველა ბიზნესმენს მეცენატობას ვერ მოსთხოვ. აი, ეს კანონია მისაღები და დაფინანსება უნდა გაიზარდოს, სულ ცოტა, ხუთჯერ მაინც. ამ შემთხვევაში გამოჩნდება, ვის რა შესაძლებლობები აქვს.

*ნინო მაისურაძე*
*გაზეთი „ყველა სიახლე“ №6*






თქვენთვის ქალბატონებო

# პირველი ღამის კოშმარი

*გჯერათ ბედისწერის? პასუხის მიუხედავად, ეს ამბავი ბევრს დაგაინტერესებთ. თუმცა, მანამდე ერთ ზღაპარს გავიხსენებ, რომლის თანახმად მისანმა უფლისწულს ღარიბ, მსახურ გოგონაზე დაქორწინება უწინასწარმეტყველა. ამაყმა ვაჟმა იუკადრისა ეს ამბავი, თვალებახვეული გოგონა ტყეში წაიყვანა, თავისი ხელით მუცელში ხანჯალი გამოუსვა და მხეცებს მიუგდო საჯიჯგნად. ბედად, გზად მიმავალ მდიდარ ვაჭარს გოგონას კვნესა მოესმა... თავისთან წაიყვანა, უმკურნალა და იშვილა. აღზარდა და თავსაც იწონებდა მშვენიერი შვილობილით. ერთ დღესაც წვეულებაზე უფლისწულს შეხვდნენ, რომელმაც ვერ იცნო გოგონა. გოგონამაც არ იცოდა, რომ სასიკვდილოდ უფლისწულმა გაწირა — მას ხომ თვალები ახვეული ჰქონდა. ქალ-ვაჟს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდა და დაქორწინდნენ. პირველ ღამეს ქმარმა ცოლის ნაიარევი რომ ნახა და ყველაფერი მოისმინა, შეძრწუნდა, მერე კი ირწმუნა, რომ ბედისწერას ვერსად გაექცეოდა.*





ნუკი და გიორგიც ვერ გაექცნენ ბედისწერას. ახლა ღიმილით ჰყვებიან ამბავს, წლების წინ კი...

**ნუკი** — გიორგი სკაიპით გავიცანი. ის ლონდონში იყო, მე თბილისში. საათობით ვლაპარაკობდით, თავზეც დაგვთენებია, მაგრამ ერთმანეთი ნანახი არ გვყავდა, ფოტოებსაც არ ვუგზავნიდი, რადგან ინკოგნიტოდ ფლირტი მომწონდა. ისიც სამაგიეროს მიხდიდა და სახეს არ მანახებდა. ერთ დღეს მთხოვა, შევხვდეთ, საქართველოში ვარო. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე, მაგრამ ძველი სახლის მისამართზე დავიბარე, რომელიც 12 წლის წინ გაყიდეს ჩემმა მშობლებმა და წარმოდგენა არ მქონდა, ვინ ცხოვრობდა იქ. გიორგის სახლში ძალიან ლამაზი გოგო დახვედრია... ამის შემდეგ გიორგისგან 6 წელი არაფერი მსმენია...

**გიორგი** — ახლა მე განვაგრძობ. როდესაც კარი გოგომ გამიღო, გაოცებისგან ძლივს აღმომხდა — ნუკი? გამიხარდა, ულამაზესი გოგო ყოფილა-მეთქი. ნუკი კი არა, მაიკო ვარო. როდესაც დავრწმუნდი, რომ ნუკიმ მომატყუა, მასთან დაკავშირება აღარ მიცდია, არასერიოზულ ქალად მივიჩნიე. მაიკო კი დანახვისთანავე თავდავიწყებით შემიყვარდა. თანაც ვიფიქრე, იქნებ ეს არის ჩემი ბედი და ხელიდან რატომ გავუშვა-მეთქი? დიდი გარჯა არ დამჭირვებია მასთან დასაახლოებლად. ანდა, რა მქონდა დასაწუნი?! ახალგაზრდა, სიმპათიური, ფეხზედამდგარი კაცი ვიყავი — ლონდონში აწყობილი ბიზნესი მქონდა. მაიკო ძალიან თბილი, ყურადღებიანი და ალერსიანი გამოდგა. ორი თვის შემდეგ ხელი ვთხოვე და დავქორწინდით. ქორწილის მეორე დღეს, გამთენიისას თაფლობის თვის გასატარებლად ჰავაიზე მივფრინავდით, მაგრამ იმ ღამეს ჩემს ცხოვრებაში რაც მოხდა, ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც კი არ დაგესიზმრებათ — ქალი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა, ვისთვისაც ქორწინებამდე ხელი არ დამიკარებია და უმწიკვლო ანგელოზი მეგონა, გახრწნილი მატყუარა აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ქორწილში უზომოდ დათვრა, მერე იმდენს მამას არ ეფერებოდა, როგორც დის მამამთილს. ცეკვისას ისე ეხუტებოდა და კოცნიდა, გამიკვირდა. თუმცა იმდენად ბედნიერი და აღფრთოვანებული ვიყავი მისით, რომ ამისთვის ძალიანაც არ მიმიქცევია ყურადღება. რას წარმოვიდგენდი, წინ რა საზიზღრობა მელოდა...

> **„მე ვიყავი შესანიშნავი საშუალება, რომ ქალწულობა კანონის ფარგლებში დაეკარგა და მერე საყვარელთან ერთად მისცემოდა აღვირახსნილ ცხოვრებას“**

ხელში აყვანილი შევიყვანე საძინებელში. ერთი სული მქონდა, ეს ანგელოზივით ქალი როდის გახდებოდა ჩემი, მაგრამ ისეთი მთვრალი იყო, ერთიანად მოწყდა. ტყვიასავით დამძიმებული ძლივს დავაგდე საწოლზე და გულგატეხილმა გავიფიქრე, ესეც შენი პირველი ღამე და რომანტიკა-მეთქი. ტანსაცმლის

> **მუდმივად ჩამესმოდა მისი ხმა, როდესაც საყვარლის სახელი დამიძახა... მახსენდებოდა, როგორ ეხუტებოდა ქორწილში იმ კაცს, რომელიც ვინ იცის, რამდენი ხნის განმავლობაში რყვნიდა...**

გახდის კი არა, თავის აწევის უნარიც არ ჰქონდა. ფრთხილად გავხადე, ლოგინში ჩავაწვინე და თავს ვებრძოდი, რომ მასთან პირველი კავშირი, როგორც მკვდართან არ დამემყარებინა, მაგრამ ისეთი თავბრუდამხვევი სხეული ჰქონდა, ნასვამმა თავი ვერ შევიკავე და ალერსს შევყევი... და უცებ გველნაკბენივით გამომაფხიზლა მისმა სიტყვებმა, — მთავაზობდა, გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი დამემყარებინა მასთან, თან თავისი დის მამამთილის სახელს ახსენებდა. ცხადი იყო, ვერ მცნობდა... შოკში ჩავვარდი, ყურებს არ ვუჯერებდი, თავი სიზმარში მეგონა, ცოტა ხნის წინ საოცნებო, საყვარელი და სასურველი ქალი საშინლად შემძულდა, თითქოს ჩემ წინ გახრწნილი ხორცის მასა იდო. გაგიჟებულს რა მექნა, არ ვიცოდი, კედლებს ვაწყდებოდი. ერთხანს ისიც გავიფიქრე, იმ ბინძურ ბებერს მივახრჩობ და მერე ამ კახპასაც ზედ მივაყოლებ-მეთქი, მერე შეურაცხყოფილს წამით იმ აზრმაც გამიელვა, თავს მოვიკლავ და ჩემი ტანჯვაც ამით დასრულდება-თქო. ამ წამებაში ვიყავი, რომ თვალი საწოლზე გაშხლართული პატარძლისკენ გამექცა და თითქოს აზრზე მოვედი — ღირდა კი ამ ამაზრზენი ქალის გამო თავის მოკვლა?! გაგიჟებული ჩემს ნივთებს ვეცი და ჩალაგება დავიწყე... თან დედაჩემს ტელეფონზე შეტყობინება გავუგზავნე: „მივდივარ, ცოლი არ მყავს და არც მეყოლება! ქალი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარდა, ზნედაცემული, უკანასკნელი კახპა აღმოჩნდა. ძებნას ნუ დამიწყებთ“.

იმ ქალსაც დავუტოვე წერილი: „არ მეგონა ცოლთან პირველი ღამე თუ ასეთი გულისამრევი იქნებოდა. შენი გულისთვის ცხოვრებას დავთმობდი, შენ კი მატყუარა და გარყვნილი არსება აღმოჩნდი. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს შენი გახრწნილი ბებერი...“

მერე გამწარებულმა კარი გავიჯახუნე და აეროპორტში გავვარდი... საქორწინო მოგზაურობაში მარტო წავედი. ამაოდ ვცდილობდი თავიდან ამომეგდო პირველი ღამის კოშმარი — იმ ქალის სიტყვები სულ ყურში ჩამესმოდა... მერე ვიფიქრე, იქნებ გული გადავაყოლო და ჩემს ლონდონელ მეგობარ გოგონას მივწერე, ჰავაიზე გეპატიჟები-მეთქი. ორ დღეში ჩამოვიდა. ვილაცისთვის ხომ უნდა მომეყოლა, რაც გადამხდა, თორემ გავგიჟდებოდი. თუმცა, სინტიამ ვერც ის გაიგო, რატომ ეწეოდა მაიკო გათხოვებამდე გაუკუღმართებულ სქესობრივ ცხოვრებას და ვერც ჩემი გაცოფების მიზეზს ჩასწვდა. მითხრა, — ეს მისი არჩევანი იყო და შეგეძლო მისთვის გაგეგოო. სულ გადავირიე, კი ვიცოდი ევროპელები სექსში მეტად თავისუფლები რომ არიან, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი თუ თანაგრძნობის ნაცვლად, გაოცებული მხრებს აიჩეჩდა... ასე იყო თუ ისე, სინტიასთან გულახდილმა საუბარმა შვება ვერ მომგვარა, ისევ მახსენდებოდა, როგორ ეხუტებოდა ჩემი ცოლი ქორწილში იმ კაცს, რომელიც ვინ იცის, რამდენი ხნის განმავლობაში რყვნიდა მას...

გავიდა წლები... მე ისევ ლონდონში ვცხოვრობდი და ჩემს ბიზნესს ვუძღვებოდი. მეგონა იარები მოვიშუშე და იმ ღამის კოშმარი სამუდამოდ დავივიწყე-მეთქი, რომ ერთ საღამოს საქმიან ვახშამზე ჭრილობა თავიდან გამეხსნა — რესტორანში იმ ბებრის საზიზღარ სახეს მოვკარი თვალი, გვერდით ბედნიერი და ლაღი მაიკო მოჰყვებოდა... სისხლი თავში ამივარდა, კისრის ძარღვები დამებერა და შურისძიებით დაბრმავებული ჯერ ქალს ვეტაკე, მერე კაცს ვეძგერე და მეტი არაფერი მახსოვს... იმ ბინძური ბებრის დაცვამ ისე მცემა, გონს საავადმყოფოში მოვეგე...

საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ იმ ქალისთვის მე ვიყავი შესანიშნავი საშუალება, ქალწულობა კანონის ფარგლებში დაეკარგა და მერე საყვარელთან ერთად მისცემოდა აღვირახსნილ ვნებას.

**ნუკი** — იმ პერიოდში ლონდონში გავდიოდი სტაჟირებას ერთ-ერთ კლინიკაში, მითხრეს, სასტიკად ნაცემი კაცი შემოიყვანესო. სანამ გონზე მოვიდოდა, გვერდიდან არ მოვშორებივარ, თავს ვევლებოდი უცნობ კაცს, ისეთი შეგრძნება კი მქონდა, თითქოს დიდი ხანია ვიცნობდი... ერთ დღეს კი, როდესაც გიორგიმ თავისი ამბავი მიამბო, იმ უფლისწულივით შემრცხვა... ახლა ბედნიერად ვცხოვრობთ, მაგრამ მუდმივად მაწუხებს სინდისი, გიორგიმ ამხელა განსაცდელი რომ გამოიარა.

რაც შეეხება მაიკოს, მისი ასავალ-დასავალი მშობლებმაც არ იციან. ქმართან წარუმატებელი პირველი ღამის შემდეგ, როგორც ჩანს, არც მას უფიქრია ბევრი — საყვარელთან ერთად გაუჩინარებულა...

*სოფო გამრეკელი*

www.kvirispalitra.ge
თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?
გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში


## ჯანსაღი კვება კლიმაქსის დროს

ქალბატონების უმრავლესობა მენოპაუზას ტრაგიკულად აღიქვამს. ეს მტკივნეული საკითხი ასოცირდება კანის დაბერებასთან, ჭარბ წონასა და ჯანმრთელობის გაუარესებასთან.

მენოპაუზის პერიოდში ქალის სასქესო ჰორმონების სეკრეციის შეწყვეტა განაპირობებს ორგანიზმში მიმდინარე ცვლილებებს, რომელთა მართვა შესაძლებელი და აუცილებელია ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის.

მენოპაუზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები ცნობილია ყველა ქალისთვის. ესენია: ალები, წამოხურება, ჭარბი ოფლიანობა, არტერიული წნევის ცვალებადობა და სხვა. ამ უსიამოვნო მდგომარეობიდან თავის დაღწევა ჯანსაღი კვებითაც შეიძლება. მენოპაუზის შემდეგ ქალის ჯანმრთელობა მეტწილად დამოკიდებულია კვების თავისებურებებზე.

იმისათვის, რომ წამოხურებების ინტენსივობა და სიხშირე მინიმუმადე იქნეს დაყვანილი, რაციონიდან უნდა იქნეს ამოღებული შოკოლადი, ცხელი და მატონიზირებელი სასმელები, მათ შორის ყავა, კოფეინის შემცველი სხვა სასმელი, ალკოჰოლი. სასარგებლოა ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობის გაზრდა რაციონში, ცეხვილი ხორბლის პროდუქციის მიღება და ზომიერი რაოდენობით თხიღეული. მკვეთრად უნდა შეიზღუდოს ცხოველური ცხიმი. შემცირდეს შაქრის გამოყენება.

მენოპაუზის პერიოდში დიდი რაოდენობით ხორცეულის მიღება არ არის სასურველი. მინიმუმამდე მცირდება ხორცის პროდუქტები, ხოლო სოსისები და ძეხვეული სრულიად იზღუდება. დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონში კალციუმის, და C ვიტამინის რაოდენობას.

კლიმაქსის დროს პათოლოგიური გამოვლინებებიდან ყველაზე ხშირი არის სიმსუქნე, შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლისა და გულის დაავადებები და ოსტეოპოროზი, რომელიც სწორედ მენოპაუზასთან და მის შემდგომ პერიოდთან ასოცირდება.

მენოპაუზაში მყოფი ქალებისათვის, დაბალკალორიული კვებისას,განსაკუთრებით საყურადღებოა კალციუმის შემცველობა პროდუქტებში, რათა არ მოხდეს მისი კარგვა და შედეგად, ძვლოვანი ქსოვილის გამოფიტვა.

ყველა ქალისათვის არსებობს ოქროს წესი ,რომლის მიხედვით,მენოპაუზის დროს უნდა შემცირდეს:

- მარილი 1 5გრ–მდე და შაქარი;
- სითხე 1–1 5ლ ძირითადად წყალის, ჩაის და ახლადგაწურული წვენი სახით, თუ სხვა რეკომენდაცია არ არის;
- პური და სხვა ცომეული;
- სუნელი და მწარე სანელებლები;
- დიდი რაოდენობით ქოლესტერინის შემცველი პროდუქტი– ხორცი (ბატის, ღორის, ცხერის), შოკოლადი, კვერცხი და სხვა.

უპირატესობა მიენიჭოს – ჯერად კვებას, მცირე ულუფებით - მოხარშულ საქონლის ან ქათმის თეთრ ხორცს, რძის პროდუქტს – ხაჭოს, მაწონს, მოთუშულ ბოსტნეულს, ბურღულეულს.

**ექიმი ენდოკრინოლოგი**
**ნინო ჯიქურაული**

## კლიმაქტოპლანი

კლიმაქტერული დარღვევების არაჰორმონული თერაპიის კლასიკა

- ახასიათებს „ესტროგენული რეცეპტორების შერჩევითი მოდიფიკატორების“ (SERM) აქტიურობა
  - დამტკიცებული მაღალი ეფექტურობა
- არეგულირებს ჰიპოთალამო-ჰიპოფიზო-გონადურ სისტემას
  - სიმპტომების ფართო სპექტრზე ზემოქმედება
- აძლიერებს ესტროგენების გამომუშავებას
  - ბრწყინვალე ამტანობა
- ხელს უწყობს ცხიმოვანი ქსოვილებიდან ესტროგენის გამოთავისუფლებას
  - ბუნებრივი წარმოშობა
- ახდენს ოსტეოპოროზისა და სისხლძარღვების დაავადებების განვითარების პროფილაქტიკას
  - არ შეიცავს ჰორმონებს
- არ იწვევს ონკო-დაავადებებს
  - დამტკიცებული უსაფრთხოება

არაჰორმონული პრეპარატი „ესტროგენული რეცეპტორების შერჩევითი მოდიფიკატორების“ (SERM) აქტიურობით, რომელიც 60 წელზე მეტია, წარმატებით გამოიყენება გერმანიაში



...ცხოვრება მხოლოდ ახლა იწყება!




ჩვენებები:
პრეკლიმაქტერული და კლიმაქტერული დარღვევები, კლიმაქტერული სინდრომი

წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, 0177, მიცკევიჩის ქ.№27, ოთახი 508.
ტელ: +995 32 261 46 88
www.alpenpharma.com






აქცია
პროდუქცია თვითღირებულებით...
+საჩუქარი შენაძენზე...
გილოცავთ ვალენტინობას
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
აქცია ძალაშია 2013 წლის 11 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით
კვირის შეთავაზება:
INDESIT WIN 101
399
1000 ბრ.
5 კგ.
85 60 53
INDESIT IWC 5085 EcoTime
499
800 ბრ.
5 კგ.
85 60 53
INDESIT IWSD 6105 EcoTime
599
1000 ბრ.
6 კგ.
85 60 45
INDESIT SB 15020
599
243 ლიტრი
თეთრი
150 60 67
INDESIT NTA 16 R
649
296 ლიტრი
A კლასი
თეთრი
167 60 67
Hotpoint ARISTON AR 63
499
600 ბრ.
5 კგ.
85 60 53
Hotpoint ARISTON AR 83
549
800 ბრ.
5 კგ.
85 60 53
Hotpoint ARISTON AQ7L 85 U
AQUALTIS
NEW
899
A+ კლასი
800 ბრ.
7 კგ.
85 60 55
19 ლარიდან
25 ლარიდან
29 ლარიდან
29 ლარიდან
29 ლარიდან
35 ლარიდან
35 ლარიდან
39 ლარიდან
45 ლარიდან
69 ლარიდან
99 ლარიდან
99 ლარიდან
99 ლარიდან
129 ლარიდან
189 ლარიდან
179 ლარიდან
349 ლარიდან
დიღომი, ბელიაშვილის 8. ტელ: 2-518-815
სავ. ცენტრი "მეგალაინი", პავ. 87-89. ტელ: 2-478-672
საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 4, ტელ: 2-359-490
ისანი, ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია, ტელ: 2-478-676
საბურთალო, ვაჟა-ფშაველას 39. ტელ: 2-236-008
რუსთავი, შარტავას გამზ. №4. ტელ: 2-146-765
გორი, გურამიშვილის №1. ტელ: 0-370-224-257
ქუთაისი, რუსთაველის 97/99. ტელ: 0-431-243-482
თელავი. ვარდოშვილის №1. ტელ: 2-238-662
ბათუმი, ჭავჭავაძის 21. ტელ: 0-422-293-179
ქობულეთი, აღმაშენებლის 16, ტელ: 0-426-261-033
ოზურგეთი, ჭავჭავაძის 14, ტელ: 0-422-293-148
ჩხოროწყუ, მშვიდობის 2, ტელ: 7-90-970-555
და კიდევ, საუკეთესო ხარისხის
1000-ზე მეტი დასახელების საქონელი
მაღაზიების პოდიუმებიდან შეძენილ საქონელზე მოგეცემათ დამატებითი შეღავათები
SAMSUNG TOSHIBA SONY Hotpoint ARISTON Panasonic THOMSON PHILIPS TEFAL INDESIT Rowenta Moulinex
ელექტრონიკა
დაბალი ფასების ტერიტორია
ტელ: 2 518 815



ამერიკელი კინორეჟისორი



ამერიკელი მსახიობი




ჩეხური ავტომობილი



ფრანგი ფეხბურთელი



ამერიკელი მსახიობი

1. აშშ-ის კოსმოსური ხომალდი
2. აკრძალვა
3. ხახა
4. ცივი იარაღი
5. პერიოდული გამოცემა
6. სატევარი
7. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა
8. გაზი
9. ქიმ. ელემენტი
10. ჩასაბერი მუს. საკრავი
11. ფარმაცევტი
12. ვირი
13. ნიანგის სახეობა
14. მდინარე საქართველოში
15. ერთგვარი მოგრძო პური
16. ესპანური მაგარი ღვინო
17. პურის საცხობი
18. თარხი
19. კარგი ამინდი
20. აუქციონზე გასაყიდი ნივთი
21. სვანური სიმღერა
22. ესპანური ცეკვა
23. კამეჩის ნაშიერი
24. შინაური ფრინველი
25. სკანდინავიური თქმულება
26. წყალქვეშა კლდე
27. მზის ამოსვლა
28. გასართობი მოწყობილობა, რაზეც ქანაობენ
29. ოხუნჯი, ხუმარა
30. ნაკვერჩხლიანი ნაცარი
31. სომხური ცეკვა
32. მწვანილი
33. გულიანი ნამცხვარი
34. ძალა
35. სპორტის სახეობა
36. ლითონზე ამოჭრილი ნახატი
37. გაბატონებული გემოვნება
38. დიპლომატიური წერილი
39. რუსული სიმებიანი საკრავი
40. თეთრი ლაქა ხარის შუბლზე
41. მრწამსი
42. აღორძინების ხანა
43. ვარცხნილობა
44. გოგოლის პიესა
45. სამაგიდო თამაში
46. ქალაქი საქართველოში
47. გამოკლების ნიშანი
48. „ნაუტილუსის" კაპიტანი
49. ისტ. მხარე დას. საქართველოში
50. ჩვენებითი ნაცვალსახელი
51. საქონლის გასარეკი ჯოხი

**№6 სკანვორდის პასუხები:** 1. მადანი; 2. ღიმილი; 3. ექიმი; 4. მელოდია; 5. პალო; 6. რადარი; 7. ტვინი; 8. იდეალური; 9. მელომანი; 10. პოლისი; 11. ოდისევსი; 12. დომოდედოვო; 13. შკიპერი; 14. პომადა; 15. ნარკვევი; 16. მანათი; 17. კროსი; 18. ბაგირი; 19. სამოა; 20. ობი; 21. გვამი; 22. მუხანათი; 23. მიუნხენი; 24. თრიაქი; 25. ხობი; 26. ბერეტი; 27. ვითარება; 28. თივა; 29. ზნე; 30. ძუა; 31. ერესი; 32. კეხურა; 33. ღრეობა; 34. გეტა; 35. კალია; 36. კაფე; 37. ტრაპი; 38. ალოე; 39. კულინარი; 40. ბარსელონა; 41. ნუტრია; 42. ალიზი; 43. შუ; 44. ტრიო; 45. ფოსფორი; 46. რეცეპტი; 47. ოლიფა; 48. ქოხი; 49. სკალა; 50. ქოცო; 51. ინა.

სურათებზე: 1. ჩელენტანო; 2. პოლაკი; 3. ფარშავანგი; 4. ბინოში; 5. ბიონსე.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები**

შეადგინა ვანო კაჭახიძემ

# პირველი სერიული მკვლელი სსრკ-ში

## „მოუხელთებელი მანიაკი" თბილისელი ძველი ბიჭი აღმოჩნდა

## „გააღეთ, მოსგაზიდან ვარ!"



მაღალი მამაკაცი ბინის კარზე რეკავდა და ჩუმი ხმით ამბობდა: „გააღეთ, მოსგაზიდან ვარ!"... მამაკაციც ბინაში მყოფებს ხოცავდა, შემდეგ რაც ხელში მოხვდებოდა, პორტფელში ალაგებდა და უჩინარდებოდა. მალე მთელ მოსკოვში ხმა გავარდა: — ქალაქში მკვლელია! ის ბინებში შედის და ხალხს, განსაკუთრებით ქალებსა და ბავშვებს, მხეცურად ხოცავს.



„პანიკა საბჭოთა დედაქალაქში", — დასავლეთის „ხმები" ამგვარი ფრაზებით იყო გაჯერებული. ნიკიტა ხრუშჩოვმა გენერალური პროკურორი რომან რუდენკო დაიბარა:
— რას ნიშნავს ეს?!
— ნიკიტა სერგეევიჩ! ქალაქში მანიაკი დაძრწის! — მიუგო რუდენკომ.
— რაო? რა მანიაკი? რას როშავ! — ხრუშჩოვმა მაგიდას მუშტი დასცხო, — კოსმოსში პირველად საბჭოთა ადამიანი გაფრინდა, ჩვენ ხალხს შევპირდით, რომ დღევანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს, შენ კი რომელიღაც მანიაკზე მელაპარაკები! საბჭოთა სისტემის პირობებში არავითარი მანიაკი არ შეიძლება არსებობდეს! გაიგე?!

მოსკოვი, 1963 წლის 23 დეკემბერი.

ანაზდად ზარის ხმა გაისმა. თორმეტი წლის კოსტია სობოლევმა კართან მიირბინა და ჩუმად იკითხა:

— რომელი ხარ?

— გააღეთ, მოსგაზია! — გაისმა მამაკაცის ხრინწიანი ხმა.

კოსტიამ კარი გააღო. ზღურბლზე ნაცრისფერ პალტოში გამოწყობილი მაღალი მამაკაცი იდგა. ბიჭის დანახვაზე გაიღიმა და თვალი ჩაუკრა:

— მარტო ხარ?

— დიახ, მობრძანდით.

კოსტია სტუმარს სამზარეულოში შეუძღვა, გაზქურა უჩვენა.

— იქ რაღაც გდია, — მამაკაცმა ცერა თითი იატაკისაკენ გაიშვირა.

კოსტია უნებლიეთ დაიხარა. მამაკაცმაც ჯიბიდან ნაჯახი ამოიღო და თავში ჩასცხო.

კოსტია სობოლევის მკვლელობა ერთადერთი როდი აღმოჩნდა. ამის შემდეგ მოსკოვში რამდენიმე მსგავსი დანაშაული დაფიქსირდა. ხელწერა იგივე იყო. მამაკაცი ბინის კარზე რეკავდა და ჩუმი ხმით ამბობდა: „გააღეთ, მოსგაზიდან ვარ!" რასაკვირველია, უმალ შინ უშვებდნენ. მამაკაციც ბინაში მყოფებს ხოცავდა, შემდეგ რაც ხელში მოხვდებოდა, პორტფელში ალაგებდა და უჩინარდებოდა. მალე მთელ მოსკოვში ხმა გავარდა:

— ქალაქში მკვლელია! მოსგაზის მოსამსახურის სახელით ის ბინებში შედის და ხალხს, განსაკუთრებით, ქალებსა და ბავშვებს მხეცურად ხოცავს.

ეს ინფორმაცია დასავლეთის „ხმებშიც" მოხვდა — რადიო „თავისუფლებამ" სსრკ-ის დედაქალაქში გამოჩენილ სერიულ მკვლელს ვრცელი გადაცემა მიუძღვნა. „მოუხელთებელი, რომელიც მოსგაზად მონათლეს", „პანიკა საბჭოთა დედაქალაქში", — გადაცემა ამგვარი ფრაზებით იყო გაჯერებული. ნიკიტა ხრუშჩოვმა მაშინდელი გენერალური პროკურორი რომან რუდენკო დაიბარა:

— რას ნიშნავს ეს?!

— ნიკიტა სერგეევიჩ! ქალაქში მანიაკი დაძრწის! — მიუგო რუდენკომ.

— რაო? რა მანიაკი? რას როშავ! — ხრუშჩოვმა მაგიდას მუშტი დასცხო, — კოსმოსში პირველად საბჭოთა ადამიანი გაფრინდა, ჩვენ ხალხს შევპირდით, რომ დღევანდელი თაობა კომუნიზმში იცხოვრებს, შენ კი რომელიღაც მანიაკზე მელაპარაკები! საბჭოთა სისტემის პირობებში არავითარი მანიაკი არ შეიძლება არსებობდეს! გაიგე?!

— დიახ, ნიკიტა სერგეევიჩ.

— ასე რომ, ეს სიტყვა არ გამაგონო! ეს არამზადა კი ორ კვირაში გაბაწრული უნდა მომგვარო! წინააღმდეგ შემთხვევაში გენპროკურატურის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა შეიცვლება! გასაგებია? ახლა შეგიძლია წახვიდე.

ამ საუბრის შემდეგ მთელი მოსკოვის მილიცია და პროკურატურა ფეხზე დადგა. მიუხედავად ამისა, შედეგი არ ჩანდა. მოუხელთებელმა მანიაკმა კი კიდევ რამდენიმე მკვლელობა ჩაიდინა.

МУР-ის შემდგომში ცნობილი ექსპერტი სოფია ფაინშტეინი იმხანად ახალგაზრდა გოგონა იყო. მან რამდენიმე მოწმე აღმოაჩინა, რომლებმაც მანიაკს თვალი მოჰკრეს. იმხანად ფოტორობოტები ჯერ არ იყო. ფაინშტეინმაც ინსტრუქცია დაარღვია, მოწმეთა ჩვენება თავის თაყვანისმცემელ მხატვარს, ედუარდს უამბო, რომელმაც ამის საფუძველზე მკვლელის პორტრეტი დახატა. როდესაც ის მოწმეებს წარუდგინეს, მათ ერთხმად შესძახეს: — ესაა!

ამრიგად, მილიციას მკვლელის პორტრეტი უკვე ჰქონდა.

ამასობაში მანიაკმა ახალი დანაშაული ჩაიდინა — მოქალაქე აგამალოვა მოკლა და მისი ბინიდან ტელევიზორი გაიტაცა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ბავშვებმა, რომლებიც ეზოში თამაშობდნენ, დაინახეს მაღალი მამაკაცი, რომელიც სადარბაზოდან გამოვარდა, ხელში კი ტელევიზორი ეჭირა. როცა ბავშვებს მხატვრის მიერ დახატული პორტრეტი აჩვენეს, იყვირეს: — ესაა!

ბავშვებმა თქვეს, რომ მამაკაცმა სატვირთო მანქანა გააჩერა და შიგ ჩაჯდა. ერთ-ერთი მოზარდი კი იმდენად დაკვირვებული აღმოჩნდა, რომ მანქანის ნომერი დაიმახსოვრა. ამის შემდეგ ადვილად იპოვეს მძღოლი, რომელმაც განაცხადა, რომ მართლაც ჩაისვა მგზავრი, რომელსაც ხელში ტელევიზორი „რეკორდი" ეჭირა და რიგის ვაგზალთან ჩავიდა. მაძებრებს გუმანი კარნახობდა, რომ მკვლელს სადღაც ვაგზლის მახლობლად უნდა ჰქონოდა ბინა და მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყეს, — ვინმეს ოჯახში ტელევიზორი ხომ არ მიიტანაო. მართლაც, ერთ-ერთმა ქალმა განაცხადა:

— ჩვენ ქვემოთ კავკასიელი ცხოვრობს, გუშინ ტელევიზორი მოიტანა და შემომთავაზა, მოგყიდიო. ფული არ მქონდა და...

— რა გვარისაა?

— იონესიანი. ძალიან კარგი ბიჭია.

როცა ქალს ფაინშტეინის თაყვანისმცემლის მიერ შექმნილი პორტრეტი აჩვენეს, უმალ ამოიცნო იონესიანი.

იონესიანზე ცნობების შეგროვება იოლი აღმოჩნდა. მანამდე ის ორჯერ ყოფილა ნასამართლევი (ქურდობისა და სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდებისათვის).

ვლადიმერ იონესიანი 1937 წელს თბილისში დაიბადა, აქვე მიიღო საშუალო მუსიკალური განათლება. 17 წლისა იყო, როცა მამამისი გაფლანგვისთვის დააპატიმრეს. იონესიანი კი ქუჩის ბიჭებს დაუმეგობრდა... მერე დაქორწინდა და შორეულ ორენბურგში წავიდა, სადაც მუსკომედიის თეატრში დაიწყო მუშაობა. იქ გაიცნო ვალენტინა დმიტრიევა. იონესიანმა მიატოვა ცოლშვილი და დმიტრიევასთან ერთად მოსკოვში ჩავიდა.

ხსენებულ ბინაში იონესიანი დმიტრიევასთან ერთად ცხოვრობდა. დაკითხვაზე დმიტრიევამ განაცხადა: — ვალოდიამ მითხრა, რომ სუკ-ის სპეცაგენტია და ხშირად უწევს მოგზაურობა. ახლაც დავალებაზეა ყაზანში.

МУР-ში მოუხელთებელი მკვლელის შესაპყრობად სპეცოპერაცია დაგეგმეს. ერთ-ერთ ოპერმუშაკ ქალს დმიტრიევას გრიმი გაუკეთეს და ყაზანს გაამგზავრეს — დმიტრიევამ დაკითხვაზე განაცხადა: მოვილაპარაკეთ, 12 იანვარს ყაზანში მოსკოვის მატარებლით ჩავალ, ის კი ვაგზალზე დამხვდებაო.

იონესიანი სიტყვის კაცი აღმოჩნდა, თავის გულის რჩეულს პერონზე უცდიდა. როცა „დმიტრიევა" დაინახა, რომელიც მატარებლიდან ჩამოდიოდა, ხელი ასწია და დაიძახა:

— გამარჯობა!

გაისმა ჩხაკუნი. იონესიანმა გონს მოსვლა ვერც მოასწრო, რომ ხელებზე უკვე ხელბორკილი ედო... რუდენკომ პირობა შეასრულა, იონესიანი ხრუშჩოვს მიჰგვარა. კრემლში იონესიანი პირადად რუდენკოს მანქანით წაიყვანეს. ის პირველი და უკანასკნელი სისხლის სამართლის დამნაშავე იყო, რომელსაც გენპროკურორის მანქანით მგზავრობის პატივი ხვდა. ვლადიმერ იონესიანს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა მიესაჯა. მოსგაზი — ასე შევიდა ისტორიაში იონესიანი, პირველი სერიული მკვლელი სსრ კავშირში, რომლის საქმეც ასე გახმაურდა.

*ნიკა თევზაძე*




# მოუარეთ საქართველოს!



ნიკო ლორთქიფანიძე

### ლიტერატურული საღამო

ხუთშაბათს ლიტერატურული საღამო იყო დანიშნული. წინა დღით წერილი მივიღე. ავტორს, როგორც ეტყობა, სურს იგი გამოქვეყნებული იყოს. ვბეჭდავ უცვლელად.

ბატონო ნ.!

გაზეთში გამოცხადებულია, რომ თქვენ 14 სექტემბერს ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხავთ ახალ ნაწარმოებს. სრული დარწმუნებული ვარ, ვერავითარ ახალს რასმეს ვერ დასწერთ. მე თქვენზე უფრო მაგარი აგებულების ადამიანი ვარ, ჩემი ცხოვრება მკაცრ ხელობას — ექიმობას მოვანდომე, მაგრამ გამოურკვეველმა მდგომარეობამ ხელი ამაღებინა ჩემს სპეციალურ მუშაობაზე და იქ ვეჩხირები, სადაც ჩემი სნეულების განკურნვას ველი.

გიგზავნით წრფელ აღსარებას, დაკვირვებულ აღწერილობას ჩემი საკუთარი ავადმყოფობისას; წაუკითხეთ იგი საზოგადოებას, იქნებ მსმენელთაც სიამოვნებით მიიღონ და მეც წამალი მომინახონ.

კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ უცნობ კარების წინ ვდგევართ. ფარდები კართა უკვე ათრთოლდნენ და გაშლისთანავე ან დავინახავთ ნანატრ ბედნიერებას, ან სამარადისო წყვდიადის მსხვერპლი შევიქნებით.

ამ აზრს ვუტრიალებ ყოველის მხრივ და ამ ნიადაგზე დამეწყო გალუცინაციები.

ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა: *მოუარეთ საქართველოს!* მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოთ მეტყველებენ: *მოუარეთ საქართველოს!* ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა, და ბრძანების კილოთი ამბობს: მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას; იწყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბას ეუბნება დინჯი მტკვარი: *მოუარეთ საქართველოს!*

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა: *მოუარეთ საქართველოს!*

### გული

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იდუმალის მწუხარებით არ შემოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ; უკანასკნელ წამს შენდობა არ მიუღია იმ მშვიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომლის ძალა აღარ სწამდა, მაგრამ დამამშვიდებელი სიტყვების მისგან გაგონება მაინც უნდოდა; დედას არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოეთში.

— ათასი სნეულებით იყო ავად, არავითარმა წამალმა არ იმოქმედა, — იმართლებდა თავს ამხანაგთა წინაშე ექიმი.

ცხედარი გაჭრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშვა და გაკვირვებულმა წამოიძახა:

— შეხედეთ, ბატონებო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესცქეროდენ.

— ბატონებო, გული, გული, სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი-ღა დარჩენილიყო.

დეპეშით გაგებული უბედურებისაგან თავზარდაცემული დედა შევიდა საყვარელ შვილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში?

კედლიდან პატარა რუკამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე!

— მე დავწვი! - გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.



ირაკლი აბაშიძე

### პირველი თოვლის სიმღერა

წუხელ თოვდა,
ნეტავ ჩემთან რად არ გაჩნდი,
გენახე და ძილში თბილად დაგეხურე...
მე ავდექი პირველ თოვლზე
განთიადში
და ვეძებდი შენს პატარა ნაფეხურებს.

დაეყარა სახლებზე და ვერის გზაზე
თოვლი, თეთრად დასახული,
ასე თეთრად, გულუბრყვილოდ
ჰყვავის ასე
იმერეთში ტყემლის ხეზე გაზაფხული.

ჰყვავის ასე,
და განთიადს მიხალისებს
ეს ზამთარიც, დეკემბერში თოვლის
ხვავი,
ის თბილისის ხეივნებში კიპარისებს
იმერულად გამოასხამს ტყემლის
ყვავილს.

დგას ბუცები ვერის ბაღში,
შემკრთალები,
ზედ თოვლია თუ ფრიალი
ფაფანაკთა?!
ანდა იქნებ ავჭალიდან თეთრ
კარვებით
ადგა ჯარი და თბილისში დაბანაკდა?!
რა თოვლია!
შენობებს და ბაღში ხარდანს
ფარავს, თეთრად დასახული...
ეს პირველი თოვაც ისე გამეხარდა,
როგორც გუშინ მიხაროდა
გაზაფხული.
მიხარია,
ცხელ ზაფხულის დაბრუნებაც,
წვიმაც, ქარიც, უსაქმურად დანაბერი...
ბევრი კარგი რამ სცოდნია ამ ბუნებას,
მაგრამ, კარგო, შენისთანა არაფერი!..

### დაგვტოვეთ მარტო

დაგვტოვეთ მარტო!..
მე დღეს ხმაც და სიმიც დამაცვდა,
იმ საზღვრის ხაზთან,
იმ შავ ხაზთან
დღეს მეც შევჩერდი.
დაგვტოვეთ მარტო —
ერთი სიტყვაც
მაქვს ქვეყანასთან,
დაგვტოვეთ მარტო
ახლა მე და ეს მზისქვეშეთი.
მე ცამდე სავსე
ათას დრამით, ათას ქარიშხლით,
ყველა ქარიშხლის
ყველა დრამის
სუნთქვით მცნობელი...
ერთი რამ სიტყვაც,
ერთიც დამრჩა
მე ანგარიში —
დაგვტოვეთ მარტო
მე და ჩვენი წუთისოფელი.
მე მისი ჯიში,
სისხლი მისი
და მისიანი,
მე ხმა შენდობის
ხმა იმედის
ხმა დამშვიდების;
ქება-დიდებით მე ვავსებდი
ამ დიდ მზიანეთს,
სხვა რამ არ მითქვამს
გარდა
ქება-დიდების.
ახლა დავკეცოთ,
ახლა დავდოთ,
ახლა დავხუროთ
რაც რამ დამთავრდა,
რაც რამ გაქრა,
რაც რამ დანაცრდა...
უშუამავლოდ, უმსაჯულოდ,
უმეთვალყუროდ
დამტოვეთ მარტო
მე ამ დღესთან, ამ ქვეყანასთან...

*მოამზადა*
*მანანა ჯანელიძემ*



საზღვარგარეთის ქვეყნები



# რომის პაპი გადადგება — რატომ?

მსოფლიო გააოგნა რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის (იოჰან რატცინგერის) გადაწყვეტილებამ, თვის ბოლოს ვატიკანის წინამძღვრის პოსტიდან გადამდგარიყო. როგორც კათოლიკური სამყაროს ლიდერმა განაცხადა, გაუარესებული ჯანმრთელობა ხელს უშლის სრულად შეასრულოს საკუთარი უფლება-მოვალეობები: „ამ მიზეზების გამო, სალ გონებაზე მყოფი, ვაცხადებ, რომ ვიხსნი ვატიკანში ღვთის მოციქულისა და წმინდა პეტრეს მემკვიდრის სტატუსს“, — ნათქვამია პაპის ოფიციალურ განცხადებაში. უკანასკნელი 600 წლის მანძილზე ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც რომის პაპი ტახტს ტოვებს.



*წმინდა პეტრეს ბაზილიკას მეხი დაეცა — იმავე ღამეს, როდესაც პაპმა მსოფლიოს გადადგომის შესახებ საკუთარი გადაწყვეტილება ამცნო.*

ვინ იყო პაპი ბენედიქტი — ტრადიციონალისტი თუ რეფორმატორი? როგორ დარჩება მისი სახელი ისტორიაში — როგორც თავისი წინამორბედის, კურთხეულად წოდებული იოანე-პავლე II-ის ღირსეული მემკვიდრისა თუ პაპისა, რომელიც საკუთარ მოვალეობას გაექცა? პაპს არც მოთაყვანეები აკლია და არც მაძაგებლები. მის შესახებ ერთი აზრი არ არსებობს არც კონსერვატორთა და არც რეფორმისტთა ბანაკებში. მეტიც, ხშირად ერთსა და იმავე საკითხზე ვატიკანის მიდგომას, მაგალითად, ქალი-ეპისკოპოსებისა და ერთსქესიანი ქორწინებების საერთაშორისო სკანდალად ქცეული თემებისადმი, აკრიტიკებენ ტრადიციონალისტებიც და რეფორმისტებიც. ერთნი საკითხის დაყენებით არიან უკმაყოფილონი, მეორენი კი რომის პაპისგან პოზიციების დათმობასა და ლიბერალობას მოითხოვენ.

ვატიკანის კანონიკური კოდექსის მიხედვით, პაპი უნდა გადადგეს მხოლოდ თავისივე ნება-სურვილით. სწორედ ეს პუნქტი იქცა თავსატეხად საზოგადოებისათვის: რა იყო პაპის გადაწყვეტილების ნამდვილი მოტივი და იქნა თუ არა იგი მიღებული ძალდატანებით?

აი, რას ასახელებს პაპის გადადგომის მიზეზად ვატიკანის სპიკერი ფედერიკო ლომბარდი Euronews-თან ინტერვიუში:

— ეს გადაწყვეტილება მოითხოვდა უდიდეს სიბრძნეს, თავმდაბლობასა და სიმამაცეს. პაპმა ობიექტურად შეაფასა საკუთარი ჯანმრთელობა და უარი თქვა ამ საოცნებო და საარაკო პატივზე.

— **ბოლო ხანს რომის კათოლიკურ ეკლესიას უამრავი სკანდალი დაატყდა თავს. ლაპარაკობენ ვატიკანის ბანკის უზარმაზარ ვალებზე, გახშირდა ბრალდებები პედოფილიასა და ჰომოსექსუალიზმზე, პაპის კამერდინერმა გასცა პაპის პირადი დოკუმენტები და პაპს ანტიქრისტეს შეგირდობას აბრალებს. იქონია თუ არა ყოველივემ გავლენა მის გადაწყვეტილებაზე?**

— დარწმუნებული ვარ, პაპმა გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ მიიღო, როდესაც ღვთის წინაშე შეაფასა საკუთარი სიმართლე და ძალა, შეეძლო თუ არა საკუთარი მოვალეობის კვლავ შესრულება. ცხადია, მისი მმართველობის დროს იყო პრობლემები. ბენედიქტი რეალისტია და მშვენივრად იცის, რომ ადვილი არ არის, იყო ისტორიის ნაწილი და ამავე დროს, თავადვე ქმნიდე მას. იგი თავისი მოვალეობების შესრულებას არ გაურბოდა. უეჭველია, მომავალ პაპსაც დახვდება დიდი პრობლემები, რომელთან გამკლავებაც მოუწევს.

— **რატომ გადაწყვიტა პაპმა, რომელიც „ტვიტერზეც“ კი დარეგისტრირდა, საკუთარი გადადგომის შესახებ მსოფლიოსთვის ლათინურად ეცნობებინა?**

— პაპი ბრძენი ადამიანია. იცის, რომ მისი გადაწყვეტილება ისტორიული და ეპოქალური მნიშვნელობისაა, რასაც ყველაზე კარგად ლათინური შეეფერებოდა.

ახალი პაპის ვინაობა აღდგომამდე გახდება ცნობილი. ვინ იქნება იგი, ან რა გზას აირჩევს, ჯერჯერობით უცნობია, ისევე, როგორც ის, თუ რას მოიმოქმედებს ბენედიქტ XVI გადადგომის შემდეგ — მას უფლება აქვს, ვატიკანში დარჩეს. თუ ასე მოხდა, კიდევ ერთ ისტორიულ პრეცედენტს მივიღებთ — კათოლიკურ სამყაროს ორი — ყოფილი და მოქმედი პაპი ეყოლება.



*კარდინალი ფრანცის არინზე ნიგერიიდან პაპობის სავარაუდო კანდიდატებს შორის ყველაზე პოპულარულია. თუ არინზე პაპი გახდა, იგი ისტორიაში შევა, როგორც პირველი შავკანიანი პაპი. მიუხედავად იმისა, რომ პაპის ტახტი აფრიკელებს სამჯერ ეკავათ, ისტორიკოსები ფიქრობენ, რომ ისინი კონტინენტის თეთრკანიანი მოსახლეობის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ.*

*80 წლის ფრანცის არინზე კარდინალისთვის საკმაოდ თამამი მოსაზრებებით გამოირჩევა: 2011 წელს მან მთელი მსოფლიო გააოცა, როდესაც განაცხადა, რომ მისი აზრით, სამოთხეში შეიძლება მოხვდნენ მუსლიმებიც, ბუდისტებიცა და ებრაელებიც. კარდინალი ასევე ცნობილია როგორც სპორტის გულმხურვალე ქომაგი*

***ინტერნეტწყაროების მიხედვით მოამზადა ვაჟა თავბერიძემ***

# ტონი ჯატი ქართულად

*ტონი ჯატი 2010 წლის 6 აგვისტოს 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას, უწინარეს ყოვლისა, ევროპის ისტორიკოსად იცნობენ — ავტორად 2005 წელს გამოსული წიგნისა „ომის შემდგომი“ (Postwar), რომელშიც სისადავის, სიღრმისა და აზროვნების მასშტაბის უჩვეულო, მხოლოდ ჯატისთვის დამახასიათებელი სინთეზითაა მოთხრობილი 1945 წლის შემდგომი ევროპის ისტორიული ტრაექტორია. თუმცა, ისტორიული გამოკვლევების გარდა, ჯატი მწვავე პოლემიკურ წერილებსაც აქვეყნებდა საერთაშორისო ურთიერთობების, ევროკავშირის, ისრაელისა თუ ამერიკის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ წერილების მეშვეობით ჯატი გასცდა აკადემიურ წრეებს და აშშ-ის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საჯარო ინტელექტუალად იქცა.*

ქართულ ენაზე „რადარამის“ მიერ ახლახან გამოცემულ წიგნში „უკეთურება ეუფლება ქვეყნიერებას“ ჯატი ამ ორივე როლს ითავსებს. ეს წიგნი ერთდროულადაა ომის შემდგომი დასავლეთის ისტორიაც და უკომპრომისო პოლემიკაც თანამედროვეობის პოლიტიკური კლიმატისა თუ სოციალური პრობლემების შესახებ. „არის რაღაც ძალზე არასწორი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესში,“ — იწყებს ჯატი და ჩამოთვლის იმ მასშტაბურ პრობლემებს, რომლებიც, მისი აზრით, დღევანდელი დასავლეთის, უწინარესად კი აშშ-ისა და ბრიტანეთის რეალობაში დგას: მზარდ სოციალურ უთანასწორობას, ცხოვრების დონის გაუარესებას, ფულის გაფეტიშებას, პრივატიზაციის კულტს, ძლიერი და მდიდარი ძალების გავლენას დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და, რაც მისთვის ყველაზე მტკივნეულია, საზოგადოებაში თანაცხოვრების განცდისა თუ საერთო ინტერესების აღქმის თანდათანობით მოშლას.





მოქალაქეების უმთავრესი მომსახურებებით უზრუნველყოფის ფუნქციის სახელმწიფოსთვის მოხსნასა და კერძო სტრუქტურებზე გადაბარებას ჯატი პოლიტიკურ პრობლემად აღიქვამს. „ღარიბ მოქალაქეს, რომელსაც უმუშევართა დახმარება, ექიმის ყურადღება, სოციალური შემწეობა ესაჭიროება, აღარ აქვს ადმინისტრაციისა თუ მთავრობის იმედი, ხოლო კერძო კომპანიების მიერ მოწოდებული სოციალური მომსახურება აღარ აღიქმება კოლექტიურ სიკეთედ, რომელზეც ყველა მოქალაქეს უნდა მიუწვდებოდეს ხელი. შედეგად კი იმას ვიღებთ, რომ სოციალური კონტაქტებისა და საჯარო სიკეთეების კომპლექსური სტრუქტურები მინიმუმამდე დადის. მოქალაქეს სახელმწიფოსთან ძალაუფლებისა და მორჩილების გარდა აღარაფერი აკავშირებს“, — წერს ჯატი. ამ ვითარებაში ის ერთგვარ პარადოქსსაც ხედავს. სახელმწიფო, რომელიც სოციალურ ფუნქციას კარგავს, უფრო და უფრო მეტად ხდება დამოკიდებული თავის ძალადობრივ მხარეზე. მოქალაქეების თვალში დისკრედიტირებულ თუ გულგრილ მთავრობებს თავიანთი მიზნების მისაღწევად ხშირად თვალთმაქცობა, მუქარა და დამორჩილების სხვა ფორმების გამოყენება უწევთ. შედეგად კი მთავრობის როლის შემცირებას კი არა, პირიქით — მისი შეუზღუდავი ძალაუფლების გაძლიერებას ვიღებთ.

ოდნავ განსხვავებულ, მაგრამ არსობრივად იდენტურ სირთულეებს ხედავს ის ახალი დემოკრატიების ცხოვრებაშიც — ქვეყნებისა, რომლებიც ოციოდე წლის წინ განთავისუფლდნენ საბჭოური ავტორიტარიზმისგან. ჯატი შიშობს, რომ პოსტსოციალისტურ სივრცეში პოლიტიკური თავისუფლების იდეა თითქმის გაუტოლდა ფულის კეთების შესაძლებლობებსა თუ გამდიდრების ფეტიშს. საბჭოური, რეპრესიული თანასწორობა ჩაანაცვლა შეუზღუდავი სიხარბის კლიმატმა, რაც უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ცნებებს — ისეთებს, როგორებიცაა „დემოკრატია“, „ლიბერალიზმი“ თუ „სამოქალაქო სოლიდარობა“ — სიცოცხლისუნარიანობის დაკარგვას უქადის. „რა თქმა უნდა, თავისუფლება თავისუფლებაა, მაგრამ თუ მის რომელიმე გამოხატულებას უთანასწორობისკენ, სიღატაკისა და ცინიზმისკენ მივყავართ, მაშინ ეს უნდა ვაღიაროთ და სისტემის ნაკლოვანებებს თავისუფლების ტრიუმფალური სვლისას შესალამაზებლად ფარდაგი არ უნდა გადავაფაროთ“, — წერს ჯატი.

საქართველოში ახლახან დასრულდა პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ტლანქად და პარადოქსულად უთავსებდა ერთმანეთს დაურეგულირებელი ბაზრების მიმართ ენთუზიაზმს, ბიზნესებზე პოლიტიკურ ზეწოლას და ხელგაშლილ საბიუჯეტო ხარჯებს ბრჭყვიალა ღონისძიებებზე და გრანდიოზულ პროექტებზე. ახლა მივიღეთ ხელისუფლება, რომელიც სოციალური უსამართლობის შემსუბუქების დაპირებებით გამოდის, მაგრამ, ამავე დროს, მისი ლიდერის ხელში კონცენტრირებული ფინანსური კაპიტალიდან გამომდინარე, კიდევ უფრო თვალში საცემს ხდის იმ გროტესკულ უთანასწორობას, რომელიც საბჭოთა სისტემის კაპიტალიზმით ჩანაცვლებამ მოიტანა, და რომელზეც ზემოთ მოტანილ ციტატაში ჯატიც ლაპარაკობს. ამდენად, ჩემი აზრით, ქართველ მკითხველს ეს წიგნი ჩვენი ქვეყნის გამოცდილების გაანალიზებაშიც დაეხმარება თანამედროვე დასავლეთში მიმდინარე პროცესების გააზრებასთან ერთად.

საქართველოს კონტექსტში ამ წიგნს აქტუალურობას ის ფაქტორიც მატებს, რომ დისკუსია, რომლის ხელახალ გაჩაღებასაც ჯატი დასავლეთის ქვეყნებში ცდილობდა, ჩვენში ჯერ არც კი დაწყებულა. ჩვენს პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში ახლა უნდა გაჩნდეს ცნებები — სამართალი, ზომიერება, სოლიდარობა. ბოლოს და ბოლოს უნდა დავსვათ კითხვები — როგორი საზოგადოება გვინდა გვქონდეს და რა უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის ლიდერებს საიმისოდ, ამის მიღწევა რომ შევძლოთ. ზოგადი და უმნიშვნელოვანესი ცნებების გარდა — ისეთების, როგორებიცაა სოციალური სამართალი, უთანასწორობა, ჩვენი, როგორც საზოგადოების, საერთო ინტერესები თუ კოლექტიური სიკეთე — ლაპარაკი უფრო კონკრეტულ თუ უფრო ტექნიკურ საკითხებზეც უნდა დავიწყოთ. მაგალითად, საბიუჯეტო სახსრებზე, მათი ხარჯვის მართებულ გზებზე, გადასახადების სამართლიან ფორმებზე, ეკონომიკურ სასოწარკვეთაში მცხოვრები ადამიანების ყოფის შემსუბუქების კონკრეტულ მექანიზმებზე. ამ დისკუსიის დაწყებისთვის კი ეს წიგნი შესაძლოა მართლა შეუცვლელი მნიშვნელობის იყოს.

ხელისუფლებების ცვლილების და სამართლიანობის აღდგენის შესახებ ომახიანი ლოზუნგების ფონზე ჩვენი უამრავი თანამოქალაქე კვლავ სიღატაკეში და ეკონომიკურ სასოწარკვეთაში ცხოვრობს. მათ — დევნილებს, პენსიონერებს, მუშებს, უსახლკაროებს, უმუშევრებს, ობლებს, ვეტერანებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს — ქვეყნის ცხოვრებაში ჩართვისთვის არც რესურსი აქვთ და არც შესაძლებლობა. და სანამ ამდენი ადამიანი გარიყული რჩება, ჩვენი, როგორც საზოგადოების წინსვლაზე განცხადებები განცხადებებადვე დარჩება. თანაც ფასადურ, გულგრილ და ფარისევლურ განცხადებებად.

***სალომე ასათიანი, ჟურნალისტი, რადიო „თავისუფლება“*** R

კომპანია
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
გერმანული კარ-ფანჯრები სამმაგი მინით — მხოლოდ ჩვენთან!
გერმანული SALAMANDER და KOMMERLING - 5-კამერიანი, 7მმ. სამონტაჟო სისქით
ფერები: თეთრი, თეთრი მუხა; ხის ტექსტურით: წითელი ხე, კაკალი, ნაბლი, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, და ა.შ.
მის: წერეთლის 141ა მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 35-47-47; 53-06-00; 61-32-37; 899-90-20-91; 895-30-22-92 ტ/ფაქსი: 35-13-13

# „დაკონტრაქტებულები“ ჩვენებებს იძლევიან



*ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი ე.წ. „დასაქმების პროგრამასთან“ დაკავშირებით დაიკითხა. საქმე ეხება წინასაარჩევნოდ „გათამაშებულ“ „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამას“. გასამრჯელო მიიღეს სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებმა — 22 ათასამდე პირმა, თუმცა, მათ არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ. დაკითხვისას მერაბიშვილმა ყველაფერი უარყო(?!).*

ილია ჯალაღანია *(დასავლეთ საქართველოს სამხარეო პროკურორი)*: — 2012 წლის 5 ივლისს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა „სამუშაოს მაძიებელთა აღრიცხვის პროგრამა“, რომლის ფარგლებში თავდაპირველად დაახლოებით სამი ათასი ადამიანი დაასაქმეს, როგორც სოციალური აგენტები. ჩაუტარდათ ტრენინგი, დაურიგდათ კითხვარები და დაიწყეს მოსახლეობაში სიარული. მათი მიზანი იყო დაედგინათ, ვის სჭირდებოდა სამსახური. პროგრამის პირველი ეტაპი რეალურად განხორციელდა. აფიორული კომბინაცია კი მეორე ეტაპზე ჩაირთო, როდესაც ხელისუფლებამ გადაწყვიტა 21 837 ადამიანისთვის გაეფორმებინათ დამატებითი ხელშეკრულებები. ანუ ეს ხალხი პარალელურ რეჟიმში „დაეკონტრაქტებინა“.

— **რას ნიშნავს „დაეკონტრაქტებინა“?**

— დამატებით 21 837 ადამიანს გაუფორმდა ხელშეკრულება, რომელთაც იმ 3 ათასი აგენტის ანალოგიური სამუშაო უნდა ჩაეტარებინათ. ამ მიზნით ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და ჯანდაცვის სამინისტროს გამოეყო დამატებითი თანხები — 6 მილიონი ლარი. ამ ხალხს ხელშეკრულება გაუფორმდა 3-დან 30 სექტემბრამდე, ანუ ზუსტად წინასაარჩევნოდ. თავიდან ხელშეკრულების ასლი მისცეს, შემდეგ კი უკან დააბრუნებინეს, ვითომ რაღაც ხარვეზები გაიპარა, რომ მეორე პირიც მათ დარჩენოდათ. ესეც თავის დაზღვევის მიზნით გააკეთეს, თორემ სანდო კონტინგენტი იყო შერჩეული — 21 837 კაცი საგანგებოდ შეირჩა ადგილობრივი გამგეობებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მიერ... ამ ეტაპზე დამუშავებული გვაქვს იმერეთის ცალკეული რაიონების ამ აფიორული სქემის მონაცემები. მაგალითად, ტყიბულში 37 საარჩევნო უბანი იყო და თითოეულზე 6 პირი, ანუ სულ 222 ადამიანი „დაკონტრაქტდა“. ასე მოხდა მთელი საქართველოს მასშტაბით. მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ პრეზიდენტის წინასაარჩევნო შეხვედრებში, ბროშურებისა და ფლაერების დარიგებაში, პარტიული აგიტაციისა და პროპაგანდის განხორციელებაში. თითოეულს 2012 წლის სექტემბრის ბოლოს „ლიბერთი ბანკის“ შესაბამის ფილიალში ჩაერიცხა ხელზე ასაღები 240 ლარი. ყველა დაკითხულია. დადასტურდა, რომ მათ ამ პროგრამის ფარგლებში არანაირი სამუშაო არ შეუსრულებიათ. ეს იყო შენიღბული წინასაარჩევნო კამპანია.

— **შეიძლება თუ არა ეს ჩაითვალოს ამომრჩევლის მოსყიდვად?**

— ამას გამოძიება დაადგენს. ეს იყო ბიუჯეტის ფული, იმავე ხალხის ფული, რომელიც „ნაციონალებმა“ თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენეს.

— **მერაბიშვილი უკვე დაჰკითხეთ?**

— მერაბიშვილიც დავკითხეთ და ზურაბ ჭიაბერაშვილიც, თუმცა მათთვის მოწმეთა ჩვენებები არ გვიჩვენებია.

— **ჯამში რამდენი თანხა გაიხარჯა?**

— 21 837 ადამიანმა ხელზე აიღო 240 ლარი, ანუ ჯამში 5 240 880 ლარი.

## მოწმეთა ჩვენებიდან:

*ეკატერინე გოცაძის ჩვენება: „2012 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში ჩემმა მეზობელმა ნ.მ.-მ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი იყო, მითხრა, რომ დამასაქმებდა, მხოლოდ უნდა მივსულიყავი სოციალური მომსახურების სააგენტოში ხელშეკრულების გასაფორმებლად. სააგენტოში მისულმა ერთ-ერთ ქალბატონს ვუთხარი, რომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამომგზავნეს ხელშეკრულების გასაფორმებლად. მან ამოიღო დაბეჭდილი ხელშეკრულება, გამომართვა პირადობის მოწმობა, გადაამოწმა სიაში და ჩემი მონაცემები ხელშეკრულებაში ჩაწერა. მეც მოვაწერე ხელი და წამოვედი. ამის შემდეგ ნ.მ-მ მითხრა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში მიდიო. იქ ს.ჯ.-მ მითხრა, რომ მევალებოდა ჩემს ქუჩაზე სააგიტაციო პლაკატების გაკვრა, თან დააყოლა, შესრულებულ სამუშაოს შევამოწმებთო. იმავე დღეს ს.ჯ.-მ სახლში მომიტანა პლაკატები, რომელიც გავაკარი აღმაშენებლის ქუჩაზე. თვის ბოლოს ნ.მ-მ მითხრა, ხელფასი ჩაგერიცხა „ლიბერთი ბანკში“ და აიღეო. მეც მივედი და ვუთხარი ოპერატორს, „ნაციონალების“ ხელფასი თუ არის ჩემს სახელზე ჩარიცხული-მეთქი? მივაწოდე პირადობის მოწმობა და მომცა 240 ლარი.*

*სოციალურ სააგენტოში ჩემთვის არავის აუხსნია, თუ რა მევალებოდა ხელშეკრულებით. არც ხელშეკრულება წამიკითხავს და არც ასლი წამომიღია. ვიცოდი, რომ „ნაციონალები“ მიფორმებდნენ ხელშეკრულებას და მათთან უნდა მემუშავა წინასაარჩევნოდ. დავალება შევასრულე და ანაზღაურებაც მივიღე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით კავშირი მქონდა მხოლოდ ნ.მ.-სთან და ს.ჯ.-სთან. პარტიაში რა თანამდებობები ეკავათ, არ ვიცი. ნ.მ. ჩემს ქუჩაზე კოორდინატორი იყო“.*

***ზურაბ ბრეგვაძის*** *ჩვენება: „ვცხოვრობ ჭიათურაში, აღმაშენებლის ქუჩაზე. 2012 წლის სექტემბრის დასაწყისში მეზობელმა მ.-მ, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი იყო, მითხრა, რომ პარტიის მხარდამჭერებში ჩამწერდა, დამევალებოდა წინასაარჩევნოდ ბუკლეტების დარიგება და „ნაცმოძრაობის“ აფიშების გაკვრა ჩემს უბანში. მითხრეს, ანაზღაურებას მოგცემენო, კონკრეტული თანხა არ დაუსახელებიათ. რამდენიმე დღეში მ.-მ მითხრა ჭიათურის სოციალური მომსახურების სააგენტოში შენი პირადობის მოწმობა მიიტანე და ხელს მოგაწერინებენო. მივედი სააგენტოში და იქ მომუშავე ერთ-ერთ პირს ვუთხარი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან ვიყავი. შემიყვანა ოთახში, სადაც გავიმეორე, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი ვიყავი და შტაბიდან გამომგზავნეს. ამის შემდეგ ქალბატონმა მომაწოდა დაბეჭდილი ფურცელი, რომელშიც ჩაწერა ჩემი სახელი, გვარი, პირადი ნომერი და მომაწერინა ხელი ორ ეგზემპლარზე. სექტემბრის თვის ბოლოს მ.-მ მითხრა, რომ შენს სახელზე „ლიბერთი ბანკში“ ფული ჩაირიცხა, მიდი და აიღეო. არჩევნებზე კი, ხომ იცი, მხარი უნდა დაგვიჭირო, ამისთვის გიხდით ფულსო. მეც მივედი „ლიბერთი ბანკში“ ოპერატორს მივეცი პირადობის მოწმობა და მომცეს 240 ლარი“.*

## ჟაკ შირაკი ფიქციურ სამუშაო ადგილებს ქმნიდა



*საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ბრალდებით გაასამართლეს. გამოძიების ვერსიით, 1992-დან 1995 წლამდე შირაკი, რომელიც პარიზის მერიას ედგა სათავეში, ფიქციურ სამუშაო ადგილებს ქმნიდა და ამ ფულით თავის პარტიას აფინანსებდა. განაჩენში ნახსენები იყო მხოლოდ 28 ფიქციური სამუშაო ადგილი. ფრანგული კანონმდებლობით, უფლებამოსილების გადაჭარბების, ნდობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვისთვის შირაკს 10-წლიანი პატიმრობა და 150 000 დოლარის ჯარიმა ელოდა, თუმცა ასაკისა და მძიმე ავადმყოფობის გამო 2-წლიანი პირობითი სასჯელით შემოიფარგლნენ.*

**მომზადა თამარ როსტიაშვილმა**

ექსკლუზივი

# ბენდუქიძესაც დაიბარებენ?



***ს**ანდო წყაროს ცნობით, სულ მალე პროკურატურა დასაკითხად კახა ბენდუქიძესაც დაიბარებს. ამის მიზეზი ის დოკუმენტები გახდება, რომლებიც ნათლად ასახავს, თუ როგორ ჩაიგდო გროშებად ხელში ძვირად ღირებული სახელმწიფო ქონება კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“.*

**ასი მილიონი ოთხ მილიონად?!**

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, სახელმწიფო ქონება, რომელსაც შპს „აგრომეტი“ განკარგავდა, რომლის დამფუძნებელი ასევე სახელმწიფო იყო ასპროცენტიანი წილით, შეადგენდა დაახლოებით 100 მილიონი ლარის უძრავ-მოძრავ ქონებას. მარტო ჩამონათვალი რად ღირს: 1324 ჰექტარი არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, მათ შორის თბილისში მდებარე აგრარული უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები, უნიკალური ლაბორატორიები, საცდელი მეურნეობები და სხვა მოძრავი ქონება.

ეს სახელმწიფო ქონება საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2012 წლის 15 თებერვალს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა აგრარულ უნივერსიტეტს (რომლის დამფუძნებელიც „აგრარული განათლებისა და მეცნიერების ფონდია“, რომელიც, თავის მხრივ, კახა ბენდუქიძის „ცოდნის ფონდმა“ დააფუძნა) სულ რაღაც 4 მილიონ დოლარად. გამოდის, რომ 1 კვმ მიწა მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით გასხვისდა სულ რაღაც 0,31 დოლარად (?).

საინტერესოა, ბენდუქიძეც ხომ არ გაჯიუტდება, პროკურატურაში არ გამოვცხადდებიო. ამ თემით „კვირის პალიტრა“ მომავალშიც დაინტერესდება.

**ნინო ლომთათიძე**

www.kvirispalitra.ge

**თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?**
**გთხოვთ კომენტარი დატოვოთ ჩვენს საიტზე ან მოგვწეროთ რედაქციაში**




# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ. გაზეთის მცირე ფორმატი ვერ იტევს ყველა შეკითხვას, ამიტომ ზოგიერთ მათგანზე პასუხს იხილავთ ჟურნალ „ოჯახის მკურნალის“ ფურცლებზე, ასევე თქვენთვის საინტერესო უამრავ კითხვაზე პასუხს ნახავთ სამედიცინო ინტერნეტჟურნალში* www. mkurnali.ge *— ამიერიდან საიტზე შეგიძლიათ გამოგზავნოთ კითხვები, რომლებსაც ექიმი უპასუხებს. თუმცა მათ, ვისაც ინტერნეტსაიტით სარგებლობის საშუალება არ გაქვთ, კითხვები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით.*

**— შესაძლებელია თუ არა დაორსულება არეული ციკლის შემთხვევაში?**

***თქვენი მკითხველი ა.ო.***

— შესაძლებელია, მაგრამ გააჩნია, რა არის ასეთი დარღვევის მიზეზი. უმჯობესია, ციკლის არევის მიზეზი წინასწარ დადგინდეს, რათა ორსულობის დროს არ შეიქმნას ჰორმონული დისბალანსის პრობლემები.

**— 1 კვირის წინ გადავიტანე სტრესი და იმის მერე ყოველდღე დილის 6 საათზე მეღვიძება და ვერაფრით ვიძინებ. როგორ მოვიქცე?**

***მკითხველი***

— პირველ რიგში, უნდა მოიხსნას სტრესის გამომწვევი ფაქტორი, ამისთვის საჭიროა გადაფასდეს ის მოვლენები, რამაც სტრესი გამოიწვია. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ მიიღებთ მცენარეულ დამამშვიდებელ საშუალებებს, მაგალითად, ვალერიანის აბებს ან კატაბალახასა და შავბალახას ნაყენს. თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, აუცილებლად მიმართეთ ფსიქონევროლოგს.

**— მყავს 40 დღის ბავშვი, არის მხოლოდ ძუძუზე. მენსტრუაცია ჯერ არ აღმდგენია, თავდაცვის გარეშე რამდენად არის შესაძლებელი დავორსულდე?**

***ანა, თბილისი***

— საკმაოდ ხშირია შეთხვევები, როცა ნამშობიარები ქალები ვერ აფიქსირებენ პირველ მენსტრუაციას მისი ატიპურობის (ის შეიძლება იყოს ხანმოკლე, მცირე რაოდენობის გამონადენი) გამო და შედეგად მეძუძურობის პერიოდში ორსულდებიან. თუმცა, ზოგჯერ მშობიარობის შემდეგ ქალს რამდენიმე თვე არ აქვს მენსტრუაციული ციკლი და არც ორსულდება. შესაძლოა, ვერ მიხვდეთ, გქონდათ თუ არა მენსტრუაცია და მაშინ დაორსულებაც მოსალოდნელია.

**— შესაძლებელია თუ არა ქალს 36 წლის ასაკში გაუჩნდეს ტრიქომონა სექსის გარეშე? შეიძლება თუ არა თვითონ ქალი იყოს ამის პირველადი წყარო, რა იწვევს ინფექციას და რა ნიშნები ახასიათებს ქალებსა და მამაკაცებში?**

***რ.დ, ერთგული მკითხველი***

— ტრიქომონიაზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვენერიული დაავადებაა, ძირითადად გადადის სქესობრივი გზით. მისი გამომწვევი არის საშოს ტრიქომონა — ერთუჯრედიანი პარაზიტი. ქალებში ტრიქომონა ძირითადად მოქმედებს საშოს ქსოვილზე, მამაკაცებში — შარდსაწვეთ მილსა და პროსტატაზე. ტრიქომონიაზის სიმპტომებია: ქალებში გამონადენი საშოდან, საშოს ქავილი, წვა, ტკივილი მოშარდვისას, მამაკაცებში — გამონადენი შარდსაწვეთი მილიდან, ტკივილი და წვა მოშარდვისას, პროსტატის დაზიანების შემთხვევაში პროსტატიტის სიმპტომები. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები და განსაკუთრებით მამაკაცებში, როცა ტრიქომონიაზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ტრიქომონიაზმა შეიძლება გამოიწვიოს სპერმის ხარისხის დაქვეითება, ქალებში — შეხორცებები საშვილოსნოს მილში, მცირე მენჯის ღრუში, რაც შესაძლოა გახდეს უშვილობის მიზეზი. ტრიქომონას მკურნალობისას გამოიყენება ანტიტრიქომონადული პრეპარატები და მისგან განკურნება ძნელი არ არის.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

# როგორ დავძლიოთ დაღლილობა

*დიდ დატვირთვას ყოველთვის თან სდევს დაღლილობა და შრომის უნარის დაქვეითება. ამ დროს დაგეხმარებათ სამკურნალო მცენარეების: კატაბალახასა და კრაზანას ნაყენი. კატაბალახა დამამშვიდებლად მოქმედებს, ხსნის სპაზმებს, ნერვიულობის ნიადაგზე განვითარებულ მუცლის ტკივილს. კატაბალახას ნაყენი მიიღეთ ძილის წინ.*

კრაზანას ჩაი დალიეთ შუადღემდე, რადგან წნევას მაღლა სწევს. კრიტიკულ დღეებში კი უსიამოვნო სიმპტომების შესამსუბუქებლად ქალებმა უნდა მიიღონ ხეპილპილას ნაყენი. ის შეიცავს ასკორბინის მჟავას, რომელიც აწესრიგებს ჰორმონულ ფონს და მატებს ტონუსს.

სარძევე ჯირკვლები რომ არ დაგიავადდეთ, ჭამეთ მწვანე ბოსტნეული, თევზი და ხორცი; რძემჟავა პროდუქტები გაგიმაგრებთ ძვლებს და მოგიწესრიგებთ კუჭ-ნაწლავის მიკროფლორას.

ზედმეტი ემოციური დატვირთვაც უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე, გუნება-განწყობილებაზე, კანზე. კანის ელასტიკურობის აღდგენაში დაგეხმარებათ მარწყვაბალახასა და წიწმატურას ნაყენი. კანს სიმკვრივე და ახალგაზრდული იერი რომ შეუნარჩუნოთ, მიიღეთ ბიოტინით მდიდარი პროდუქტები: კაკალი, ხორბალი, ოსპი, სოია.

მენოპაუზასთან დაკავშირებული სიმპტომები: შიშის შეგრძნება, ფორიაქი შეიძლება შეგიმსუბუქოთ წითელი სამყურას ექსტრაქტმა, რომელიც ამცირებს კლიმაქსის სიმპტომებს და იცავს სარძევე ჯირკვლებს კიბოს განვითარებისაგან.

# თავად სცადეთ კრემის დამზადება

*კარგი სახის კანი, აუცილებლად მოითხოვს ზრუნვას და ამისთვის ჩვენც ათას საშუალებას ვიყენებთ. საკითხავი ის არის, რამდენად სანდოა ეს საშუალებები. მოკლედ, ამაზე ბევრს არ ვიმსჯელებთ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ სანდო და სასარგებლო სახის მკვებავი კრემის დამზადება თქვენც შეგიძლიათ.*

*მასალად საჭიროა:*

სპერმაცევტი 40.0გ.
კაკაოს ზეთი 15.0 გ.
ვარდის ზეთი 10-15 წვეთი
ნუშის ზეთი 10-15 წვეთი
თაფლის სანთელი 10.0 გ.
ბორაქსი 1 გ.
ზეითუნის ზეთი 200 გ.
ალოე (სამედიცინო და არა სახლში გაწურული) ერთი სუფრის კოვზი
ადუღებული წყალი 100 გრ.
ზეთზე დამზადებული ვიტამინები A, E, D 15-15 წვეთი.

*მომზადების წესი:* სასურველია, თუკი კრემს ფაიფურის ჯამში, ფაიფურისავე როდინის მსგავსი კოვზით მოამზადებთ, მაგრამ თუ ამისი საშუალება არა გაქვთ, შეგიძლიათ ემალირებული ჭურჭელიც გამოიყენოთ.

პირველ რიგში ფაიფურის ან ემალირებულ ჯამში მოათავსეთ სპერმაცევტი, კაკაო და თაფლის სანთელი. ჯამი წყლიან მოზრდილ ჭურჭელში ჩადგით, ისე რომ ადუღების შემდეგ წყალი ჯამში არ გადმოვიდეს და დაბალ ცეცხლზე შემოდგით. პერიოდულად ამოურიეთ. როდესაც ყველაფერი დადნება, ამოიღეთ ცხელი წყლიდან, აცადეთ ოდნავ შეგრილება და მიღებული მასა ათქვიფეთ (შესაძლებელია მიქსერის გამოყენებაც), იქამდე, სანამ არაჟნის კონსისტენციას არ მიაღწევს. შემდეგ ნელ-ნელა დაუმატეთ ზეითუნის, ვარდის და ნუშის ზეთი და თან ურიეთ. ეს საკმაოდ სახიფათო პროცესია, რადგან თუკი აჩქარდებით, შესაძლოა კრემი აგეჭრათ. როდესაც ზეთიანი კრემიც შესქელდება, ანადუღარ, გაცივებულ წყალში გახსენით ერთი გრამი ბორაქსი, ფრთხილად დაუმატეთ კრემს და გააგრძელეთ თქვეფა იქამდე, სანამ არ ჩათვლით, რომ თქვენი მკვებავი კრემი უკვე სრულყოფილად ჰგავს მომზადებულ პროდუქტს. სულ ბოლოს ფრთხილად ჩაუმატეთ ვიტამინები.



5-6 საათით დატოვეთ კრემი თავდახურულ ჭურჭელში, ოთახის ტემპერატურაზე. კრემის ქილებში გადატანამდე მიღებული მასა ნახევარი საათი კიდევ უნდა ათქვიფოთ. შემდეგ, ჩაამატეთ ერთი სუფრის კოვზი ალოე ( თუ დარწმუნებული ხართ, რომ ალოე ალერგიას არ გაძლევთ), ისევ მოურიეთ და დაანაწილეთ ქილებში.

კრემი გრილ ადგილას შეინახეთ. შეგიძლიათ ამისთვის მაცივარიც გამოიყენოთ, მაგრამ ის ქილა, რომლითაც ისარგებლებთ, ძილის წინ გამოიღეთ.

# მარგებელი ხილის ჩირი

*ხილის ჩირში თავმოყრილია ნატურალური ნივთიერებები და არ შეიცავს ცხიმს. გაშრობისას ხილი კარგავს მცირე რაოდენობით ვიტამინებს, კალიუმს, კალციუმს, რკინას, პექტინებსა და უჯრედისებს, სამაგიეროდ, მისი კალორიულობა იზრდება: თუ 100 გ ყურძენი 75 კკალორიაა, 100 გ ჩამიჩი — 280.*



კალციუმი ამაგრებს ძვლებსა და თმას, სახის კანს ანიჭებს სინორჩეს, მაგნიუმი აწესრიგებს წნევას, კალიუმი აუმჯობესებს გულისა და ნერვული სისტემის მუშაობას, ორგანიზმიდან გამოდევნის ზედმეტ სითხეს, ნატრიუმი და რკინა ხელს უწყობენ სისხლში ჰემოგლობინის დონის შენარჩუნებას, უზრუნველყოფენ ორგანოებსა და ქსოვილებს ჟანგბადით. ერთი მუჭა ქერმის ჩირი უზრუნველყოფს კალიუმის დღეღამურ ნორმას, 50გ ალუბლის ჩირი B ვიტამინისა და მაგნიუმის, ხოლო დღეში რამდენიმე ცალი შავი ქლიავის, ლეღვისა და უნაბის (შეიცავს საკვებ ბოჭკოს) ჩირი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მუშაობას.

*გაგაცნობთ ზოგიერთი ჩირის თვისებებს:*

*ქერამი* შეიცავს: კალიუმს, პექტინს, რკინას, ვაშლის, ლიმონისა და ღვინის მჟავებს, B ჯგუფის ვიტამინებს, P ვიტამინსა და კაროტინს.

100გ-ში: 5,2გ ცილაა, 65,9გ — ნახშირწყლები და 288 კკალორია.

*მსხლის ჩირი* შეიცავს უნიკალურ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც აძლიერებს იმუნიტეტსა და ხელს უწყობს ტოქსინების გამოდევნას.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 62,1გ — ნახშირწყლები, 257 კკალორია.

*შავი ქლიავი* ანტიოქსიდანტების წყალობით საუკეთესო ანტიდეპრესანტია, უხვად შეიცავს ვიტამინებსა და მიკროელემენტებს.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 65,6გ — ნახშირწყლები, 271 კკალორია.

*ბანანი* მდიდარია შაქრით, რომელიც სწრაფად აღადგენს ენერგიას, ამიტომაც სპორტსმენებს ურჩევენ, ჭამონ ვარჯიშის დაწყების წინ.

100გ-ში: 4,5გ ცილაა, 54,6გ — ნახშირწყლები, 2,5 კკალორია.

*ანანასში* ბევრია A და C ვიტამინები, ნახშირწყლები, უჯრედისები, მაგნიუმი, იოდი, ფერმენტი ბრომელინი.

ანანასის ჩირი ხელს უწყობს საჭმლის მონელების პროცესს.

100გ-ში: 0,8გ ცილაა, 82,6გ — ნახშირწყლები, 339 კკალორია.

*უნაბსა და ფინიკში* ბევრი მიკროელემენტი და ვიტამინია, განსაკუთრებით კი $B_5$, რომელიც ორგანიზმს მატებს სასიცოცხლო ტონუსს. შეიცავს 23 სახის ამინმჟავას.

100გ-ში: 2,3გ ცილაა, 65,6გ — ნახშირწყლები, 295 კკალორია.

*მანგო* ორგანიზმს უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი მინერალური ნივთიერებით, ამცირებს სისხლში შაქრის დონეს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს.

100გ-ში: 9,5გ ცილაა, 57,6გ — ნახშირწყლები, 640 კკალორია.

*ვაშლი* სამკურნალო თვისებებით ტოლს არ უდებს უნაბსა და ქერმის ჩირს, შეიცავს ბორს, აძლიერებს იმუნიტეტს.

100გ-ში: 2,2 ცილაა, 59,0გ — ნახშირწყლები, 230 კკალორია.

*ლეღვი* უხვად შეიცავს რკინასა და კალციუმს, ისეთ ფერმენტებს, რომლებიც ასტიმულირებენ საჭმლის მონელების პროცესს.

100გ-ში: 4,5გ ცილაა, 54,6გ — ნახშირწყლები, 298 კკალორია.

*ნესვი* შეიცავს შაქარს, ვიტამინებს, რკინას, ფოლიუმისა და ნიკოტინის მჟავებს, აქვს შარდმდენი და ანთებსაწინააღმდეგო თვისებები.

100გ-ში: 6,5 გ ცილაა, 60,6გ — ნახშირწყლები, 325 კკალორია.


**მკურნალობა - ხერხემლის თიაქარის, ოპერაციის გარეშე, ძვალსახსროვანი დაავადებების და ოსტეოხონდროზის, მარილების დაგროვების, პოდაგრის, ართროზების, სპორტული ტრამვების, კიფოზის, ნერვის ანთების, რადიკულიტის.**

**551-00-51-84** კლინიკა „ნიუ მედი"

ლაზერი ბინაზე

- სახსრების დაავადებები
- ალერგიული რინიტი
- ოსტეოქონდროზი
- სამწვერა ნერვის ანთება
- ტროფიკული წყლული
- კოლიტი
- დიაბეტური ანგიოპათია
- დისბაქტერიოზი
- ჰაიმორიტი და სხვა...

ლაზერის პროცედურები მაღალ ეფექტური და უსაფრთხო

სამედიცინო ცენტრი „ლაზერი“ ტელ: 599 20 60 73 253 36 52



# ბუნების ღვთივკურთხეული სასწაული

რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის, იობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სამკურნალო ცენტრი **ნინო ქურდაძის** ხელმძღვანელობით.

ქალბატონმა ნინომ წარმატებით გაიარა სტაჟირება ისრაელის ცნობილ კლინიკაში „სოროკა“ პროფესორ შლეფერთან და მიიღო Internal Medicine Department „E“ სერტიფიკატი.

**1.** მცენარეული წამალი მთელ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში) ახორცებს ეროზიებსა და წყლულებს.

**2.** ძალიან მოკლე დროში მოქმედებს ბრონქიტზე — აძლიერებს სასუნთქი სისტემის იმუნიტეტს და იცავს ორგანიზმს ვირუსის შემდგომი გართულებებისგან.

**3.** ეფექტიანია საშარდე სისტემისათვის (ნეფრიტი, პიელონეფრიტი), შედეგიანია პროსტატიტების, უშვილობასთან დაკავშირებული (ანტისპერმალური ანტისხეულების არსებობა) პრობლემების დროს.

**4.** ნევროზების სამკურნალო საშუალებაა.

**5.** ჭიების წამალი კი რამდენიმე სახის პარაზიტზე (ენტერობიოზზე, ასკარიდაზე, მახვილაზე, ლამბლიაზე) მოქმედებს.

**მიღება გრძელდება, წინასწარი ჩაწერით**

**მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №31** ☎599-78-89-18; 298-98-54

**ქ. ხაშური (შაბათ-კვირას) 9 აპრილის ქ. №10**

E-mail: niqurdadze@gmail.com

R

## ორშაბათი 18 თებერვალი

06.30 დოკ/ფ „როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 07.30 „ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 00.30 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ „ადამიანი - პლანეტა" 17.00 დოკ/ფ „მეცნიერების ისტორია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი „რესტავრატორი" მე - 9 სერია 21.00 ტ/სერიალი „პური და თავისუფლება" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა" 00.00 „საფარი" 00.50 მხ/ფ „რიცხვი 23"

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი „იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 „კურიერი" 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერიალი „ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი „მგზნებარე გული" 20.05 სერიალი „ლირსება და ამბიცია" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა" 10.00 სერიალი „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი „მავთის ქარიში" 13.00 სერიალი „გაქცევა - 4" 14.40 სერიალი „24 - 5" 15.40 სერიალი „დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი „თილისმა" 18.50 სერიალი „სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი „მარტოსული" 22.00 სერიალი „ცხელი ძაღლი" 23.00 მხ/ფ „სამი მუშკეტერი" 01.10 სერიალი „ლვინის გზა" 01.45 მხ/ფ „ქვის მთლელი" 03.15 მუსიკა

08.00 „ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 „ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მაესტროს პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური აბები" 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური აბები 01.40 თოქშოუ „არგუმენტები" 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ერთ პატარა ქალაქში" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა „განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ისტორიის დღიური 12.10 მხ/ფ „წისქვილი ქალაქის გარეუბანში" 13.15 კონცერტი - ჯეიმს ლასტი 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება" 16.55 შემეცნებით-დოკ/ფ „ველური ბუნება" 17.20 მოკ/ფ „ფეოლა" 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ჰა" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 სულთამოქმედებელი საუბრები 21.55 ისტორიის დღიური 22.00 სიახლენი 22.25 საქართველოს ისტორია 22.55 ფოტოგალერეა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ - ებრაული ურთიერთობები" გად. V 23.50 ფოტოგალერეა 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.05 საეკლესიო კალენდარი 00.10 სიახლენი 00.30 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.07 გადაცემა „აქ და ახლა" (გამეორება) 11.07 ვენლაბუდა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.12 რადიომარკეტი 12.30 გადაცემა „საქმე" 13.00 გადაცემა „მოკლე ჩართვა" (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.07 გადაცემა „აქ და ახლა" 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.07 გადაცემა „დემოკრატია ჯიბე და მაცივარი" 17.06 გადაცემა „ პეპლე და თურაშაული" 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.15 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 გადაცემა „რეზიუმე" 19.35 ვენლაბუდა 20.30 გადაცემა „მოკლე ჩართვა" 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 გადაცემა „რეზიუმე" (გამეორება)

## სამშაბათი 19 თებერვალი

06.30 „მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 01.30 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ „ძაღლების მკვლევარები" 17.00 „საფარი" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი „რესტავრატორი" 21.00 ტ/სერიალი „პური და თავისუფლება" 22.00 „აქცენტები" 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. არსენალი - ბაიერნი. შესვენებისას „ვიქტორინა" 01.50 მხ/ფ „სიყვარულის სურნელი"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი „იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 03.00 „კურიერი" 12.30 „შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერიალი „ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი „მგზნებარე გული" 20.05 სერიალი „ლირსება და ამბიცია" 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 „ნანუკას შოუ" 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა" 10.00 სერიალი „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი „მავთის ქარიში" 13.00 სერიალი „გაქცევა - 4" 14.40 სერიალი „24 - 5" 15.40 სერიალი „დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი „თილისმა" 18.50 სერიალი „სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი „მარტოსული" 22.00 კონცერტი „ჯემალ სეფიაშვილი" 01.05 სერიალი „ლვინის გზა" 01.40 მხ/ფ „ჯვარისკაცები" 03.25 მუსიკა

08.00 „ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 „ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მაესტროს პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური აბები" 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური აბები 01.40 თოქშოუ „არგუმენტები" 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით-დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.35 სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა „განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.30 ლექსით ქებათა ქება 10.35 საქართველოს ისტორია 10.55 სულთამოქმედებელი საუბრები 11.30 დრო და ტრადიციები 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 ისტორიის დღიური 12.15 მხ/ფ „ჰა" 13.30 კონცერტი - ანა-სოფია მეფური 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ „ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ „ქრონიკა ხატები" 16.20 აქტუალური თემა 16.40 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 17.40 დოკ/ფ „კადრს მიღმა" 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 შარავანდედი 21.55 ისტორიის დღიური 22.00 სიახლენი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ფოტოგალერეა 23.20 დოკ/ფ „უფლისწულის პატარა სახლი" რ. ინანიშვილი 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 ერთსულოვნების სალონი 01.45 კარაბადინი 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.07 გადაცემა „აქ და ახლა" (გამეორება) 11.07 ვენლაბუდა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.12 რადიომარკეტი 12.30 გადაცემა „საქმე" 13.10 გადაცემა „ბიზნეს ფაილი" 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.07 გადაცემა „აქ და ახლა" 14.35 გადაცემა „აქ და ახლა" 15.00 ვიდეოპორტალი (გამეორება) 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.07 გადაცემა „ისტორიონი" 17.06 გადაცემა „პროვოკატორი" 17.59 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.29 გადაცემა „რეზიუმე" 19.04 გადაცემა „რეზიუმე" 19.34 ვენლაბუდა 20.29 გადაცემა „მოკლე ჩართვა" 20.59 ვიდეოპორტალი 21.59 გადაცემა „რეზიუმე" (გამეორება)

## ოთხშაბათი 20 თებერვალი

06.30 „მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 01.30 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ „მეცნიერება ფილმებში" 17.00 „გურმანი" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი „რესტავრატორი" 21.00 ტ/სერიალი „პური და თავისუფლება" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. გალათასარაი - შალკე. შესვენებისას „ვიქტორინა" 01.50 მხ/ფ „გაიქეცი მსუქანო, გაიქეცი"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი „იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 04.30 „კურიერი" 12.30 „შუა დღე" 15.30 იღბლიანი ბორბალი 17.00 სერიალი „ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი „მგზნებარე გული" 20.05 სერიალი „ლირსება და ამბიცია" 22.00 სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები" 23.40 ჩემპიონთა ლიგა 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.30 მხ/ფ 05.00 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა" 10.00 სერიალი „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი „მავთის ქარიში" 13.00 სერიალი „გაქცევა - 4" 14.40 სერიალი „24 - 5" 15.40 სერიალი „დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი „თილისმა" 18.50 სერიალი „სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი „მარტოსული" 22.00 მხ/ფ „დევნილი" 23.50 სერიალი „ლვინის გზა" 00.40 მხ/ფ „დაუმარცხებელი" 02.10 მუსიკა

08.00 „ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 „ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მაესტროს პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური აბები" 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური აბები 01.40 თოქშოუ „არგუმენტები" 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

06.00 შვიდგზის ლოცვა 06.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 დოკ/ფ „რეზო გაბრიაძის ნახატების არაჩვეულებრივი გამოფენა" 07.25 მოკ/ფ „ფეოლა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 დილის პროგრამა „განთიადი" 10.00 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05 ისტორიის დღიური 10.10 სიახლენი 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 შარავანდედი 11.05 დოკ/ფ „უფლისწულის პატარა სახლი" - რ. ინანიშვილი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 11.55 შვიდგზის ლოცვა 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 13.20 კონცერტი - ნუნუ გაბუნია 14.50 ფოტოგალერეა 14.55 შვიდგზის ლოცვა 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 შემეცნებით-დოკ/ფ „ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ „მოუსავარი" 16.45 კვირიაკე 17.55 შვიდგზის ლოცვა 18.00 საეკლესიო კალენდარი 18.05 საქართველო არის ესე 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.00 სიახლენი 19.20 მხ/ფ „განგაში" 20.40 ძილი ნებისა 20.55 შვიდგზის ლოცვა 21.00 საეკლესიო კალენდარი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ისტორიის დღიური 22.00 სიახლენი 22.25 ქართული ალბომი 22.50 დოკ/ფ „წმინდა მეფე სოლომონ II" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „მეფე და ბერი" 23.55 შვიდგზის ლოცვა 00.00 საეკლესიო კალენდარი 00.05 სიახლენი 00.25 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ვერდიქტი" 02.30 სიახლენი

07.55 დილის პალიტრა 10.00 საინფორმაციო გამოშვება 10.07 გადაცემა „აქ და ახლა" (გამეორება) 11.07 ვენლაბუდა (გამეორება) 12.00 საინფორმაციო გამოშვება 12.12 რადიომარკეტი 12.30 გადაცემა „საქმე" 13.00 გადაცემა „მოკლე ჩართვა" (გამეორება) 13.30 ვიდეოპორტალი (გამეორება) 14.00 საინფორმაციო გამოშვება 14.09 გადაცემა „აქ და ახლა" 15.07 გადაცემა „მკურნალი" 16.00 საინფორმაციო გამოშვება 16.07 ვიდეოპორტალი (გამეორება) 17.07 გადაცემა „პროვოკატორი" 18.00 ვიდეოპორტალი - მსოფლიო ამბები 18.30 გადაცემა „რეზიუმე" 19.35 ვენლაბუდა 20.30 გადაცემა „მოკლე ჩართვა" 21.00 ვიდეოპორტალი 22.00 გადაცემა „რეზიუმე" (გამეორება)

## ხუთშაბათი 21 თებერვალი

06.30 „მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა" 09.00; 10.00; 12.00; 14.00; 16.00; 19.00; 20.00; 02.00 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" - მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დოკ/ფ „როგორ შეცვალა დედამიწა" - წყალი 17.00 „ჩვენი ფერმა" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერიალი „რესტავრატორი" 21.00 ტ/სერიალი „პური და თავისუფლება" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 სპორტული თოქშოუ. „არენა" 00.00 მხ/ფ „სასიკვდილო იარაღი - 2"

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერიალი „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერიალი „იდუმალი ქალი" 12.00; 15.00; 18.00; 20.00; 21.00; 04.30 „კურიერი" 12.30 „შუა დღე" 15.30 კომედი შოუ 17.00 სერიალი „ვნების უფსკრული" 18.45 სერიალი „მგზნებარე გული" 20.05 სერიალი „ლირსება და ამბიცია" 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00 მხ/ფ 03.30 მხ/ფ

07.30 იმედის დილა 09.00; 11.00; 14.00; 17.00; 19.00; 20.00; 00.00 „ქრონიკა" 10.00 სერიალი „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერიალი „მავთის ქარიში" 13.00 სერიალი „გაქცევა - 4" 14.40 სერიალი „24 - 5" 15.40 სერიალი „დამალული სიმართლე" 17.50 სერიალი „თილისმა" 18.50 სერიალი „სახიფათო ვნება" 21.00 სერიალი „მარტოსული" 22.00 სერიალი „ცხელი ძაღლი" 23.00 მხ/ფ „გრინსბორითელი ხულიგნები" 01.10 სერიალი „ლვინის გზა" 01.45 მხ/ფ „ჩამსკრაბერი" 03.40 მუსიკა

08.00 „ახალი" დილა 10.00 მატრიცა 11.00 მთავარი კითხვა 12.00 საინფორმაციო 12.30 დეტექტორი 13.00 ბიზნესის დრო 14.00 მატრიცა 15.00 საინფორმაციო 15.30 დიდი დრო 16.00 ბიზნესის დრო 17.00 მთავარი კითხვა 18.00 „ახალი" 19.00 მატრიცა 20.00 ბიზნესის დრო 21.00 „ახალი" 22.00 მთავარი კითხვა 23.30 მატრიცა 24.30 „ახალი" 24.30 მთავარი კითხვა 24.30 ბიზნესის დრო 24.30 „ახალი" დილა 24.30 მატრიცა 24.30 ბიზნეს ინფო 07.00 მთავარი კითხვა

07.00 ახალი ამბების კოლაჟი 07.30 უცხოეთის ამბები 07.55 უკომენტაროდ + ამინდი 08.00 ახალი ამბები 08.20 უცხოეთის ამბები 09.00 ახალი ამბები 09.15 უცხოეთის ამბები 10.00 ახალი ამბები 10.30 უცხოეთის ამბები 10.55 უკომენტაროდ + ამინდი 11.00 ახალი ამბები 11.30 უცხოეთის ამბები 11.55 უკომენტაროდ + ამინდი 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30 უცხოეთის ამბები 12.55 უკომენტაროდ + ამინდი 13.00 ახალი ამბები 13.30 უცხოეთის ამბები 13.55 უკომენტაროდ + ამინდი 14.00 ახალი ამბები 14.05 მაესტროს პრესკლუბი 14.55 უკომენტაროდ + ამინდი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 15.30 უცხოეთის ამბები 15.55 უკომენტაროდ + ამინდი 16.00 ახალი ამბები 16.30 უცხოეთის ამბები 16.55 უკომენტაროდ + ამინდი 17.00 ახალი ამბები 17.10 უცხოეთის ამბები 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 18.40 უცხოეთის ამბები 18.55 უკომენტაროდ + ამინდი 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 20.00 ახალი ამბები 20.05 თოქშოუ - „არგუმენტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00 „ყოველდღიური აბები" 22.20 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 00.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება) 00.30 თოქშოუ „სუბიექტური აზრი" 01.20 ყოველდღიური აბები 01.40 თოქშოუ „არგუმენტები" 02.00 თოქშოუ „პოლიტმეტრი" 03.00 ახალი ამბების კოლაჟი 03.35 უცხოეთის ამბები 04.00 ახალი ამბების კოლაჟი 04.35 უცხოეთის ამბები 05.00 ახალი ამბების კოლაჟი 05.35 უცხოეთის ამბები 06.00 ახალი ამბების კოლაჟი 06.35 უცხოეთის ამბები 06.55 უკომენტაროდ + ამინდი 07.00 ახალი ამბების კოლაჟი

მამაკაცური პრობლემების: სქესობრივი სისუსტის, იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ქავილის, ტკივილის, ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების, უშვილობის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება, უკუჩვენების გარეშე, შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. მის. სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 790 25-44-14, 234-02-38, 599 25-44-14 ექიმი სპეციალისტი ქ-ნი მზია

ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის მკურნალობა ჯანმრთელობის უვნებლად, დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ორგანიზმის გაწმენდით ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე, ნერვული სისტემის მოწესრიგება – უძილობა, ნევროზი, დეპრესია, შიშები, აკვიატება, აგრესია. იმუნიტეტის გაძლიერება, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, შედეგი გარანტირებულია 100%-ით. ანონიმურობა დაცულია. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 234-02-38; 599 25-44-14, 790 25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია

ძვლის პრობლემების: ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ართრიტების, კოქსართრიტების, ართროზის, კოქსართროზის და ა.შ. მკურნალობა, დაზიანებული ხრტილის და ძვლის შეცვლილი სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, უძილობა, ძვლის აქტიური კვება-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, საუკეთესო შედეგებით. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმიის" ინსტიტუტი, I სართ. ოთახი №6 ტელ: 599 96-44-94; 234-02-38 (ოფისი კვირის გარდა) ექიმი ქ-ნი სალომე

სიმაღლეში სწრაფად და ეფექტურად ზრდა, თვეში 3-5სმ-ის მომატებით 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალების და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, უნებლიე შარდვის (ენურეზის) მკურნალობა ბავშვებშიც და მოზრდილებშიც, ასევე გახდომა თვეში 7-20კგ-მდე უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ცხიმების აქტიური წვა, მადის რეგულირება, მკურნალობა მცენარეული საშუალებით უკუჩვენების გარეშე 100%-ის გარანტიით. მის. მ. დიდუბე, „სამთო ქიმია", I სართ. ოთ. №6 ტ: 599 96-44-94, 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე

საუკეთესო შედეგებით ვმკურნალობ ბიომასაჟით: ნევროზებს, შიშებს, აკვიატებულ ფიქრებს, თავის ტკივილს, უძილობას, ნერვულ ტიკებს, უნებლიე შარდვას, ოპერაციის გარეშე ვმკურნალობ პროსტატიტს, თირკმელებს, ბუასილს, შარდ-სასქესო ორგანოს, სქესობრივ დაქვეითებას. მის: აღმაშენებლის 115, კაპ. 10. ცისანა გუდაძე ტელ: 558 91-01-98

კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მკურნალობა, მწვავე და ქრონიკული გასტრიტი, სველი და მშრალი კოლიტი, ენტერიტი, ყაზბობა, დიარეა, დისბაქტერიოზი. აგრეთვე სახეზე გამონაყარი, ასაკობრივი და პათოლოგიური, ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე ტოქსინებისგან, ეფექტურია პირიდან უსიამოვნო სულის დროსაც, შედეგი გარანტირებულია. მის. მ. დიდუბე „სამთო ქიმია" I სართ. ოთახი №6 ტელ: 558 15-63-33; 234-02-38 ექიმი ქ-ნი ნინო

ბიოლოგი ც. მჭედლიძე და ია ბეგაშვილი მკურნალობენ: თმის ცვენას, ქერტლს, ქავილს, გამონაყარს, ბუდობრივ ცვენას (ამოდის თმა), ტილებს, ფსორიაზს, ეგზემას, სოკოს ყველა სახეობას (ფრჩხილი), სახსრებს, პლექსიტს, ნაწოლებს, ნახეთქებს, ჰაიმორიტს, დემოდეკოზი, კოსმეტიკური საშუალებები. მის: ვაჟა-ფშაველას №47. ტელ: 214-47-80; 593 91-89-17, 555 20-03-41; 235-32-62

ღრძილების ანთების მკურნალობა (ჩირქდენა, შესიება (ფლუზი), სისხლდენა), გამონაყარი პირის ღრუში (სტომატიტი), ჩირქოვანი გლანდები, ჰაიმორიტი, ბრონქების გაწმენდა ნახველისაგან და ნიკოტინის დანალექისაგან, ცნობილი და დროით განოცდილი მცენარეული ნაყენით „მკურნალი სუმბაძე". მის. თბილისი, დავით აღმაშენებლის 113-115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 291-18-38 სამსახ. 577 41-86-16 ექიმი-მკურნალი ცისანა სუმბაძე

ამერიკაში სერტიფიცირებული ექიმი, მასაჟისტ-თერაპევტი, მკურნალობს მყეს-მაჟის არხის სინდრომს, ტერფის ფასციიტს, ბრტყელტერფიანობას, მოყინული ბეჭის სინდრომს, შაკიკს, სქოლიოზს, კიფოზს, ლორდოსს, ტკივილებს, ქირურგიულ ოპერაციის შემდგომ და ასე შემდეგ. შინაგანად მოწოდებული ვარ დავეხმარო ჩემს პაციენტებს, რათა შეინარჩუნონ ტკივილისგან თავისუფალი ცხოვრების სტილი. მის. აღმასენებლის 93. ტელ: 555 78-17-07, 599 24-75-76 გიორგი ბარამიძე

გახდომა-გასუქება თვეში 5-20 კგ, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოდ, მცენარეული საშუალებებით, დიეტის და ვარჯიშის გარეშე, წონის შენარჩუნებით, სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები სწრაფი და ეფექტური ზრდა 3-5სმ-ით, 2-25 წლამდე, საუკეთესო შედეგით, ზრდის ვიტამინების, მინერალების და ვარჯიშების კომპლექტით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 593 44-58-65. 234-02-38 (ოფისი). 257-66-90 (საღამოს) ექიმი დეა

## იყიდება

იყიდება პიკაპი ფორდი-150, 2000 წლიანი, ძრავა 4,6 ბენზინი, უყენდება ნებისმიერი თაობის გაზის აპარატურა, დიდი ტევადობის და ტვირთამწეობის (2,5 ტონა), სალონში არის 3 ადგილი, მანქანა ტექნიკურად სრულად გამართულია, გარეგნულად აქვს რამდენიმე ვიზუალური დეფექტი. მანქანა ძალიან კარგია სოფელში მოსახმარად. ფასი 4500$. ტ. 597-12-77-85

შპს „Beauty way" გთავაზობთ თანამედროვე კოსმეტოლოგიურ აპარატურას: კომბაინი (17,16,14,8,5,3-ფუნქციით), დარსენვალი, ბრაშინგი, გალვანიზაციის აპარატი, კანის გასაწმენდი ულტრაბგერითი აპარატი, აპარატი კანის კომპიუტერული დიაგნოსტიკისთვის, ბიოეპილაციის კარტრიჯები, ქაღალდები, პარაფინი, კარტრიჯის და პარაფინის გამაცხელებლები, ეპილაციის ნემსები, ფოტოეპილატორები, ფოტოთერაპია (E-LIFHT, IPL, RF), კონტურული მაკიაჟის და ტატუაჟის აპარატი, ყურის გასახვრეტი თოფი, ელსასწორი, სავარძლები, სახის მალგინატი ნიღბები ფერიმჭამლების და ნაოჭების მოსაშორებლად, მშრალი და ცხიმიანი კანისათვის (ხილის სხვადასხვა ექსტრაქტით), ასევე პროფესიული ფრანგული (Clarisse) და იტალიური (DPC) წარმოების ექსკლუზიური ოქროსა და ბრილიანტის ნიღბები, ოქროს შრატები და აპარატურის გელები, კაკაოს, ალოეს, ავოკადოს, მანგოს, კოკუმის, შის კოსმეტიკური ცხიმები და ა.შ. სალოლი, ვაზელინი, ლანოლინი, კამფორა და სხვა. პროდუქციის ფასი ითვალისწინებს პროფესიონალურ კოსმეტოლოგთან კონსულტაციას, ასევე შესაძლებელია მოკლევადიანი თრენინგების გავლა. მის. დავით აღმაშენებლის 124-ის ეზოში, შპს „ბიუთი ვეი". ელფოსტა: iorg1965@list.ru ტელ: 294-53-15; 296-22-89; 593 54-33-15

კვიპაროსი, კედარი, ტუია, კვიდო, წყავი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ტირიფი, ალვის ხეები ქარსაფარად, როზმარინი, ბზა, იუკა, ჩინური იასამანი, ლუგუსტრუმი, იასამანი, მაგნოლია, ხეივნის ვარდები, აკუბა და სხვა მცენარეები. მის. სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვასთან) მობ: 599 16-93-15

ხეხილის ნამყენი ნერგები: ალუჩა, ალუბალი, ატამი, ბალი, ბროწეული, გარგარი, კომში, კარალიოკი, კაკალი, მსხალი, ვაშლი, ხურმა, ქლიავი, ნუში, ზღმარტლი, ტყემალი, შინდი, უნაბი, თხილი, ვარდები და ვაზები. მის: სანერგე მეურნეობა (თბილისის ზღვასთან). ტელ: 599 16-93-15

## შევიძენ

შევიძენ საბჭოთა კავშირის დროს გამოცემულ წიგნებს. დიდ ბიბლიოთეკებს. ტელ: 595 13-70-00

## სხვადასხვა

სს „პრივატბანკი (საქართველო)" აცხადებს ტენდერს კომპანიის გამოსავლენად, რომელიც მოესახურება ბანკომატებისა და თვითმომსახურების ტერმინალების მონტაჟის (დაანკერება, დამიწება და ელექრო მონტაჟი), დემონტაჟის და ტრანსპორტირების მომსახურებაში საქართველოს მასშტაბით.

**აუცილებელი პირობები:**

1. ტენდერში მონაწილე კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ პრაის ლისტი შემდეგი მომსახურებების:

1. ბანკომატისა და ბასის ტრანსპორტირების, მონტაჟის (მინის და კედლის დამუშავება, პროფილების მონტაჟი ბანკომატის ჩარჩოს შესაბამისად) და დემონტაჟის ქ. თბილისის მასშტაბით;

2. ბანკომატისა და ბასის ტრანსპორტირების, მონტაჟის (მინის და კედლის დამუშავება, პროფილების მონტაჟი ბანკომატის ჩარჩოს შესაბამისად) და დემონტაჟის რეგიონებში ქ. თბილისის გარდა;

3. ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას აუცილებლად უნდა გააჩნდეს სახელფასო პროექტი სს „პრივატბანკში".

ტენდერში მონაწილე კომპანიებმა გთხოვთ მოგვაწოდოთ სატენდერო წინადადებები დალუქულ კონვერტებში 26 თებერვლამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №116-ში მდებარე პრივატბანკში.

საკონტაქტო პირი: დავით კვერენჩხილაძე, მობ.: 591 775252.

mailto: david.Kverenchkhiladze@privatbank.ge






### „ჩემი გვერდის" პასუხები

**„შეადგინე სიტყვები"**

კოპი

ელვა

ნარი

**რებუსები:**

მათემატიკა;

ლიტერატურა.

**ვიქტორინა:**

1 — ა; 2 — ა; 3 — ბ.

### ნესტორ კვარაცხელიას ნათელ ხსოვნას



40 დღე გავიდა, რაც ჩვენს გვერდით არა ხარ. უსაზღვროდ ტკივილიანია სამუდამო წასვლა ადამიანისა, რომელიც მხოლოდ სიკეთისა და სიყვარულისთვის იყო დაბადებული. შენ მუდამ დარჩები ჩვენს მეხსიერებაში, როგორც მაღალი ფასეულობების — ღირსების, ჰუმანიზმისა და პატიოსნების ნათელი მაგალითი. უფალმა დაგიმკვიდროს ადგილი მართალთა შორის. მუდამ გვეყვარები და გვემახსოვრები ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ბაბა.

*შენი როზა, ირა და ნანა*

### გურამ ჭელიძე



უშენოდ გავიდა ორმოცი ცრემლიანი დღე, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ, მამა. ენერგიით სავსეს, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარეს, გიხაროდა და გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ მუხთალი ყოფილა წუთისოფელი... სიკვდილზე შემზარავი და მონატრებაზე ძნელი არაფერი ყოფილა ამქვეყნად, მონატრებაზე, რომელიც მონატრებად რჩება. არასოდეს დაგვავიწყდება შენი სიკეთით და სიყვარულით სავსე თვალები, შენმა გულმა ვერ დაიტია ამდენი სიკეთე, სიხარული და სიყვარულით სავსე გულმა გიღალატა. შენი უეცარი გარდაცვალებით გაოცებულები ვართ დღემდე, გარდაცვალებით, რომელიც მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ძალიან გვიჭირს, მამა, შენზე წარსულში ლაპარაკი. ვამაყობდით შენი კეთილი საქმეებით, რომელსაც არასოდეს ამბობდი. შენი გარდაცვალების შემდეგ, გაოცებულები ვიყავით, როცა უამრავი ხალხი მოდიოდა და გვიყვებოდა შენი კეთილი საქმეების შესახებ. როგორ შეგეძლო ამდენი სიკეთე გაგეკეთებინა და გულში დაგემალა? როგორ შეგეძლო ამხელა სიყვარულის დატევა? თუმცა გულმა ვერც დაიტია... უსუსურობის განცდა დაგვეუფლა ყველას, როცა მივხვდით, რომ არაფერი შეგვეძლო შენი ამქვეყნიური სიცოცხლისათვის გაგვეკეთებინა. შენით ყოველთვის ვიამაყებთ მამა. გვიყვარხარ და გვენატრები... შენი შვილები მუდამ ვილოცებთ შენი სულისთვის, შენი გულნარა, ვერიკო, ჯული, გია. უფალმა დაგამკვიდროს სასუფეველში, სადაც მართალნი განისვენებენ.

### ეკატერინე ფოლადიშვილის მონატრება



დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ლამაზო და საყვარელო დედა, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. გკოცნი

*შენი ლალიკო*

### ეკას

ვერავითარი დრო ვერ განკურნავს შენს მონატრებას, ჩემო ეკა. 14 თებერვალი მესამედ მოვიდა უშენოდ. რა ძნელია უშენოდ თებერვლის მოსვლა. ეს თვე გამორჩეულად გვიყვარდა მთელ ოჯახს, ჩემო ძვირფასო და სიცოცხლეზე შეყვარებულო შვილო, ეკა. სურათიდან მომზირალი, სიცოცხლით სავსე შენი სახე გვიცქერის, ჩემო, შრომით დაღლილო შვილო. გვიჭირს შენი წარსულში მოხსენიება, ყველას ძალიან ატკინე გული, ყველას ახსოვხარ. გაუსაძლისია დედის ტკივილი და მონატრება, ჩემი ნუგეში შენი პატარა ქალია. უფალს ვთხოვ მოგვიტევოს, ვერ დაგიფარეთ. დაე, ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი.

*ნუნუ ანთაძე*

### გიორგი აბურჯანიას ტკივილიანი დაბადების დღე



სამოცდამეორედ დადგა შენი დაბადების დღე. ჩვენ კი პირველად ვხვდებით უშენოდ 12 თებერვალს, ჩვენო მარადიულო ტკივილო. ვერავინ ავსებს შენგან გაჩენილ სიცარიელეს ჩვენს გულებში. უსაზღვროდ გვენატრები და გვიყვარხარ. ლოდინი და მონატრება ყველაფერზე ძნელია ამქვეყანაზე, სიკვდილი კი საშინელებაა. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს იმის შეგუება, რომ შენ აღარ ხარ, აღარ შემოგვხედავ სიცოცხლის ხალისით გაცისკროვნებული, ულამაზესი მწვანე თვალებით, რომელშიც ყოველთვის იმედის სხივი გენთო. ამ წუთისოფლის ლაბირინთებით სავალ გზას, იმედით და შეუპოვარი ენერგიით იკაფავდი. შენი თავის და ჩვენი, ყველას კეთილი მეგზური იყავი. შენი ამქვეყნიდან წასვლით, ზოგჯერ თავი სიზმარში გვგონია, მაგრამ რეალობას ვერ გავექეცით. სიხარულის ნაცვლად, ცრემლით ვხვდებით შენს დაბადების დღეს. ვცოცხლობთ შენზე ტკბილი მოგონებებით, კაცური კაცის სახელით, საყვარელი ადამიანის და თვალსაჩინო მეცნიერის სახელით. უშენობა უჭირთ შენს კოლეგებს, შენი ჯგუფის წევრებს, გიყვარდა კოლეგებთან და ახალგაზრდებთან მუშაობა, ფიზიკის ახალ-ახალი ამოცანების დასმა და კვლევა. სახლში, შენს სამუშაო კაბინეტში, ყველაფერი ხელუხლებელია, ისეა, როგორც იტალიაში გამგზავრებამდე დატოვე, საწერ მაგიდაზე დევს შენი კვლევით მიღებული, ფურცლებზე გადატანილი ფორმულები, რომლებიც თითქოს ცეკვავენ და უხარიათ, რომ დასმული ამოცანის მიზანი მიღწეულია. ჩვენ სულ შენთან ვართ, შენზე ლოცვით და მოგონებებით ვინუგეშებთ თავს. შენი დაბადების დღეს მოვალთ შენს საფლავზე ყვავილებითა და ანთებული სანთლებით და მოგილოცავთ დაბადების დღეს.

ღმერთმა ცათა სასუფეველში დაამკვიდროს შენი ლამაზი სული, ჩვენო საყვარელო გიორგი (ხუტა).

*შენი ოჯახი*

### რამინ სოსელიას მონატრება



საყვარელო მამიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 10 თებერვალს. წელს პირველად ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს, ჩვენო ძვირფასო ადამიანო. ასე გვგონა ისევ ჩვენთან ხარ და შენებრ სიყვარულსა და სითბოს გასცემ ადამიანებისათვის. გვენატრება მამი, შენი დარიგება, შენი შეცაცხანებაც სანატრელია. გკოცნით და გვენატრები, ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უმანკო სული, ჩვენო ძვირფასო მამავ, რამინ სოსელიავ.

*შვილები*

### ზურაბ გვანცელაძის გახსენება



„და ხორციელად თვალის ექიმი,
სულიერადაც იყო მკურნალი"

2008 წლის 6 თებერვალს, უდროოდ წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა უზომო ტკივილი და მონატრება. საქართველოს მოუკლეს ახალგაზრდა, ღირსეული, პრინციპული, გულისხმიერი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული ექიმი, ქირურგი-ოფთალმოლოგი ზურაბ გვანცელაძე.

ხან ზეციური და ხან მიწიერი ადამიანისთვის დამახასიათებელ საქმეებს აკეთებდი. რამდენ უსინათლოს დაუბრუნე სინათლე, ზურაბ! შენი ცხოვრების ჯვარი მხოლოდ 41 წელი ზიდე, შენს სამ ქალიშვილს დააკლდათ მამის სითბო, მოსიყვარულე მამა, შვილი. ენატრები ყველას, ცრემლი არ შეშრობია შენს ბებიას, შენს საფლავს ვნამავ ცრემლით, შვილო ზური. შენ მარტო ოჯახს კი არ დააკლდი, არამედ მთელ სამედიცინო საზოგადოებას და ქართველ ხალხს, თბილისს, მეგობრებს. ნათესავებს დააკლდა შენი კეთილი გული და ლამაზი კაცობა. პატივს მივაგებთ შენს ნათელ ხსოვნას.

*მარად შენი მოსიყვარულე დედა ჟანა გვანცელაძე და მეგობრები*

### გურანდა გორდელაძე-ლაბაძის მონატრება



გურანდა, ჩემო ერთადერთო შვილო, 40 დღე გავიდა, რაც დატოვე ეს წუთისოფელი და ზეცაში დაიდე ბინა. შენი სული უკვე შეუერთდა შენი გამზრდელი ბიძის — მერაბის, შენი მამის — გოგის სულს. ჩემო სიცოცხლევ, შენც ხომ იცოდი, რომ მე შენ ობლად გაგზარდე. მამაშენი, შენსავით ახალგაზრდა, 29 წლის ასაკში ავტოავარიის მსხვერპლი გახდა. შენზე ვლოცულობდი, თითქოს რაღაცის შიში მქონდა, ძალიან გეჩქარებოდა ყველაფერი. პატარა ასაკში გათხოვდი, დამიტოვე ორი პატარა ანგელოზი — ანამარია და ანასტასია. შევეცდები შენი შვილები გავზარდო შენ და მე რომ გვინდოდა ორივეს, ისეთები, თუ ღმერთი შემაძლებინებს.

გურო!... არაფრით არ ივსება უშენობით გამოწვეული სიცარიელე. მე ყველაფერი შენით მიხაროდა — ჩემო ერთადერთო, ღმერთმა როგორ გამწირა.

შენი შვილმკვდარი ბებო — იზო შენზე ფიქრში აღამებდა და ათენებდა, შენ აცოცხლებდი მას. უბედურმა ერთმა წუთმა დავდაყირა დააყენა ჩვენი ცხოვრება. თავგზააბნეული დატოვე შენი ნუკრი. დამეხმარება შვილების აღზრდაში. ჩვენც გვიკვირს, როგორ ვუძლებთ მონატრებისა და განშორების ენით აუწერელ მტანჯველ გრძნობას. მხოლოდ ის გვანუგეშებს, რომ უფალთან ხარ, ღმერთსაც ხომ რჩეულები უყვარს. ნათელში იყავი. უფალი ჰფარავდეს შენს სპეტაკ სულს.

*შენთვის მლოცველი დედა, ბებია, დეიდა.*

### გურანდა გორდელაძე-ლაბაძის მონატრება



ჩვენო დიდო ტკივილო, დიდო სიყვარულო, უსაზღვროდ კეთილი სულის ფერიავ, 40 დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უშენობა სასჯელია, მძიმე და უსამართლო. ვერ ვაცნობიერებთ, როგორ გადაგძალა სიკვდილმა ასეთი სიცოცხლით სავსე, ალალი გულის, სპეტაკი სულის, ერთგული, უანგარო, კეთილი, მუდამ სხვებზე მზრუნველი.

შენი პატარა შვილები — ანასტასია და ანამარია დადიან ხელჩაკიდებულნი. შიშჩამდგარი თვალებით ჩუმად დაგეძებენ, არ ვიცით როგორ ვუთხრათ, ანგელოზად რომ იქცა, მათი ისედაც ანგელოზი დედიკო. გპირდებით, ჩვენც დავეხმარებით შენს გამწარებულ დედას — თამრიკოს, ანამარიასა და ანასტასიას ღირსეულ ადამიანებად ჩამოყალიბებაში. სიკვდილი ვერაფერს დააკლებს იმ სახელსა და სიყვარულს, რაც შენ დატოვე, სიკვდილი მხოლოდ შენი ამაღლების გზად იქცა და საუბედუროდ, 26 წლის ასაკში მოხდა. ნათელში იყავი, შენი სულის საოხად ყოველთვის იციმციმებს ჩვენგან დანთებული სანთელი. უფალი ფარავდეს შენს სპეტაკ სულს.

*ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები*

### ბესიკ სიხარულიძის გახსენება



ერთი წელი გავიდა იმ სუსხიანი თებერვლის თვიდან, ჩვენო ბესო, როცა დაგვტოვე და წახვედი ცით იქით, სამარადისო სამყოფელში, ღმერთთან. უსაშველოდ გრძელი გამოდგა ეს წელი უშენოდ, დღეები ცრემლებით, კვირები დარდით და თვეები მონატრებით გავიდა.

სევდამ და დარდმა დაისადგურა უშენოდ დარჩენილ, ერთ დროს ბედნიერ და მხიარულ ოჯახში, სადაც ესოდენ სიყვარულით და მზრუნველობით გზრდიდნენ. ოჯახი, რომელიც ასე სიამყით ელოდა შენში გენის გაგრძელებას...

ოჯახის შექმნა მაინც მოგესწრო... სიცოცხლეს დაწაფებული კაცისთვის ცხოვრება ასეთი ხანმოკლე რატომ აღმოჩნდა?! ნუთუ მხოლოდ იმქვეყნად იყო შენი ადგილი რჩეულთა შორის, უფალთან?! გაანადგურე შენზე მლოცველი დედა, შენი ჭირვარამის გამზიარებელი მამიდა, რომელსაც თვალებში ვერ ვუყურებთ, როცა გახსენებთ, იგი ხომ ძმებისაგან გულგაზარული შენით ხარობდა, მისი სულისჩამდგმელი და იმედი იყავი, ახლა კი უსაზღვრო, ენით გამოუთქმელი ტკივილი ხარ...

სიზმარივით გვახსენდება ტრაგედია, რომელმაც ლოგინს მიგაჯაჭვა და ასე დაუნდობლად, ცხრაწლიანი წამებით, ნელნელა, წვეთ-წვეთობით შეიწირა შენი სიცოცხლე. იცი, არ გვჯერა დღესაც, ბესო, რომ ჩვენთან აღარ ხარ, რომ აღარ გვილამაზებ შენი ნათელი ღიმილით ცხოვრებას, შენს ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და სამეზობლოს. და მაინც... ასე ტკივილით ცხოვრება გაგრძელდება, შენი ამქვეყნიური არსებობა შენს ერთადერთ ძმაში და მის შთამომავლობაში გაგრძელდება. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ანთებული წმინდა სანთლებით ვილოცოთ, რომ ნათელი არ მოგაკლდეს და შეგთხოვოთ, ჩვენო ბესო, იმქვეყნად, უფალს ჩვენი სულები შეავედრო.

*რუსთავის აზოტის ცენტრალიზებული ტექნიკური კონტროლის განყოფილების თანამშრომლები*

### დედის, ნინო ცარციძის ხსოვნას



ალბათ ძნელია დაწერო მოგონება ადამიანზე, მით უმეტეს, როცა ეს ადამიანი მშობელი დედაა, დედა, რომელმაც საქართველოს აღუზარდა ხუთი შვილი, ხუთი პატიოსანი, ნამდვილი ქართული სისხლის და ჯიშის მატარებელი პიროვნება.

დედაჩემი დაიბადა 1934 წელს საჩხერის რაიონის სოფელ ჯალაურთაში, ნიკოლოზ და მზეხა ბულაძეების პატიოსან და იმ დროისათვის შეძლებულ ოჯახში, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა დედაჩემისა და მისი ექვსი და-ძმის ბედნიერი ცხოვრება. საქართველოში, ყველას მოგეხსენებათ როგორმი მძიმე და დაუნდობელი კომუნისტური რეჟიმი მძვინვარებდა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში. 1938 წლის ნოემბერში, შუაღამით კარებზე უტიფარმა კაკუნმა გამოაღვიძა ნიკოლოზ და მზეხა ბულაძეების ოჯახი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ კარებს მოადგნენ „შავრაზმელები", რომლებმაც ბაბუაჩემი ნიკოლოზი დღემდე გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. „შავრაზმელები" ამასაც არ დასჯერდნენ და 1938 წლის თებერვალში დედაჩემის უფროს ძმას, 18 წლის დომენტი ბულაძეს მიადგნენ, რომელიც იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის II კურსზე სწავლობდა და ისიც გაურკვეველი მიმართულებით გააქრეს. ასე დარჩა მზეხა ბულაძე 5 შვილთან ერთად ყოველგვარი მარჩენალისა და დამხმარის გარეშე. მიუხედავად იმ დროისათვის, ისეთი რთული და მძიმე საყოფაცხოვრებო და სჯულიერი მდგომარეობისა, ბებიაჩემმა მზეხამ შეძლო საქართველოსთვის აღეზარდა ხუთი ღირსეული, ქრისტეს ათივე მცნების მიმდევარი, სათანადო ცოდნით აღჭურვილი ქართველი. 1951 წელს დედაჩემი და მამაჩემი, ავთანდილ ცარციძე, შეუღლდნენ და დასახლდნენ საჩხერის რაიონის სოფელ მოძვში, მამაჩემის ბაბუის, შიო ნოზაძის მამულში. სწორედ ამ მამულში დავიბადეთ ჩვენ, სამი ძმა და ორი და. ალბათ ჩვენი დედმამიშვილთაგან ვერავინ იტყვის, რომ როდისმე ვინმე ჩვენგანი, მოძვის რვაწლიან ან ჯალაურთის საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, ერთ დღეს მაინც ადრე ადგა დილას დედაჩემზე ან ღამით დედაჩემზე გვიან დაეძინა. არ ყოფილა დღე, ცხელი საუზმის გარეშე წავსულიყავით სკოლაში.

როდესაც ჩვენი შვილები, ზაფხულის არდადეგების შემდეგ, თბილისში თავის თანატოლებს უყვებოდნენ, თუ ბებიამ ვის რა ჩაუცხო, ვის რა მოუქსოვა, აუცილებლად აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი ბებია ყოველთვის მზეზე ადრე იღვიძებსო. სოფელი მოძვი ძირითადად ნოზაძეების გვარით დასახლებული სოფელია. დედაჩემი დიდი სიამყით იხსენებდა ხოლმე ჩვენი სოფლის სკოლაში საქართველოს განათლების სამინისტროს ინსპექტორის ჩამოსვლას 1967 წელს, როდესაც ინსპექტორს „ფრიადოსნების" დაფისთვის შეუხედავს, ყურადღება გაუმახვილებია დაფაზე განთავსებული ოცი სურათიდან ოთხი ცარციძეების გვარიდან ყოფილა. უკითხავს, აქ, ვატყობ, ცარციძეებიც ბევრი ცხოვრობენო, არაო, — უთქვამს დირექტორს, მხოლოდ ერთი ოჯახიო. ყოჩაღ, ამ შვილების დედასო, კარგ ქართველებს უზრდის ქვეყანასო. მართლაც, ჩვენი სწავლების პერიოდში, ვიდრე ბოლო ჩვენი ოჯახის წარმომადგენელმა, ჩემმა უმცროსმა დამ, იზომ, არ დაამთავრა მოძვის რვაწლიანი სკოლა, მანამ დედაჩემი იყო სკოლის მშობელთა საბჭოს უცვლელი თავმჯდომარე. არ არსებობდა დედაჩემს რამე რელიგიური დღესასწაული გამოეტოვებინოს და უსაკურთხოდ დაელამებინოს, საღვთო დღე, როგორც თვითონ უწოდებდა. გაშლილ სუფრაზე ღვინიან დოქს დადგამდა და დოქს ტუჩთან სანთელს დაუმაგრებდა, აანთებდა, ჩვენ, ქმარშვილს დაგვიძახებდა, აღმოსავლეთით მიგვატრიალებდა და სამ-სამჯერ პირჯვარს გადაგვწერდა და ამის შემდეგ გვსვამდა სუფრასთან.

ჩვენ, ბავშვები, სასკოლო საგნებთან ერთად საღმრთო რჯულშიდაც ვიყავით მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულები და ხშირად ჩვენს თანაკლასელებში გაკვირვებასაც ვიწვევდით, როდესაც ვამბობდით ხვალ — სულთაობაა, ან პეტრე-პავლობა, ან ღვთისმშობლობაა.

ძალიან განიცადა 1989 წლის 9 აპრილი, გამუდმებით იხსენებდა 9 აპრილის ტრაგედიისას დაღუპულთა სულებს. ჩვენ თუ შემთხვევით გამოგვრჩებოდა, წასულების სადღეგრძელოში მათი სულების მოხსენიება, აუცილებლად შეგვახსენებდა. განსაკუთრებით პატივს სცემდა ზვიად გამსახურდიას, მისი სურათი სალოცავ კუთხეში, თავისი ხატების ახლოს ედო მუდმივად. მახსოვს, 1989 წელს მოსკოვიდან ჩემი მეგობარი ებრაელების მიერ ნაჩუქარი, ზაგორსკის დაბომბვას გადარჩენილი XVII-XVIII საუკუნის მაცხოვრის ხატი ჩამოვიტანე და დედაჩემს მივართვით. მითხრა, — შვილო, ამაზე უკეთეს საჩუქარს ალბთ ვერც ვინატრებდიო. დედაჩემისთვის ყველაზე მძიმედ გადასატანი 2008 წლის აგვისტოს ომი შეიქნა, როდესაც სამაჩაბლოში, სოფელ ხეითში მცხოვრები ჩემი და, მედეა თავის ქმრით და ოთხი შვილით საშინაო ფეხსაცმელებით და ასეთივე ტანსაცმელში გამოწყობილი შვილებით, სამაჩაბლოდან გამოგდებული, მოგვადგა სოფელ მოძვში. ცხინვალში ომის დროს ყოველი ნაღმის აფეთქების გაგონებაზე (ამ დროს ნაღმების და ბომბების ხმა საჩხერემდეც აღწევდა) სალოცავ ხატებთან მიდიოდა და მუდმივად ანთებულ სანთლებთან ილოცებოდა და ღმერთს ევედრებოდა უსისხლოდ აფეთქებული ყოველი ნაღმი თუ ბომბი.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის" გაგონება აღარ უნდოდა, მით უმეტეს, როცა ჩემი და, ჯერ ამიერკავკასიის ყოფილი შტაბის შენობიდან, ხოლო შემდეგ ვაზისუბანში, დევნილებისათვის გარემონტებული საბავშვო ბაღიდან, პოლიციის ძალებით გამოასახლეს და ფაქტობრივად ქუჩაში დატოვეს.

2009 წელს დედაჩემთან და მამაჩემთან ერთად შევხვდი სოფელ მოძვში. მითხრა, — შვილო, ახლა ჩვენს საქართველოს ბიძინას მეტი ვერავინ უშველისო, იქნებ როგორმე მივაწვდინოთ ხმა ამ „ნაციონალებისგან" რომ გვიხსნასო. შვილო, წამიყვანე, მუხლებში ჩავუვარდები და ვთხოვ საქართველოს გადარჩენაში დაგვეხმაროსო. ლევან ნოზაძესთან მიმიყვანე, ის შიო პაპას ნათლულია, ის კი ბიძინას ნათლიაა, უარს ვერ მეტყვის. ბიძინას თუ ვერ შეგვახვედრებს, დედამისს, ციცინოს ვთხოვ დახმარებასო.

როდესაც ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში მოსვლაზე გააკეთა განცხადება, გახარებულმა ხუთივე შვილს დაგვირეკა და კატეგორიულად მოგვთხოვა ყველანი ბიძინას გვერდზე დაირაზმეთ თქვენ-თქვენი ოჯახებითო. ჩვენც, ყველამ პირნათლად შევუსრულეთ საყვარელ დედას თხოვნა. ჩემი დედმამიშვილები თბილისის საარჩევნო უბნებში იდგნენ ოჯახებით საქართველოს გადარჩენის სადარაჯოზე, მე კი ბოლნისის რაიონის საარჩევნო კომისიაში ვიცავდი „ქართული ოცნების" ღირსებას. ღამის 3 საათზე პირველმა დედაჩემმა მოგვილოცა „ქართული ოცნების" გამარჯვება. ბიძინას აღმერთებდა, ღვთის შვილს უწოდებდა, მის ოჯახს ჩვენ ოჯახთან ერთად ლოცავდა, ყოველდღე სანთელს უნთებდა. 2012 წლის დეკემბერში სოფელ მოძვში ვიყავი ჩასული მშობლებთან. დედაჩემის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მითხრა, — შვილო, სიკვდილის აღარ მეშინია, საქართველოს ისეთი პატრონი გამოუჩნდა, ქვეყანა აღარასდროს დაიღუპება. როდესაც „კვირის პალიტრიდან" და ინტერნეტიდან ამოჭრილ სურათზე ვაჩვენე ბიძინას თვალის უპეებთან ჯვრის გამოსახულება, მითხრა, — ხომ გითხარი, შვილო, ღმერთის გამოგზავნილია ბიძინაო. 2012 წლის 8 დეკემბრის დილას ადრე გამომეღვიძა, რაღაც ჩემთვის უცნობი სიმძუდროვე ცუდად მენიშნა, რა ვიცოდი, ჩემს ცხოვრებაში პირველად, დედაჩემისთვის ადგომა რომ უნდა მომესწრო. დედაჩემი ვეღარ ადგა... მამაჩემიც გავაღვიძე, ორივე ერთად დედაჩემს ვაღვიძებდით, ის კი დუმდა, თურმე სამუდამოდ...

დედაჩემის სული დღესაც ჩვენს გვერდითაა. ის მხოლოდ 2013 წლის 21 თებერვალს დატოვებს თავი სახლ-კარს. უფალს შევთხოვ, მიიღოს თავის მარადიულ სასუფეველში დედაჩემის სპეტაკი სული, სული ადამიანია, რომელსაც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის მეტი არაფერი უკეთებია ამ ქვეყანაზე.

P.S. მინდა მადლობა გადავუხადო საჩხერის რაიონული საავადმყოფოს მედპერსონალს, რომლებმაც ცოდნა და ენერგია არ დაზოგეს ჩემი 78 წლის დედის გადარჩენისთვის, ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ბიძინას ასეთი საავადმყოფოს აშენებისთვის, მისი საქველმოქმედო მოღვაწეობისათვის, ჩემი 81 წლის მამის გადარჩენისთვის. მადლობას ვუხდი საჩხერის რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეს ინგა ზაბახიძეს სათანადო გზის გამწმენდი ტექნიკის გამოგზავნისთვის და ყველა იმ ახლობელს და ნათესავს, ვინც გულთან მიიტანა და დააფასა ჩვენი ოჯახი.

*დედმამიშვილების სახელით თენგიზ ცარციძე*

### ილია ალფესის ძე თავაძის ხსოვნას



დაბადების დღეს გილოცავ ძმაო, ყოველთვის სიხარულით ვხვდებოდი 9 თებერვალს, წელსაც მინდოდა, მაგრამ ოცი დღით ადრე, 20 იანვარს, 40 დღის შემდეგ, შენმა სიძემ და შვილებმა 40-ის სუფრა გაშალეს. უფალს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი მიხეილ ალექსანდროვიჩი (ჟორა ხომერიკი)*

### ლამარა ჭყონიას ხსოვნას



40 დღე ხდება, რაც შენ დაგვტოვე და მარადისობაში გადაინაცვლე, ჩვენო საყვარელო ლამარა. რამდენ სიყვარულს, სითბოს და სიკეთეს იტევდა შენი უბოროტო გული. ცრემლით დაგტირით, სიყვარულით გიგონებთ და უფალს შეთხოვთ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შუქრი ჭყონია და ციცინო ლაჭყეპიანი*

### პავლე წიკლაურის გახსენება



ზამთარს გაზაფხული ცვლის, ტკივილს სიხარული, უიმედობას იმედი. გაზაფხული მოდის, პავლე! 14 თებერვალი შენი ანგელოზის დღეა... შენი გაქრობა ცუდი სიზმარი იყო. იმედი, რომ გამოჩნდებოდი, თანდათან კრთება. რაინდივით ვაჟკაცს თვალს ვერ შეგაწვდენდა კაცი. გული კი სათუთი გქონდა, ადვილად სატკენი. შენში ყველა დადებითი თვისება იყო თავმოყრილი — სიკეთე, სხვისი პატივისცემა, უზომო პასუხისმგებლობა, მაგრამ ყველაფერი პესიმიზმმა გადაწონა. სხვა რომ ადვილად ეგუება, შენ გაგიჭირდა... სიკვდილზე ფიქრი შეგეჩვია. სასხლეტზე თითის ერთი დაჭერით გადაწყვიტე თითქოს ყველა პრობლემა. შენი თანაკლასელები წელს სკოლას ამთავრებენ.. მარტიც მოვა. აღარავინ დაუწყობს მათ მერხებზე წითელ ტიტებს და გაზაფხულის მოსვლას ახარებს. ყველა ვფიქრობთ, რომ ვერ გაგიფრთხილდით. მხრებჩამოყრილ შენიანებს ვერაფრით ვანუგეშებთ, მხოლოდ მადლობა გვინდა ვუთხრათ მათ, რომ ასეთი შვილი გაზარდეს... მადლობელი ვართ, პავლე, რომ ბედნიერება გვერგო შენს გვერდით ვყოფილიყავით 11 წელი! მშვიდად იძინე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის იმქვეყნიური ყოფა!

*არხილოსკალოს საჯარო სკოლის მასწავლებლები*

### გია და ლევან ბეგიაშვილების გახსენება



ჩემო საყვარელო შვილებო გია და ლევან, უკვე 10 წელი გავიდა, რაც უთქვენოდ ვარსებობ ამ ცოდვილ ქვეყანაზე, 10 წელია უშედეგოდ გეძებთ.

რომ იძახიან „დრო ყველაფრის მკურნალიაო", არ დაიჯეროთ, უფრო და უფრო მენატრებით და უფრო და უფრო მიღრმავდება ჭრილობა. 15 თებერვალს წარსდექით უფლის წინაშე გარეწრების „წყალობით". ერთადერთი იმედი ის მაქვს, რომ მანდ სასუფეველში იმყოფებით უფლის მფარველობის ქვეშ.

ლევან, შვილო, შენი შვილი ვაკუნა უკვე 10 წლის არის, ყველა დეტალი აინტერესებს შენს შესახებ, უფალს ვთხოვ მომცეს ძალი, რომ ისე შევაყვარო შენი თავი, როგორც შენ გააკეთებდი ამას.

*გიხსენებთ მარად დედათქვენი, თქვენი ბიძა კონსტანტინე კაპანაძე, კაპანაძეები, მეგობრები და ახლობლები*

### დავით (დათო) დვალის ტკივილიანი მონატრება



ცათა სასუფეველში გილოცავთ დაბადების დღეს, დედიკო, მამასა და შვილს. ბედის ირონია იყო შვილო, თქვენი მოულოდნელი წასვლა ამქვეყნიდან, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდებმა დატოვეთ თქვენი ოჯახები და მარადისობაში დაიდეთ ბინა. დრომ ვერაფერი დააკლო თქვენს ხსოვნას, ნატვრას, ჩვენს გულებში დაიდეთ ბინა და ჩვენთან ერთად აგრძელებთ სიცოცხლეს. წახვედით და დაგვიტოვეთ ცრემლიანი მონატრება. მდუმარებამ დაისადგურა სახლში.

უთქვენოდ, შვილო, შესცივდა კედლებს / ბჟუტავს ლამპარი, / ამ ჩვენს სახლს თითქოს აღარც ჭერი აქვს, / აღარც ფანჯრები.

ვტირი უთქვენობას და მონატრება მახრჩობს. ბედისწერამ თუ კაცის ულვთო ბოროტებამ არ დაგინდო, შვილო და მძიმე განაჩენი გამოგიტანა. დააკლდი შვილებს, ოჯახს, ახლობლებს. მარადიულ ნატვრად, ტკივილად, ცრემლად დარჩით ჩვენთან. შენს შემდეგ შვილო, სიცოცხლემ აზრი დაკარგა, მაგრამ ჩემს სიცოცხლესაც უთქვენოდ, სიცოცხლე აღარ ჰქვია. იყავით სასუფეველში და გზას გინათებდეთ ჩვენს მიერ დანთებული სანთლები.

*დედა ლიზა, ძმა მერაბი, თქვენი ოჯახები და ახლობლები*

# თეატრმცოდნე და პედაგოგი — დროსა და სივრცეში გაშლილი მოღვაწეობა

*5 თებერვალს 90 წლისა გარდაიცვალა თეატრმცოდნე და პედაგოგი, არაერთი თაობის აღმზრდელი, რაც ყველაზე მთავარია, შემოქმედი, ნათელა ურუშაძე, ადამიანი, რომელმაც ხელოვნების რანგში აიყვანა თეატრალური კრიტიკა და პედაგოგიკა, მეტიც, ხელოვნებად აქცია სხვათათვის მომაბეზრებელი ყოველდღიურობაც. ამიტომაც სხვა თეატრმცოდნეთაგან განსხვავდებოდა, განცალკევებით იდგა და მთელი არსებით ემსახურებოდა იმას, რომ მომავალ თაობას არ დაეკარგა ხელოვნების აღქმის უნარი, არ დაშრეტოდა თვალი, რომლითაც უნდა დაენახა და არ დახშოდა ყური, რომლითაც უნდა მოესმინა.*

*უკვე ასაკოვანი, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში ხვდებოდა პატარებს და საათობით ელაპარაკებოდა ხელოვნებაზე. უნდა გენახათ, როგორი გემოვნებით შემოსილი მიდიოდა ბავშვებთან შესახვედრად, როგორი პატივისცემით ესაუბრებოდა თითოეულს და აძლევდა მაგალითს, როგორ აღეზარდა პიროვნება.*

„წავიდეთ თეატრში“ — ასე დაარქვა წიგნს, რომელიც მაშინ გამოვიდა, როცა ადამიანებმა თეატრში სიარული ლამის შეწყვიტეს... ნათელა ურუშაძე მტკიცე ფარად ედგა ამ დიდ კულტურას, რომ არაფერი დამუქრებოდა. მისმა წიგნებმაც ბევრს შეაყვარა თეატრი, შემოგვინახა თეატრის ისტორია და არაერთი ქართველი ხელოვანის სახე. შეეძლო, ისე დაეწერა, რომ იოლად წარმოგედგინა თავი მონაყოლის თვითმხილველად...

ელენე ახვლედიანზე წერდა: „როგორც კი დიდ დარბაზში შევედი, სადაც უმთავრესად ბუნების სურათები იყო გამოფენილი, უმალ ვიგრძენი მისი უსაზღვრო სიყვარული ამ სამყაროსადმი. მივხვდი, რომ რასაც ის ხატავდა, ძალიან უყვარდა, იქნებოდა ეს ყვავილი, ბალახი თუ უბრალო ნივთი. იგი ყველაფერში ხედავდა სილამაზეს.

გარეგნულად არაჩვეულებრივი იყო. მაღალი, წარმოსადეგი, ჰქონდა არაჩვეულებრივი ხელები — არა მარტო ლამაზი და დახვეწილი, არამედ მეტყველი. იმით, თუ როგორ იღებდა ხელსაწყოს, რომლითაც ხორცი უნდა შეესხა თავისი ფიქრებისათვის, ბევრი რამის განსაზღვრა შეიძლებოდა. როგორ ნატიფადაც კლავიატურაზე იღებს პირველ ნოტს პიანისტი, ასევე იღებდა იგი ფუნჯსა და ფანქარს.

ელენე სულ ხატავდა, ტელეფონზე საუბრისას, თუ სუფრაზე იჯდა, ხელსახოცზე აკეთებდა ჩანახატებს. არასოდეს ჩერდებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ნიჭიერი იყო, ნიჭი კი არის ენერგია, რომელსაც უფალი განიჭებს და არ გვაძლევს უმოქმედობის საშუალებას. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რის გამოც იგი სულ ხატვით იყო გართული. როდესაც გამოფენაზე ვიხილე ელენეს ნახატები ამდენი სახლით, ამდენი აივნით, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი, თეატრის მსგავსად — იყო მოქმედების ადგილი. სწორედ აქ ჩანდა მისი პოტენციალი ხელოვნების ამ სფეროში“.

ამ მცირე ამონარიდში გარეგნობას თუ გამოვრიცხავთ და მხატვრის ფუნჯის ნაცვლად მწერლის კალამს ვახსენებთ, სწორედ ნათელა ურუშაძეზე იქნება მისადაგებული. მუდამ მუშაობდა, აკეთებდა ჩანაწერებს, ყველაფერს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა — ბუნებას, ადამიანებს... იგი ყველაფერში ხედავდა სილამაზეს.

მისი სახლის ფანჯარასთან მუდამ მოფრინავდნენ ჩიტები. აკაკუნებდნენ ნისკარტით და საკენკს ითხოვდნენ... ფანჯარას გამოაღებდა ან თავად, ან მისი მეუღლე — დიდი არტისტი გოგი გეგეჭკორი და აპურებდნენ ფრინველებს. მათი ოჯახიც ერთგვარი ხელოვნების ნიმუში იყო. უნდა გენახათ, როგორ მიეგებებოდა ქალბატონი ნათელა სანოვაგით დატვირთულ მეუღლეს. „ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ოჯახის უფროსი დაბრუნდა შინ“, — ამბობდა ღიმილით. ერთი შეხედვით უბრალო ამბავი იყო — ქალი მეუღლეს ხვდებოდა, მაგრამ ამასაც ჰქონდა სიღრმისეული განცდა ადამიანის მოსვლის მნიშვნელობის გააზრებისა. სხვებსაც იმავეს სთხოვდა: დაინახეთ ადამიანი, გესმოდეთ ადამიანის, გიყვარდეთ ადამიანიო... სხვას შეიძლებოდა გაჰკვირვებოდა კიდეც, რეპრესირებულთა შთამომავალი ნათელა ურუშაძე ჰყვებოდა ძველ ამბებს და ჯალათს, ადამიანს, რომელიც სხვების დასჯაში მონაწილეობდა შინსახკომში, ისეთი კუთხით დაგიხატავდა, რომ უკიდეგანოდ უბედურ კაცად წარმოგიდგენდა, შურისგების სურვილს მოგიკლავდა და სიყვარულით აგავსებდა. ეს არის ფასდაუდებელი ღვაწლი ზოგადად ადამიანობის წინაშე.

გოგი გეგეჭკორი და ნათელა ურუშაძე იმ ოჯახის ბურჯები იყვნენ, სადაც ნებისმიერ შევიწროებულ ხელოვანს შეეძლო მისვლა და მშვიდად ამოსუნთქვა. აქ იყო ნდობა და გაგება, განსხვავებულად აზროვნების სითამამე და ხელოვნების დიდი სიყვარული.

უკანასკნელი საუბრისას მითხრა: — „იცით, რას ვფიქრობ? ყველაზე მნიშვნელოვანია, წეროთ მასწავლებლებზე, ჰკითხოთ ყველას, ვის როგორ ახსოვს თავისი მასწავლებელი, ჩაიწეროთ ყველა ნიუანსი“... ღრმად მოხუცი ფიქრობდა, რომ პედაგოგიკა იყო უმნიშვნელოვანესი და განათლების სისტემაში მომხდარი არაერთი გაუგებარი ცვლილება შეიძლებოდა დამუქრებოდა მასწავლებლის ძალიან ძლიერ და მადლმოსილ სახეს. პედაგოგიკა იყო ის, რაც საკუთარი ინტელექტუალური სიმდიდრის გაცემის შანსს გაძლევდა ადამიანს, ის იყო უმთავრესი — დროსა და სივრცეში გაშლილი მოღვაწეობა. რატომღაც ისეთი აზრი დამრჩა, სულ ბოლოს ყველაზე მეტად პედაგოგიკაზე, მომავალი თაობის აღზრდაზე ფიქრობდა-მეთქი... იქნებ თეატრზე მეტადაც კი ფიქრობდა...

ნათელა ურუშაძე დიდუბის პანთეონში, მეუღლის, გიორგი გეგეჭკორის გვერდით დაკრძალეს...

***ლელა ჯიყაშვილი***



**გოგი გეგეჭკორი და ნათელა ურუშაძე იმ ოჯახის ბურჯები იყვნენ, სადაც ნებისმიერ შევიწროებულ ხელოვანს შეეძლო მისვლა და მშვიდად ამოსუნთქვა**

## ნათელა ურუშაძე

**ნათელა ურუშაძე 1923 წელს დაიბადა. 1945 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და შემდეგ მოსკოვის ა. ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი.**

**იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი. ნათელა ურუშაძე რამდენიმე ათეული წიგნისა და პუბლიკაციის ავტორია: „სახლი სათამაშო“, „მედეა ჯაფარიძე“, „სესილია თაყაიშვილი“, „მეორე სიცოცხლე“, „წავიდეთ თეატრში“, „ქართული თეატრის ამბავი“, „ელენე ახვლედიანი“, „ფრიდრიხ შილერი ქართულ სცენაზე“...**



# №7(854) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**თემა №7(854) — უარყოფითი როლი**

**ვის როლს შეაფასებთ ყველაზე უარყოფითად 8 თებერვლის ინციდენტში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-ის ჩათვლით.

| № | თემა №7(854) | ქულა |
|---|---|---|
| 1 | დავით უსუფაშვილი | |
| 2 | ირაკლი ღარიბაშვილი | |
| 3 | გიგი უგულავა | |
| 4 | აქციის მონაწილეები, აქტივისტები | |
| 5 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 6 | გიგა ბოკერია | |
| 7 | ბიძინა ივანიშვილი | |
| 8 | თენგიზ გუნავა | |

*დამატებითი კითხვა*

თქვენი აზრით, უნდა მისცემოდა თუ არა პრეზიდენტს პარლამენტში გამოსვლის საშუალება?

| დიახ | არა | მიჭირს პასუხის გაცემა |
|---|---|---|
| | | |

(შესაბამისი უჯრა გადახაზეთ)

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე... გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

## 200 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო საშუალო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად. პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

**ყურადღება! საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში SMS-ის საშუალებითაც შეგიძლიათ მონაწილეობის მიღება. შევსების წესი მარტივია: ტელეფონის SMS ფუნქციაში ლათინურად უნდა აკრიფოთ სიტყვა REITINGI გამოტოვოთ ცარიელი ადგილი და შემდეგ ქულების ისეთივე კომბინაცია, როგორც რეიტინგის ქვითარს შეავსებდით. მაგალითისთვის: REITINGI 73456182, ამ შემთხვევაში 7 — „დავით უსუფაშვილისთვის“ მიკუთვნებული ქულაა, 3 — „ირაკლი ღარიბაშვილისთვის“, 4 — „გიგი უგულავასთვის“ და ა.შ. შემდეგ დააფიქსირეთ დამატებითი კითხვის პასუხი, თქვენი სახელი და გვარი, ასაკი, ქალაქი (რაიონი) და გამოგზავნეთ ნომერზე 2141.**

ერთი ტელეფონიდან მხოლოდ ერთი SMS-ის გამოგზავნა შეგიძლიათ. ერთი SMS-ის ღირებულებაა 50 თეთრი. **SMS-ის** გამოგზავნის ბოლო ვადაა **ხუთშაბათის, 14 თებერვლის 20[00] სთ.**

**№7(854)** საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 13 თებერვლის 10[00] საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 თებერვლის 13[00] საათამდე.**

©თბილისი

# №6(853) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის თემას — **„ხელისუფლების დაპირებები“** — 498 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 215 ქალისა და 278 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი (SMS) მონაწილეობდა. კითხვა ასეთი იყო: **„თქვენი აზრით, ხელისუფლების მიერ დაპირებული რომელი პრობლემის მოგვარებაა თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დასაქმების პრობლემის მოგვარებაა. რესპონდენტთა 54%-მა შეაფასა ეს გრაფა მაქსიმალური 8 ქულით. **7.11** საშუალო ქულით „დასაქმება“ პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე „სამართლიანობის აღდგენაა“, საშულო ქულაა 5.94.

სამეულს „ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა“ ასრულებს 5.53 საშუალო ქულით.

ყველაზე მცირე რაოდენობის მაქსიმალური ქულა (0.3%) „განათლების ხელმისაწვდომობამ“ დაიმსახურა, ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური შეფასება კი „სამართლიანი შრომის კოდექსის შექმნას“ ხვდა წილად და 2.28 საშუალო ქულით რეიტინგში ბოლო ადგილზეა.

საპრიზოს ზუსტად 3 ბარათი (SMS) დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 52 წლის **გელა ოზაშვილი,** 59 წლის **ირაკლი მღვდლიაშვილი,** და 58 წლის **გიორგი ბუთხუზი.**

საპრიზო ფონდი — 200 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 13 თებერვალს, 17 საათზე.

## ხელისუფლების დაპირებები




### ყურადღება!

- საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას **აუცილებელია, მონაწილეობა მიიღოთ „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“).**
- თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგში“ („დამატებით კითხვაში“) მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.
- „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში — მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბაღდათი, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით ©**

## (7) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№7 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ **14 თებერვლის** (ხუთშაბათი) 13[00] სთ-მდე.

*დამატებითი კითხვა*

**როგორ აფასებთ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ გიგი უგულავას დაკითხვას?**




*დამატებით კითხვას 405-მა რესპონდენტმა უპასუხა*

### ცნობილთა აზრით:



**ბესო ჟღენტი:** — პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. გიგი უგულავა მამა აბრამის ბატკანი ნამდვილად არ არის, არც მისი ქომაგი ვარ, თუმცა აქ კატათაგვობანას ნამდვილად აქვს ადგილი. ანგარიშსწორების სუნი ნამდვილად ასდის ამ ყველაფერს.



**გიგა ლორთქიფანიძე**: — ჩვეულებრივი საგამოძიებო პროცედურა მგონია. ხელშეუხებელი ადამიანები არ არსებობენ. თუ გამოძიება თვლის, რომ გიგი უგულავაა დასაკითხი, უნდა დაიკითხოს კიდეც.



**სოსო ცინცაძე:** — მიჭირს პასუხის გაცემა. ძალიან სპეციფიკური საკითხია და ამ სფეროსგან შორს ვარ. ცალსახა შეფასებას ვერ მივცემ. არ მინდა ემოციური განცხადება გამომივიდეს.

მოგვწერეთ თქვენთვის სასურველი თემების შესახებ, რა საკითხებზე ისურვებდით გამოკითხვის ჩატარებას. რედაქცია შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს თქვენს სურვილებსა და წინადადებებს. ველით გამოხმაურებას. წინადადებები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) ყუთების საშუალებით.

# უნიკალური შესაძლებლობა

## მათთვის, ვისაც ინგლისური ენის შესწავლა სურს

*გამომცემლობა „პალიტრა L“ მალე კიდევ ერთ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს მომხმარებელს. ეს არის ინგლისური ენის მულტიმედიური კურსი* — **English today.**



უცხო ენის შემსწავლელი ახალი მულტიმედიური კურსი გაძლევთ უნიკალურ შესაძლებლობას, დამოუკიდებლად დაეუფლოთ ინგლისურ ენას. 26 წიგნად დაყოფილ სახელმძღვანელოს თან ახლავს ამდენივე DVD და აუდიოდისკი, რომელიც დამწყებს ან გარკვეული ენობრივი საფუძვლის მქონე ადამიანს შესაძლებლობას აძლევს ელემენტარული საწყისებიდან ცოდნა ბიზნესინგლისურამდე გაიღრმავოს.

მნიშვნელოვანია, რომ ინგლისური ენის შემსწავლელ თემატურ ფილმებს თან ახლავს ქართული თარგმანი სუბტიტრებით, რომლის ჩართვა ან გამორთვა შესაძლებელია შესაბამისი ფუნქციური ღილაკის დახმარებით.

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსი English today იტალიური გამომცემლობა Scalagroup international-ის მიერ არის შემუშავებული და აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში. მხოლოდ იტალიაში ამ კურსის დახმარებით ინგლისურ ენას მილიონზე მეტი ადამიანი დაეუფლა.

ეს კურსი ასევე დაეხმარება მათ, ვისაც ტოეფელისა და სხვა საერთაშორისო ტესტის ჩაბარება სურს.

**ნინო დეკანოსიძე,** *რედაქტორი:* „ეს არის ინგლისური ენის ახალი, მულტიმედიური კურსი, რომელიც მოიცავს 6 დონეს და 26 ნაწილად არის დაყოფილი.

პირველი არის საწყისი, ელემენტარული დონე, ხოლო ბოლო დონე — ბიზნესინგლისური. ყოველ წიგნს ახლავს DVD-ვიდეო და აუდიოფაილები, აგრეთვე სამუშაო რვეული. English today კვირიდან კვირამდე, დინამიკურად და ეტაპობრივად, მსმენელს ენის სრულყოფილად დაუფლებაში დაეხმარება და ყოველ ჯერზე ენის ცოდნის უფრო მაღალ საფეხურზე გადაიყვანს.

ეს არის სამი, ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტი: ვიდეო, აუდიოფაილი და წიგნი სამუშაო რვეულითურთ, რაც დასახული მიზნის მიღწევას უფრო სასიამოვნოსა და შედეგიანს გახდის. DVD-ს გამოყენება შესაძლებელია როგორც ტელევიზორში, ასევე კომპიუტერში.

ვიდეოფაილები ამ სასწავლო კურსის მნიშვნელოვანი ნაწილია და შედგება სკეტჩებისგან, სადაც ეპიზოდებში მოთხრობილია ხუთი ახალგაზრდის თავგადასავალი. ეს მოკლე ფილმები სპეციალურად ამ კურსისთვის შეიქმნა. ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრებისა და თავგადასავლების თვალის მიდევნება მსმენელს ენის ძირითადი მახასიათებლებისა და გავრცელებული გამოთქმების შესწავლაში დაეხმარება.

**მულტიმედიური კურსის ყოველი ნაწილი: წიგნი, DVD და აუდიოფაილები მხოლოდ 6 ლარი ღირს. მათი შეძენა შესაძლებელია გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ერთად**

ამრიგად, ადამიანს ჩვევად უყალიბდება ინგლისური ენის სწორი ფორმების გამოთქმა. ფაილები დაყოფილია თავებად: კინოს, მუსიკის, სპორტის, სამზარეულოს, თანამედროვეობის შესახებ.

ეს არის სწორად გააზრებული გაკვეთილები, სადაც მაღალკვალიფიციური პედაგოგები გრამატიკის, სინტაქსის, ლექსიკის, გამონათქვამებისა და ფრაზეოლოგიის სწორად დაუფლებაში დაგეხმარებიან. აუდიოფაილს კი შეგიძლია მოუსმინო ყველგან, მათ შორის ავტომობილში ან მოცალეობის ჟამს.

მულტიმედიური კურსის ყოველი ნაწილი: წიგნი, DVD და აუდიოფაილები მხოლოდ 6 ლარი ღირს. მათი შეძენა შესაძლებელია გაზეთ „ყველა სიახლესთან“ ერთად.

***ემა ტუხიაშვილი***

# პალიტრა TV მაუწყებლობას აფართოებს

ამიერიდან ტელევიზიის გადაცემების ნახვა საკაბელო ოპერატორ „ა+ბ“-ს აბონენტებსაც შეეძლებათ.

როგორც „პალიტრა TV“-ს დირექტორმა ზაზა ქანთარიამ აღნიშნა, ტელევიზია სამი თვეა, რაც საკაბელო ოპერატორ „გლობალ TV“-ს მეშვეობით მაუწყებლობს, იმავდროულად, მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე საკაბელო ოპერატორთან, რომლებიც უახლოეს მომავალში „პალიტრა TV“-ს ქსელში ჩართავენ.

დღის განმავლობაში ეთერი მრავალფეროვან გადაცემებს ეთმობა. გადის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები და საინფორმაციო გამოშვება 12:00, 14:00 და 16:00 საათზე.

გადაცემების წამყვანებს შორის არიან როგორც საზოგადოებისთვის ცნობილი ჟურნალისტები და პოლიტოლოგები, ასევე ახალი სახეები. „პალიტრა TV“-ზე საავტორო გადაცემები მიჰყავთ თამარ ცაგარეიშვილს, მარიკა დარჩიას, კოტე ეღენტს, მერაბ მეტრეველს, გიორგი კალანდაძეს, სალომე ლილუაშვილსა და სხვა წამყვანებს.

ამასთან, გაზაფხულიდან იგეგმება ქართულ ენაზე გახმოვანებული თურქული სერიალის „ეზელის“ ჩვენება.


